EUROPEAN UNION

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ევროპა
ჩემს გაკვეთილზე

ნინო დობორჯგინიძე
ლევან გიგინეიშვილი
ნინო ლაბარტყავა
რუსუდან თედორაძე
მაია ინასარიძე
ლევან ახვლედიანი
ნინო გვარამაძე
ხათუნა მჭედლიშვილი
მაკა ნადარეიშვილი
ნინო ფეტვიაშვილი
რუსუდან თაყაიშვილი
ირინე ჯორჯაძე
ნუგზარ მოსულიშვილი

ევროპა ჩემს გაკვეთილზე

პროექტის ხელმძღვანელი:
ნათია ნაცვლიშვილი

რედაქტორი:
მაია ინასარიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის ფარგლებში: “Developing special training modules for teachers on EU and Georgia’s association process”.

© 2017, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISBN 978-9941-27-576-0

დასავლური კურსი, ევროინტეგრაცია და დიდ ევროპულ ოჯახში გაწევრიანება საქართველოს მიერ არაერთხელ დეკლარირებული არჩევანია, არა მხოლოდ პოლიტიკური ან რომელიმე სხვა სფეროს, არამედ ქვეყნის, საზოგადოების საერთო არჩევანი უკეთესი მომავლისთვის, მშვიდობისთვის, კეთილდღეობისთვის, განვითარებისთვის და საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისთვის.

გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ გარდა ეროვნული თუ საერთაშორისო პოლიტიკური პლატფორმებისა, დიდი ევროპული ოჯახისკენ მიმავალი გზა განათლებაზეც გადის. სწორედ სკოლა და მასწავლებელი აყალიბებს მოსწავლეში – მომავალ მოქალაქეში იმ ორიენტირს, რომელმაც შემდეგ მისი მომავალი, მისი გზა უნდა განსაზღვროს. ამიტომ უკიდურესად მნიშვნელოვანია, ქვეყნის არჩევანი, ის შინაარსი, რომელსაც ეს არჩევანი გულისხმობს, საგანმანათლებლო პროცესის ყოველდღიურობის ნაწილი იყოს. სხვადასხვა საგნის გაკვეთილზე, ყოველდღიურად ხედავდეს მოსწავლე, რატომ აირჩია ქვეყანამ ის გზა, რომელსაც ადგას. სხვადასხვა საგნის კონტექსტში გახდეს შესაძლებელი ევროპის, ევროპული ღირებულებებისა და დიდი ევროპული ოჯახის – ევროკავშირის შესახებ სწავლება.

წინამდებარე პუბლიკაცია განკუთვნილია მასწავლებლებისთვისა და მომავალი მასწავლებლებისთვის და შექმნილია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით, პროექტის ფარგლებში: „ევროპა ჩემს გაკვეთილზე“ (Developing special training modules for teachers on EU and Georgia’s association process) წიგნი აერთიანებს იმ შესაძლო გზებს, თუ

როგორ უნდა შევძლოთ სხვადასხვა საგნის სწავლებით ევროკავშირისა და ევროპის შესახებ სწავლება, თუ რა ტრადიციებზეა დაფუძნებული ქართული საგანმანათლებლო პრინციპები და რა პრაქტიკული გზები და საშუალებები არსებობს იმისათვის, რომ ერთსა და იმავე გაკვეთილზე, საგნის სწავლების პარალელურად, ჩვენს მოსწავლეებს ქვეყნის მიერ არჩეული ევროპული გზის შესახებაც ვასწავლოთ.

გისურვებთ წარმატებებს!

გიორგი მაჩაბელი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორი

სარჩევი

ნინო დოგბორჯგინიძე

ევროპა ჩემს მაკვეთილზე და ევროპა, როგორც მაკვეთილი 9

ლევან მიგინეიშვილი

ევროპული განათლება სკოლებში 21

ნინო ლაბარტყავა

დაწყებითი განათლება 38

ლოტო 39

გზა ევროპისკენ 54

რუსუდან თედორაძე

ბუნებისმეტყველება 60

მაია ინასარიძე

ქართული ენა და ლიტერატურა 69

ილია და იაკობი – „დაწაფება დასავლეთის განათლებაზედ და მეცნიერებაზედ“ 69

სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ – მოგზაურის შთაბეჭდილებები თუ ევროპული ცხოვრების წესის პროპაგანდა? 74

ლიტერატურა – ინტერკულტურული დიალოგის საშუალება 78

ლევან ახვლედიანი

ისტორია 83

ნინო გვარამაძე

სამოქალაქო განათლება 92

ხათუნა მჭედლიშვილი

უცხოური ენები: ვერმანული ენა 104

მაკა ნადარეიშვილი

უცხოური ენები: ფრანგული ენა 114

ნინო ფეტვიაშვილი

უცხოური ენები: ევროპა რუსულის, როგორც უცხოური ენისა
და ეთნიკურ უმცირესობათა ენისა და
ლიტერატურის მაკვეთილებზე 129

რუსუდან თაყაიშვილი

მუსიკა 141

მუსიკა: თანამედროვე ქართულ-ევროპული
მუსიკალური მოვლენები 141

მუსიკა: ევროპული ჰიმნი 148

მუსიკა: ევროპული სამუსიკო განათლება
საქართველოში 150

ირინე ჯორჯაძე

ხელოვნება: ევროპელი არქიტექტორები
და მხატვრები თბილისში 155

ნუგზარ მოსულიშვილი

ფიზიკა: ცერნი — ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი
კიდევ ერთი რაკურსით 170

ნინო დობორჯგინიძე

ევროპა ჩემს გაკვეთილზე და ევროპა, როგორც გაკვეთილი

სიტყვა *გაკვეთილი* ქართულში ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა, იდიომატურადაც იხმარება და ნიშნავს ჭკუის სასწავლებელს/მასწავლებელს; წარმოდგენილ სტატიაში ვცადე ამ სიტყვის როგორც პირველი, ისე მეორე, იდიომატური პერსპექტივიდანაც წარმომედგინა კრებულის ძირითადი პრობლემატიკა: ევროპა, ევროპული ღირებულებები, ისტორიულად ჩვენი თვითშეგნების ყველაზე მნიშვნელოვანი ორიენტირი, მასწავლებელი და მისი რეფლექსია საგაკვეთილო პროცესში.

თავდაპირველად მოკლედ მინდა შევეხო ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც დღემდე გადაუჭრელი, მეტიც, საერთოდ უყურადღებოდაა მიტოვებული და, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად აფერხებს სკოლას, წარმართოს საინტერესო, მიმზიდველი და, რაც მთავარია, წარმატებული საგაკვეთილო პროცესი. ამ პრობლემას, ვფიქრობ, უკეთ გადმოვცემ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი წევრის, 1918 წელს სოფლის სკოლის მასწავლებლის მიერ შემუშავებული „ოქროს წესის“ ციტირებით (სურათი 1):

დღეს, სამწუხაროდ, მეცნიერება ძალიან ცოტას, ან, უარეს შემთხვევაში, საერთოდ არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ „სწავლის პროცესი მარტო გაკვეთილზე ახსნილის, ან სახელმძღვანელოში დაბეჭდილის მეხსიერებას (რეპროდუკციას) კი არ ემყარებოდეს, არამედ მოწაფის შემოქმედებითი ნიჭი აამოძრაოს, თავისი საზოგადო განვითარების გამოაშკარავებისა და ინდივიდუალურ შეხედულებათა გამოთქმის საშუალება მისცეს“.

ის, რომ სასწავლო პროცესი მოსაწყენია, ახალს, უფრო ზუსტად, ახლებურად გააზრებულს, ნაკლებად ვთავაზობთ სკოლას და ის ხშირ შემთხვევაში



ერთ-ერთი გიმნაზიის მასწავლებლის 1919 წელს შედგენილი სასწ. პროგრამიდან. „ოქროს წესები“, როგორც თვითონ უწოდებს, არცთუ უსაფუძვლოდ

სწორედ უინტერესო „რეპროდუკციის“ ადგილად იქცევა, ამის თავი და თავი არის ჩვენში მეცნიერების, კვლევების განვითარების საერთაშორისოსთან შედარებით დაბალი დონე; ამას ემატება ისიც, რომ არსებული მწირი სამეცნიერო ცოდნა ნაკლებად ან საერთოდ ვერ „ითარგმნება“ სკოლის ენაზე, ვერ ხერხდება მისი თანამედროვე სასწავლო რესურსად ქცევა. ასეთ პირობებში, მაშინაც კი, როცა მასწავლებლის მოტივაცია ძალიან მაღალია, რთულდება საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვნად, საინტერესოდ წარმართვა.

ამას ემატება ჩვენი უახლესი, ჯერ რუსული იმპერიული და შემდეგ – საბჭოური გამოცდილება, როცა ისტორიის, და ზოგადად, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის გააზრება მხოლოდ ერთი კონკრეტული, საეჭვოდ მკაცრად იდეოლოგიზებული მიმართულებით ხდებოდა. ეს, ცხადია, მარტო სკოლის პრობლემა არაა; საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენი, როგორც ქვეყნის, ისტორიის კონცეპტუალიზება თავის დროზე დიდი იმპერიული

პროექტის ფარგლებში მოხდა და დღემდე ვერ ხერხდება მისი სისტემური რევიზია.

ამ საკითხებზე 2016 წელს ძალიან საინტერესო დისკუსია გაიმართა ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისში, რომელიც თბილისში მდებარეობს.[1] დისკუსიის მთავარი პრობლემის, ჩვენი ისტორიის სისტემური გააზრების, შესახებ საგანგებოდ გამოქვეყნებულ წერილში: „გლობალური ისტორია და ჩვენი ხმაწართმეული ისტორიები". ს. ასათიანი სამართლიანად მიუთითებს:

> **„ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვიპოვეთ ადგილი გლობალურ ისტორიოგრაფიაში, ვერ შევძელით ისტორიის ჩვენი პერსპექტივიდან წაკითხვა. კი, ჩვენს რეგიონთან მიმართებით არაერთი აკადემიური დარგი თუ მოდური მიმდინარეობა შეიქმნა. მაგალითად, „პოსტ-საბჭოთა", „ტრანზიციის", ან „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის" კვლევები; არაერთი გამოკვლევაა დაწერილი ცალკეული ერების ისტორიაზე (მაგალითად, სტივენ ჯონსის, დონალდ რეიფილდის, რონალდ სუნის და სხვა ავტორების ღირებული და მნიშვნელოვანი ნაშრომები საქართველოს შესახებ), ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ლიდერებზე, დისიდენტებზე, ისევე, როგორც ტოტალიტარიზმის საბჭოურ სპეციფიკაზე. მაგრამ ეს ინიციატივები მაინც არ წარმოადგენს გლობალური ისტორიის რევიზიის სისტემურ მცდელობას და არ ასახავს იმ ხალხების თუ სოციალური ჯგუფების მთელ კომპლექსურობას, რომელთა კულტურული, პოლიტიკური და ტერიტორიული ისტორია რუსეთის იმპერიულ პროექტებთან – დინასტიურთან, სოციალისტურთან და დღევანდელთან – კავშირით შეიქმნა".**[2]

იმას, რომ ისტორიის სისტემური რევიზია დღემდე ვერ ხერხდება, ავტორის აზრით, კომპლექსური მიზეზები აქვს; მათ შორის მთავარი მაინც მეცნიერებაში დღემდე მყარად ფესვებგადგმული საბჭოური ტრადიცია, შესაბამისად, „სამეცნიერო" ჩამორჩენილობაა. შდრ.: „ყველაზე მთავარი მიზეზი კი ალბათ მაინც ის ვაკუუმია, რომელიც ბოლშევიკების მიერ ინტელექტუალური ელიტის განადგურებამ და დასავლეთის აკადემიურ სივრცესთან კავშირების გადაჭრამ მოიტანა. ამ ვაკუუმის შევსება დღემდე არ გამოდის, ივანე ჯავახიშ-

---

1 იხ. https://ge.boell.org/en/categories/foundation

2 იხ. სტატია https://www.radiotavisupleba.ge/a/blog-salome-asatiani-istoriebi/27277461.html

ვილისეული მასშტაბი და სიღრმე დიდი ხანია დაკარგულია. ჩვენი რეგიონის სოციალური და ჰუმანიტარული კვლევები სავალალოდ ჩამორჩება დასავლეთის უნივერსიტეტებისას. საიმისოდ, რომ შენი პერსპექტივიდან შეაღწიო გლობალურ ისტორიაში და რევიზიის მცდელობა გქონდეს, მისი წერის წესებს უნდა ფლობდე. მაგრამ საქართველოში გლობალური კი არა, საკუთარი, ლოკალური ისტორია ვერ დაგვიწერია მითების, სადღეგრძელოების, ქსენოფობიის, თვითეგზოტიზაციის და – რაც მთავარია – საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული კლიშეების გარეშე".[3]

საბჭოთა რეალობამ მითების, სადღეგრძელოების, ქსენოფობიის, თვითეგზოტიზაციის მოდელი ილიასეული, სწორედ ევროპული და ლიბერალური, უფრო ზუსტად, ისტორიულად აღიარებული ღირებულებების დავიწყების სანაცვლოდ შემოგვაჩეჩა; ამით იგი ჩვენში 1877 წლიდან მყარად ფესვებგადგმული ილიასეული „ევერიის" ხმის ჩახშობას შეეცადა. ეს ხმა კი ცდილობდა, ესწავლებინა ჩვენთვის, როგორ უნდა ვისწავლოთ ფუტკრისგან დროთ შესაფერი შრომა, როგორ უნდა ვიყოთ განათლებაზე, პროგრესზე, ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული:

შდრ. „აზია, რომელიც ერთს დროს მამამთავარი იყო ცივილიზაციისა, და რომელსაც დღესაც ევროპის მეცნიერნი ცივილიზაციის აკვანად ჰხადიან, დიდი ხანია ჩრდილშია მიმდგარი, და ეხლა თუ ვინმე ახსენებს. [...]ისტორია და წარმატება იმისი კი არ არის, ვინც მარტო თავისთავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდელობას – ავია თუ კარგი – ჰკმარობს, ვითარცა ხელშეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს – რაც დღეს არის, და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტოს, როგორც სამუდამო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელ-დასაკრებად და მოსასვენებლად. ტყუილად-კი არა სთქვა ტურგენიევმა, რომ ეს ქვეყანა ტაძარი-კი არ არის, საცა კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ **სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდესო**. ისტორია და წარმატება — მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელი, და ბურთი და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ევროპიელიღა იღებს ქვეყნის სკისაგან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აქეთ, იმისდა მიხედვით, როგორც და საითაც უჯობს, რადგანაც ამისათვის ბა-

[3] იქვე.

რიც ხელში აქვს და ნიჩაბიც, ესე იგი, **მეცნიერება და მხნეობა, ჯკუა და ხელი**. ამ მეცნიერებასა და მხნეობას, ამ ჯკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავი უკმარობა დღევანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძლევამოსილი წინმსვლელობა, ის დიადი წარმატება, რომელიც ყარამანსავით ყყაფის მთას მხრებზედ დაიყენებს, რომ ქვეშ ჯარმა მშვიდობით და უწყინარად გაიაროს“ (ილია ჭავჭავაძე, აზია წინათ და ახლა, 1889).

ილია ჭავჭავაძის სიკვდილის შემდეგ მისი ევროპული ხედვა პოლიტიკურად მასთან დაპირისპირებულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამაც კი სრულად აღიარა და ილიას იდეებისა და შეხედულებების მემკვიდრეს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიანდო განათლების საქმე. ამიტომაც ბუნებრივია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავარი საგანმანათლებლო ორიენტირი ევროპა გახდა. ამის შესახებ 1918 წელს საგანგებოდ იუწყებოდა გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. შდრ. (სურათი 2).



სასკოლო პოლიტიკაში ორი ტენდენცია ისახება. ნიადაგის მომზადება ეროვნულ სკოლის ასაყვავებლად და ევროპიული სკოლის ვითარების შეფასება. დღეს დღეობით ჩვენ თავითან უნდა ავიცილოთ გავლენა რუსული სკოლის ორგანიზაციისა; ჩვენ ვშიშობთ, რომ რუსული ლიბერალიზმის გავლენას არ დაუკარგავს თავისი მიმზიდველობა ქართულს პედაგოგიურ წრეებში, საჭიროა შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ ერთად-ერთი გზა (გარდა ეროვნულისა) კულტურულ აღორძინებაში მხოლოდ დასავლეთისაკენ არის; ვფიქრობთ, ჩვენთვის უფრო გამოსადეგი იქნება გერმანული*) სკოლის მაგალითები, ვიდრე რომანიულისა. ბევრი რამ აერთიანებს ქართულ ეროვნულ ტიპს რომანულთან. მაგრამ ჩვენი მოზარდი თაობა სკოლის დახმარებით უნდა დაუახლოვდეს გერმანულ-ინგლისურ სტიქიონს, მან უნდა შეითვისოს ის, რაც თვითონ ნაკლებად ემჩნევა.

1918 წ. N21
„საქართველოს
რესპუბლიკა“ გზა
დასავლეთისკენ

უცნაურია, რომ დღეს არა ილიას და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იდეები, არამედ საბჭოური სტერეოტიპები და კლიშეები, მითების, სადღეგრძელოების, ქსენოფობიის, თვითეგზოტიზაციის მოდელი აღმოჩნდა უფრო „გამძლე“ როგორც სამეცნიერო-კვლევით, ისე სასწავლო პრაქტიკაში. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში განსაკუთრებით უჭირს მასწავლებელს: ჯერ უნდა შეიქმნას თანამედროვე სამეცნიერო მეთოდოლოგიით – და არა ფუყე, ყალბი სადღეგრძელოებით – გამყარებული ცოდნა, მერე ის უნდა „ითარგმნოს“ სასკოლო სივრცისთვის კარგად აღსაქმელ ენაზე, რომ მასწავლებელმა შეძლოს მისი მიტანა მოსწავლეებამდე.

ამ რთულ და ხანგძლივ პროცესს ვერ დაელოდება/არ უნდა დაელოდოს მასწავლებელი, თავი უნდა „გაიმხნევოს“ ხალხური სიბრძნით: *თუ არ გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო* და თავად უნდა დაიწყოს რელევანტური ცოდნის მოძიება/შექმნა, მისი ქცევა სასწავლო რესურსად და საგაკვეთილო პროცესში ჩართვა.

წინამდებარე სტატიაში მინდა ვაჩვენო კონკრეტული მაგალითები, როგორ შეიძლება მასწავლებელი თავად უძღვებოდეს ამ რთული პროცესის სამივე ეტაპს. საჩვენებელ მაგალითად ავიღებ ნაწარმოებებს, რომლებიც ქმნის ჩვენი სასკოლო სივრცის ძირითად ტექსტურ კორპუსს ისტორიისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის საგაკვეთილო პროცესში. მათი ანალიზისა და ინტერპრეტაციის ფონზე ვეცდები ვაჩვენო, როგორ შეუძლია მასწავლებელს, კრიტიკული აზროვნების მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით თავად შექმნას ახალი, დღემდე შეუმჩნეველი, ან უბრალოდ, არ/ვერდამკვიდრებული ცოდნა და დანერგოს იგი გაკვეთილზე.

ევროპა ჩვენს გაკვეთილზე, პირველ რიგში, ევროპული ღირებულებების, ფასეულობებისა და ხედვების გაცნობა-გაანალიზებითა და რეფლექსიით შემოდის. ამ თვალსაზრისით უმოკლესი და ყველაზე უტყუარი გზა არის კლასიკური ტექსტების მაგალითზე ამ პრობლემატიკაზე ღიად მსჯელობა, ტექსტებიდან მათი ამოცნობის, გააზრებისა და გაზიარებისა თუ კრიტიკულად მიღების ჩვევის ჩამოყალიბება. ამის საუკეთესო მაგალითები მრავლადაა ქართულენოვან კლასიკურ ტექსტებში, ზეპირ, წერილობით, თუ ეთნოკულტურულ ძეგლებში.

ავიღოთ თანამედროვე ევროპის ისეთი ფასეულობები, როგორიცაა, **მრავალფეროვნება, მრავალფეროვნების ღირებულებად აღიარება, ცვლილებების, განვითარების კანონზომიერების გაგება და გააზრება**, და დავაკვირდეთ, რა ხდება ამ თვალსაზრისით ჩვენს ტექსტურ კორპუსში, ჩვენს ენობ-

რივ, კულტურულ მეხსიერებაში? დევს თუ არა ეს თანამედროვე ევროპული ღირებულებები ჩვენს ტექსტებში და როგორ შეიძლება მათი გამოყენება ამ თვალსაზრისით?

დავიწყოთ ცოტა შორიდან: კავკასიისა და საქართველოს შესახებ გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სააზიო საზოგადოების ექსპედიციის ძველ ანგარიშებსა თუ თანამედროვე კვლევებში ჩვენი კულტურის დამახასიათებელი ძალიან მნიშვნელოვანი შეფასება იკითხება: საქართველო ეკუთვნის იმ ზონას, რომელსაც ქამარივით აკრავს მსოფლიო ცივილიზაციის თითქმის ყველა სარტყელი (Heinz Fähnrich). მართლაც, ძალიან უცნაური მოულოდნელობა დახვდა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს საქართველოში ჩამოსულ ევროპულ სააზიო საზოგადოებებს: ლურსმული ცივილიზაციის ძეგლებიდან დაწყებული არ დარჩენილა არც ერთი კულტურული ფენა, საქართველოს ტერიტორიაზე რომ არ იყოს შემონახული: ურარტული, არამეული, ებრაული, ბერძნული, ლათინური, სომხური, სპარსული, არაბული – ეპიგრაფიკულ ძეგლებშია დოკუმენტირებული ყველა ფენა. ძველი აღმოსავლური, მთვარის კალენდრიდან დაწყებული (საერთო-ქართველური თუთა, თვე, ანუ მთვარის მოქცევის ციკლი, ამაზე მიუთითებს სწორედ), ქრისტიანულით დამთავრებული, ყველაფერი მშვიდად და გვერდიგვერდ ცხოვრობს ჩვენს კულტურულ მეხსიერებაში, ენაში.

☆ მრავალფეროვნება და ცვლილებების აღქმა ენობრივი მეხსიერების დონეზე

ენობრივი თუ ზოგადად, კულტურული მეხსიერების გასაოცარი მრავალფეროვნება ძალიან საინტერესო საკითხია, დღეს მე ამაზე არ შევჩერდები, მხოლოდ ერთ უნიკალურ მაგალითს მოვიყვან: ჩვენი თანამედროვე დასავლური მზის კალენდარი ჩვენს ენაში მასზე უწინარესი, აღმოსავლური ლექსიკით აგრძელებს ცხოვრებას: თვე არის მთვარის მოქცევის სახელი და ის დღეს ქართულში სინამდვილეში მზის მოქცევის ციკლს აღნიშნავს, თვე ჩვენთვის არის მზის მოქცევი, 30 ან 31 დღე. შესაბამისად, ახალი წელი, რომელიც ჩვეულებრივ, 31 დეკემბერს, ზამთარში, დგება მზის სრული მოქცევის მიხედვით, ენობრივად იმ ჩვენი ძველი, აღმოსავლური, გაზაფხულის ახალი წელი რომ გვქონდა, იმდროინდელი ლექსიკით არსებობს: მეკვლე იყო ის ადამიანი, ვინც მარტში, გაზაფხულის ახალი წლის დასაწყისში ხნულს, კვალს გაავლებდა და ბარაქას დაიბედებდა. ასეთი მშვიდი, ჰარმონიული, მეხსიერებაში

მყარად დაბუდებული, მაგრამ სხვების გამოცდილების გათვალისწინებით წინსვლაზე, პროგრესზე ორიენტირებული შემოდიოდა ჩვენში ცვლილება, მათ შორის ისეთი კონცეპტუალური ცვლილებები, როგორიც სამყაროს აღქმის ასტრონომიული თუ რელიგიური მოდელებია.

ეს ენობრივი მაგალითი, ვფიქრობ, არის ძალიან მნიშვნელოვანი სიმბოლო ჩვენი კულტურული მეხსიერების: როგორ უყურებ, აღიქვამ ერთის მხრივ, ცვლილებას, სიახლეს და როგორი ორგანული და ამავე დროს ძალიან ემოციური ბმა გაქვს იმ ყველაფერთან, რაც უკან ჩამოიტოვე, შეცვალე, უკვე წარსულია, რომელსაც ახლა სხვა სიბრტყეზე, ყველაზე გამაერთიანებელ სიბრტყეზე – ენობრივ დონეზე ინახავ და ატარებ. ასეთი დამოკიდებულებები, ასეთი გრძნობით–ემოციური თუ მეხსიერებითი ბმა სხვების გამოცდილების, საკუთარი, უკვე შეცვლილის, წარსულად ქცეულის მიმართ, ქმნის იმ მოუხელთებელ ეთიკურ სისტემას, რომელსაც ღირებულებებს ვეძახით და რომელიც გასწავლის, გკარნახობს, რომ „სხვები“, რომლებიც შენგან განსხვავდებიან, ცვლილება, რომელიც ამ განსხვავებას იწვევს არა მარტო სხვებში, არამედ თვით შენში და „შენიანებში“, ჩვეულებრივი, კანონზომიერი პროცესია და შესაბამისად, ადეკვატურად უნდა შეხედო, გაიაზრო, პატივი სცე.

☆ მრავალფეროვნების ღირებულებად აღიარება ქართველთა იდენტობის მაკონსტრუირებელი ტექსტების დონეზე

თუ გადავხედავთ ჩვენი საისტორიო ტექსტების კორპუსს, ცხადი გახდება, რომ ლეონტი მროველისეული „ჩუენი ნათესავის“, ანუ ქართველთა იდენტობის ფორმირებაში ამოსავალი იყო კაცობრიობის ისტორიაში საკუთარი თავის, უფრო ზუსტად, შენი კუთვნილი ადგილის პოვნა, შესაბამისად, საკუთარი ისტორიის „კანონიზაცია“ თუ ლეგიტიმაცია და სუბიექტური ნების გამოხატვა, სად, რის ნაწილად აღიქვამ საკუთარ თავს. ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით, ეს მიკუთვნებულობა იმ დროსაც ისტორიული ევროპის, ანუ მაშინდელი ქრისტიანული სამყაროს ნაწილად თავის აღქმას უკავშირდებოდა.

ამგვარი ნების გამოხატვა ჩვენი საისტორიო ნარატივების მიხედვით, პირველად წერილობითი სახით ფორმდება დიდი არაბობის ხანაში, როცა ქართლი აფიქსირებს თავის პოზიციას: „რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ — ჩუენცა, შორიელთა ამათ მკჳდრთა, [...] აჰა ესერა ქართლისაცა მკჳდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თჳთ აქა მკჳდრთა და რომელ–

თამე უცხოთა და სხვთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად, მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუჲს მიერ“ (იოვანე საბანისძე, აბო ტფილელის წამება).

ავტორის აზრით, ჩვენ, მართალია, ვართ „შორიელთა ამათ კიდეთა“ მკვიდრნი, ანუ ქრისტიანული სამყაროს – ისტორიული ევროპის – პერიფერია, მაგრამ გვაქვს ყველა ის ნიშანი და მარკერი, რომლის მიხედვითაც ეს შუაგული და ცენტრი ასეთად ითვლება.[4] აქ პირველადაა დაფიქსირებული ქართველების მხრიდან მათი გეოპოლიტიკური სტრატეგია, რომ ისინი არიან ყველაზე უკიდურესი საზღვრისპირა მხარე იმ ერთობისა, რომლის ცენტრი არის აღმოსავლეთი და დასავლეთი რომი, ანუ ევროპა.

კაცობრიობის, როგორც ერთი საწყისიდან წამოსული წამოსული მრავალფეროვნების ღირებულებად აღიარება დაედო საფუძვლად ჩვენთვის კარგად ცნობილ ისტორიულ ნარატივს ლეონტი მროველისას. ავტორი გამოყოფს სამ ეტაპს ჩვენი ისტორიისას. ვნახოთ ეს ეტაპები:

ა. უნივერსალური ისტორიის საფეხური

„ქართლის ცხოვრების“ ძირითადი ტექსტის დასაწყისში ლეონტი მროველი აღადგენს ქართველთა ისტორიის თავდაპირველი მოვლენების ფართო კონტექსტს, ანუ ქართველთა წინაპრის ყოფის ამსახველ „სურათებს“ უნივერსალური ერთობის საფეხურზე. მისი თქმით, ჩვენი ისტორია უნივერსალური ისტორიის განუყოფელი ნაწილია: თარშის ძე, იაფეტის ძმისწული და ნოეს შვილიშვილი, თარგამოსი, ბაბილონის ამბების უშუალო მონაწილეა; იგი ეკუთვნის იმ სამოცდათორმეტთაგანს, რომლებიც ბაბილონის გოდლის შემდეგ მთელ დედამიწაზე დამკვიდრდნენ. შდრ.

„პირველად ვაჴსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა – ამათ თჳსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდოლი, და განეყვნეს მუნ ენანი და განიბნინეს მუნით ყოველსა ქუეყანასა. და წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავით-ურთ მისით, და დაემკჳდრა ორთა მათ მთათა შუა კაცთშეუვალთა, არარატსა და მასისსა“[5] (ს. ყაუხჩიშვილი 1955:15).

---

4 შდრ. კულტურული და ისტორიული ევროპა ორი უმთავრესი ნიშნით განისაზღვრება: ანტიკურობა და ქრისტიანობა.

5 ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 15, თბილისი 1955.

ამ თვალსაზრისით, ლეონტი მროველის კონცეფცია სრულად თავსდება რელიგიური ისტორიოგრაფიის ზოგად ჩარჩოში: თარგამოსის წარმომავლობა არის გარანტი იმ წესრიგისა, რომელიც უნივერსალური ისტორიიდან ადგილობრივ, ლოკალურ ისტორიაზე უნდა გადმოვიდეს, ანუ სამყაროს შექმნის საკრალურმა წესრიგმა კაცთა მოდგმის ისტორიის საწყისი წერტილიდან – ბაბილონიდან არარატსა და მასისს შორის უნდა დაისადგუროს და ლეგიტიმაცია მოუპოვოს თარგამოსის მოდგმას.

ბ. რეგიონალური ისტორიის საფეხური

უნივერსალურის შემდეგ ლეონტი მროველი აღადგენს მომდევნო, შედარებით ვიწრო, რეგიონულ კონტექსტს, ანუ აღწერს საერთო გენეტიკური წინაპრის შვილთა და შვილიშვილთა განსახლებას და „ყოფას“ კავკასიის მასშტაბით.

თარგამოსის შთამომავალთა შორის რვა გამორჩეულ გმირს ასახელებს ლეონტი მროველი: ჰაოსი, ქართლოსი, ბარბოსი, მოვაკანი, ლეკი, ჰეროსი, კავკასი და ეგროსი. თითოეული მათგანი იკავებს მამისგან მიღებულ სამემკვიდრეო ტერიტორიას, მრავლდება, ქმნის დამოუკიდებელ მოდგმას, თუმცა ამ ეტაპზე ქართველთა უშუალო წინაპრის, ქართლოსის შთამომავლობა ჯერ კიდევ არ არის ჩუენი ნათესავი ლეონტი მროველისეული გაგებით. ქართლოსისა და მისი ოჯახის თვითშეგნება საერთო-რეგიონალურია; ქართლოსის კუთვნილ ტერიტორიაზე, ქართლში, ენობრივად ჭრელი მოსახლეობაა, მათი იდენტობა ეთნიკურ-ტერიტორიულია: მამა ერთი ჰყავთ და ერთ რეგიონში ცხოვრობენ. ქართლში მცხოვრები ენობრივად ჭრელი მოსახლეობა გასაოცარი ენობრივი ნიჭით, უფრო სწორად, პოლიგლოტობით, ახერხებენ კომუნიკაციას: სულ მცირე ექვს ენაზე მეტყველებენ:

„და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა.“

გ. ადგილობრივი (ეროვნული) ისტორიის საფეხური

და ბოლოს, ლეონტი მროველი აღადგენს უშუალო წინაპრის, „ჩუენი ნათესავის“ ყოფის ამსახველი ისტორიის დასაწყისს, ფარნავაზის ეპოქას, რო-

მელიც აითვლება ქართველთა თვითშეგნების მაკონსტრუირებელი „მთავარი ელემენტის“ (ვ. ბოედერი), ქართული ენის საყოველთაო ენად გახდომის ჟამიდან. შდრ.

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა“.

როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველმა გამოყო სამი სხვადასხვა დონე, რომლებზეც აღწერა „ჩუენი ნათესავის“ უშუალო წინაპრის ყოფა; ამით მან მოახერხა ქართველთა ისტორიის, როგორც **საერთო საწყისიდან წამოსული ერთ-ერთი შტოს**, თარგამოსის მოდგმის, ქართველთა წინაპრის, ისტორიული ყოფის „დაფიქსირება“, შესაბამისად, მისი ლეგიტიმაცია:

ა. ადამიანთა საყოველთაო ერთობაში, ანუ უნივერსალური ისტორიის დონეზე,
ბ. საერთო ეთნიკური ნიშნით გამოყოფილ ერთობაში, ანუ რეგიონული (საერთო კავკასიური) ისტორიის დონეზე,
გ. საერთო ეთნიკური და ენობრივი ნიშნით ფორმირებულ ერთობაში, ანუ ლოკალური (ნაციონალური) ისტორიის დონეზე.

ამგვარი კლასიფიკაციით, ლეონტი მროველი, პირველ ყოვლისა, ჩვენს ისტორიას აფუძნებს არა გამორჩეულობისა და იზოლაციონალიზმის, არამედ სწორედ მრავალფეროვნების, ერთი საწყისიდან, უნივერსალური ისტორიიდან განვითარებული, **ენებად და ეთნოსებად დაყოფილი სამყაროს**, როგორც უმთავრესი ღირებულების იდეაზე. ამით იგი მკაფიოდ დაუპირისპირდა მაშინდელ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ ბიზანტიურ მოდელს, რომლის მიხედვით სამყაროში უნივერსალური წესრიგის გარანტი არის არა ენათა და ხალხთა მრავალფეროვნება – ასეთ თეზისს არ იცნობს ბიზანტიური ისტორიოგრაფია – არამედ ბიზანტიის კეისარი, როგორც მიწაზე ღმერთის ნაცვალი, საყოველთაო ძალაუფლების მპყრობელი და წესრიგის, კოსმოსის გარანტი.

ბიზანტიური (იმპერიული) მოდელის საპირისპიროდ კონცეპტუალიზებული ქართული საისტორიო კონცეფცია, რომელიც საერთოა შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთისთვის, ქართული საისტორიო-კულტურული მეხსიერების წარმმართველი მექანიზმია; ეს კი გვავალდებულებს, რომ ევ-

როპა, ევროპული ღირებულებები არა გარედან, უცხოს მაგალითზე, არამედ სწორედ რომ **საყოველთაოდ აღიარებული და გაზიარებული ქართული ტექ-სტებით** მუდმივად იყოს ჩვენს გაკვეთილზე. ესაა ჩვენი საისტორიო მეხსი-ერება, ჩვენი კულტურულ-საგანმანათლებლო ტრადიცია, ჩვენი ღირებულე-ბითი სისტემის ისტორიული ორიენტირი, რომელიც არა მარტო ჩვენ, არამედ მთელ კაცობრიობას სწორედ ძველი ქართული, ლეონტი მროველისეული თუ რუსთველისეული ტექსტებით ასწავლის, რომ მრავალფეროვანი სამყა-რო ჩვენი საერთო-საყოველთაო სახლია, რომელშიც სწორედ ამ მ**რავალ-ფეროვნების ღირებულებად აღიარებით** უნდა ვიცხოვროთ. შდრ. „ჩვენ, კაც-თა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავის ფერითა“ (შოთა რუსთველი).

ლევან გიგინეიშვილი

ევროპული განათლება სკოლებში

საქართველოს დეკლარირებულად აღებული აქვს დასავლური, ანუ, ფართო გაგებით, ევროპული პოლიტიკური კურსი. ჯერ ევროკავშირამდე ძალიან შორია, მაგრამ იმდენად გვსურს ამის ხაზგასმა, რომ ევროკავშირის დროშები ეროვნული დროშის გვერდით გვაქვს გამოფენილი ოფიციალურ შენობებზე, რაც ზოგჯერ უცხოელების გაკვირვებასაც იწვევს: თუ ამ კონკრეტულ სტრუქტურაში არ ხარ, მისი დროშა რატომ გაქვს გამოფენილი ლამის ოფიციალურად? მაგრამ ჩვენთვის ევროკავშირის დროშა მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ ერთ-ერთ საერთაშორისო პოლიტიკურ სტრუქტურას: იგი გამოხატავს რაღაც ფუნდამენტურს, მსოფლმხედველობრივს, ეგზისტენციალური მნიშვნელობისას ქართველებისთვის, როგორც ძველ იმედს, რომ „დავდგეთ ერად სხვა ერთა შორის“ (გრ. ორბელიანი), ანუ იმ ერებს დავემსგავსოთ, რომლებიც, ილია ჭავჭავაძის თქმით, „ჩვენზე უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილან და ჩვენზე ბედნიერად კი ცხოვრობენ“ („მგზავრის წერილები“). ორივე შემთხვევაში, ევროპული ერები იგულისხმება. ანუ, სწორება ევროპაზე არის ძირძველი და არანეგატიური გაგებით, საბედისწერო საქართველოსთვის, რაც მრავალი მიზეზით არის გაპირობებული: ქრისტიანული სარწმუნოება, ელინური/ბერძნული ტრადიცია, მრავალსაუკუნოვანი კულტურული და პოლიტიკური კავშირები და მისწრაფება ა.შ. ასეთი მძლავრი, ისევ გავიმეორებ, ეგზისტენციალურ-მსოფლმხედველობრივი ტენდენცია, ერთი მხრივ, იმედისმომცემია, მაგრამ ამავე დროს შეიძ-

ლება იტევდეს საფრთხესაც, რომ იგი გახდეს გაუაზრებელი, ლოზუნგური, მჩატე, ისე, რომ ვეღარ დავინახოთ ევროპული ცივილიზაციის სიღრმე და ის უზარმაზარი დაძაბულობის, რისკის, გაბედვისა და პასუხისმგებლობის ველები, რომლებმაც განსაზღვრეს ამ ცივილიზაციის არსი და მისი წარმატება და ქმედუნარიანობა ისტორიის ასპარეზზე.

დიდი ხანი არ არის, რაც გამოვედით კომუნისტური იდეოლოგიიდან, სადაც ყველაფერი „ზემოდან" იყო განსაზღვრული, როცა უკრიტიკოდ უნდა მიგეღო იდეოლოგიური კლიშეები. ვინც ამ „მიღებაში" წარმატებული იყო, მისთვის ეს კარიერულ წინსვლასაც განაპირობებდა. რომელიმე სხვა ხედვის, როგორც ალტერნატივის, განხილვაც კი უკვე ეჭვის ქვეშ დააყენებდა ადამიანს, როგორც მტერს ან „ბურჟუაზიის აგენტს". მამარდაშვილი წერდა ერთგან, რომ შეუძლებელია კომუნისტური იდეოლოგია გცოდნოდა; ის მარტო შეგეძლო დაგეზეპირებინა. რატომ? იმიტომ, რომ ცოდნა მისი ნამდვილი გაგებით, ითვალისწინებს განუწყვეტელ განახლებას, თვითშემოწმებას, სხვა ცოდნებთან ურთიერთობას, კრიტიკის არა თუ არშიშს, არამედ კრიტიკისადმი რადიკალურ ღიაობას, მის სურვილსაც კი.

ევროპისაკენ მისწრაფებაც არ უნდა იქცეს, ასე ვთქვათ, „კომუნიზმისაკენ მისწრაფების" მსგავს რამედ, როცა დეკლარირებულად ვჟონგლიორობთ დიდი ტერმინებით „დემოკრატია", „სინდისის თავისუფლება", „პირადი სივრცის ხელშეუხებლობა", „კანონის უზენაესობა" ისე, რომ მათი არსი რეალურად არ გვესმის და არც იმ დრამატულ, წინააღმდეგობებით და თავგანწირული ბრძოლით სავსე ისტორიას ვიცნობთ, რომელშიც საერთოდ ჩამოყალიბდა ეს გაგებები; ვჟონგლიორობთ, ასე ვთქვათ, კომკავშირულად, მჩატედ და იდეოლოგიზირებულად. ეს ბოლო სიტყვა ნიშნავს აზროვნების ტიპს, როცა უკრიტიკოდ იღებ რაღაც ხედვის კუთხეს და სწორედ ამ უკრიტიკობის გამო, ეს ხედვა იქცევა ხისტად, ყრუვდება, კარგავს სიღრმესა და ელასტიურობას, აღარ შედის დიალოგში სხვა ხედვებთან და ზოგადად ცხოვრებასთან. ერთხელ ერთმა ცნობილმა ბლოგერმა და, ასე ვთქვათ, ევრო-აქტივისტმა შემომთავაზა: მოდი, ერთკვირიანი ზაფხულის სკოლა გავაკეთოთ თინეიჯერებისთვის და თავისუფლების შესახებ ლექციები წავუკითხოთ, რომ ნამდვილ „დემოკრატიულ ტერორისტებად" ჩამოვაყალიბოთო. მესმის, რომ მისი სურვილი გულწრფელი და კარგი იყო: რაც შეიძლება სწრაფად, ერთი

ხელის მოსმით დაგვემსხვრია წარსულის მუხრუჭები და ახალი, ევროპული ყაიდის ქართველები ჩამოგვეყალიბებინა. მაგრამ თავად მისი ეს ოპტიმიზმი და დაჯერებულობა, რომ ზაფხულის სკოლის ერთ კვირაში ლექცია-ტრენინ-გებით გამოზრდიდა ე.წ. დემოკრატიის ტერორისტებს, ანუ რაღაც „კმაროიდულ“ ტიპაჟებს, ჩემთვის გახსენება იყო ძველი, კომკავშირლური ტიპის ტვინის წყობის, რომ, ასე ვთქვათ, „სწორი“ ხედვა „ჩაუდო“ გარედან ბავშვებს ინდოქტრინაციის მეშვეობით და მერე ყველაფერი კარგად, ავტოპილოტზე წავა! თითქოს მანამდე ისინი არარაობები იყვნენ და ახლა, ამ „ჩადების“ მერე იქცნენ ადამიანებად და მზად იქნებიან სხვებსაც გადასდონ იგივე. ამ ყველაფერს იმ ძველი გამოთქმის სუნი ასდის, რუსულად რომ ამბობდნენ “политически подкованный” („პოლიტიკურად ნალ-დაჭედებული“). არადა, თავისუფლება არის ურთულესი ცნება და უამრავ წახნაგს, შუქ-ჩრდილს იტევს. ეს ცნება არ იყო ერთნაირად მოცემული კაცობრიობის ისტორიაში და საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. თავისუფლება – საიდუმლოა და სჭირდება კიდეც მოპყრობა, როგორც საიდუმლოს და არა როგორც ერთ-ორ კვირაში ტრენინგზე სწავლებად პრაქტიკული ქცევის და კონკრეტული პოლიტიკური მოქმედების წესებს. ერთხელ კურსიც გავაკეთე ილიას უნი-ვერსიტეტში და „თავისუფლების ისტორია“ დავარქვი. მთელი კურსის საბოლოო მიზანი სხვა არაფერი იყო, თუ არა ის, რომ ოდნავ იყო უფრო მეტად „შეგვეტოპა“ ამ საიდუმლოში და მეტი გვეფიქრა მასზე მრავალსაუკუნოვანი საკაცობრიო გამოცდილების ფონზე.

ჩემს ახლანდელ ესეში შევეხები საკითხს, თუ როგორ უნდა მიეწოდოს ევროპული ფასეულობები ბავშვებს სკოლაში, რომ ისინი გახდეს მათთვის მიმზიდველი სწორედ იმის გამო, რომ ითვალისწინებენ ფართო დისკუსიას, თავისუფალ გარჩევას, დიალოგურ კულტურას, რომ არ მოხდეს ევროპული ფასეულობების იდეოლოგიზაცია, მათი გახისტება-დაყრუვება, ლოზუნგად ქცევა, და ამდენად მოსაწყენად გახდომა მოსწავლეებისთვის. ის, რასაც „ევ-როპულ ფასეულობებს“ ვეძახით, ფართო გაგებით, ზოგადკაცობრიული ფასე-ულობებია და სწორედ ეს უნდა იგრძნონ ბავშვებმა: რომ თავისას, ზოგადა-დამიანურს სწავლობენ და იყვარებენ, თავისივე სულის განვითარებისთვის და არა რამე თავსმოხვეულსა და მათი შინაგანი სამყაროსგან გაუცხოვებულს. ილიას სიტყვები რომ გადავაკეთოთ, რომლებიც მან „ეროვნულთან“ დაკავ-

შირებით თქვა, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ „არაფერს ევროპულს არ აქვს ღირებულება, თუ იგი ამავე დროს ზოგადკაცობრიული ღირებულებაც არ არის“. ამიტომ, ამ სტატიაში შევეცდები ვაჩვენო, რომ ევროპული ფასეულობების სწავლა უნდა მოხდეს ძალიან ფართო კონტექსტში, თავისუფალი და არაიდელოგიზებული დისკუსიების ფონზე, მოსწავლეების პირად ინტერესებთან და მათ უკვე არსებულ ცოდნასა და გამოცდილებებთან რეზონანსით. მსჯელობისას შევეცდები, დავეყრდნო როგორც თეორიას, ისე ჩემს პირად მრავალწლიან პრაქტიკულ გამოცდილებას სკოლაში და უნივერსიტეტში.

როცა ვლაპარაკობთ ევროპულ განათლებაზე, პირველ რიგში, საჭიროა განვსაზღვროთ თავად ტერმინი განათლება, ყოველგვარი ზედსართავის გარეშე. განათლება ქართულში ეტიმოლოგიურად „ნათელთან“ არის დაკავშირებული, რაც ერთგვარ შარმს ანიჭებს და ლამაზი მეტაფორით მუხტავს სწავლის, მისი იდუმალი პროცესის ცნებას. მაგალითად, ინგლისური “education” ლათინური “ducere”-დან, ანუ “გაძღოლიდან” მოდის, ხოლო რუსული “образование” – „ჩამოყალიბებას“ გულისხმობს. ორივე ამტერმინის მნიშვნელობა – აქ მხოლოდდამხოლოდ ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ვსაუბრობ! – უფრო ადვილად შეიძლება გადახარო სწავლების იმ დეფექტური გაგებისადმი, რომელსაც ინდოქტრინაცია ჰქვია. ასე მგონია, ქართული სიტყვა „განათლება“, თავისი არსით, უნდა გამორიცხავდეს ინდოქტრინაციას, ანუ ცარიელი დაფის პრინციპს, როცა მოსწავლე აღიქმება ისეთ ცარიელ დაფად, რომელზეც უნდა დაწერო მზამზარეული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ცოდნა და ამ ცოდნის მიღების ხისტი კრიტერიუმები. სწავლება, როგორც თანდათანობითი განათლების, ცნობიერების გაფართოვების, ზრდისა და დახვეწის პროცესი, უნდა გულისხმობდეს შინაგან მოტივაციას, ინტერესსა და ახლის, ჯერ შეუხებელის დანახვის ინტრიგას. ამ მხრივ, სწავლება რადიკალურად განსხვავდება ინდოქტრინაციის სტერილური და არაელასტიური გაგებისაგან. მახსოვს, როცა პირველად ჩამატარებინა ჩემმა მეგობარმა სკოლის მასწავლებელმა გაკვეთილი ამერიკულ აკადემიაში, სადაც მერე მეც დავიწყე მასწავლებლობა და სადაც დღემდე ვასწავლი: გაკვეთილზე უნდა მელაპარაკა პლატონიზმის გავლენებზე რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. მაქსიმალურად ვეცადე, საინტერესოდ მელაპარაკა და მეგონა ასეც გავაკეთე, რადგან ორმოცდახუთი წუთის მანძილზე გაუჩერებლად ვყვებოდი, დაფაზე

ვხატავდი სქემებს ა.შ. ბავშვები კი სულგანაბულები მისმენდნენ. მაგრამ შემდეგ გავიგე, რომ ჩემი გაკვეთილი იყო სრული კატასტროფა: ფაქტობრივად, მე ისინი „დავბომბე“ მათთვის მანამდე აუთვისებელი და გაუგებარი ინფორმაციით ისე, რომ არც კი ვკითხე, რამდენად ესმოდათ ან აინტერესებდათ; თავიდანვე არ დავამყარე მათთან კონტაქტი და არ „მოვსინჯე“, რამდენად იცოდნენ წინასწარ ის საკითხები, რომლებზეც ვაპირებდი საუბარს, პოემის რა კონკრეტული პასაჟები უჩენდა მათ შეკითხვებს ა.შ. ეს გაკვეთილი უფრო ჩემთვის გამოდგა გაკვეთილი იმისა, თუ როგორ არ უნდა მოექცე ბავშვებს. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები აშკარად არასწორ და არაადეკვატურ განმარტებას აკეთებენ ამა თუ იმ ლიტერატურული ტექსტის, მაგრამ ზოგჯერ საჭიროა ამის მოთმენა და სიმართლის ნელ-ნელა, თანდათანობით გაზიარება. პროცესში თავად ბავშვი იმონაწილევებს, და მაშინ სიმართლე მისთვის არ იქნება რაღაც „ჩაქუჩივით“, რომელიც მის მცდარ აზრს ჩაუკაკუნებს, არამედ თავად მისი გულიდან აღმოცენდება. მაგალითად, ჰაგიოგრაფიული ტექსტის კითხვისას, მოსწავლე აღშფოთდა შუშანიკის ქცევით და დაწერა, რომ რა ბოროტი და ფანატიკოსი დედაა შუშანიკი, რომ თავისი შვილები არ მიიღო მას შემდეგ, რაც ვარსქენმა ისინი გაამაზდეანა; მასწავლებელმა არ უნდა, ასე ვთქვათ, „კვირტშივე მისრისოს“ ეს აზრი, არამედ მისცეს მას არსებობის საშუალება, დადოს ეს აზრი სადისკუსიოდ; ამის მერე ცხადია, შეიძლება და საჭიროცაა, დაილაპარაკოს ისტორიულ კონტექსტებზე პარალელების მოყვანით, თუ როგორ იცვლებოდა ისტორიის მსვლელობაში რელიგიური, სოციალური ა.შ. იდეები. ასეთ შემთხვევაში, თავად ბავშვს ბუნებრივად შეეპარება ეჭვი თავის რადიკალურ, კატეგორიულ განაცხადში და რეალობის, ამ შემთხვევაში, ძველი ტექსტის რეალობის, უფრო ფაქიზ და ნიუანსურ განცდას შეიძენს. ყველაზე საინტერესო კი აქ ის არის, რომ ამგვარი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად, თავად მასწავლებელიც შეიძლება „დაცურდეს“ თავისი, როგორც ხშირად აღმოჩნდება, ილუზორულად მყარი შეხედულებიდან და დაუდგენელი სივრცის წინაშე აღმოჩნდეს: ნუთუ რელიგიურ-პოლიტიკური კონტექსტების და ყველაფრის გათვალისწინებით, სრულიად უკრიტიკო და ზნეობრივად გამართლებულია შუშანიკის სასტიკი ქცევა თავისი შვილების მიმართ, თუნდაც თავად მეხუთე საუკუნის საქართველოს სტანდარტებით? ყოველ შემთხვევაში, როდესაც ჰაგიოგრაფი ამას წერს, ითვალისწინებს,

რომ ამ ამბავმა უნდა შეძრას, შეაძრწუნოს მსმენელი, და გამოდის, ამბობს არა საყოველთაოდ მიღებულ და ჩვეულ რამეს, არამედ რაღაც მოულოდნელსა და უცნაურს თვით თავისი ეპოქისთვის. ასეთ დროს ხდება საოცარი რამ: თავად მასწავლებელი და მოსწავლეები აღმოჩნდებიან დაუდგენელ და ქაოტურ სივრცეში, რომლის ზღურბლზეც ყველა მზამზარეული პასუხი იმსხვრევა და ილეწება. მოსწავლეებიც და მასწავლებელიც ხვდებიან მსჯელობის აუცილებლობას და თავისი პირადი აზრის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის პასუხისმგელობას. მე ამას სოკრატულ სივრცეს დავარქმევდი: „ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“. ევროპული დემოკრატიული სამყაროს საფუძველში ზუსტად ეს დაუდგენელი და ქაოტური სივრცის გათავისუფლება დგას, როცა რეალობას არ „აშეშებს“ წინასწარი მითო-რელიგიური შეხედულებების მედუზა-გორგონა, არამედ რეალობა წარმოჩინდება როგორც ენიგმა, პრობლემა, რომელიც მანამდე არ ამოიხსნება და გადაწყდება, სანამ ადამიანი არ აამოქმედებს თავის შინაგან „ლოგოსს“, ანუ მსჯელობისა და დიალექტიკის ძალებსა და უნარებს. ამგვარი ამოქმედება კი აუცილებლად ითვალისწინებს დემოკრატიულ გარემოს,სადაც შენი მტკიცებები და არგუმენტები ღიაა სხვების გარჩევისა და კრიტიკისათვის. ამგვარად, დემოკრატიული სივრცე ითვალისწინებს ერთგვარ თავმდაბლობას დაუდგენლობის, რეალობის სირთულის წინაშე და, აქედან გამომდინარე, პატივისცემას სხვისი აზრის მიმართაც, რომელიც შეიძლება შენს აზრს არ ეთანხმებოდეს. ქრისტიანული რელიგიის არსშიც ეს თავმდაბლობა და პიროვნული ძიების და არა მზამზარეული ცოდნის გაგება დევს. ქრისტიანობის ფუძემდებლური ტექსტი, სახარება სავსეა ენიგმატური გამოთქმებით, რომლებიც ძალიან რთული ამოსახსნელია და განმარტების დიდ დიაპაზონს ქმნის: „სანამ ნათელია თქვენთან, ირწმუნეთ ნათელი, რათა გახდეთ ნათლის ძენი. ეს სიტყვები თქვა იესომ და წავიდა და მიეფარა მათგან“ (იოანე 12:36) – რთული, არაერთმნიშვნელოვანი სიტყვების თქმა და მერე თვალს მიფარება, ეს არის პედაგოგიური ხერხი, რომ ადამიანი დატოვო საიდუმლოს წინაშე მარტო, რომ მან ინტერესით და პირადი ინტელექტუალური ძალების დაძაბვით შეძლოს გარკვევა, იმის თავმდაბლური განცდით, რომ მისი ახლანდელი აზრი შეიძლება ვერ წვდებოდეს ნათქვამის მთელ სიღრმეს და რომ სხვა განმარტებებიც არის შესაძლებელი. ევროპამ მოახერხა, დემოკრატიული ათენური წყობიდან მოყოლებული, რომ ინს-

ტიტუციურ დონეზე შექმნა კულტურული, ურთიერთპატივისცემაზე აგებული მსჯელობის სივრცეები, სადაც ყველა აზრს აქვს ასპარეზზე გამოჩენის, სხვების განხილვის საგნად ქცევის უფლება. ევროპული საუნივერსიტეტო ტრადიციაც ამ პრინციპზეა აგებული: ღია სამეცნიერო სივრცე, მსჯელობების და კამათის ინსტიტუციური კულტურით, სამეცნიერო ჟურნალებით, კონფერენციებით, არაიდელოგიზებული, ობიექტური კვლევებით. კარგია, თუ მოსწავლეები ამას დაინახავენ დიაქრონულ, ისტორიულ პერსპექტივაში:

- ☆ ათენის დემოკრატია დაფუძნებული „ლოგოსის“ საჯარო გამოყენების ფილოსოფიურ პრინციპზე;
- ☆ ქრისტიანობა, როგორც პიროვნებაზე ორიენტირებული რელიგია, სადაც პიროვნების ძიებას, მის პირად რწმენით გამოცდილებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს და, ამდენად, აგებულია არა ავტორიტეტის ბრმა მორჩილებაზე, არამედ შინაგანად განცდილ ჭეშმარიტებაზე, გარკვეული ტიპის მარტოობისა (არა ფსიქოლოგიურ-ყოფითი, არამედ მსოფლმხედველობრივი გაგებით) და პირადი თავისუფლების კულტურაზე; გასათვალისწინებელია, რომ უძველესი საეკლესიო კრებები, არსებითად, გაგრძელება იყო ბერძნული ფილოსოფიური, დემოკრატიული დისკურსის, რადგან აქ ბიბლიის ტექსტის ასეთი თუ ისეთი განმარტება არგუმენტებზე და კონტრარგუმენტებზე იყო დაფუძნებული და ამ მსჯელობაში სეკულარული ავტორიტეტი თავისი პოლიტიკური ნება-სურვილის მიხედვით ვერ ჩაერეოდა (ხდებოდა რომ ერეოდა, მაგრამ ეს მიღებული წესის დარღვევა იყო);
- ☆ შუა საუკუნეების გარკვეული უკან დახევა, როცა ქრისტიანული რელიგია, მისი არსის სრულიად საპირისპიროდ, ხშირად გამოიყენებოდა როგორც ჩაგვრის, მეცნიერულ-ფილოსოფიური აზრის და ა.შ. პოლიტიკური დათრგუნვის ინსტრუმენტი, რამდენადაც სახელმწიფო, საგანმანათლებლო სფერო და ეკლესია ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული;
- ☆ მე-12 - მე-13 საუკუნეების უნივერსიტეტები, რომლებიც წარმოადგენდნენ ეკლესიისგან და სახელმწიფოსგან შედარებით თავისუფალ სტრუქტურებს;
- ☆ რენესანსი და ახალი დრო, როცა ევროპა მივიდა იმის განცდამდე, რომ რელიგიისა და პოლიტიკის სფეროების გამიჯნვა რაციონალური და სა-

> სურველი იყო, რომ ეს იყო აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ რელიგია გამხდარიყო ადამიანის გულწრფელი მოწოდების, თავისუფალი არჩევნის სფერო და არა გარედან ნაიძულები, რომ თავის მხრივ, რელიგიასაც, უფრო სწორად, ეკლესიას, როგორც ინსტიტუციას არ გამოეცხადებინა მონოპოლია განათლებაზე და აზროვნებაზე.

ანუ, თანამედროვე ქართველმა მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ის, რასაც დღეს ბუნებრივად აღვიქვამთ, რა ჰაერითაც, მეტაფორულად რომ ვთქვათ, ვსუნთქავთ და რის გარეშეც არც კი წარმოგვიდგენია ჩვენი თავი, არ ყოფილა მზამზარეულად მოცემული. მით უმეტეს, საქართველოში ეს „გრძელი შუა საუკუნეების“ შემდეგ შემოვიდა, მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში ევროპის გავლენითა და მიბაძვით.

უფრო პრაქტიკულ მხარეზე რომ გადავიდეთ: ჩემთვის შედარებით ადვილია, ვილაპარაკო ევროპული ფასეულობების გაზიარებაზე და შესწავლაზე ჰუმანიტარულ დისციპლინებში – ლიტერატურის (როგორც ქართულის, ისე უცხოურის) და ისტორიის გაკვეთილებზე. ლიტერატურის შესწავლისას, ძალიან მნიშვნელოვანია ტექსტის კრიტიკული განხილვა-გაანალიზება, დეტალების აღმოჩენა, საკითხების გაპრობლემება. ამერიკულ აკადემიაში, სადაც მრავალი წელია ვასწავლი ლიტერატურას და, ასევე, ფილოსოფიის არჩევით კურსს, ასეთი მეთოდი გვაქვს: მოსწავლეებს არ ვთხოვთ გაკვეთილის მოყოლას, ლექსის დაზეპირებას ან ტექსტის შინაარსის გადმოცემას. იგულისხმება, რომ სახლში უკვე წაიკითხეს დავალებული ტექსტი და მზად არიან, მასზე გამოთქვან საკუთარი აზრი, იმსჯელონ, იკამათონ. ამდენად, გაკვეთილს აქვს ცოცხალი სემინარის ფორმა, სადაც მასწავლებელი უფრო დიალოგის მოდერატორია, ვიდრე გამომკითხველი. ხდება, რომ ეს დიალოგი ძლიერ აცდება თემას. მაშინ მასწავლებელი ჩაერთვება და კვლავ თემისკენ მოაბრუნებს დისკუსიას. ან, თუ მოხდა ისე, რომ მოსწავლეების დისკუსიაში გამოტოვებული და ვერშემჩნეული იქნება ტექსტის მნიშვნელოვანი მომენტები და დეტალები, მაშინ მასწავლებელი იღებს სადავეებს თავის ხელში და ამ პასაჟებზეც მიუთითებს მოსწავლეებს, ხსნის მათ მნიშვნელობას, აწვდის დამატებით ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ პასაჟის ადეკვატური გაგებისათვის. მაგალითად, როდესაც თეიმურაზ ხევისთავი და მღვდელი ივანე „ჯაყოს ხიზნებ-

ში“ საუბრობენ საკითხზე, დემოკრატია ქართველი ხალხი თუ არისტოკრატი, შეიძლება მასწავლებელმა ეს მსჯელობა დააკავშიროს მონტესკიეს „კანონთა გონში“ ან რომელიმე სხვა ევროპელ ავტორთან მოცემულ მსგავს მჯელობებთან; სხვანაირად, შეიძლება მათ ვერ ნახონ, რომ ამ კამათს თავისი ისტორია და ტრადიცია აქვს ევროპაში და ქართველების ხასიათზე მსჯელობაც ამ ტრადიციის შუქზე შეიძლება იყოს განხილული. შეფასებასაც მასწავლებელი იმის მიხედვით აკეთებს, თუ რამდენად აქტიურად და ხარისხიანად მონაწილეობს მოსწავლე დისკუსიაში (აქტიურობა ყოველთვის არ ნიშნავს ხარისხს და ზოგადი, არადაზუსტებული, ტექსტის ნიუანსებში ჩაუძიებელი კომენტარები მოსწავლის მოუმზადებლობას და ტექსტის უცოდინრობას აჩვენებს). რაც მთავარია, ასეთი გაკვეთილების დროს მოსწავლეები ეჩვევიან დამოუკიდებელ აზროვნებას; ხვდებიან, რომ მზამზარეული არაფერი არ არის, რომ თავად გაკვეთილის და, ზოგადად, კურსის საინტერესოობა თავად მათზეა ბევრწილად დამოკიდებული, რომ მასწავლებლის აზრთან შეკამათება არა მარტო დასაშვებია, არამედ საჭიროც, იმიტომ რომ უფრო ხშირად ასეთი არდათანხმება ან მასწავლებლის მხრიდან დამატებითი და უფრო გაღრმავებული, საინტერესო მსჯელობის მიზეზი ხდება, ან გადადის ზოგად საკლასო გარჩევაში, სადაც აღმოჩნდება, რომ მასწავლებლის პოზიცია მხოლოდ ერთ-ერთი პოზიციაა, და არა აუცილებლად სხვების პოზიციებზე რამით აღმატებული. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი: მოწაფეებს გამოუმუშავდეთ ჩვევა, რომ არ მიიღონ კრიტიკული განხილვის, რეფლექსიის (ანუ საკუთარ ინტელექტზე არეკვლის) გარეშე ავტორიტეტის, ამ შემთხვევაში, მასწავლებლის აზრი. იოანე პეტრიწი დიალოგს „ჩვენ შორის სიტყვას“ უწოდებს; ასეთი კლასების დროს თანდათანობით ჩნდება განცდა, რომ ეს „ჩვენშორისი სიტყვა“ უფრო მეტია, იდუმალი, საინტერესო, დამაინტრიგებელი, ვიდრე მასწავლებლის ერთპიროვნული მონოლოგი. განცდას რომ ვამბობ, ამას პრინციპული აზრი აქვს, რადგან დემოკრატიული, თავისუფალი გარემო არ იქმნება ხელოვნურად, ან რაიმე ეფექტური ტრენინგის გზით, არამედ თანდათანობით, რაღაც ვირუსული ინფექციასავით; მოულოდნელად, თვითონ არ იცი როგორ, უცბად ხვდები, რომ სხვანაირი, ძირითადად, მასწავლებლის მონოლოგზე აგებული გაკვეთილის ჩატარება უბრალოდ აღარც გამოვა ამ კლასში, რადგან თავად ბავშვები არ აიტანენ ამას, ან თუ აიტანენ და ჩუმი მოსმენის რეჟიმში გადავლენ, მხოლოდ

ზრდილობის გამო გააკეთებენ ამას. არის ქართული იდიომა „ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი“. თავისუფლებაც, და ყველაზე მნიშვნელოვანი გაგებით, თავისუფლება თავისუფალი აზროვნებაა, ზუსტად ასეთი რამაა: მოსწავლეებს ძვალ-რბილში უნდა გაუჯდეთ და უკვე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ჰქონდეთ განცდა, ერთგვარი სულიერი „დგომა“, რომ არავის აზრს ინერტულად არ უნდა გაყვნენ, რომ ეჭვი და სკეპსისი მათი მუდმივი თანამგზავრი უნდა იყოს. არ ვამბობ, რომ სკეპსისი თავად სკეპსისითვის ჰქონდეთ და რაღაც დარდიმანდ, თავნება და ამპარტავან ნიჰილისტებად იქცნენ, არამედ ჭეშმარიტების ძიების გზაზე სკეპტიკური „დგომა“, წინასწარი დაეჭვების განწყობა გაითავისონ, იმისათვის, რომ ნებისმიერ აზრს, ფასეულობას, სწავლებას დაეთანხმონ პირადი მსჯელობით და პირადი ემოციური ჩართულობით, რომ ცოდნა რეალურად მათი იყოს და არა გარედან თავსმოხვეული. სკეპსისი არ ნიშნავს ნიჰილიზმს და აზროვნების სიმჩატეს. პირიქით, ვფიქრობ, გულისხმობს სურვილს ჭეშმარიტების უფრო ღრმა, აზარტული ძიების და გათავისების. სკეპსისი არც ავტორიტეტისადმი აგდებულ და ქედმაღლურ დამოკიდებულებას ნიშნავს, არამედ შეთავსებადი შეიძლება და უნდა იყოს ავტორიტეტისადმი წინასწარ, ინტუიციურ ნდობასთან, იმ აუცილებელი დისტანციის შეგრძნებით, რომ ნებისმიერი ავტორიტეტი შეიძლება ცდებოდეს და/ან ტოვებდეს გამოუძიებელ, ჯერ არაღმოჩენლ სივრცეს. ამგვარი განცდებისა და განწყობების კლიმატი თუ ატმოსფერო შეუმჩნევლად, თანდათანობით, თითქოსდა თავისით დგება, იმ ტიპის ყოველდღიური გაკვეთილების მსვლელობაში, როგორზედაც ზემოთ ვილაპარაკე. ამერიკელი პოეტის, დე ვიტოს ერთი ლექსი, სახელით „სკოლა-დამთავრებულები“ შემხვდა რამდენიმე წლის წინ. ლექსი აღწერდა ჩინელ მოსწავლეს, რომელსაც მასწავლებელი ყოველდღე, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ხელში უდებდა ნეფრიტის ნატეხს, თან სხვადასხვა თემებზე ესაუბრებოდა, და ერთხელაც, როდესაც კვლავ ჩაუდო ქვა მოსწავლეს, მან მოსინჯა ქვა და თქვა: „ეს არ არის ნეფრიტი“. ლექსის ბოლო ფრაზაში პოეტი ამბობს: როგორც ცხოვრება შეუმჩნევლად მაშინ „ხდება“, როცა ჩვენ მასზე ჩვენ-ჩვენ გეგმებს ვაწყობთ, ასევე, ცოდნაც სწავლის პროცესში თავისით მოდის ჩვენში, მაშინ, როცა გვგონია, რომ სულ სხვა ხმებს ვისმენთ. ეს საიდუმლოა, რომელსაც უნდა აფასებდნენ და პატივს სცემდნენ მასწავლებლებიც, პირველ რიგში, და მოწაფეებიც.

დიალოგური კულტურა რომ ვახსენე, ამ კულტურის განსავითარებლად ძალიან კარგი მეთოდია პრობლემის მკაფიოდ წამოჭრა და ორი განსხვავებული, ურთიერთსაპირისპირო აზრის წარმოჩენა. ლიტერატურულ ტექსტებში იშვიათად არის რომ მხოლოდ ორი საპირისპირო აზრია ტექსტში განხილვად რამე საკითხზე, მაგრამ დაძაბულობის ველის შექმნისთვის ეფექტურია ორი ურთიერთსაპირისპირო პოზიციის გამოკვეთა. მაგალითად, როდესაც ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბას“ გავდივართ, ზოგჯერ მოწაფეებს სადისკუსიოდ ვაძლევ თემას: „ჰაკი აძბა – გმირი, თუ მონა?“ თავად ნაწარმოები საკმაოდ ამბივალენტურია, ავტორის ვერდიქტი ამ საკითხზე არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში, ზედაპირზე. იწყება ძალიან დაძაბული, თითოეული მოსწავლის ნერვებზე და ემოციებზე გამავალი დებატები. დებატების შედეგი შეიძლება იყოს, უეცრად, იმის აღმოჩენაც, რომ თავად ასე ხისტად საკითხის დასმა არც შეიძლება, რადგან შეკითხვა არ ითვალისწინებს სხვადასხვა კონტექსტებს, რომ რაღაც კულტურულ-მსოფლმხედველობით კონტექსტში, კერძოდ, კავკასიურ მორდუობის ტრადიციაში, ჰაკის ქცევა გმირობაა, კუზმა კილგას მარქსისტული ხედვისა და სოციალისტური რევოლუციური გაგებების კონტექსტში კი მონობა. მაგრამ თავად ეს კონტექსტები თუ შეიძლება განიხილო რაღაც უნივერსალური, განყენებული, აბსოლუტური ხედვის კუთხიდან? ზოგჯერ იმ გაგებამდე მისვლა, რომ რეალობა ზედმეტად მრავალწახნაგოვანი და რთულია ერთმნიშვნელოვანი კატეგორიული პასუხისთვის, უკვე დიდი მიღწევაა და მოსწავლეებში ნელ-ნელა აყალიბებს გარკვეულ სიბრძნეს, ნიუანსისა და დეტალის დანახვის უნარს, სხვების აზრების მოსმენის, აწონვისა და განხილვის ჩვევას. ძალიან სასარგებლოა ქართული ლიტერატურის დაკავშირება სხვა ენების ლიტერატურასთან, რომლებსაც ბავშვები თუნდაც სკოლაში გადიან რუსულის თუ ინგლისურის, ან სხვა უცხო ენის გაკვეთილებზე, ასევე, თავისი ინიციატივით წაკითხულ მსოფლიო ლიტერატურასთან. ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ეროვნულ ლიტერატურაში ასახული პრობლემები, საკითხები, ზნეობრივი დილემები, ეთიკური თუ ესთეტიკური შეხედულებები ფართო კონტექსტში იქნას დანახული. უამრავი ინვარიანტული, ზოგადკაცობრიული თემაა მოცემული მსოფლიო ლიტერატურაში, რომლებთანაც საინტერესო პარალელების გავლება შეიძლება მშობლიური ლიტერატურიდან; ასე შეიძლება შეადარო ერთმანეთს ალუდა ქეთელაური და ჰეკლბერი

ფინი, ან ხევისბერი გოჩა და მატეო ფალკონე, ა.შ. ამგვარი კომპარატივისტული სწავლება, მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენა თან ძალიან სახალისო პროცესია, თანაც ჯანსაღ კოსმოპოლიტურ, ზოგადკაცობრიულ განწყობებს აყალიბებს ბავშვებში. ქართულის მასწავლებლებმა, ევროპული განათლების თვალსაზრისით, განსაკუთრებით უნდა გაამახვილონ ყურადღება იმ ავტორებზე, რომლებმაც შეგნებულად, ასე ვთქვათ, პროგრამულად გადმოიტანეს ევროპული სული და ტრადიცია საქართველოში (დოდაშვილზე, ბარათაშვილზე, ილიაზე და სხვა თერგდალეულებზე, ვაჟაზე, ცისფერყანწელებზე ა.შ.). ქართული ლიტერატურის კარგად შესწავლა საკმარისია, მოსწავლე მიხვდეს, რომ ევროპული ფასეულობების გარეშე არც ქართული იდენტობა არსებობს, რადგან ეს უკანასკნელი ამ ფასეულობებითაც არის ბევრწილად ჩამოყალიბებული.

ისტორიის გაკვეთილებზე საჭიროა ისტორიული მოვლენის მრავალმხრივი ანალიზი, ერთსა და იმავე მოვლენაზე განსხვავებული წყაროების შეპირისპირება; რამდენადაც შესაძლებელია თავის შეკავება წინასწარი, შეფასებითი მსჯელობისაგან, პატრიოტული თუ ჰეროიკული მიკერძოებებისაგან. აქ ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვები თავიდანვე ამუშაო პირველწყაროებზე და არ დაკმაყოფილდე მხოლოდ ისტორიკოსების, ხშირად მხოლოდ სახელმძღვანელოს დამწერი ისტორიკოსების, ანალიზით. თითქოს „ბავშვმაც რომ იცის“, ისეთი ისტორიული ფაქტები სინამდვილეში ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი შეიძლება აღმოჩნდეს. მასწავლებელმა არ უნდა დახუჭოს თვალი ამ წინააღმდეგობრიობებზე, პირიქით, უნდა გააშუქოს ისინი და დისკუსიის საგნად აქციოს. მაგალითად, ისტორიული წყაროებიდან ვიგებთ, რომ დიმიტრი თავდადებულმა თავი გაწირა თავისი ხალხისთვის, როდესაც მან უარი თქვა სამეფოში დარჩენაზე და ყაენის რეზიდენციაში გაემგზავრა. იგივე წყარო ამბობს, რომ ყაენთან მან თავისი შვილი, ვახტანგი წაიყვანა, რომ ამით ეჩვენებინა მისთვის, რომ ის მას ენდობოდა და მისი ორგული არ იყო. რამდენი რამ არის აქ საინტერესო და პრობლემური! გარისკა თუ არა ამით დიმიტრიმ თავისი ძის სიცოცხლე, რომელიც მართლაც კინაღამ შეეწირა ამ მგზავრობას და იმით გადარჩა, რომ თევზებით დატვირთულ ურემში დამალული გამოაპარეს? თუ პირიქით, ამით ის არა მარტო თავის, არამედ შვილის სიცოცხლესაც იცავდა, რადგან მას, როგორც მოღალატე მეფის მემკ-

ვიდრეს, მაინც მოკლავდნენ? ეს ყველაფერი არ ჩანს ცხადად წყაროში და შეიძლება უამრავი აზრის, კამათის და სპეკულაციის საგანი გახდეს, რაც ასე სახალისოს ხდის გაკვეთილებს. ისევ და ისევ, კრიტიკული აზროვნება წარმმართველი უნდა იყოს და მოსწავლეები მივიდნენ ჯანსაღ აზრამდე, რომ ისტორია არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ფაქტების ნაკრები, არამედ რადიკალურად არის დამოკიდებული ამ ფაქტების ინტერპრეტაციაზე და ინტერპრეტაციის პრინციპებზე. განსაკუთრეებით, საქართველოს ისტორიის მასწავლებლები ბეწვის ხიდზე უნდა გადიოდნენ, რომ, ერთი მხრივ, არ დაუკარგონ მოსწავლეებს თავიანთი ქვეყნის წარსულთან ემოციური კავშირი, ანუ გარკვეული პატრიოტული მოტივი შეიტანონ თავიანთ გაკვეთილებში, მაგრამ, ამავე დროს, საკმარისი სიფრთხილე შეინარჩუნონ, რომ არ დააზიანონ ობიექტურობა და მეცნიერული მეთოდი თუნდაც პატრიოტული მოტივით. სხვანაირად, ასეთი ისტორიის გაკვეთილები ზემოთნახსენებ იდეოლოგიურ „მონალვას“ დაემსგავსება. მე მგონი, პატრიოტიზმის სწავლება საერთოდ არ შეიძლება და ეს განცდა იმდენად მისტიურია, რომ წამოუდგენელია სტანდარტულ აკადემიურ ჩარჩოში ჩასვა. ისტორიის არც განზრახ და იდეოლოგიზებულად ევროპოცენტრისტული სწავლებაა მისაღები, ევროპული ცივილიზაციის დიდი დამსახურება, როგორც ზემოთ ვთქვი, თავისუფალი, გულწრფელი, ობიექტური და არაიდეოლოგიზებული მსჯელობების სივრცეების შექმნა იყო და ტერმინოლოგიური შეუსაბამობა გამოვა განზრახ ევროპოცენტრისტული სწავლება, რადგან თავად ევროპული მიდგომა უნდა ითვალისწინებდეს ღიაობას ალტერნატიული ხედვებისადმი და არ თრგუნავდეს თავისუფალ განხილვას რაიმე იდეოლოგიური წნეხის შემქნით, თუნდაც კეთილშობილი მოტივით. ასეთი ამპარტავნული და მიკერძოებითი მიდგომები იყო ევროპულ ტრადიციაში, მაგრამ თავად ამ ტრადიციას აქვს შინაგანი რესურსები, გადალახოს ეს მიკერძოებები. მაგალითად, სიტყვა „ბიზანტია“, აღმოსავლეთ რომის იმპერიის გაგებით, ევროპულ მეცნიერებაში ჩამოყალიბდა, როგორც ამ იმპერიის დამამცირებელი ტერმინი, რადგან კონსტანტინეპოლის გადარქმევა ბიზანტიონად, ანუ პატარა პროვინციულ ქალაქად მსოფლიო მეგაპოლისის ადგილას, სწორედ მთელი ბიზანტიური ცივილიზაციის როლის დაკნინების მცდელობით იყო გაპირობებული. გარკვეული ევროპოცენტრიზმი მსოფლიო ისტორიის შეფასებაში, ვფიქრობ,

ისედაც წამოიჭრება ბუნებრივი და ძალდაუტანებელი განხილვის შედეგად, რადგან, ჩემი აზრით, სწორედ ევროპულ ისტორიაში მოხდა ის დიდი და საბედისწერო ძვრები, რომლებმაც, ავად თუ კარგად, შეუქცევადად შეცვალეს მთელი დედამიწის ბედი და დღესაც განაპირობებენ ისტორიის გეზსა და პროცესებს. „ავად თუ კარგად“ მხოლოდ რიტორიკულად არ მითქვამს წინა წინადადებაში: ევროპული ცივილიზაცია პროგრესის ცივილიზიაციაა, მაგრამ პროგრესი ყოველთვის გულისხმობს რაღაცის განვითარებას რაღაც სხვის ხარჯზე. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ისტორიის პროცესს ახლავს რაღაც ჰეგელიანური „კეთილი ჯადო“ და ყველაფერი თავისთავად კარგისკენ მიდის. სულაც არა: ისტორიული პროცესი დრამატული და საბედისწერო არჩევნების სფეროა და ზოგჯერ ეს არჩევანი შეიძლება არ იყოს კარგი ან პრიორიტეტი არასწორად იყოს განსაზღვრული. ტრადიციულ, კონსერვატორულ კულტურებს და საუკუნოვანი ფასეულობების შენარჩუნებას ამდენად დიდი როლი შეიძლება ჰქონდეს ევროპული პროგრესირებადი ცივილიზაციის დასაბალანსებლად, რომ ამ პროგრესში დავიწყებას არ მიეცეს და არ ატროფირდეს მარადიული, ზოგადჰუმანიტარული ფასეულობები. მაგალითად, შეიძლება გაიგოთ ფრაზა „რელიგიური კრიზისი ევროპაში“ ან „ათეისტური ევროპა“ — ეს არ არის ხელწამოსაკრავი საკითხი და ღრმა მსჯელობის საგანია: ერთის მხრივ, ამგვარი გამოთქმები შეიძლება დემაგოგიურად გამოიყენოს თანამედროვე ფუნდამენტალისტმა ევროპული ცივილიზაციის მთლიანად გაშავების მიზნით, მეორეს მხრივ კი შეიძლება მართლაც ღრმა განხილვის საგნად იქცეს თანამედროვე რელიგიური სიტუაცია ევროპაში, ქრისტიანობის როლი პოსტმოდერნულ სივრცეში, რომელსაც ზოგჯერ „პოსტქრისტიანულსაც“ უწოდებენ. ეს საქართველოსთვის, სადაც ტრადიციული დამოკიდებულება რელიგიისადმი დომინანტურია, ძალიან მნიშვნელოვანია და კარგია, თუ ამ საკითხებზე მოსწავლეები თავიდანვე დაინტერესდებიან.

აღარ შევჩერდები ისედაც ცხად საკითხზე ისტორიის გაკვეთილებზე ევროპულ განათლებასთან დაკავშირებით, რომ მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება ჩვენი საერთო ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბების ნიშანსვეტურ მომენტებზე და სიღრმისეულად განიხილოს ისინი — რენესანსი, განმანათლებლობა, მოდერნიზმი და ა.შ. იმისათვის, რომ ამ მოვლენების სულს ჩასწვდნენ, ბავშვებმა უნდა წაიკითხონ თავად წყარო-

ებიც, მაგალითად, პიკო დელა მირანდოლას „ადამიანის ღირსებისათვის“, ან კანტის „რა არის განმანათლებლობა“, ან ჯონ სტიუარტ მილის ესე „თავისუფ-ლების შესახებ“ და ა.შ. ეს ნაშრომები დაკრისტალებული სახით წარმოაჩენენ ევროპაში მიმდინარე რევოლუციურ მსოფლმხედველობრივ მოვლენებს და მოსწავლეები ადვილად აღმოაჩენენ, თუ რამდენად აქტუალურები არიან ეს ავტორები დღესაც.

ჩემთვის უფრო ძნელია ვილაპარაკო ტექნიკურ საგნებზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლება ევროპული განათლების მოტივების შეტანა მაგალითად, მათემატიკაში, ფიზიკაში ან ქიმიაში. მაგრამ აქაც ძალიან კარგი იქნება, თუ მასწავლებლები დააკავშირებენ ამ დისციპლინებს ევროპულ ისტორიასთან, ფილოსოფიურ და მსოფლმხედველობრივ განვითარებებთან. მაგალითად, ბერძნებმა ძვ. წ. ნ-ე საუკუნიდან პირველებმა შექმნეს თეორიულ-აბსტრაქ-ტული ცოდნა: თეორიული არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა, თეორიული ლოგიკა ა.შ. ანუ როდესაც ამ დისციპლინებს არ განიხილავ რამე პრაქტიკულ ან თუნდაც რელიგიურ საჭიროებასთან მიმართებაში, არამედ თავის თავში. რატომ მოხდა ეს? რა კავშირი აქვს ამას ზოგადად ბერძნების აზროვნების წესთან, ფილოსოფიის წარმოშობასთან? ტექნიკური საგნის მასწავლებელმა უნდა შეძლოს განიხილოს ის ფილოსოფიურ-რელიგიური ფონი, რომელზეც ხდებოდა ამა თუ იმ დისციპლინის განვითარება და ამით უფრო სავსე და საინტერესო წარმოდგენა მისცეს მოსწავლეებს. მაგალითად, პლატონისთვის პითაგორული ყაიდის მათემატიკა აუცილებელი იყო, როგორც ჭეშმარიტების ობიექტურობის გარანტი და საფუძველი. თავად ეს საფუძველი კი მას სჭირ-დებოდა სოფისტების რელატივიზმის დასამარცხებლად. ან რამ გამოიწვია დეკარტეს მათემატიკური დაინტერესება და აღმოჩენები? მასწავლებელმა შეიძლება ეს აჩვენოს იმ ეპოქის ფილოსოფიურ-თეოლოგიური კონტექსტის ფონზე, როცა დეკარტე ეძებს ჭეშმარიტების ურყევ კრიტერიუმებს ცხადი და ნათელი მიგნებებისთვის და თავად ეს მიგნებები სჭირდება ტექნოლოგიების განვითარებისთვის და ადამიანის მიწიერი ბედის შემსუბუქებისთვის. იმდ-როინდელ მსოფლმხედველობრივ კონტექსტში ეს შეიძლება ერეტიკულ ამ-პარტავნებად ჩაეთვალათ, რადგან რა უფლება აქვს ადამიანს, შეიმსუბუქოს თავისი სამოთხიდან გაგდებულის ხვედრი საკუთარი ძალისხმევებით, მედი-ცინითა და ტექნოლოგიური გამოგონებებით, ღმერთის და ეკლესიის გარეშე?

ამიტომ ტექნიკური მეცნიერებებიც უშუალო კავშირშია ევროპული ისტორიის დრამასთან. კარგი მასწავლებელი შეძლებს ამ კავშირების პოვნას, წარმოჩენას დეკარტეს, ლაიბნიცის, ნიუტონის და ა.შ. რელიგიურ-ფილოსოფიური აზრებისა, რომლებსაც პირდაპირი კავშირი ჰქონდათ მათ სპეციფიკურად სამეცნიერო კვლევასთან და მათემატიკურ თეორიებთან. ტექნოლოგიური განვითარებაც, რომლითაც რენესანსის მერე ევროპამ საგრძნობლად ჩამოიტოვა მთელი მსოფლიო, თავის გარდაუვალი კარგი თუ ცუდი (მაგ. კოლონიალიზმი, მასიური განადგურების იარაღები და ა.შ.) შედეგებით, პირდაპირ კავშირშია სულიერ, რელიგიურ-მსოფლმხედველობით განვითარებებთან. ასეთი სწავლებით მოსწავლეები გაცილებით უფრო დაინტრიგდებიან ფიზიკით, მათემატიკით, ქიმიით, ბიოლოგიით, ნახავენ, რომ ეს დისციპლინები და მათი განვითარება არ იყო მოწყვეტილი კაცობრიობის, განსაკუთრებით კი ევროპული ისტორიის დრამატულ პროცესს და პირდაპირი კავშირი აქვს დიდ მსოფლმხედველობრივ, ფილოსოფიურ-რელიგიურ და პოლიტიკურ ძვრებთან.

ერთიც: დღეს საქართველოს მეინსტრიმულ აზროვნებაში ევროპასთან გაიგივებულია ცალსახად ლიბერტარიანული კაპიტალიზმი, რაც გასაგებია, რადგან საქართველომ გამოიარა 70-წლიანი კომუნისტური მმართველობა და თავის თავზე გამოსცადა ამ რეჟიმის მთელი სისასტიკე და არაადამიანობა, თავისუფლების შეზღუდვა და იდეოლოგიური წნეხი. მაგრამ ეს არ უნდა გახდეს დღეს ცალმხრივობის მიზეზი და ბავშვებს სკოლის მერხებიდანვე უნდა მიაწოდონ მრავალმხრივი ინფორმაცია პოლიტიკურ თეორიებზე, კერძოდ იმაზე, რომ სოციალიზმიც არანაკლებ ევროპული იდეაა, ვიდრე კაპიტალიზმისა და თავისუფალი ბაზრის იდეები, რომ სოციალიზმის პროპონენტები რუსო და თომას მორი არანაკლებ ევროპელები არიან, ვიდრე კაპიტალიზმის თეორეტიკოსები ლოკი და ადამ სმიტი, ან თუნდაც ფრიდრიხ ჰაიეკი. თანაც, დღევანდელ ევროპაში, სადაც სოლიდარობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფასეულობაა, სწორედ სოციალური იდეები დომინირებს, სადაც მდიდარი და ჯანმრთელი აუცილებლად უნდა დაეხმაროს ღარიბსა და ავადმყოფს. სწორედ ასეთ მრავალმხრივ განხილვაში ჩამოუყალიბდებათ მოსწავლეებს ადეკვატური და არაიდეოლოგიზებული ხედვები და დამოკიდებულებები ამ ურთულესი რეალიების მიმართ.

ყველაფერი, რაც ზემოთ ვილაპარაკე, შეიძლება არ ეხებოდა პირდაპირ ევროპულ განათლებას, არამედ ზოგადად იმას, თუ საერთოდ როგორი უნდა იყოს განათლება სკოლებში, რომ მოსწავლე ჩამოყალიბდეს თავისუფალ, დამოუკიდებელ, არაინერტულ პიროვნებად, რომელიც თავის ღირსების დამცირებად ჩათვლის, ბრმად და ინერტულად მიიღოს სხვების აზრები; ჰქონდეს ჯანსაღი განცდა რეალობის სირთულისა და მრავალპლანიანობისა, რომ საკუთარი კატეგორიული და ვიწრო მსჯელობის მსხვერპლი არ გახდეს; არ ჰქონდეს ჩამქრალი ძიების სული, ცნობისმოყვარეობა და ახლის შეცნობის ინტრიგა. ასეთი მოსწავლე ადეკვატურ ადამიანად ჩამოყალიბდება, ადეკვატური ადამიანი კი, დღესდღეისობით, ვფიქრობ, ევროპელი ადამიანია, თუ „ევროპაში“ იმ ზოგადკაცობრიულ, ევროპის დრამატულ ისტორიულ პროცესში ჩამოყალიბებულ პიროვნების განმანათლებლურ გაგებას ჩავდებთ, რომლის მიხედვითაც თითოეული პიროვნება თავისუფალი უნდა იყოს, რაც აუცილებლად ითვალისწინებს დამოუკიდებელი აზროვნების (კანტის sapere aude-ს) და მისი დაუბრკოლებელი საჯარო გამოყენების უფლებასა და ვალდებულებას.

ნინო ლაბარტყავა

დაწყებითი განათლება

სამეგიდე თამაშობები განათლების დაწყებით საფეხურზე

მართალია, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევა სწავლაა, მაგრამ თამაში ბავშვების საყვარელ საქმიანობად რჩება.

ბავშვის ზრდასთან ერთად იცვლება თამაშის ფორმები. წესებიან, სამაგიდე თამაშებს მოზრდილებიც ვთამაშობთ, რაც გვაძლევს სხვებთან ურთიერთობის, განტვირთვის, ძალების მობილიზების შესაძლებლობას.

წესებიანი სამაგიდე თამაშები მოითხოვს შემეცნებითი პროცესების ჩართვას, აქტივობის შედეგის გონებრივ პლანში წარმოსახვას, მოთმენის, ნებისყოფის გამოვლენას, ვინაიდან სამაგიდე თამაშების დროს გვიხდება რიგითობის დაცვა, საკუთარი ჯერის დაცდა, ამასთანავე, ბავშვი თამაშის პროცესში სწავლობს წაგებას და მოგებას, ემოციების მართვას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სხვებთან თანამშრომლობას.

თამაში გავლენას ახდენს ნებისმიერი ფსიქიკური პროცესების ფორმირებაზე. მაგალითად, თამაშში განვითარებას იწყებს ნებისმიერი ყურადღება და მეხსიერება. თამაში გავლენას ახდენს ბავშვის აზროვნების განვითარებაზეც.

თამაშს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეფლექსიური აზროვნების განვითარებისთვის. რეფლექსია – ეს არის ადამიანის უნარი, გააანალიზოს საკუთარი მოქმედებები, ქცევა, მოტივები და შეუფარდოს ისინი საზოგადოებაში მიღებულ ღირებულებებს, სხვა ადამიანების ქცევებს, მოტივებს, თამაშის წესებს. რეფლექსია ხელს უწყობს სოციალურ გარემოში ბავშვის ადეკვატურ ქცევას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვს ჯერ კიდევ ნაკლებად შესწევს უნარი დაიმახსოვროს მასალა გარკვეული კონკრეტული მიზნით. ასეთი აქტივობა ნებისყოფის საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარებას მოითხოვს. ნებისმიერი და უნებლიე დამახსოვრების შედარებითმა შესწავლამ ცხადყო, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი მასალის დამახსოვრების განზრახვის გარეშე ახორციელებს გარკვეულ აქტივობას (მაგალითად, აჯგუფებს სურათებს), დამახსოვრების ეფექტი უკეთესია, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა იგი ცდილობს მასალის დამახსოვრებას განზრახვის საფუძველზე, ისე, რომ დასამახსოვრებელი მასალა სხვა სახის აქტივობაში არაა ჩართული.

ჩვენ მიერ შემოთავაზებულ აქტივობათა მიზანია, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს მივაწოდოთ ინფორმაცია ევროპული კავშირის დამფუძნებელი ქვეყნების შესახებ და მოსწავლეები თამაშის პროცესში წავახალისოთ, იმსჯელონ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების, ბუნებაზე ზრუნვის, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ბუნებრივი ენერგიის დაზოგვის, საავტორო უფლებებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობის შესახებ.

აქტივობის ფორმად შევარჩიეთ თამაშობები – „ლოტო“ და „გზა ევროპისკენ“.

ლოტო

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა შეიცავს ინფორმაციას ევროკავშირის დამფუძნებელი სახელმწიფოების დედაქალაქების, სახელმწიფო სიმბოლიკის, კერძების, ღირშესანიშნაობების, საბავშვო კულტურის - საყვარელი მეზღაპრეების, თუ ზღაპრების, ანიმაციის გმირების, საბავშვო მუზეუმის, სახელმწიფოსა თუ დედაქალაქის სიმბოლოდ ქცეული ცხოველის, ფრინველის და მათი ლეგენდების შესახებ.

1. **აღწერა**

   თამაშის მიზანი: დაკვირვების, თანამშრომლობის უნარების განვითარება, მცირე ინფორმაციის მიღება ევროკავშირის დამფუძნებელი ქვეყნების შესახებ.

   რესურსები: ლოტოს 6 დაფა და დაფის შესაბამისი 36 ბარათი.

მიმდინარეობა: აქტივობაში მონაწილეობის მიღება ერთდროულად შეუძლია მაქსიმუმ 6 ადამიანს. თითოეულ მონაწილეს ურიგდება თითო დაფა და მისი ამოცანაა შეაგროვოს ბარათები დაფაზე გამოსახული ნახატების იდენტური გამოსახულებებით. ამავდროულად, აქტივობას თან ახლავს თითოეული გამოსახულების შესაბამისი ტექსტი, რომელიც შეიძლება წაიკითხოს მონაწილემ ხმამაღლა ან წაუკითხოს მათ თამაშის წამყვანმა. წაგება-მოგების ემოციური კომპონენტის შესამცირებლად, შესაძლებელია, რომ თამაშში გვყავდეს არა წაგებული ან მოგებული, არამედ პირველი გამარჯვებული, მეორე გამარჯვებული და ა.შ.

ბარათებზე წარმოდგენილი ინფორმაციის ქვეშ არის ცარიელი ხაზები, რომლებიც მოსწავლეს შეუძლია შეავსოს მის მიერ მოძიებული ან მისთვის საინტერესო ინფორმაციით (მასწავლებელს შეუძლია დაავალოს მოსწავლეებს თითო ბარათის შესაბამისი ინფორმაციის მოძიება და მისი გამრავალფეროვნება), შესაბამისად, მომდევნო თამაშის დროს მოსწავლეები ახალ ინფორმაციას წარმოადგენენ.

თამაშში წარმოდგენილი პრინციპის მიხედვით, ბავშვებსა და მათ მასწავლებლებს შეუძლიათ ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყნებზე შექმნან დაფები და ბარათები, რაც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას, გაეცნონ ევროკავშირში შემავალ სხვა ქვეყნებსაც.

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

1	2	3
4	5	6

1. **დედაქალაქი.** ბრიუსელი ბელგიის დედაქალაქია, ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობა არის დიდი მოედანი, სადაც გაზაფხულზე ყვავილების დღესასწაული იმართება. ბელგიაში უგემრიელესი ვაფლი და შოკოლადი მზადდება. თანაც ბრიუსელში არის საოცარი მუზეუმი, იცით რისი? შოკოლადისა! მუზეუმში შოკოლადის და კაკაოს გასინჯვაც შეიძლება და მისი შექმნის ისტორიასაც მოგვიყვებიან. ბრიუსელში კიდევ არის კომიქსების მუზეუმი, სადაც კომიქსის და ანიმაციის პერსონაჟებს გაგვაცნობენ და კომიქსებს თავადაც შეგვაქმნევინებენ.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

2. **კირკიტა** – არის ბელგიის ნაციონალური ფრინველი. იგი შავარდენისებრთა რიგს მიეკუთვნება. ის სხვა შავარდენთაგან იმით განსხვავდება, რომ აქვს მოკლე და შედარებით მსხვილი თათები და მოკლე ბრჭყალები. იკვებება მწერებით და პატარა ცხოველებით.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

3. **ბელგიური ვაფლი** – მისი დამზადებისთვის გვჭირდება: 2 კვერცხი, ერთი ბრიკეტი კარაქი, ერთი ჭიქა რძე, 1 ჭიქა ფქვილი, 1 ჭიქა შაქარი, ნახევარი კოვზი მარილი. მის მოსამზადებლად ჯერ ვაცალკევებთ კვერცხის გულსა და ცილას. კვერცხის გულს ვურევთ, ვუმატებთ ერთ ჭიქა შაქარს, დამდარ კარაქს, რძეს, ცოტა ვანილს და ერთ ჭიქა ფქვილს. ვურევთ. ცალკე ვთქვეფთ ცილასა და მარილს, მასში ვასხამთ მანამდე გამზადებულ ცომს და ვათავსებთ სპეციალურ ფორმაში და ვაცხობთ.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

4. **ბელგიის მერბი** თურმე 1937 წელს შეიქმნა. ის გამოსახავს ოქროსფერლომიან შავ ფარს, რომელიც ორ სხვა ყვითელ ლომს უკავია. ფარის თავზე არის

ოქროსფერი ჩაფხუტი, მაღლა კი გვირგვინი და 8 პროვინციის დროშა მათი გერბების გამოსახულებით (ბელგიაში იმ დროისთვის 8 პროვინცია იყო). ბელგიის დროშა 1831 წელს აღიარეს სახელმწიფო დროშად. ის სამ ფერს მოიცავს: შავს, ყვითელსა და წითელს და ადრე თურმე ერთ-ერთ ჰერცოგს ეკუთვნოდა.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

5. **პატარა ბიჭუნა** – მიიჩნევა, რომ ეს ქანდაკება ბრიუსელში ჯერ კიდევ მე-15 საუკუნიდან დგას. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, მან ქალაქი აფეთქებას გადაარჩინა, ცეცხლმოკიდებული ასაფეთქებელი ჩააქრო. სხვადასხვა დღესასწაულზე პატარა ბიჭუნას სხვადასხვა სამოსით მოსავენ, მაგალითად, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ის ქართულ ჩოხაში იყო გამოწყობილი.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

6. **სმურფები** ბელგიელმა მხატვარმა პიერ კიულიფორმა შექმნა (ფსევდონიმით პეიო). თურმე ერთხელ მულტიპლიკატორს ტყეში მანქანა გაუფუჭდა. მას გამვლელი მანქანის მოლოდინში ტყეში გაესეირნება გადაუწყვეტია. ტყეში სეირნობისას პეიოს თავში მოუვიდა იდეა, შეექმნა ამბავი ჯუჯებზე, რომლებიც სოკოების ქვეშ ცხოვრობენ. სმურფები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, ლურჯი ტანი აქვთ და თეთრი სამოსი აცვიათ. განსხვავებული თურმე მხოლოდ მამა სმურფია, რომელიც წითელ სამოსშია გამოწყობილი. იგი 546 წლისაა. სმურფები ჯადოსნურ სფეროს ფლობენ და ბევრ საინტერესო რაიმეს სჩადიან. ოღონდ, როგორც ყველა ზღაპარში, მათაც ჰყავთ მტერი, ბატონი გირგიმელი.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

ლუქსემბურგი

1	2	3 
4	5	6

1. **ლუქსემბურგი ევროპის ყველაზე პატარა სახელმწიფოა.** მას თურმე ჰერცოგი მართავს. სახელწოდება ლუქსემბურგი გერმანულად პატარა ქალაქს ნიშნავს. სამაგიეროდ, ამ პატარა ქალაქში არის უზარმაზარი ხიდი, რომელიც ზედა და ქვედა ნაწილებს აერთებს ერთმანეთთან. ლუქსემბურგში ჩასულ ბავშვებს ძალიან უყვართ ფოსტის მუზეუმის დათვალიერება, სადაც ძალიან ბევრი საფოსტო მარკა არის დაცული. საინტერესოა იქ დაცული საფოსტო ეტლებიც, რომელთა მეშვეობით 100 წლის წინ ფოსტალიონებს წერილები დაჰქონდათ.

   ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

   ---

2. **ლუქსემბურგის სიმბოლო ფრინველი არის ყვითელთავა ნიბლია (Regulus regulus),** ის ძალიან პატარა ფრინველია, მისი სიმაღლე სულ 9-10 სანტინემეტრია. მას თავზე ყვითელი გვირგვინი ადგავს. ის თურმე მეტისმეტად მოუსვენარია და სულ აქეთ-იქით დაფრინავს. ბინადრობს წიწვოვან ტყეებში. მის ბუდეს მომრგვალებული ფორმა აქვს და ნაძვის ძველი ტოტებისგან არის დამზადებული.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

3. **ოქროს ფრაუ** – ოქროს ქალბატონი ლუქსემბურგის მთავარ ღირსშესანიშნაობად მიიჩნევა. ამ ქალბატონს ხელები მაღლა აქვს აღმართული და ხელში დაფნის გვირგვინი უჭირავს. ის გამოხატავს იმ ლუქსემბურგელთა სიმამაცეს, რომელთაც იბრძოლეს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისთვის.
ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

4. **ვერბი დე დროშა** – ლუქსემბურგის გერბზე გამოსახულია ფარი, ლურჯი ჰორიზონტალური 10 ხაზით. რომელზედაც მოთავსებულია წითელი ლომი, ოქროსფერი ენით. ფარი უკავია ორ ოქროსფერ ლომს. უკან კი სამეფო მანტიაა სამეფო გვირგვინით. დროშას წითელი, თეთრი და ცისფერი ჰორიზონტალური ზოლები აქვს. თუმცა ლუქსემბურგის ბევრ მოქალაქეს სურს, რომ წითელი ლომი მათ დროშაზეც იყოს გამოსახული.
ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერების ნაციონალური მუზეუმი.** ლუქსემბურგში ბავშვების საყვარელი ადგილი სწორედ ეს მუზეუმია, სადაც თქვენი თანატოლებისთვის სამეცნიერო კლუბი არსებობს, რომელსაც „პანდას კლუბი“ ჰქვია. იქ ბავშვები იგებენ საინტერესო ამბებს ბუნების – ცხოველებისა და მცენარეების – შესახებ. კლუბში ბავშვები რგავენ მცენარეებს, ეძებენ ცხოველთა ნაშთებსა და ნაკვალევს, მიკროსკოპით აკვირდებიან მინერალებს, სოკოებს, წყლის წვეთს, ასევე სხვადასხვა სამაგიდე ინტელექტუალურ თამაშობასაც თამაშობენ. მაგალითად, ცხოველების მემოს.
ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

6. **კარტოფილის ორცხობილა (GROMPEREKICHELCHER)** ლუქსემბურგელთა ერთ-ერთი საყვარელი საჭმელი კარტოფილის ორცხობილა გახლავთ. მის დასამზადებლად დაგვჭირდება 15 კარტოფილი, 1 ხახვი, 1 ნიორი, ნახევარი ჭიქა ფქვილი, ცოტა კარაქი, ზეთი, მარილი, ცოტაც ოხრახუში. პირველ რიგში, რეცხავენ და თლიან კარტოფილს, შემდეგ მას ხეხავენ ხახვთან და ნიორთან ერთად. მასვე ურევენ დაჭრილ ოხრახუშს. ცალკე თქვეფენ კვერცხს, უმატებენ ფქვილსა და მარილს. შემდეგ ასხამენ გახეხილ ბოსტნეულში და ურევენ. მიღებული მასისგან აკეთებენ მჭადის მსგავს ორცხობილებს. ტაფაზე დებენ კარაქს და წვავენ.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

საფრანგეთი



1. **პარიზი საფრანგეთის დედაქალაქი და ერთ-ერთი უძველესი ქალაქია.** იგი თითქმის 2000 წლისაა. პარიზში დაუწყია მუშაობა პირველ საზოგადოებრივ ტრანსპორტს. პარიზში ბევრი მუზეუმია, ამიტომ მას ძალიან ბევრი ტურისტი სტუმრობს. პარიზის უძველეს ხიდს თურმე „ახალი ხიდი“ ჰქვია, ვინაიდან აშენების დროს იგი ახალი იყო. პარიზში არის ევროპაში ერთადერთი დისნეილენდი.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

2. **გალის მამალი** – მამალი საფრანგეთის სიმბოლოდ არის მიჩნეული. საფრანგეთის ტერიტორიაზე ადრე გალები ცხოვრობდნენ. ლათინურად კი თურმე გალუს (gallus) – არა მხოლოდ გალს, არამედ მამალსაც ნიშნავს. ერთ-ერთი ფრანგი მეცნიერის აზრით, მამალს გალებს მათი წითური თმის გამო ადარებდნენ (იცით გალები ვინ არიან? ასტერიქსისა და ობელიქსის შესახებ გსმენიათ რაიმე?). მე-17 საუკუნეში ფრანგებმა მამალი მონეტაზე გამოხატეს, იგი ასევე იყო გამოსახული მეომართა ორდენებზე და დღეს ოლიმპიური კომიტეტის სიმბოლოც არის (ოლიმპიური კომიტეტი არის ორგანიზაცია, რომელიც შეჯიბრებებზე წარადგენს საუკეთესო სპორტსმენებს).

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

3. **კრეპი** – მის დასამზადებლად საჭიროა: ნახევარი ლიტრი რძე, 2 ჭიქა ფქვილი, 4 კვერცხი, ცოტა ვანილი, ზეთი, 1 ფორთოხალი, 1 ლიმონი, ნახევარი ჭიქა შაქარი. 1 შეკვრა კარაქი. კრეპის მოსამზადებლად უნდა ავურიოთ ერთად ფქვილი და კვერცხი, დავუმატოთ შაქარი და რძე. ფორთოხლის წვენს დავუმატოთ ცოტა ზეთი, შაქარი და ფორთოხლის გახეხილი კანი. ტაფაში გავათბოთ ფორთოხლის წვენი და გამოვაცხოთ მასში კრეპები.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

4. **დროშა და გერბი** – საფრანგეთის დროშა სამფეროვანია (ლურჯი, თეთრი და წითელი). მის გერბზე კი გამოსახულია ზეთისხილის და მუხის ტოტები. ზეთისხილის ხე – მათი აზრით, მშვიდობის ნიშანია, მუხა კი ხანგრძლივი სიცოცხლისა. გერბზე გამოსახულია აგრეთვე ფარი, რომელსაც პელტას ეძახდნენ და ფასცია – ძალაუფლების სიმბოლო.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

5. **ყველაზე ცნობილი ზღაპრების** – „წითელქუდა“, „ჩექმებიანი კატა“, „ცეროდენა“, „კონკია“ – ავტორი შარლ პეროც პარიზში ყოფილა დაბადებული.
ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

6. **ეიფელის კოშკი** საფრანგეთის ყველაზე ცნობილი სიმბოლოა. მას ასე მისი ამგები ინჟინრის, გუსტავ ეიფელის საპატივსაცემოდ ჰქვია. აგების დროს ეიფელის კოშკი მსოფლიოში ყველაზე მაღალ ნაგებობად ითვლებოდა. თავდაპირველად ეიფელს უფლება ჰქონდა, აგებული კოშკი მხოლოდ 20 წლით მდგარიყო, თუმცა მოგვიანებით კოშკმა სხვა დანიშნულებებიც შეიძინა და ვადის გასვლის შემდეგაც გადაწყდა მისი დატოვება.
ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

იტალია

1	2	3
4	5	6

1. **რომი.** იტალიის დედაქალაქი ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქალაქია მსოფლიოში. ის ჯერ კიდევ რომის იმპერიის დედაქალაქი ყოფილა. თუ გსმენიათ გამოთქმა: „ყველა გზა რომში მიდის?“ აღმოჩნდა, რომ ძველად რომში შესასვლელად ძალიან ბევრი და გრძელი გზა იყო დაგებული. ძველ რომში შექმნილა პირველი სავაჭრო ცენტრი, სადაც, როგორც თანამედროვე სავაჭრო ცენტრებში, ძალიან ბევრი რამ ერთად იყიდებოდა. ძველი რომაული ლეგენდის თანახმად, რომი განადგურებისგან თურმე ბატმა გადაარჩინა. მტრის შემოსევის დროს რომაელები თავს კაპიტოლიუმის ბორცვზე მდებარე ტაძარს აფარებდნენ. როდესაც რომაელებს ეძინათ, ღამე მტრებმა მის კედელზე დაიწყეს აცოცება. შეიარაღებული მეომრები ერთმანეთს მხრებზე ადგებოდნენ და ტაძარში შეღწევას ცდილობდნენ, ვინაიდან იქ დიდძალი სიმდიდრე ეგულებოდათ. ამ დროს ერთ-ერთმა ბატმა, ეტყობა, საფრთხე იგრძნო და ფრთები შეაფრთხიალა. ხმაურზე რომაელს გაეღვიძა, კედელს მიაწყდა და უკვე თითქმის ასულ მეომარს შემთხვევით შეეჯახა. ამის გამო მტრების მთელი „ჯაჭვი“ ძირს ჩაცვივდა და ქალაქიც ასე გადაურჩა დაპყრობას.

   ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

   ---

2. **იტალიის დედაქალაქის, რომის, სიმბოლოდ მიიჩნევა „კაპიტოლიუმის ძუ მგელი“ (LUPA CAPITOLINA),** რომელმაც, ლეგენდის თანახმად, თავისი რძით გამოკვება ქალაქ რომის დამაარსებლები – რომულუსი და რემი. იტალიაში მისი ქანდაკებაც არსებობს, რომელიც ნამდვილი მგლის ზომისაა. ძუ მგელი ჩვილებთან ერთად იყო იტალიაში გამართული ოლიმპიური თამაშების სიმბოლოც.

   ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

   ---

3. **ბრუსკეტა „სომე“ (SOMA D' AJ)** იტალიელი გლეხების საყვარელი საჭმელი გახლდათ რთველის დროს. გაცხელებული პურის ორ ნაჭერს შორის ათავსებდნენ მრგვალად დაჭრილ პომიდორს, რომელსაც ასხამდნენ სულ ცოტა ზეითუნის ზეთს და ამატებდნენ გატარებულ ნიორს.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

4. **დროშა და მერბი.** იტალიის დროშაც სამფეროვანია: მწვანე, თეთრი და წითელი. იტალიის გერბზე გამოსახულია ხუთქიმიანი ვარსკვლავი, მუხისა და ზეთისხილის ტოტები, რომლებიც წითელი ბაფთით არის შეკრული და მასზე არის წარწერა – იტალიის რესპუბლიკა.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

5. **ჩიპოლინოს თავგადასავალი** იტალიელი მწერლის, ჯანი როდარის მიერაა შექმნილი. გახსოვთ ჯანი როდარის სხვა ზღაპრები? რომელი გახსენდებათ? ამ ზღაპრის პერსონაჟები სხვადასხვა ბოსტნეულია. თავად ჩიპოლინო ხახვისთავა ბიჭუნაა, რომელიც ცრემლებამდე მიიყვანს ნებისმიერს, ვინც მას „თმაზე“ მოქაჩავს. ჩიპოლინოს მამას, მოხუც ჩიპოლონეს დააპატიმრებს უფლისწული ლიმონი. ჩიპოლინო მამის გასათავისუფლებად გაემართება და დაიწყებს მოგზაურობას ქვეყანაში, რომელსაც უფლისწული ლიმონი და გრაფინია ალუბლები მართავენ. მოგზაურობისას ჩიპოლინოს მოსდის კონფლიქტი სინიორ პომიდორთან, სამაგიეროდ, იძენს ახალ მეგობრებს, რომლებიც საწადელის ასრულებაში დაეხმარებიან.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

6. **პიზას კოშკი** – მე-12 საუკუნის დასაწყისში იტალიის ქალაქ პიზაში გადაწყვიტეს ღვთისმშობლის ტაძრის და სამრეკლოს აშენება. მართალია, იტალიაში ძალიან ბევრი ლამაზი ტაძარია, მაგრამ პიზას კოშკი იმით არის განთქმული, რომ, ჯერ ერთი, „სასწაულის მოედანზე“ დგას და, მეორე, მშენებლობის პროცესში, როდესაც მესამე სართულს აშენებდნენ, იგი გადაიხარა. სხვა რაღა დარჩენოდათ მშენებლებს, საძირკველი გაამაგრეს და შენება გააგრძელეს. კოშკი დღესაც გადახრილია.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

გერმანია



1. **ბერლინი გერმანიის დედაქალაქია.** იგი ერთ-ერთ მწვანე ქალაქად ითვლება. ქალაქის თითქმის ნახევარი პარკებს, ტყეებსა და ტბებს უკავია. ბერლინში 175 მუზეუმია, ეს იმდენად ბევრია, რომ ტერიტორიას, სადაც მუზეუმები არის თავმოყრილი, მუზეუმების კუნძულს ეძახიან. ბერლინი ორი მდინარის ნაპირთან არის გაშენებული, ამიტომ ქალაქში ძალიან ბევრი, 1 700 ხიდია. თურმე ევროპაში პირველი შუქნიშანი სწორედ ბერლინში ამუშავდა. დღესაც იმ ადგილზე პირველი შუქნიშნის ასლი დგას, მაგრამ, ბუნებრივია, უფრო თანამედროვე სისტემით. ბერლინის სატელევიზიო ანძა კი თურმე ყველაზე მაღალი ნაგებობაა ბერლინში.

   ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

   ---

2. **ბერლინის სიმბოლოდ** ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან შავი დათვი ითვლება. დღეს კი სიმბოლომ ახალი სიცოცხლე შეიძინა. იმართება ფესტივალი, რომლის დროსაც იფინება დათვის ქანდაკებები და სხვადასხვა ქვეყნის მხატვრე-

ბი ამ ქანდაკებებს აფერადებენ ნაციონალური დროშის ფერებში, ასევე ახატავენ იმ ქვეყნისთვის დამახასიათებელ სიმბოლოებს. ფესტივალის ორგანიზატორები თვლიან, რომ დამთვალიერებლები ასე გაეცნობიან სხვადასხვა ქვეყნის კულტურას და უფრო ყურადღებიანები და შემწყნარებლები გახდებიან ერთმანეთის მიმართ.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

3. **გერმანული ვაშლის შტრუდელი** – მის მოსამზადებლად საჭიროა: 1/2 ჭიქა ფქვილი, 2 სუფრის კოვზი შაქარი; ცოტა მარილი, 2 კვერცხი; 1/2 ჭიქა ნაღები, ცოტა ვანილი, 4 ვაშლი, 1 კოვზი შაქარი, ცოტაც დარიჩინი.
   მის მოსამზადებლად ჯერ უნდა დავთალოთ ვაშლი და წვრილად დავჭრათ. ავიღოთ ორი ჯამი. ერთ ჯამში ჩავყაროთ ფქვილი, მარილი და შაქარი. მეორე ჯამში კი – რძე, ნაღები, კვერცხი და ცოტა ვანილი. ავურიოთ და მასში ჩავყაროთ პირველ ჯამში არსებული მასა. ისიც შევურიოთ. უფროსი დახმარებას გაგვიწევს ტაფის გაცხელებაში, მასზე ცოტა კარაქის დადებაში. შემდეგ დაყრის ტაფაზე ვაშლს, მოშუშავს, მოაყრის მას ვანილსა და დარიჩინს. ბოლოს კი დაასხამს ტაფაზე ჯამში არსებულ მასას.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

4. **დროშა და მერბი.** გერმანიის გერბზე გამოსახულია ოქროსფერი ფარი შავი არწივით, რომელსაც წითელი ნისკარტი და წითელი ბრჭყალები აქვს. არწივი ჯერ კიდევ ძველ ადამიანებს სიმამაცის და ენერგიის სიმბოლოდ მიაჩნდათ. გერმანიის დროშა სამფეროვანია. მასზე ჰორიზონტალურადაა განლაგებული შავი, წითელი და ყვითელი ხაზები.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

5. **ბერლინის ზოოპარკი** – ბერლინში ზოოპარკი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია. იქ 1500 სახეობის 13 000 ზე მეტი ცხოველი ჰყავთ. რას არ ნახავთ იქ: დიდ პანდებს, გორილებს, ტროპიკულ ფრინველებს. ზოოპარკის ტერიტორიაზე არის უზარმაზარი აკვარიუმი, რომელშიც სხვადასხვა სახეობის თევზები და ცხოველებია თავმოყრილი, დაწყებული ულამაზესი ტროპიკული თევზებიდან – მოუსვენარი ზვიგენებით დამთავრებული.

ბერლინის ზოოპარკში განსაკუთრებით ზრუნავენ ცხოველებზე და იქაური პავილიონები და ვოლიერები მიმსგავსებულია ცხოველების ბუნებრივ საარსებო გარემოსთან. მაგალითად, პინგვინები და ზღვის ლომები კლდეებიან აუზში ბინადრობენ. ზოოპარკში პატარა ბავშვებს შეუძლიათ ხელით აჭამონ ბეკეკებსა და ციკნებს.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

6. **მსმენიათ ძმები გრიმების შესახებ?** იაკობ და ვილჰელმ გრიმები ცნობილი მეზღაპრეები და ფოლკლორის ნიმუშების შემგროვებლები იყვნენ. ძმებმა მთელი ქვეყანა მოიარეს, გერმანელი ხალხის ზღაპრები შეკრიბეს და გამოსცეს წიგნის სახით – „ძმები გრიმების ზღაპრები“. თქვენთვის ნაცნობი ზღაპრები: „რაპუნცელი“, „ბრემენელი მუსიკოსები“ და „ტკბილი ფაფა“ – სწორედ მათ ეკუთვნით. ასევე ძმები გრიმების კრებულში შესულია ზღაპრები: „კონკია“, „წითელქუდა“ და „მძინარე მზეთუნახავი“, რომლებიც ცნობილ ფრანგ მეზღაპრე შარლ პეროსაც აქვს.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

ნიდერლანდები

1	2	3
4	5	6 

1. **ამსტერდამი ნიდერლანდების (ქვედა მიწა) დედაქალაქია.** ნიდერლანდებს ხშირად მოიხსენიებენ როგორც ჰოლანდიას, მისი ისტორიული რეგიონის, ჰოლანდიის გამო. ამსტერდამში ძალიან საინტერესო მუზეუმებია. განსაკუთრებით საინტერესოა მუზეუმი ცნობილი მხატვრის, ვან გოგისა, რომელიც თქვენთვის ნაცნობი ნატურმორტის, „მზესუმზირების" ავტორია. ამსტერდამში ასევე არის პატარა გოგონას, ანა ფრანკის მუზეუმი, რომელიც ომის დროს წერდა დღიურს ომის სისასტიკის შესახებ. ამსტერდამში ადამიანები თურმე ძირითადად ველოსიპედებით გადაადგილდებიან. იქ შეხვდებით ყვავილების ულამაზეს ბაზრობასაც. ამსტერდამში, ბერლინის მსგავსად, არის ძალზე საინტერესო ზოოპარკი, სადაც 900 სახეობის ცხოველი ბინადრობს. იქ არის აკვარიუმი, პავილიონი ულამაზესი პეპლებით, რეპტილიებით, იქ შეხვდებით პანდებს, ლემურებს, ენოტებს, ლომებსა და ჟირაფებს.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

2. **„კაფე, სადაც მზარეულები ბავშვები არიან"** – ნიდერლანდებში პატარებისთვის საინტერესო ადგილად ბავშვების კაფე ითვლება, სადაც ბავშვებს არგებენ თეთრ ხალათებს, მზარეულის ქუდებს და პიცისა და სხვადასხვანაირი ბუტერბროდების მომზადებას ასწავლიან.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

3. **ბრინჯის ფაფა** – მის მოსამზადებლად საჭიროა: 125 გრამი ბრინჯი, 1 ლიტრი რძე, ცოტა მარილი, ლიმონის ქერქი, შაქარი. მის მოსამზადებლად, პირველ რიგში, რძეს ვასხამთ ქვაბში, ვუმატებთ ცოტა მარილსა და ლიმონის ქერქს. იქვე იყრება კარგად გარეცხილი ბრინჯი, ცოტა შაქარი და დარიჩინი. იხარშება ერთი საათის განმავლობაში.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

4. **ჰოლანდიის დროშა სამფეროვანია.** მაღლა წითელი, შუაში თეთრი და ქვემოთ ლურჯი. ნიდერლანდების გერბი სამეფო გვარის გერბია. ლურჯ ფარზე გამოსახულია ოქროსფერი ლომი, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს ვერცხლისფერი ხმალი, მარცხენაში კი – შვიდი ისარი, რომლებიც ქვეყნის პროვინციებს აღნიშნავს. ფარი ორ ოქროსფერ ლომს უჭირავს, ქვემოთ კი არის წარწერა ფრანგულ ენაზე: „მე მხარს ვუჭერ“.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

5. **ევროპული მაჩვი** თურმე ნიდერლანდებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ცხოველია. მისი თავი თეთრი და შავი ზოლებით არის შეფერილი, აქვს ძალიან მოკლე და ფუმფულა კუდი. შემოდგომაზე თურმე ისე სუქდება, რომ 20 კილოგრამს იწონის. მაჩვი დიდი მონდომებით იმზადებს შემოდგომაზე სოროს, მთელი ზამთარი იქ სძინავს. იკვებება კენკრით, სოკოებით, თხილით, პატარა მწერებითა და კვერცხით.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

---

6. **იიპი დე იანკე** ცნობილი ჰოლანდიელი მეზღაპრის – ანი შმიდტის – გმირები არიან. ეს პერსონაჟები თურმე ძალიან უყვართ ჰოლანდიელ ბავშვებს, ვინაიდან მათი თავგადასავალი ძალიან სასაცილოა.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაცია ----------

გზა ევროპისკენ

მეკვეთილის სცენარი

თემა: გზა ევროპისკენ

მიზანი: ევროკავშირსა საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების დოკუმენტის მიზნების დეტალური აღწერიდან გარკვეული პუნქტების გაცნობა;

იმგვარ კატეგორიებზე, როგორებიც არის: კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება, ფლორისა და ფაუნის შენარჩუნებაზე ზრუნვა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, ბუნებრივი ენერგიის დაზოგვა, საავტორო უფლებებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა – მსჯელობის წახალისება, თანამშრომლობის, ჯგუფში თამაშისას რიგითობის, თამაშის წესების დაცვის უნარების განვითარება.

რესურსი: თვალსაჩინოება „გზა ევროპისკენ“, კამათელის სქემა.

ინსტრუქცია მოსწავლეთათვის

ძვირფასო ბავშვებო, თქვენ უკვე გსმენიათ ევროპული ქვეყნების და მათი ღირსშესანიშნაობების შესახებ. ევროპული კავშირი ერთი დიდი სახლია, სადაც 28 ქვეყანაა გაერთიანებული. იმისთვის, რომ ერთი დიდი სახლის სრულიად განსხვავებულმა სახელმწიფოებმა კარგად იგრძნონ ერთად თავი და ერთმანეთს განვითარებაში დაეხმარონ, მნიშვნელოვანია, რომ ისინი გაერთიანებულნი იყვნენ საერთო მიზნების გარშემო. თანაც, ევროპის კავშირის დევიზი იცით რა არის? „ერთობა განსხვავებულობაშია“.

წარმოიდგინეთ ორკესტრი, რომლის მუსიკოსები სხვადასხვა ინსტუმენტზე უკრავენ და არაჩვეულებრივ ჰარმონიას ქმიან. იცით, რატომ? იმიტომ, რომ მათ საერთო მიზანი აქვთ, რომელიმე ნაწარმოების შესრულება, დარბაზისთვის ნაწარმოების გაცნობა და სიამოვნების მინიჭება.

ჩვენმა ქვეყანამ მოაწერა ხელი შეთანხმებას ევროპის 28 ქვეყანასთან, ვინაიდან ჩვენ და დასახელებულ ქვეყნებს შორის ისტორიულად არსებობდა კავშირები და გვაერთიანებს ბევრი საერთო ღირებულება. ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ და დავიცვათ საკუთარი აზრი, ვიზრუნოთ ერთმანეთის უფლებებზე, ჩვენს ქვეყანაზე და დავიცვათ მისი კანონები.

ერთ დიდ სახლში ცხოვრება ჩვენც ხელს შეგვიწყობს კონფლიქტების მოგვარებაში, სიღარიბის დაძლევაში, ქვეყნის შიგნით უსაფრთხოების დაცვაში, გარემოზე ზრუნვასა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში. იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენს ქვეყანას განვითარებაში, გარკვეული მიზნები უნდა შევასრულოთ.

თამაშში შესაძლებელია მაქსიმუმ 4 მოსწავლის მონაწილეობა. თამაშის პრინციპი შემდეგია: ჯერ პირველი მოთამაშე აგორებს კამათელს. აკეთებს შესაბამის სვლას. შემდეგ მეორე, მესამე და ა.შ.

მუქად შეფერილ ციფრზე მოხვედრისას, თამაშის წესის შესაბამისად, ჩვენ უნდა აღვწეროთ მის თავზე გამოსახული პატარა კომპოზიცია და წავიკით–

ხოთ მისი სათაური, შემდეგ კი ისრის მიმართულებით გადავაადგილდეთ წინ ან უკან.

ინსტრუქცია მასწავლებლისთვის

ჩვენს თამაშში „გზა ევროპისკენ“ ასოცირების ხელშეკრულების მიზნების დეტალური აღწერის რამდენიმე პუნქტს გავეცნობით, რომლებიც გასაგები იქნება უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებისთვის და, ამავდროულად, მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისა და დიდ ევროპულ ოჯახში თანაცხოვრებისთვის.

თამაშის პროცესში, როდესაც მოსწავლე მოხვდება მუქად შეფერილ წრეზე, ის წაიკითხავს სათაურს, აღწერს ნახატს, იმსჯელებს, თუ რას ნიშნავს ეს ნაბიჯი. ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია მოსწავლეებს წავუკითხოთ შესაბამისი ტექსტი და დავუსვათ ქვემოთ მოცემული სადისკუსიო კითხვები.

1. **ნაბიჯი 5** ეხება ცხოვრების ჯანსაღ წესს, ნაბიჯი 10 კი მის საწინააღმდეგო, ჰიპოდინამიკურ წესს ასახავს. მას შემდეგ, რაც მოსწავლე წაიკითხავს სათაურს, თამაშის წესის შესაბამისად, წაიწევს წინ ან დაბრუნდება უკან, ჩვენ ვეუბნებით, რომ, ერთ-ერთი მიზნის თანახმად, მნიშვნელოვანია ზრუნვა ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობაზე.

   რის შემდეგაც ვუსვამთ შეკითხვებს:

   ☆ როგორ ფიქრობთ, რა არის ცხოვრების ჯანსაღი წესი?

   ☆ რატომ არის ღირებული ფიზიკური აქტიურობა? როგორ ფიქრობთ, რატომ მიიწევს წინ ადამიანი, რომელიც ფიზიკური აქტიურობით არის დაკავებული და რატომ ვბრუნდებით უკან – თუ არ მივსდევთ ცხოვრების ჯანსაღ წესს?

   ☆ რა შეგვიძლია მოვიმოქმედოთ იმისთვის, რომ უფრო მეტი ადამიანი მისდევდეს ჩვენ ქვეყანაში ცხოვრების ჯანსაღ წესს?

   შენიშვნა მასწავლებლისთვის: მასწავლებელს შეუძლია გაამრავალფეროვნოს დასმული შეკითხვები და მიწოდებული ინფორმაცია.

2. **ნაბიჯი 12** გამოსახავს ზრუნვას ბუნებრივ გარემოზე, ნაბიჯი 19 კი გამოსახავს – ტყეების ჩეხვის პროცესს. ნაბიჯი 23 გამოსახავს ცხოველების მოფრთხილებას, 26 კი – არასწორ დამოკიდებულებას მათ მიმართ.

სვლის გაკეთების შემდეგ შეიძლება კვლავ წავუკითხოთ ტექსტი და დავუსვათ სადისკუსიო კითხვები.

მაგალითად, რომ ჩვენი მიზანია დავიცვათ ფლორისა და ფაუნის სახეობები გადაშენებისგან; ხელი შევუწყოთ მათ ჰაბიტატებს, განსაკუთრებული დაცვის ბუნებრივი ტერიტორიების აღდგენასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრას ან შემცირებას.

შეკითხვები:

☆ როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ზრუნვა ცხოველთა და მცენარეთა დაცვაზე?

☆ რა საფრთხე შეიძლება გამოიწვიოს ბუნების მოუფრთხილებლობამ?

☆ თუ შეგვიძლია გავაკეთოთ რაიმე ცხოველთა და მცენარეთა დასაცავად?

3. **ნაბიჯი 14** გამოსახავს მოლაპარაკებებსა და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, ნაბიჯი 21 კი – კონფლიქტურ სიტუაციას. აქაც ვუკითხავთ მიზანს და ვუსვამთ მოსწავლეებს შეკითხვებს.

ჩვენი მიზანია: ხელი შევუწყოთ თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას;

შეკითხვები:

☆ როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება მოჰყვეს კონფლიქტს?

☆ რატომ არის მნიშვნელოვანი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება? როგორ ახერხებთ ამას თქვენს კლასში?

4. **ნაბიჯი 44** გამოხატავს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, 40 კი – სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისებას. მას შემდეგ, რაც მოსწავლე გააკეთებს სვლას, კვლავ ვუკითხავთ მიზანს და ვუსვამთ შეკითხვებს.

ჩვენი მიზანია: ინოვაციური და შემოქმედებითი პროდუქტების წარმოებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა მხარეებს შორის და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

შეკითხვები:

☆ როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი სხვის მიერ შექმნილი ნამუშევრის დაცვა? თუ გამოვიყენებთ ვინმეს ნამუშევარს, მაშინ მისი ავტორის მოხსენიება?

☆ რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს, თუ ჩვენ მივისაკუთრებთ სხვის ნაშრომს და ვიტყვით, რომ ის ჩვენია?

5. **ნაბიჯი 28** ასახავს ენერგოეფექტურობასა და ენერგიის დაზოგვას, ნაბიჯი 30 კი – ენერგიის არაეკონომიურ გამოყენებას. მასწავლებელი კვლავ წინა სვლების პრინციპით მოქმედებს.

   აქ შეგვიძლია მოსწავლეებს ვუთხრათ, რომ ჩვენი მიზანია ენერგოეფექტურობისა და ენერგიის დაზოგვის ხელშეწყობა, განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება და ხელშეწყობა.

   შეკითხვები:

   ☆ როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი წყლისა და ენერგიის მოფრთხილება?

   ☆ რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს წყლისა და ენერგიის მოუფრთხილებლობამ?

   ☆ როგორ შეუძლიათ მოსწავლეებს წყლის ან ენერგიის დაზოგვა?

6. **ნაბიჯი 51** ასახავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, 55 კი – მოუფრთხილებლობას. ვესაუბრებით ბავშვებს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მნიშვნელობის შესახებ და ვუსვამთ სადისკუსიო კითხვებს.

   ☆ როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზრუნვა?

   ☆ რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს კულტურული ძეგლების მოუფრთხილებლობამ?

   ☆ რა შეგვიძლია ჩვენ, ბავშვებს, გავაკეთოთ კულტურული მემკვიდრეობის მოსაფრთხილებლად?

თამაშის დასასრულს, შესაძლოა ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რა არის მნიშვნელოვანი ქვეყნის განვითარების ხელშესაწყობად და რის გაკეთება შეგვიძლია ბავშვებსა და უფროსებს ამისათვის.

შენიშვნა მასწავლებელს: ბავშვების ინტერესების და მათგან წამოსული იდეების გათვალისწინებით მასწავლებლებს შეუძლიათ სასწავლო თუ სოციალური პროექტების დაგეგმვა ან განხილული თამაშის მსგავსი თამაშის შექმნა.


კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება
ნაშრომების წარდგენა
კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
საავტორო უფლებების დარღვევა
ცხოველების მოვლა
ენერგიის არაეკონომიური გამოყენება
ენერგიების დაზოგვა
ცხოველების დაცვა
კონფლიქტი
ტყის გაჩეხვა
მოლაპარაკება, კონფლიქტების მშვიდობიით მოგვარება
ხეების დარგვა, მოვლა
უმოძრაო ცხოვრების წესი
სპორტით გატაცება / ფიზიკური აქტივობა

რუსუდან თედორაძე

ბუნებისმეტყველება

სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად უნდა იყოს ჩართული. მართალია, მასწავლებელი მართავს საგაკვეთილო პროცესს, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია, ასევე, რომ მოსწავლეს მიეცეს საშუალება, დამოუკიდებლად დაფიქრდეს და საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, „აღმოაჩინოს“ ახალი ცოდნა.

სამწუხაროდ, პედაგოგების ნაწილი საგაკვეთილო პროცესის წასამართად ჯერ კიდევ მხოლოდ სახელმძღვანელოს იყენებს. არადა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით: **„თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვს. აქ იგულისხმება არა მხოლოდ მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა განათლების მიღების პროცესი, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში ჩართულობაც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლებაგანვითარებასა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, გაკვეთილზე მოსწავლეების დასწრების და აქტიურობის ხელშეწყობა სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია“. (წყარო: 1-6 კლასები. გზამკვლევი მასწავლებლებისათვის. თბილისი, 2011).** ბუნებრივია, ამ მოთხოვნების შესრულებას მასწავლებელი ვერ შეძლებს, თუ მან კარგად არ დაგეგმა საგაკვეთილო პროცესი და არ შეავსო ის სახალისო აქტივობებით. სახელმძღვანელოში მოცემული მწირი ინფორმაციის მხოლოდ დამახსოვრება მოსწავლისათვის იქცევა მოსაწყენ რუტინად, რაც გამოიწვევს სწავლისადმი

ნეგატიურ დამოკიდებულებას და საბოლოოდ საგნის ან საერთოდ სწავლის უგულებელყოფას. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გთავაზობთ ერთი კონკრეტული თემის – „ევროპის კონტინენტი“ – შესწავლის დროს მეთოდის – „სასწავლო გაჩერებები“ – გამოყენებას.

როგორც ვიცით, დიფერენცირებული სასწავლო გარემოს შექმნის ერთ-ერთი ხერხია „სასწავლო გაჩერებები“. სასწავლო გაჩერებებმა შეიძლება დაიკავოს ერთი გაკვეთილი ან გაკვეთილების სერია. ამ ტიპის გაკვეთილის ჩასატარებლად, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ:

- ☆ **მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად;**
- ☆ **თითოეული ჯგუფი იწყებს მუშაობას სხვადასხვა სასწავლო გაჩერებაზე წინასწარ განსაზღვრული დროით;**
- ☆ **თითოეულ გაჩერებაზე მათ ხვდებათ შესასრულებელი დავალება და დეტალური ინსტრუქციები;**
- ☆ **დანიშნული დროის ამოწურვის შემდეგ მოსწავლეები გადადიან შემდეგ გაჩერებაზე;**
- ☆ **ყველა მოსწავლე გადის ყველა გაჩერებას.**

მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი დაასრულებს მუშაობას, მასწავლებელს შეუძლია შეაჯამოს მასალა „გონებრივი იერიშის“ მეთოდის გამოყენებით ან/და შეაფასოს მოსწავლეები ინდივიდუალურად, ე.წ. „გასასვლელი ბილეთების“ საშუალებით.

მაკვეთილის სცენარი

გაკვეთილის თემა – მოგზაურობა ევროპაში

მიზანი: მოსწავლეები მიიღებენ დამატებით ინფორმაციას ევროპის კონტინენტის გეოგრაფიული მდებარეობის, ფლორის და ფაუნის თავისებურებებზე.

1. გამოუმუშავდებათ გეოგრაფიულ რუკებსა და ინფორმაციის სხვა წყაროებზე მუშაობის უნარი.
2. გაეცნობიან მეცნიერებისა და მოგზაურების წვლილს კონტინენტების აღმოჩენასა და შესწავლაში, რაც მათ მისცემს საშუალებას, მოახდინონ სხვადასხვა კონტინენტის ფლორისა და ფაუნის შესახებ ცოდნის სისტემატიზაცია.

3. ცნობისმოყვარეობის, ბუნებისადმი ინტერესის აღძვრა.

საჭირო რესურსი:

ფიზიკური რუკა, გლობუსი; მცენარეთა და ცხოველთა ილუსტრაციები (შესაძლებელია ატლასები), მოგზაურთა ფოტოები, ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაოს ბარათები. პროექტორი და კომპიუტერი.

მასწავლებელმა გაკვეთილის დაწყებამდე წინასწარ უნდა:

1. მოაწყოს მაგიდები ჯგუფური სამუშაოსთვის;
2. დაამზადოს ტრაფარეტები გაჩერებების დასახელებებით და ჯგუფების მოძრაობის მიმართულებების ჩვენებით;
3. შეიმუშაოს შესასრულებელი დავალების ინსტრუქციები;
4. შეიმუშაოს შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები;
5. შეფასების კრიტერიუმები გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას;
6. მაგიდებზე განათავსოს გაჩერებაზე გამოსაყენებელი საჭირო რესურსები.

სწავლების მეთოდები: სასწავლო გაჩერებები.

შეფასება: განმავითარებელი (მეთოდები – დაკვირვება, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები)

მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები: ინდივიდუალური, ჯგუფური.

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი ესალმება კლასს, აცნობს გაკვეთილის თემას და მიზანს, შემდეგ კი ეკითხება მოსწავლეებს: როგორ ფიქრობთ, ჩვენი გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე, რომელი სატრანსპორტო საშუალება უნდა ავირჩიოთ, რომ დროის მცირე მონაკვეთში მოვახერხოთ ევროპის კონტინეტის შემოვლა? მოსწავლეები მსჯელობენ და ასკვნიან, რომ სისწრაფისთვის უმჯობესია თვითმფრინავით მოგზაურობა. ძალიან კარგი, მაგრამ მოგზაურობის დროს რომ შევისწავლოთ ევროპის კონტინენტის ძირითადი მახასიათებლები, გამოვიყენოთ სხვადასხვა გაჩერება, რომლებშიც მივიღებთ ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას და მოგზაურობის ბოლოს შეგვეძლება შევაჯამოთ იქ მიღებული ინფორმაცია.

როგორც ცნობილია, ყველა სამეცნიერო მოგზაურობას წინ უძღვის ექსპედიციის შექმნა. ახლა ჩვენ შევქმნით სამეცნიერო ექსპედიციას ევროპის კონტინენტის გასაცნობად. გთხოვთ, ყუთიდან ამოიღოთ ბარათები და იმის

მიხედვით, ვის რომელი ბარათი შეგხვდებათ, მოთავსდეთ შესაბამის მაგიდასთან, ანუ გაჩერებასთან (ამ დროს მასწავლებელი მაგიდებზე ალაგებს შესაბამის ტრაფარეტებს). თითოეულ გაჩერებაზე თქვენ მხოლოდ 7 წუთს შეჩერდებით და შეასრულებთ დავალებას, რომელიც ამ გაჩერებაზე დაგხვდებათ. შესრულებულ დავალებას ჩადებთ კონვერტში, დააწერთ ჯგუფის წევრების სახელებს და დატოვებთ მაგიდაზე. მას შემდეგ, რაც ამოიწურება ამ გაჩერებაზე ყოფნის დრო, გადახვალთ შემდეგ გაჩერებაზე და იქაც ზუსტად ისევე იქცევით. მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი მოივლის ყველა გაჩერებას, გექნებათ მცირე ჩათვლა გასასვლელი ბარათების სახით, რომლებსაც თქვენ ინდივიდუალურად შეასრულებთ.

იმისათვის, რომ მოგზაურობა წარმატებული გამოგვივიდეს, თქვენ დაგჭირდებათ წინა გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გააქტიურება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ინფორმაციის დამუშავებას, რადგან ის აუცილებლად დაგჭირდებათ ცხრილებისა თუ სქემების შევსების დროს.

მოგზაურობის დაწყებამდე გთხოვთ, შეავსოთ მოკლე კითხვარი (შესასვლელი ბილეთი), რომლის თემა იქნება ყველაზე, ყველაზე, ყველაზე...

1. რამდენი კონტინენტია დედამიწაზე? (ექვსი: ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია, ანტარქტიდა)
2. რომელი კონტინენტია ყველაზე დიდი? (ერთად ევრაზია, ცალკე აზია)
3. რომელი კონტინენტია ყველაზე პატარა? (ავსტრალია)
4. რომელი კონტინენტის ჰავაა ყველაზე ტენიანი? (სამხრეთ ამერიკა)
5. რომელი კონტინენტია ყველაზე ცივი? (ანტრაქტიდა (-89,20 C)

მოსწავლეები ავსებენ ინდივიდუალურად კითხვარს (5 წთ).

კითხვარის შევსების შემდეგ, მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები იწყებენ გაჩერებებზე მუშაობას:

პირველი გაჩერება – გეოგრაფები

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ევროპის კონტინენტს პირობითად ხუთ რეგიონად ყოფენ, ესენია: ჩრდილოეთი ევროპა; სამხრეთი ევროპა, ცენტრალური ევროპა; აღმოსავლეთი ევროპა და დასავლეთი ევროპა.

დავალება: მოცემული ინფორმაციის გამოყენებით, გააფერადეთ კონტურული რუკა

(გამოიყენეთ ფერი პირობით ნიშნად. შეუსაბამეთ თითოეულ რეგიონს შესაბამისი ფერი და გააფერადეთ კონტურული რუკა).

მეორე გაჩერება – მკვლევრები

რუკის ან გლობუსის გამოყენებით, იპოვე ევროპის სახელმწიფოების ქალაქები და შეავსე ცხრილი

ქვეყანა	ქალაქები
გერმანია	ბონი
	მოსკოვი
საფრანგეთი	
	მადრიდი
იტალია	
პოლონეთი	
ბულგარეთი	
	ბრატისლავა
უნგრეთი	
რუმინეთი	
	ანკარა
ჰოლანდია	
დანია	
	ოსლო
შვეიცარია	

მესამე გაჩერება – ანალიტიკოსები

1. დაალაგეთ თანმიმდევრობით ქვეყნები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, უმცირესიდან უდიდესისკენ: 1. გერმანია — 82 მლნ, 2. საფრანგეთი — 64.5 მლნ; 3. პოლონეთი — 39 მლნ. 4. გაერთიანებული სამეფო — 60.5 მლნ, 5. იტალია — 59.5 მლნ, 6. უკრაინა — 48 მლნ. (3;6;5;4;2;1)

1. **დავალება:** ააგეთ სვეტოვანი დიაგრამა მონაცემების გამოყენებით:

მოცემული გაქვთ ევროპის დიდი ტბების დასახელება და მათი სიღრმე.

ონეგის ტბა	120 მ;
ლადოგის ტბა	230 მ;
ვეტერნის ტბა	119 მ;
ვენერნის ტბა	98 მ;
ჟენევის ტბა	310 მ;
ბოდენის ტბა	252 მ.

გაჩერება მეოთხე – ბუნებისმცოდნეები

ევროპაში ძირითადად გავრცელებულია მცენარეთა შემდეგი ტიპები: ტუნდრის, ტაიგის, ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეები, მათთან დაკავშირებული ბუჩქებითა და ბალახეული თანასაზოგადოებით. ევროპის რეგიონების მიხედვით, მცენარეული საფარი სხვადასხვა შედგენილობისაა.

ჩრდილოეთ რეგიონში ჭარბობს ტუნდრის და ტაიგის მცენარეულობა, ხავსები და მღიერები, მცირედაა ბუჩქები და ბალახები. ტაიგის მნიშვნელოვანი შემადგენილი ნაწილია წიწვოვანი მცენარეები – ციმბირის ნაძვი, სოჭი და ლარიქსი. ხოლო დასავლეთით – ევროპული ნაძვი და ჩვეულებრივი ფიჭვი.

დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ნაწილში გავრცელებულია წიფლნარი, რცხილა, ცაცხვი, წაბლნარი. ცხოველებიდან გვხვდება: მელა, ტურა, მგელი.

აღმოსავლეთ ეროპის ნაწილში გვხვდება: მუხა, ცაცხვი, ნეკერჩხალი, იფანი, თელა, თხილი. აღმოსავლეთ ევროპის სტეპისა და ნახევარუდაბნოს ფაუნა მდიდარია მღრღნელებით. არის აგრეთვე კურდღელი, ველის ქრცვინი, მელა, წყალსატევებში – წყლის ვირთაგვა, წავი. მდინარეთა ქვემოწელში მრავლადაა წყლის მოყვარული ფრინველი – იხვი, ჩვამა, ყანჩა და სხვა. დასავლეთ ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში ბინადრობენ მაჩვზღარბა და ტურა; ფრინველებიდან – ბატკანძერი, მთის ჭილყვავი, ცისფერი კაჭკაჭი, ნამგალა, კლდეცოცია და სხვა.

დავალება: გამოიყენე ტექსტში მოცემული ინფორმაცია და შეავსე ცხრილი მოცემული ნიმუშის მსგავსად

ევროპის რეგიონი	მცენარე	ცხოველი	ფრინველი
ჩრდილოეთი ევროპა			
სამხრეთი ევროპა			
დასავლეთი ევროპა	წიფელი	მაჩვზღარბა	ცისფერი კაჭკაჭი
აღმოსავლეთი ევროპა			
ცენტრალური ევროპა			

გაჩერება მეხუთე – მოგზაურები

ქრისტეფორე კოლუმბი – 1492-1498 წწ. ექსპედიციებით აღმოაჩინა კარიბის კუნძულები და სამხრეთ ამერიკის სანაპირო.

აბელ ტასმანი – მე-17 საუკუნეში აღმოაჩინა კუნძული, რომელსაც შემდგომში ეწოდა ტასმანია.

ჯეიმზ კუკი – 1770 წელს აღმოაჩინა ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპირო.

ამერიგო ვესპუჩი – 1500-1502 წლების ექსპედიციის დროს აღმოაჩინა ამაზონის დელტა და ბრაზილიის სანაპირო.

მარკო პოლო – თავისი მოგზაურობის დროს მრავალი გეოგრაფიული ადგილი აღწერა, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ მოწოდებულ კოორდინატებში ბევრი შეცდომა იყო, მას ორი საუკუნის განმავლობაში იყენებდნენ მეზღვაურები. ის პირველი იყო, ვინც მიაღწია ჩინეთამდე.

ვასკო და გამა – პორტუგალიელი მოგზაური, რომელმაც პირველად გაცურა ევროპოდან ინდოეთამდე. ინდოეთში მის მიმართ დიდი პატივისცემა არ გამოუხატავთ, თუმცა პორტუგალიაში გმირად მიიღეს, რადგან ქვეყანამ ამ ახალი გზით სანელებლებით სარფიანად ვაჭრობისა და აღმოსავლეთის მიწების კოლონიზების შესაძლებლობა მიიღო.

დავალება:

წაიკითხეთ ტექსტი და მოძებნეთ შესაბამისობები (შეართეთ ხაზებით)

მარკო პოლო	ინდოეთი
ქრისტეფორე კოლუმბი	ავსტრალიის სანაპირო
აბელ ტასმანი	ჩინეთი
ამერიგო ვესპუჩი	სამხრეთ ამერიკის სანაპირო
ვასკო და გამა	კუნძული ტასმანია
ჯეიმზ კუკი	ბრაზილიის სანაპირო

მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი გაივლის ყველა გაჩერებას, მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს გასასვლელ ბილეთებს და მოსწავლეები ინდივიდუალურად ავსებენ და აბარებენ მასწავლებელს.

შემდეგ გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს განმავითარებელ კომენტარს შესრულებული დავალების შესახებ.

გასასვლელი ბარათი

სახელი ---------- გვარი ----------

1. რომელი კონტინეტია ყველაზე დიდი?
   ა) ევროპა; ბ) ამერიკა; გ) ავსტრალია; დ) აზია;

2. რამდენ რეგიონად იყოფა ევროპის კონტინენტი?
   ა) 3; ბ) 8; გ) 5; დ) 7;

3. რომელია ევროპის ყველაზე ღრმა ტბა?
   ა) ონეგის ტბა; ბ) ლადოგის ტბა; გ) ჟენევის ტბა; დ) ბოდენის ტბა

4. დანიის დედაქალაქია:
   ა) პარიზი; ბ) ოსლო; გ) კოპენჰაგენი; დ) სოფია:

5. რომელმა მოგზაურმა აღმოაჩინა ავსტრალია?
   ა) კოლუმბმა; ბ) ჯეიმზ კუკმა; გ) ვასკო და გამა; დ) მარკო პოლომ

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმი	ასრულებს წარმატებულად	ასრულებს კარგად	საჭიროებს გაუმჯობესებას
ახარისხებს მოპოვებულ ინფორმაციას საჭიროების მიხედვით.			
აგებს გრაფიკს მონაცემებზე დაყრდნობით.			
შეუძლია ტექსტის გაანალიზება და შესაბამისობის დადგენა			
იცავს ჯგუფური მუშაობის წესებს			

ინფორმაცია მასწავლებლისთვის

გაკვეთილის შესავალი (მინი ლექცია)

ევროპის ფართობი, დაახლოებით, 10 მლნ კმ^2-ია, მათ შორის, კუნძულები შეადგენენ 730 ათას კმ^2-ს. ევროპას გარს აკრავს ატლანტის და ჩრდილოეთი ყინულოვანი ოკეანეები და მათი ზღვები. ევროპის სანაპირო ხაზი ერთობ დანაწევრებულია. ნახევარკუნძულების (კოლის, სკანდინავიის, პირინეის, ბალკანეთის) წილად მოდის ევროპის ფართობის ერთი მესამედი. მიუხედავად არცთუ ისე დიდი ფართობისა, ევროპა ბუნების მნიშვნელოვანი თავისებურებებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მრავალფეროვანია არა მარტო ბუნება, არამედ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, სამეურნეო საქმიანობა, მეურნეობის განვითარების ისტორია და მისი დონე, პოლიტიკური რუკა და სხვ. მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული 31 ქვეყნიდან 24 ევროპაშია. იგი საერთაშორისო ტურიზმის მთავარი რეგიონია. ევროპა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა. აქედან გადიოდა უძველესი სავაჭრო გზები. ახალი ქვეყნების აღმოჩენის ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილი ევროპას მიუძღვის.

- **რელიეფი.** საშუალო სიმაღლე 300 მ-ია, მაქსიმალური — 4808 მ (მთა მონბლანი). ჭარბობს დაბლობები, რომელთა შორის აღსანიშნავია — აღმოსავლეთ ევროპის, შუაევროპის, შუადუნაის, ქვემო დუნაის, პარიზის. მთებს უკავია ტერიტორიის 17%. ძირითადი მთიანი მასივებია: ალპები, კარპატები, პირენეები, აპენინები, ურალის მთები, სკანდინავიის მთები, ბალკანეთის მთები. მოქმედი ვულკანებია ისლანდიაში და ხმელთაშუა სანაპირო ზოლში.
- **შიგა წყლები.** ევროპის უდიდესი მდინარეებია: ვოლგა, დნეპრი, დონი, დუნაი, ვისლა, პეჩორა, ჩრდილოეთი დვინა, ოდრა, ელბა, რაინი, ლუარა, რონა, ტახო. დიდი ტბებია: ლადოგის, ონეგის, ჩუდის, ვენერნი, ბალატონი, ჟენევის და სხვა.
- **ბუნებრივი ზონები.** არქტიკის კუნძულებსა და ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის სანაპიროებზე მდებარეობს არქტიკული უდაბნოები და ტუნდრები, მის სამხრეთით — ტყეტუნდრები, შერეული და ფართოფოთლოვანი ტყეები, სტეპები, სუბტროპიკული ტყეები ხმელთაშუაზღვისპირეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთში — ნახევარუდაბნოები.

წყარო:
ttps://saba.com.ge/books/details/2732/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%90

ქართული ენა და ლიტერატურა

ილია და იაკობი — „დაწაფება დასავლეთის განათლებაზედ და მეცნიერებაზედ“

მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში, როცა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ახალი სული შთაებერა, ქართველ მოღვაწეთა ყველაზე პროგრესულმა ნაწილმა ქვეყნის ხსნის იმედად პროფესიონალი მასწავლებელი და კარგად მოწყობილი სკოლა დაინახა. ამის მაგალითად მათ მოწინავე ევროპა მოჰყავდათ. ილია ჭავჭავაძე წერდა: „1870 წელსა, როცა გერმანიამ თავს-ზარი დასცა მინამდე თითქმის უძლეველს საფრანგეთსა.., სთქვეს, რომ გერმანიის სკოლის მასწავლებელმა სძლია საფრანგეთსა და დაამარცხაო. ამითი იმის თქმა უნდათ, რომ უხვად მოფენილმა და კარგად მოწყობილმა სკოლებმა და სწავლა-განათლებამ გერმანიისამ მისცა ერს ის სულიერი და ხორციელი ძალ-ღონე, რომელმაც შემუსრა საფრანგეთიო. მას აქეთ გერმანიამ ახლა სხვა გზაზე იჩინა თავისი ძლევამოსილება და წინსვლა იმავე ღონისძიებით. აქაც, როგორც ეტყობა, მიზეზი ძლევამოსილობისა იგივ სკოლის მასწავლებელია, იგივ სწავლა და განათლება“ (ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, გვ. 218).

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის უკომპრომისო რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ პირდაპირი ასახვა ჰპოვა ზოგადად ქართულ საგანმანათლებლო სისტემაზე და რა გასაკვირია, რომ მასწავლებელსა და სკოლის განახლებაზე ზრუნვა ილია ჭავჭავაძისა და სხვა ცნობილ ქართველ მოღვაწეთა ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად იქცა.

რუსიფიკატორული წნეხის ქვეშ მოქცეული ქართული სკოლის შესახებ იაკობ გოგებაშვილი გულისტკივილით წერდა: „... ჩვენში ეთიკური ცხოვრების არავითარი საყრდენი აღარ არის... სახალხო სკოლა წესიერი აღზრდის ნაცვლად უფრო ამახინჯებს ბავშვებს“ (ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულე-

ბანი, ტ. II, გვ. 229). შედეგად მივიღეთ ის, რომ „ახლანდელი ტიპი განათლებულის ქართველებისა ძალიან მდარე არის. მათ აკლიათ გონებრივი ძალა, ცხოველი ჭკუა, ნამდვილი ცოდნა, მტკიცე ხასიათი, მხნეობა, თაოსნობა და ეხერხებათ მხოლოდ ერთად-ერთი საქმე – კანცელარიაში სამსახური, ოფიციალურ ქაღალდების წერა, მოხელეობა“ (იქვე, გვ. 257). როგორც იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრებიდან იკვეთება, „ნამდვილ ცოდნაში“ იგი გულისხმობს დინამიკურ, ფუნქციურ ცოდნას, რომელიც ამ ცოდნის გამოყენების, რეალიზების საშუალებას იძლევა. საუკუნე-ნახევრის წინ იაკობ გოგებაშვილი სკოლისაგან ითხოვდა იმას, რაც დღეს განცხადებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით (ესგ, 2018-2022, შესავალი, გვ.5). იგი ოცნებობდა და ძალისხმევას არ იშურებდა იმისათვის, რომ სკოლა ბავშვის გონებრივი და ზნეობრივი სრულყოფის ადგილად ქცეულიყო და მას „ახალი ტიპის ქართველები“ აღეზარდა. ეცნობოდა რა ევროპის მოწინავე პედაგოგიურ პრაქტიკას, იაკობ გოგებაშვილი სკოლის მისიად თვლიდა „ოსტატობითა და სიადვილით“ გაემდიდრებინა მოწაფეების გონება „ნამდვილ კონკრეტულისა და ცოცხალის ცოდნით“, ესწავლებინა „ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარება“ (დღევანდელი ტერმინოლოგიით – ბუნების კანონზომიერებათა შეცნობა, გლობალური ცოდნა), აევსო მათი გულები „მაღალის ადამიანური გრძნობებით“, მიენიჭებინა მტკიცე ხასიათი, აღეზარდა მათში თაოსნობა (დღევანდელი ტერმინით – ლიდერობა), საკუთარი თავის რწმენა (თვითეფექტიანობის, თვითაქტუალიზაციის საფუძველი), პასუხისმგებლობა საზოგადოების, ხალხის, ქვეყნის წინაშე. სწორედ ასეთი ახალგაზრდები შეძლებდნენ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებასა და ქვეყნის ცხოვრების გარდაქმნას „ევროპულ ყაიდაზედ“ (იქვე, გვ. 169).

იაკობ გოგებაშვილი საფუძვლიანად ეცნობოდა ევროპული განათლების სისტემას და მიიჩნევდა, რომ ის, ამ მხრივ, პირველი და გამონაკლისი არ იყო. მისი აზრით, ჯერ კიდევ ვახტანგ მეექვსის დროს გამოჩნდა ქართველთა მისწრაფება – „დაწაფება დასავლეთის განათლებაზედ და მეცნიერებაზედ“ (იქვე, ტ.1, გვ. 226). იაკობისათვის ეს იყო ხანა, როცა „ცოტაოდენის ჭუჭრუტანიდგან ჩვენში შემოაშუქა ევროპის ნათელმა“ (იქვე, გვ. 226). ამ „ევროპული ნათელის“ დამკვიდრებისაკენ ისწრაფოდა პროგრესული ქართული საზოგადოება.

საქართველოს სკოლებში მიმდინარე პროცესებს იაკობ გოგებაშვილი ხშირად ადარებს ევროპული განათლების სისტემის გამოცდილებას. მაგალითად, როცა ის თავგამოდებით იცავს პირველ კლასში მშობლიურ ენაზე სწავლის აუცილებლობის იდეას, არგუმენტად მოჰყავს ევროპის ქვეყნები. „თვით იმ ქვეყნებშიაც კი, სადაც ბავშვების დედა-ენა შტოა სახელმწიფოში მიღებული ენისა, ძლიერ წააგავს მას და უადვილებს ბავშვებს მის შეთვისებასა და შესწავლას, – იქაც კი სახელმწიფოში მიღებულ ენას სკოლაში მეორე

წელიწადზედ ადრე არ ასწავლიან და წერა-კითხვას იმ ენაზედ კიდევ უფრო გვიან აწყებინებენ – არა უადრეს მეორე წლის მეორე ნახევრისა, თუმცა-კი ევროპელი ბავშვები ბევრად უფრო გონება გახსნილნი არიან.., ვიდრე ქართველი ბავშვები. ზემოხსენებულს წესზედ მოწყობილია მაგალითად ორ-ენიანი სკოლები ბელგიასა და შლეზვიგში" (იქვე, გვ. 279).

სასწავლო გეგმაში შეტანილ ცვლილებებს იაკობ გოგებაშვილი სწორედ ევროპული განათლების სისტემის „საოცარი მაგალითებით" (იქვე, გვ. 262) ამართლებს. ის დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ევროპული განათლების სისტემაში „სასწავლებელი მისდევდა თავის წმინდა და პირდაპირ დანიშნულებასა – ხალხის გონებრივ და ზნეობრივ ამაღლებას, მასში ცოდნის გავრცელებას იმ გზით, რა გზაც უფრო ბუნებრივი და ადვილი იყო..." (იქვე). სწორედ „ბუნებრიობა" და „სიადვილე" დაუდო უმთავრეს პრინციპებად იაკობ გოგებაშვილმა თავის „დედაენას".

იაკობ გოგებაშვილი ქვეყნის სიღარიბის მიზეზად არაგონივრულად აგებულ განათლების სისტემას მიიჩნევდა. მას ღრმად სწამდა, რომ „უმეცარ კაცს შეუძლიან შიმშილით მოკვდეს თვით უმდიდრეს ბუნებაში", თუ ის ბუნების კანონების ცოდნით არ არის აღჭურვილი და თეორიული სწავლება პრაქტიკულთან არ არის დაკავშირებული. ამის საილუსტრაციოდ მას ინგლისისა და ჰოლანდიის სასოფლო-სამეურნეო სკოლები მოჰყავდა (იქვე, გვ. 299).

იაკობ გოგებაშვილმა იმით მიაღწია პედაგოგიური ცოდნის სრულყოფასა და ამ ცოდნის პრაქტიკაში დანერგვას (დღემდე მისი მეთოდოლოგია შეუცვლელად არის აღიარებული), რომ არასოდეს ყოფილა იზოლაციაში. ის ყოველთვის ემხრობოდა მოწინავე მსოფლიო და ევროპული გამოცდილების გაზიარებას. ეს მას შეცდომების თავიდან აცილების გზად მიაჩნდა: „სამეურნეო სკოლა ჩვენში სრულიად ახალი მოვლენაა და იგი წარმატებით იმოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც განათლებულის ხალხების გამოცდილებით ვისარგებლებთ და თავიდან ავიცილებთ იმ შეცდომებსა, რომელნიც მეურნეობის შეთვისებას აბრკოლებდნენ და აძნელებდნენ თვით ევროპაში." (იქვე, გვ. 300). სწორედ „ევროპის მიერ გამორკვეული აზრი", მისი გამოცდილება ჰქონდა სახელმძღვანელოდ ილია წინამძღვრიშვილს, როცა სამეურნეო სკოლას ხსნიდა.

განსაკუთრებით საინტერესოა იაკობ გოგებაშვილის წერილი „დღევანდელი კვერცხი თუ ხვალინდელი ქათამი?" ქართული ანდაზის ასეთი ინტერპრეტირებით ის ხაზს უსვამს ქართველი კაცის ბუნებას, რომელიც მას ხელს უშლის პერსპექტიულ აზროვნებაში. იაკობი ამ წერილში სვამს რიტორიკულ შეკითხვას: „... განა ქვეყანაზედ ამ ჟამად მოიპოვება სკოლა, რომელსაც შეუძლიან... ღირსეულნი შვილნი აღგვიზარდონ?" და თავადვე უპასუხებს: „დიახ, მოიპოვება. სულ თხუთმეტი წელიწადი არ იქნება, რაც ინგლისმა შექ-

მნა სრულიად ახალი ტიპის სკოლა, რომელშიაც განახორციელა სავსებით ძველ ბერძენთა ნატვრა: საღი სული საღს სხეულშიო. ეს ახალი ტიპის სკოლა საოცარის ოსტატობითა და სიადვილით უმდიდრებს მოწაფეებს გონებას ნამდვილ კონკრეტულისა და ცოცხალის ცოდნით, ასწავლის ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარებას, გულს უვსებს მაღალის ადამიანური გრძნობებით, ანიჭებს მტკიცე ხასიათსა, ზრდის მასში თაოსნობას, უნარსა, თავისის თავისს იმედსა, თავაზიანობას, დარბაისლობას და ამზადებს სულით და ხორცით საღს ადამიანებს, შეუპოვარ მეომართ ბუნებისა და უკეღმართის ცხოვრების წინააღმდეგ." (იქვე, გვ. 258). იაკობმა ამ სკოლის სასწავლო გეგმაც კი მოიძია, რათა ქართულ საგანმანათლებლო რეალობაში დაენერგა.

ქართული სკოლის წინსვლასა და განვითარებაზე, მასწავლებლის როლსა და მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობაზე ბევრს ფიქრობდა ილია ჭავჭავაძეც. იაკობ გოგებაშვილის მსგავსად, ილიაც სერიოზულად სწავლობდა მსოფლიო პედაგოგიკის გამოცდილებას, რათა ქართულ სკოლაში დაენერგა ყოველივე საუკეთესო. ილიასათვის სამაგალითოა ვიტორინო დე ფელტრეს იდეა, რომელიც, თავის მხრივ, სათავეს პლატონის მოძღვრებაში იღებს. იმ აზრით შთაგონებული, რომ „... თავისუფალი არსება თავისუფლად უნდა იზრდებოდეს უტყეპ-უცემლად, ვიტტორინო უძღვებოდა თავის შეგირდების წვრთნას მაგალითითა და ჩაგონებით და... სამუდამოდ და უკუ-დაუბრუნებლად განაძევა თავის სკოლიდამ ხორცთა სასჯელი" (ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, გვ. 220). ილიას სურვილი ასეთი მიდგომის ქართულ სკოლაში დანერგვა იყო.

ილია ჭავჭავაძისათვის მისაღები იყო ისეთი საგანმანათლებლო (ილია იყენებს ტერმინს „საპედაგოგიო") სისტემა, რომელიც ბავშვს მისცემდა საშუალებას სრულად გამოევლინა საკუთარი შესაძლებლობები, სწორედ ამიტომ მიიჩნევდა პაოლო ვერჟირიოს პედაგოგიკურ მოძღვრებას „სასურველ აზრად და ჭეშმარიტებად". იტალიელი პროფესორის ნააზრევში ის მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ოთხ პრინციპს, „ოთხს დედა-აზრსა":

- ☆ პირველი ის, რომ პიროვნების აღზრდისას მაქსიმალურად უნდა გამოვლინდეს მისი შესაძლებლობები – „საგანი აღზრდისა ის არის, რომ თავის რიგსა და წესზედ წარმატებულ იქნას ყოველნი ძალნი და ნიჭნი ადამიანისა, როგორც გონებითნი, ისე ზნეობითნი, როგორც სულიერნი, ისე ხორციელნი";
- ☆ მეორე ის, რომ სწავლება-სწავლის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებანი – „სწავლებაში უნდა სახეში მიღებულ იქმნას არა მარტო ასაკი და წლოვანება მოწაფისა, არამედ მისნი განსაკუთრებულნი ზნენი და თვისებანი";

- ☆ მესამე ის, რომ მოსწავლეზე ყოველგვარ დარიგებაზე დიდ გავლენას მასწავლებლის პირადი და წინაპართა სახელოვანი ცხოვრების მაგალითები ახდენს – „რადგანაც ბავშვის ცოცხალსა, მკვირცხლსა და ადვილად აღმბეჭდავ ბუნებაზედ ცოცხალი მაგალითი უფრო ძლიერ მოქმედობს, ვიდრე მკვდარი წესი და დარიგება, ამიტომაც ყველაზედ უკეთესი ღონე ის არის, რომ მოწაფეს წინ გადაუშალოს ოსტატმა ცხოვრება დიდ-ბუნებოვანთა კაცთა, რომელნიც ასე ბევრნი მოიპოვებიან ძველს დროში“;
- ☆ მეოთხე ის, რომ სწავლა-აღზრდაში უდიდესი როლი ენიჭება თავისუფალ აზროვნებასა და ბუნებისა და საზოგადოების კანონზომიერებების შესწავლას – „სწავლა-ცოდნა და ერთობ განათლება უნდა დაფუძნებული იყოს თავისუფალ მეცნიერებათა შესწავლაზედ. ამ მეცნიერების სათავეში სდგას ფილოსოფია, რომელიც ადამიანს გონებითად თავისუფალს ჰხდის. მას მოსდევს მეცნიერება მჭევრმეტყველება... მერე მოდის ბუნებისმეტყველება, რომელიც გვაგებინებს ჰარმონიას ყოველ მისას, რაც არსებობს... და ბოლოს ისტორია, რომელიც მოგვითხრობს სვლასა და განვითარებას მეცნიერებისას და მრავალს სასარგებლო მაგალითს თვალ-წინ გვიყენებს“ (ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, გვ. 221).

უცნაურია, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი მაშინვე შეამჩნევს ამ იდეების მსგავსებას ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო პრინციპებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან (ესგ, შესავალი, გვ.6). სწორედ ამაზე შეიძლება ითქვას: ყოველი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო.

იაკობ გოგებაშვილს და ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდათ, რომ ქართული სკოლის განახლება მოწინავე გამოცდილების გარეშე შეუძლებელი იყო. რუსული დერუავული პოლიტიკის შედეგად, მათი იდეების განხორციელება დიდ ძალისხმევასთან ერთად, საზოგადოების მზაობასა და მხარდაჭერასაც საჭიროებდა. როგორც ჩანს, მაშინ ქართული საზოგადოება ამ იდეების მნიშვნელობას კარგად ვერ აცნობიერებდა, იქნებ აშინებდა კიდეც, რადგან „შეჩვეული ჭირი ერჩივნათ შეუჩვეველ ლხინს“. რომ არა ეს თითქმის ორსაუკუნოვანი ჭირი, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა ამ იდეების წყალობით ქართული განათლების სისტემა...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იაკობ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, 1990.
2. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, 1987.
3. ეროვნული სასაწავლო გეგმა, 2018-2022, შესავალი, http://ncp.ge/ge/curriculum/general-part/introduction

სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ — მოგზაურის შთაბეჭდილებები თუ ევროპული ცხოვრების წესის პროპაგანდა?

სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ მრავალმხრივ საინტერესო მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. ერთი მხრივ, ის იმ ისტორიული პერიპეტიების არაპირდაპირი ასახვაა, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობეს ცვლილებები საქართველოს პოლიტიკურ და რელიგიურ ორიენტირებში (აშკარად გამოიკვეთა მაჰმადიანური სამყაროს გავლენისაგან თავის დაღწევის რეალური სურვილი – სწრაფვა ევროპისაკენ. კათოლიციზმის აღიარების შესაძლებლობის დაშვებაც ამ სწრაფვის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ). მეორე მხრივ, ეს არის ჟანრობრივი სიახლე ქართულ მწერლობაში, საკმაოდ თამამი და ორიგინალური.

ჩვენ შევეცდებით, ბოლო პერიოდის პუბლიკაციების მიმოხილვისა და თავად სულხან-საბა ორბელიანის ტექსტის დახმარებით, წარმოვადგინოთ იმ ადამიანის ხედვა, რომელმაც თავისი აზროვნებით, მოვლენების წინასწარ განჭვრეტის უნარით გაუსწრო დროს. სულხან-საბამ მთავარი სათქმელი – **საქართველოს ხსნა და განვითარება ევროპასთან ურთიერთობით** – უაღრესად ორიგინალური მანერით, საგნებისა და მოვლენების დეტალური აღწერითა და, ამავდროულად, მოგზაურობის გულუბრყვილო, გულწრფელი შთაბეჭდილებებით გადმოგვცა. თუმცა სწორედ ამ, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო შთაბეჭდილებებში ჩანს ცხადად ავტორისეული პოზიცია, მისი შეფასებითი დამოკიდებულებები.

ზოგადად, საქართველოს ურთიერთობის აღორძინება დასავლეთ ევროპასთან ჯვაროსნულ ომებს უკავშირდება, თუმცა რელიგიურთან ერთად ამ ურთიერთობას პრაქტიკული ინტერესებიც განაპირობებდა. საქართველოზე გადიოდა უმოკლესი სავაჭრო გზა აზიისაკენ. შუა საუკუნეებში ჩვენს ქვეყანაში ხშირად ჩამოდიოდნენ ევროპიდან ვაჭრები, ოსტატები, ხოლო მისიონე-

რების ჩამოსვლა, ამ პერიოდიდან მოყოლებული, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თავის მხრივ, საქართველოდანაც იგზავნებოდა დელეგაციები რომში, საფრანგეთში, გერმანიასა თუ ევროპის სხვა ქვეყნებში. დასავლური „კულტურულ-პოლიტიკური აზრები თანდათან იჭრებოდა ჩვენში“ (გიორგი ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ.: საბჭოთა მწერალი, 1958, გვ. 129). მაჰმადიანური ქვეყნებით გარემოცული და თურქეთ-ირანის მიერ იზოლაციაში მოქცეული საქართველო ცდილობდა დიპლომატიური ფანჯრის გაჭრას დასავლეთ ევროპაში და ამ იზოლაციისაგან თავის დაღწევას. სწორედ ამ მცდელობის გამოხატულებაა სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში.

პერიოდი, როცა სულხან-საბა ევროპაში მიემგზავრება დიპლომატიური მისიით, უმძიმესია საქართველოსთვის. ჩვენ დეტალურად არ შევჩერდებით იმ ისტორიულ რეალიებზე (ამ თემაზე ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების შემთხვევაში, ქართულის მასწავლებელს უცილობლად დასჭირდება პოლიტიკური ბრძოლების ასპარეზად ქცეული ქართლის მოვლენების მიმოხილვა). ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ სპარსეთში, შორეულ ქირმანში, „დიდ პატივში“ მყოფი ვახტანგ მეექვსე მოთქვამდა:

„ღამესა ვარ უნათლოსა, მივემგზავსე მე მასწოსა;
ალსა ვზივარ ცეცხლისასა,სანამ გაქრეს, უნდა მწოსა“...

სწორედ ვახტანგ მეექვსე მოელაპარაკა სპარსეთში მყოფ ფრანგ მისიონერ რიშარს ევროპისაგან დახმარების მიღების შესაძლო გზებზე. სულხან-საბას უპირველესი მიზანი ვახტანგ მეექვსის ფაქტობრივი ტყვეობიდან გამოხსნა და ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება იყო, მაგრამ შემდეგ უფრო შორი მიზნებიც გამოიკვეთა: აღმოსავლური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული იზოლაციისაგან თავის დაღწევა ევროპასთან ურთიერთობის გზით.

„მოგზაურობა ევროპაში“ დღიურების ფორმითაა დაწერილი, რაც ნანახისა და განცდილის სუბიექტური შეფასების უფრო მეტ საშუალებას იძლევა. საბა აღწერს თავის მოგზაურობას საფრანგეთში, იტალიასა და მალტაზე. ჩვენამდე მოაღწია ტექსტის მხოლოდ მეორე ნაწილმა, რომელიც საფრანგეთიდან იტალიაში შესვლით იწყება.

ყველაზე თვალშისაცემი თავისებურება, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის ამ თხზულებას ახასიათებს, არის ის, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს საგნები და მოვლენები აღწერილია არა პოლიტიკოსის, არამედ მოგზაურის თვალთახედვით. საბა არ ფარავს თავის აღფრთოვანებას ნანახით, ყმაწვილური აღტაცებით ათვალიერებს და აღწერს ყველაფერს, რაც გზაში ხვდება და არ იშურებს აღმატებით ეპითეტებს: „უანგარიშო“, „კაცის გუნების მიუწდომელი“, „გასაკვირვალი“, „დაუჯერებელი“. არ ფარავს, რომ ყოველივე ამის შემხედვარე „კაცის გულს ჭირი უკუეყრება“.

შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს: საბა დეტალურად აღწერს პაპთან ვიზიტს, განსაკუთრებით მის ქველმოქმედებას, როცა ის გლახაკებს აპურებს. მწერალს მხედველობიდან არ რჩება ისეთი ნიუანსებიც კი, როგორებიცაა აიაზმანასხურები პურების, შაქრიანი ქადების დარიგება, პაპის მიერ ღვინის საკუთარი ხელით დასხმა: „პურსაც პაპა უჭრიდა, ხორცსაცა იმ ზეითებსა. და ქვეითებსა სხვანი. და ღვინოსაც პაპა მიართმევდა“ (სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით, ტფ.: ფედერაცია, 1940., გვ. 4). ამავდროულად, როგორც ნოდარ ლადარია აღნიშნავს, თხზულებაში იგივე რომის პაპი წარმოდგენილია, როგორც „ზოგადი ფიგურა და არა კონკრეტული პიროვნება – ტექსტში მის სახელსაც მხოლოდ ერთხელ ვპოულობთ, ისიც რომაული ეპიზოდის თითქმის ბოლოში. საქმე ეხება კლიმენტი მეთერთმეტეს, 1700-1721 წწ. – მაგრამ ორბელიანი პაპის შესახებ მხოლოდ იმას მოგვითხრობს, რომ დიდგვაროვანია და მხოლოდ ერთი ძმისწული ქალი ჰყავს, რომელიც ბიძის მიზეზით ვერ ქორწინდება“ (იხ. ნ. ლადარია, ევროპა ქართველის მზერით). მისთვის უფრო მნიშვნელოვანია ჩამოთვლილ პირთა წოდება, ვიდრე კონკრეტული სახელი. რატომ? უნდა ვივარაუდოთ, რომ საბას მხრიდან ასეთი „უყურადღებობა“ კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლის მიმართ არ არის შემთხვევითი. მისთვის მნიშვნელოვანია ღირებულებები, რომლებიც საფუძვლად უდევს პიროვნების ქმედებას, და არა თავად პიროვნება. ის მაგალითად სახავს რომის პაპის ქრისტესმიერ თავმდაბლობას, კაცთმოყვარეობას, უანგარობას. ასევე, დეტალურად აღწერს საბა სული წმიდის მონასტრის წესებს. იქნებ იმიტომ, რომ აქ არსებული საუკეთესო წესების ისევ და ისევ მაგალითად ჩვენება სურს ქართველთათვის: „საღამოს წავედით სულის წმიდის მონასტერში. პაპის სამადლოა. ერთის ეპისკოპოსის ხელთ არის. შიგა დგას. დიდის ფრენჭიფის შვილია მიმიძღვა, დამარონინა. უპატრონო ექვსასი სნეული იწვა კაცი. და იმ კაცების სახლი ზედ გზაზე იყო. ვინც ავი დედაკაცი დაორსულდება შვილს ვერ წაიხდენს... იქ თორმეტი ძიძა იყო. ცამეტს ჩჩვილს ყმაწვილს ზრდიდენ. რომ ყმაწვილი სამის ოთხის კვირისა შეიქნება, გარეთ მისცემენ სხვას ძიძასა. თვეში მარჩილი აქვსთ, და ოთხს წელიწადზე ამათვე მოაბარებს. თუ ქალია, ქალებში გაურევენ, და თუ ვაჟია, ზოგს გარეთ ოსტატს მიაბარებენ, ზოგს იქავ შემოიყუანენ, იქ ზრდიან. ჩემობას შვიდასი ქალი შინ იყო მონასტერში და ორმოცდაათი ვაჟი და ცამეტი ჩჩვილი“ (იქვე, გვ 5). არ დაგვავიწყდეს: ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში გახშირებულია „ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა, მწირისა“ (დავით გურამიშვილი). საბა სამონასტრო ცხოვრების წესის ასეთი დეტალური აღწერით ქმნის ერთგვარ კონტრასტს საქართველოსა და იტალიაში არსებულ ვითარებას შორის და გვიჩვენებს იმ ზნეობრივ ორიენტირებს, რომლებსაც უნდა გაჰყვეს ქართველობა.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი გამოირჩევა ტოპონიმებისა და ისტორიულ პირთა სახელების „გადმოცემის სიზუსტის საკმაოდ დაბალი ხარისხით“ (ნო-

დარ ლადარია), სულხან-საბა ზედმიწევნით დეტალურად აღწერს მალტის კუნძულზე განლაგებულ ციხე-ქალაქს. მკითხველს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს სალ კლდეზე გაშენებული ქალაქი, რომელსაც ორი შესასვლელი აქვს – ერთი ზღვიდან და მეორე ხმელეთიდან. ციხეში შესვლა ჯაჭვებით დაკიდული ხიდებითაა შესაძლებელი, რომელთაც „როსცა უნდა აიღებენ, როცა უნდა გასდებენ." გვირაბები, თხრილები – გარს შემოვლებული, გალავნები, ისე დაქსაქსული ქუჩები, რომ „მშვიდობაში, თუარ იქაური კაცი, ვერას გაიგებს, ძნელად შევა, არამთუ მიმხდომმა კაცმა რა გააწყოს," გათლილი ქვით ნაშენი გალავნები, გალავნებზე – ზარბაზნები, ისე ახლოს განლაგებული, რომ „ორი კაცი შუა თუ გაუარს". საბას არც ის რჩება მხედველობიდან, რომ „ასეთი ჭები მოურთავთ, ერთის წლის წყალი შეინახება." ყველაფერი ეს ქალაქის ხონთქრის თავდასხმისაგან დაცვას ემსახურება. ეს არ არის მხოლოდ მოგზაურის შთაბეჭდილებები. სავარაუდოდ, უფრო სურვილია, რომ მტკიცე გალავნებით შემორტყმული და წყლის მარაგით უზრუნველყოფილი ციხე-ქალაქის მოდელი აჩვენოს თავის თანამემამულეებს.

არც ის არის შემთხვევითი, რომ ნანახით აღძრულ შთაბეჭდილებებს სულხან-საბა ხშირად უკავშირებს საქართველოს, ცდილობს მსგავსების პოვნას. მაგალითად: „მოვედით მონაკო ქალაქსა. ზღვაში ერთი კლდე შესულიყო **თბილისის მეტეხსავითა**"; „რა ალიკორნის საზღვარში შევედით, დავაკება შეიქმნა. **ოდიშის მსგავსი** ადგილი, ტყიანი, ბრტყელი. შორს მაღალი მთები მოჩანდა"; ვალჩიმარაში „სხალნარი **დიდგორი** რომ არის, **ამგვარი** ადგილები იყო"; „ასეთი ღვინო იყო, **ატენურის ღვინის მსგავსი**. სხვაგან არ გვენახა". „ზღვის პირს ერთი კლდეა ვაკე. **უფლის ციხის მსგავსი**, ადვილი საჭრელი".

რა არის ეს? სამშობლოს დიდი ხნით მოშორებული კაცის ნოსტალგია თუ იმის ხაზგასმა, რომ **საქართველო, გეოგრაფიული სიშორის მიუხედავად, ახლოს დგას ევროპასთან**.

ამ ექსკურსით იმის თქმა გვინდა, რომ საბას თხზულება არ არის მხოლოდ მოგზაურული ჟანრის ნაწარმოები. მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, დიპლომატის რამდენიმეგზის ნათქვამი ფრაზა: „ვინც დაიჯერებთ, ეს ჩემი თვალით მინახავს, ვინც არა და თქვენ იცით.. უსაცილოდ დაიჯერეთ, რასაც ვწერ ნაკლებია" – გვაფიქრებინებს, რომ მას ევროპული ცხოვრების წესის, კულტურის, ღირებულებების პროპაგანდის დანიშნულება უფრო აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით, ტფ.: ფედერაცია, 1940.
2. გიორგი ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ.: საბჭოთა მწერალი, 1958.
3. ნოდარ ლადარია, ევროპა ქართველის მზერით, აკადემიური ჟურნალი „ისტორიის რეკონსტრუქციები", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015.
4. მალხაზ ხარბედია, „მოგზაურობა ევროპაში" – ტექსტის არქეოლოგიის მცდელობა, ჟურნალი „არილი", საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, 2017 წ.

ლიტერატურა – ინტერკულტურული დიალოგის საშუალება

გლობალიზაციის პირობებში სკოლის უმთავრესი დანიშნულებაა, ასწავლოს მოზარდს, როგორ შეინარჩუნოს ეროვნული თვითმყოფადობა და, ამასთან, როგორ შეძლოს თანაარსებობა განსხვავებული რელიგიის, კულტურის ადამიანებთან.

ზედმეტია იმის მტკიცება, რა მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურას საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში. მხატვრული ტექსტი, როგორც სიტყვის ხელოვნება, აირეკლავს ცხოვრებას თავისი წინააღმდეგობებითა და სირთულეებით, გამოირჩევა იდეათა, მსოფლმხედველობათა და ესთეტიკურ განცდათა მრავალფეროვნებით; სწორედ ამიტომ მხატვრული ტექსტების გაცნობისას, ლიტერატურის ფენომენის თავისებურებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა წინაშე ბუნებრივად ჩნდება საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობის პერსპექტივა, სამყარო კი მრავალფეროვანია და ამ მრავალფეროვნების შეგრძნებისა და შემეცნების საუკეთესო საშუალება სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ლიტერატურულ ქმნილებათა შესწავლაა.

პიროვნებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესში ლიტერატურის სწავლების მიზანია ისეთი სასწავლო სიტუაციის შექმნა, რომელშიც ინდივიდს საშუალება ექნება, პიროვნული გამოცდილების საფუძველზე გაიაზროს და შეაფასოს მხატვრულ ტექსტებში ასახული სიღრმისეული და ცხოვრებისეული პრობლემები, სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურაში გამოხატული მისწრაფებები, იდეალები, ღირებულებები და ფასეულობები, შეძლოს თანაგანცდა, გააცნობიეროს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა,

როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი, დაინახოს ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირი. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქვემოთ მოცემული გაკვეთილი.

გაკვეთილის სცენარი თემიდან „პარალელები“

გაკვეთილის თემა: მშობლები არიგებენ შვილებს...
კლასი: მერვე

პირობები	გაკვეთილის აღწერა
მიზნები	მოსწავლეები იმსჯელებენ მამებისა და შვილების ურთიერთობის შესახებ. შეადარებენ ქართველი მწერლისა და ინგლისელი მწერლისა და ფილოსოფოსის ღირებულებებს, რომლებსაც ისინი შვილებს აზიარებენ და გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას. სტანდარტის შედეგები: ქართ. VIII. 1. მოსწავლეს შეუძლია კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის მოსმენა და საკუთარი თვალსაზრისის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე. ქართ. VIII. 5. მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს, გააანალიზოს და შეაფასოს ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული), რომლებიც შეიცავენ გარკვეულ თვალსაზრისს ან მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე.
რესურსები	ტექსტები – გრაფ ჩესტერფილდის წერილი ვაჟიშვილისადმი და მიხეილ ჯავახიშვილის წერილი ქალიშვილს.
აქტივობის ფაზები **წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება**	**აქტივობა 1.** მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემას, მიზანს და ეკითხება მათ: ხშირად გარიგებენ თუ არა მშობლები და როგორია თქვენი რეაქცია? ჩვენ მიერ შესწავლილ რომელ ნაწარმოებში შეგვხვდა მშობლების მიერ შვილების დარიგების ეპიზოდი? (სავარაუდოდ, მოსწავლეები გაიხსენებენ აკაკი წერეთლის „ჩემს თავგადასავალს“. მასწავლებლის შეკითხვების საშუალებით მოსწავლეები იხსენებენ, თუ როგორ არიგებდა აკაკის მამა და რას ურჩევდა დედა. დრო – 10 წთ.
გამოწვევის ფაზა	წარმოიდგინეთ, რომ თქვენ თავად ხართ მშობელი, თქვენი შვილი კი თქვენი ასაკისაა. რას ურჩევდით მას? როგორ დაარიგებდით? (მოსწავლეებს მოფიქრებისათვის ეძლევათ 2 წთ. მათ შეუძლიათ მოკლე ჩანიშვნებიც გააკეთონ)

პირობები	გაკვეთილის აღწერა
	რამდენიმე მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ვერსიას. თანაკლასელები აძლევენ უკუკავშირს. დრო 10 წთ.
სიღრმისეული წვდომა **რეფლექსია**	**აქტივობა 2.** მასწავლებელი ტექსტის წაკითხვამდე მიმართავს მოსწავლეებს: მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ზოგიერთ თქვენგანს არ უყვარს მშობლებისგან დარიგების მოსმენა, ისინი მაინც არიგებენ შვილებს. დღეს ჩვენ წავიკითხავთ ორი ადამიანის წერილს შვილებისადმი: ერთი ინგლისელი გრაფია, XVII საუკუნის მწერალი, ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, ინგლისის პარლამენტის ლორდთა პალატის წევრი, მეორე კი – XX საუკუნის ქართველი მწერალი, რომელიც, როგორც მაშინდელი ინტელიგენციის ბევრი სხვა საუკეთესო წარმომადგენელი, 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა. სანამ ტექსტებს წაიკითხავთ, გაეცანით ინსტრუქციას (დაფაზე/სლაიდზე წერია შემდეგი ინსტრუქცია: ყურადღებით წაიკითხეთ ორივე ტექსტი. „+“ დასვი იმ მონაკვეთთან, რომელსაც სავსებით ეთანხმები, „-“ იმასთან, რომელსაც კატეგორიულად არ ეთანხმები, ხოლო „?“ იმ შემთხვევაში, თუ ნაწილობრივ ეთანხმები). (იხ. დანართები N1 და N2) მოსწავლეები ინდივიდუალურად კითხულობენ ტექსტებს და სვამენ შესაბამის ნიშნებს. ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი რამდენიმე მოსწავლეს გამოათქმევინებს აზრს წაკითხულზე (რას ეთანხმებიან სრულად, რას – ნაწილობრივ და ა. შ.) – დრო – 10 წთ.
	აქტივობა 3. მასწავლებელი მოსწავლეთა ჯგუფებს ურიგებს ფურცლებს ვენის დიაგრამით და აძლევს დავალებას: შეადარონ ეს ორი დარიგება ერთმანეთს და შეავსონ დიაგრამა. თან უნდა გამოთქვან საკუთარი დამოკიდებულება, რა მიაჩნიათ ამ განსხვავებისა თუ მსგავსების საფუძვლად და როგორ შეაფასებდნენ ტექსტებს. ერთი ჯგუფი წარმოადგენს ნამუშევარს, დანარჩენები საჭიროების შემთხვევაში ამატებენ საკუთარ იდეებს. – დრო – 10 წთ. მასწავლებელი აფასებს ჯგუფების საქმიანობას დაკვირვებითა და შემდეგ მათი პრეზენტაციის მიხედვით. ურიგებს მოსწავლეებს თვითშეფასების კითხვარებს. დრო – 5 წუთი.
საგაკვეთილო მენეჯმენტი	სოციალური ფორმა: მთელ კლასთან მუშაობა, ინდივიდუალური, მცირე ჯგუფებში მუშაობა.
შეფასება	შეფასდება მოსწავლეების ჩართულობა, ტექსტის გააზრება და ჯგუფების პრეზენტაცია. შეფასების მეთოდი: დაკვირვება ჩანიშვნებით, განმავითარებელი უკუკავშირი.

დანართი N1

შაბათი, 28 ივნისი, 1742 წ.

ჩემო საყვარელო ბიჭო!

ძალიან მახარებს შენი დაპირებები, მათი შესრულება კი, რასაც მოუთმენლად ველი, კიდევ უფრო მეტად გამახარებს. ეჭვგარეშეა, იცი, რომ სიტყვის დარღვევა – უგუნურება, უპატიოსნობა და დანაშაულია. უგუნურება იმიტომ, რომ შემდეგში აღარავინ დაგიჯერებს, უპატიოსნობა და, მაშასადამე, დანაშაულიც იმიტომ, რომ სიმართლე – რელიგიისა და ზნეობის უპირველესი მოთხოვნილებაა და არავინ დაიჯერებს, რომ ის, ვინც ამას პირნათლად არ ასრულებს, შეიძლება სხვა რომელიმე დადებითი თვისების მატარებელი იყოს. ამიტომ საყოველთაო სიძულვილს დაიმსახურებს და ღმერთიცა და კაციც ზურგს შეაქცევს მას. ერთი სიტყვით, იმედი მაქვს სიმართლისა და ღირსების სახელით, ჩემთვის მოცემული პირობისაგან დამოუკიდებლად, მოიქცევი ისე, როგორც შენი სიამაყე და საკუთარი ინტერესები, სახელდობრ კი, ყველაფერში, რასაც ხელს მოჰკიდებ, სხვისი ჯობნის მისწრაფება გიკარნახებს.

შენი ხნის რომ ვიყავი, დიდ სირცხვილად მიმაჩნდა, ვინმეს რომ ჩემზე უკეთ სცოდნოდა გაკვეთილი, ან უფრო ძლიერი ყოფილიყო თამაშის რომელიმე სახეობაში და ვერ მოვისვენებდი მანამ, სანამ მოწინააღმდეგეს უკან არ მოვიტოვებდი. დიდების მოპოვების კეთილშობილური წყურვილით მოსვენებადაკარგულ იულიუს კეისარს არაერთხელ უთქვამს, რომ რომში მეორე კაცად ყოფნას იგი სოფელში პირველობას არჩევდა. ერთხელ ატირდა კიდეც ალექსანდრე დიდის ქანდაკების წინ მარტო იმის გაფიქრებაზე, თუ რამდენად უფრო სახელმოხვეჭილი იყო იგი ოცდაათი წლის ასაკში.

ასეთი გრძნობები ადამიანებს ღირსებას მატებს; ისინი, ვინც ამას მოკლებულნი არიან, უსახელოდ განვლენ თავიანთ წუთისოფელს, და ხალხისაგან აბუჩად აგდებასაც დაიმსახურებენ, მაშინ, როდესაც მას, ვინც ყველას ჯობნის სურვილით იწვის, უნდა სჯეროდეს, რომ ბევრს მაინც გაუსწრებს წინ, ყველას თუ არა. წარმატების მიღწევის უტყუარი ხერხი კი ერთია – მოეკიდო საგანს დაძაბული, გაუნელებელი ყურადღებით. მაშინ იგი ასჯერ ნაკლებ დროს წაიღებს შენგან. წიგნებზე ხანგრძლივი და ჩაკირკიტებული ჯდომა გონებაჩლუნგების ხვედრია. ნიჭიერი კაცი რეგულარული მუშაობითა და სწრაფი ათვისებით ძლევს ყველაფერს; აბა, ახლა დაუფიქრდი, რა უფრო გირჩევნია: იყო მაქსიმალურად ყურადღებიანი და ბეჯითი მეცადინეობით აჯობო ტოლებს, გამოიჩინო თავი და თამაშობისთვისაც მეტი თავისუფალი დრო მოიტოვო, თუ იმუშაო უგულოდ, წინ გაგისწრონ შენზე უმცროსებმა, მასხარად ააგდებინო და გონებაჩლუნგად ჩაათვლევინო თავი ყველას და თანაც სრულიად აღარ დაგრჩეს დრო სათამაშოდ, რადგან, გარწმუნებ, თუ არ ისწავლი, თამაში და გართობაც

არ მოგიწევს. ე. ი. რა გზით შეიძლება სრულყოფის მიღწევა, რომელსაც შენ მპირდები? უპირველესად ყოვლისა, იმით, რომ მოიხადო ვალი ღმერთისა და კაცის წინაშე, – ამის გარეშე, რაც არ უნდა გააკეთო, მნიშვნელობადაკარგულია. შემდეგ – შეიძინო დიდი ცოდნა, რის გარეშეც, რაგინდ წესიერი არ უნდა იყო, არარად ჩაგთვლიან, და ბოლოს, იყო ზედმიწევნით კარგად აღზრდილი, ურომლისოდაც, შენი წესიერებისა და განათლების მიუხედავად, არა მარტო არასასიამოვნო, არამედ აუტანელი კაცი იქნები.

მაშ, გახსოვდეს ეს სამი ამოცანა, და ეცადე მოიპოვო უპირატესობა ერთშიც, მეორეშიც და მესამეშიც. ესაა ყველაფერი, რაც გჭირდება და სასარგებლოა შენთვის სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ. ჩემი სითბო და სინაზეც შენს მიმართ მოიმატებს იმის მიხედვით, თუ როგორ სრულყოფას მიაღწევ ამაში. შენი მამა.

გრაფი ჩესტერფილდი

დანართი N2

მიხეილ ჯავახიშვილი – ჩვენი დროის ათი მცნება
(მწერალმა ეს ათი მცნება თავის ქალიშვილს ალბომში ჩაუწერა)

1. შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი.
2. შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი შენი პირადი მეგობარია.
3. ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი.
4. მიეცი მას წრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს.
5. მაინც მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე. ისე იცხოვრე, ვითომ ამქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი.
6. განაგე თავი შენი და დაუმორჩილე გონებას შენი ჟინი, კერპი გული და ურჩი სურვილები.
7. გზის გაკვალვა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით. ზარმაცობა, ცუღლუტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს ადრე თუ გვიან უეჭველად დაღუპავენ.
8. სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს ყველაფერი დაუჯერე. იმათ შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ. ჯერჯერობით საკუთარ ჭკუას, ჟინს და გულის ზრახვას ნუ აჰყვები.
9. თავმოყვარეობა შეიძინე და შენი თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადაჭარბებ: არ გაამაყდე.
10. ბოლოს და ბოლოს ყოველივეს სჯობია სამი რამ: პირველი – შრომა, მეორე – შრომა და მესამე – ისევ შრომა.

ლევან ახვლედიანი

ისტორია

წინასიტყვაობა

წარმოდგენილი თემა ეხება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს ეპოქას, კერძოდ, XVIII საუკუნის I ნახევარს, როდესაც ქართული პოლიტიკური ელიტისთვის საგარეო ორიენტაციის საკითხი დადგა. ქართველები ხედავდნენ, რომ, საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, ბევრი რამ შესაცვლელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართულ სამეფო სამთავროებს სრული ფიზიკური განადგურება ემუქრებოდათ. ქართული პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა ირან-ოსმალეთის გავლენისაგან თავის დაღწევა და სხვა „მფარველის" ძიება. ასეთად მაშინ ორი ძალა მოიაზრებოდა – რუსეთი და დასავლეთ ევროპა. სწორედ ეს გახდა სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში გამგზავრებისა და იქ ნიადაგის მოსინჯვის მიზეზი. როგორც ცნობილია, მან საფრანგეთის მეფე – ლუი XIV და რომის პაპი მოინახულა. ქართველი დიპლომატის ვიზიტის დაგეგმვასა და განხორციელებაში, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, მონაწილეობას იღებდნენ ის ფრანგი დიპლომატები თუ კომერსანტები, რომლებსაც სულხან-საბასთან ერთად შემუშავებული პროექტის განხორციელებისა სჯეროდათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანებს კარგად ჰქონდათ გააზრებული მათ მიერ შემუშავებული პროექტის სირთულე, ისინი მაინც ოპტიმიზმით უყურებდნენ მის რეალიზებას, თუმცა იმისათვის, რომ წამოწყებული საქმე წარმატებით დასრულებულიყო, საჭირო იყო, სულ მცირე, ვახტანგ VI-ის გამოხსნა სპარსეთის შაჰის „საპატიო ტყვეობიდან" (ვახტანგ VI-ს სპარსეთის შაჰი მაჰამადიანობის მიღებას აიძულებდა, რაზეც

ეს უკანასკნელი არ თანხმდებოდა). სულხან-საბა ფიქრობდა, რომ ლუი XIV და რომის პაპი შეძლებდნენ საკუთარი ავტორიტეტის ხარჯზე ვახტანგის სამშობლოში დაბრუნებას.

როგორც ქვემოთ მოყვანილი წერილებიდან ჩანს, წარმოდგენილი პროექტის მთავარი მიზანი იყო საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა და ინდოეთ-ირან-ოსმალეთ-ევროპის დამაკავშირებელი ახალი გზის ამოქმედება, რაც, როგორც საფრანგეთისთვის, ასევე, საქართველოსთვის მეტად მომგებიანი იქნებოდა.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი რესურსი და აქტივობა განკუთვნილია მე-9, მე-10 და მე-11 კლასებისთვის. ამ რესურსის და თანდართული აქტივობების მიზანია, გამოუმუშაოს მოსწავლეებს ტექსტის გაგების, მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარი.

წარმოდგენილი წერილები პირველად წყაროებს წარმოადგენს და მათი ავტორები, როგორც ზემოთ ვთქვით, ფრანგები არიან. ამიტომ ორჯერ უფრო საინტერესოა მათ მიერ დანახული იმდროინდელი საქართველო და მისი პრობლემები.

წყაროების შემოკლებული ვარიანტი აღებულია წიგნიდან: საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ნაწილი I, თარგმნა და კომენტარი დაურთო ილია ტაბაღუამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1975.

წყარო N1

1714 წლის 15 აპრილი

მემორანდუმი იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეიძლება რომის კათოლიკური სარწმუნოებისა და ვაჭრობის დასამყარებლად საქართველოში და იმ ხალხებთან, რომლებიც მათ მეზობლად არიან; ისევე, როგორც ძალაუფლებისა და საფრანგეთის ვაჭრობის გაძლიერებისათვის ლევანტსა და აღმოსავლეთში, კერძოდ, თურქებთან და სპარსელებთან.
(მემორანდუმის ავტორია მარსელის ვაჭრობისა და გალერების (იალქნიანი გემი) ინტენდანტი პიერ დ'არნუ, რომელსაც წერილის შედგენაში ეხმარებოდა სულხან-საბა ორბელიანი).

როგორც ჩანს, სულხან-საბამ თავისი მოგზაურობა წამოიწყო მხოლოდ საკუთარი გულის წადილით, რომლის ჩანაფიქრსაც შეიძლება საფუძველი

ჩაეყარა თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პროექტისთვის და რომლის მიზანიც იქნებოდა რომის კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება, მეფის (იგულისხმება ლუი XIV) დიდებისა და ძლევამოსილების გაზრდა, უბედურებაში ჩავარდნილი მთავრების დახმარება, ქვეშევრდომთა ვაჭრობის გაძლიერება, ასევე ძირს დაეცა ჰოლანდიელთა ვაჭრობა, რომლის ძლიერებაც ამის (პროექტის) გამო ბევრად შემცირდებოდა, გაეწია მათთვის კონკურენცია ინდოეთში, საიდანაც გამოაქვთ მთელი სიმდიდრე, მოწიწებაში ჰყოლოდა პორტუგალიელები და იძულებულნი ყოფილიყვნენ ინგლისელები შინებოდათ და პატივი ეცათ ჩვენთვის. ასევე ერთგვარ დამოკიდებულებაში გვყოლოდა სპარსელები და თურქები.

ელჩს (სულხან-საბა), როგორც ჩანს, გავლენა აქვს საქართველოში: ხალხში და სამეფო ოჯახზე; ასევე ჩანს, რომ გულით მეტად განწყობილია რომის კათოლიკური სარწმუნოებისადმი იმ იმედით, რათა მასში გააერთიანოს თავისი ქვეყნის ყველა ხალხი, რომლებიც სქიზმატიკოსები არიან. გახდა რა თვითონ 22 წლის წინათ რომაელი კათოლიკე და შემდგომში ბერი, რათა ჰქონოდა საშუალება ემუშავა ამ მიზნისთვის უფრო თავისუფლად.

რაც შეეხება სხვა განზრახვებს, რომლებიც შეიძლება ვიქონიოთ საქართველოს მიმართ, მე მგონია, რომ ელჩს აქვს სხვა წინადადება ვაჭრობის შესახებ, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გატარებულ იქნას საქართველოზე აბრეშუმი, რომელსაც ღებულობენ გილანისა და შემახიის პროვინციებში და რომლებიც თითქმის მისი ერთადერთი მწარმოებელნი არიან სპარსეთში. რათა ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რომ იყო თუ არა ეს წინადადება დასაბუთებული, მე დავავალე მას შეედგინა რუკა, რომელიც მე ამას წინათ გამოვგზავნე. მართლაც ამ რუკიდან გავიგე, რომ შემცირდებოდა სამი მეოთხედით გზა, რომლითაც სომხები იძულებულნი არიან იარონ ხმელეთით, რათა გაიტანონ თავიანთი აბრეშუმი ქარავნებით სპარსეთის ამ ორი პროვინციიდან სმირნამდე, სადაც ის თითქმის მთლიანად იყიდება. ვინაიდან არ შეიძლება არ იკითხოთ, სომხები, რომლებიც მოხერხებული ადამიანები არიან, რატომ არ დადიან ამ გზით, როცა ის მართლაც ყველაზე მოკლეა და ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს. ელჩი ასეთ განმარტებას იძლევა: ისინი ვერ ბედავენ რისკი გაწიონ და გაიარონ ისეთ ქვეყანაზე, როგორც საქართველოა, რომელსაც ისინი არ სთვლიან საიმედოდ, და რომელიც ნამდვილად არ იქნებოდა საიმედო მათთვის; იმიტომ, რომ ამ გზაზე მათ უნდა გაევლოთ ისეთი პროვინციები, რომლის მოსახლეობას სთვლიან არასანდოდ, როგორც, კერძოდ, სამეგრელოს მოსახლობაა და რომელსაც შეუძლიათ ქურდობასაც კი მიმართონ, როცა მათ არაფერი არ აკავებთ, გარდა ამისა, ქარავნებს ძალიან გაუჭირ-

დებოდათ ეშოვათ სურსათ-სანოვაგე და რომ იქ სრულად არ არის ქარვასლები, როგორიც თურქეთშია. მის შედეგად ისინი ამჯობინებენ გამოიყენონ სამ ნახევარი თვე ამ გზის გასავლელად და გადაიხადონ გარდა ამისა 3 ან 4 ბაჟი ან გზის გადასახადი, რომელსაც ისინი სხვანაირად დაზოგავენ, ვიდრე გასწიონ რისკი გაიარონ საქართველოზე. სულხან-საბას სიტყვით, ვახტანგი[1], რომელიც ამჟამად მეფობს, თვითონ წამოიწყებდა ამ ვაჭრობას და ჩაიტანდა აბრეშუმს კონსტანტინოპოლში, თუ იგი შესძლებდა თავის სამფლობელოში დაბრუნებას[2].

...ამ განზრახვით მე მინდოდა გამეგო სპარსელისგან, რომელიც აქ არის და რომელიც ოდესღაც თვითონ ეწეოდა ვაჭრობას და აბრეშუმის გატანას გილიანიდან და შემახიიდან სმირნამდე და კონსტანტინოლამდე. ხომ არ ფიქრობს ის, რომ ადვილი და ხელსაყრელია გატანილ იქნას აბრეშუმი საქართველოს გავლით? ... (საქართველოზე აბრეშუმის გატარებით) მოგება მინიმუმ 50% მეტი იქნება. ახლა გადასახადი ერთ ცენტნერ აბრეშუმზე 44 ან 50 ეკიუა, ხოლო შემახიიდან, რომელიც სპარსეთის ყველაზე დაშორებული პროვინციაა – კონსტატინოპოლამდე (ახალი გზით) დაჯდებოდა მხოლოდ 3 ან 4 ეკიუ, რამდენადაც სრულიად არ იქნებოდა გადასახდელი არც ბაჟი და არც გზის გადასახადი. ამ ახალი გზის გავლას დასჭირდებოდა 25 დღე, ნაცვლად 3-5 თვისა, რადგანაც საზღვაო ტრანსპორტი (იგულისხმება შავი ზღვის გადაცურვა) მეტად მოსახერხებელი რამაა.

...ამ პროექტს შეიძლება წარმატება ჰქონდეს და თუ მოვიპოვებთ ჩვენი მანუფაქტურის სასარგებლოდ გასაოცარ მოგებას, რომელიც შესაძლებელია ჰქონდეს, ალბათ, როგორც 50 პროცენტი მოგებაზე უფრო მეტი, ვიდრე ამჟამად, დავუტოვებთ რა დანარჩენს საქართველოს მეფეს, რათა მას შესაძლებლობა ჰქონდეს პასუხი აგოს აბრეშუმზე კონსტანტინოპოლამდე და გარდა ამისა, ააგოს კოლეჯი თავის სამფლობელოებში. ამის გარდა, აღმოჩნდებოდა, რომ ჰოლანდიელთა ყველა ფაბრიკა ჩავარდებოდა ან ბევრად შემცირდებოდა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა ჩვენს ფაბრიკებს; და ჰოლანდიელები იძულებული იქნებოდნენ მიეღოთ აბრეშუმი ჩვენგან ტრანზიტით მარსელიდან ჰოლანდიაში, რაც მისცემდა ახალ მოგებას მეფის ქვეშევრდომებს; ამრიგად ყოველთვის გახდიდნენ აბრეშუმს უფრო ძვირს, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში მათ მიმართ და მაშასადამე, მუდამ მისცემდნენ უპირატესობას სამეფოს ყველა აბ-

---

1 იგულისხმება ვახტანგ VI

2 1712-1719 წლებში ვახტანგ VI ირანის შაჰის ბრძანებით სპარსეთში იმყოფებოდა. მისგან მაჰმადიანობის მიღებას ითხოვდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ შესძლებდა ქართლში დაბრუნებას. სულხან-საბას ევროპაში ვიზიტის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ვახტანგის ირანელთა „საპატიო“ ტყვეობიდან გამოხსნა იყო.

რეშუმის ფაბრიკას მათ ფაბრიკებთან შედარებით, რასაც შეიძლებოდა კიდევ დამატებოდა ვაჭრობა ცვილით, მატყლით, ტყვიით და ენდროს ძირით, რომელიც იძლევა წითელ ფერს საღებავებში და რომელიც როგორც ამბობენ უხვად მოიპოვება და მეტად გავრცელებულია საქართველოს ბაზარზე.

...ამ პროექტის შედეგად საქართველოს მეფე შეძლებდა გამხდარიყო ცოტა უფრო მეტად მდიდარი, მის ქვეშევრდომებს და მისი მოკავშირეების ქვეშევრდომებს შეიძლებოდა ესწავლათ რაიმე ხელოვნება ან ხელოსნობა, რომელიც მათ აკლიათ, როგორიცაა ზარბაზნების გამოდნობა, გვარჯილის წარმოება, დენთისა და ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება; იციან რა მათ უკვე რკინის დნობა, რომელიც მათ უხვად აქვთ; ასევე გვარჯილაც, რომლის ნახევრად გაწმენდა მათ იციან; რომ მათ შეეძლოთ ამასთანავე ჰყოლოდათ რამდენიმე ინჟინერი; და რომ ამავე დროს მათ შეეძლოთ ისწავლონ სამხედრო დისციპლინა და ის, თუ რანაირად იბრძვიან და იცავენ ადგილებს ევროპაში.

ყოველივე ეს, თავდაპირველად შეიძლება მოგეჩვენოთ ბუნდოვან იდეად, რომელიც გაჭიანურებულიცაა და ძნელიც. .... როგორც თვით ამ ხალხის მიმართ, რომლებიც თავისთავად არ ჩანან უნარიანნი მიიღონ რაიმე გაბედული გადაწყვეტილება, რომელიც იქნებოდა მათი ინტერესების შესაფერისი. ... (ასევე გასათვალისწინებელია) ჩვენსა და მათ შორის არსებული მანძილი და მიწერ-მოწერის სირთულე. ... გარდა ყველა ამ დაბრკოლებისა, ბევრი იქ მცხოვრები ხალხები, როგორებიცაა ჩერქეზები, მეგრელები და გურიაში მაცხოვრებელი ხალხები მისდევენ დასაძრახისს ჩვეულებას, თუმცა ქრისტიანები არიან – ჰყიდიან საკუთარ შვილებს, ...ამცირებენ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას და ამით ისინი, დღითიდღე, სულ უფრო და უფრო ისუსტებენ თავს. ....ბუნებრივია, ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ არ იქნებოდა ძალიან ძნელი ერთდროულად გვესარგებლა ყველა ამ მოსაზრებით ..... და მივიყვანოთ იმ აზრამდე, რომ მისცენ ბავშვები 12 წლის შესრულების შემდეგ [საფრანგეთს], რომლებიც უფრო გათვიცნობიერებულნი იქნებიან და შეეძლებათ მხარი დაუჭირონ თავისი ქვეყნის სარწმუნოებას და დაეხმარონ საკუთარ მოსახლეობას, როდესაც ისინი დაბრუნებიან სამშობლოში. ეს პროექტი არ იქნება უარყოფილი იმ დედებისა და მამების მიერ, რომლებისთვისაც ძნელი არ არის საკუთარ შვილებთან განშორება. ..... ეს აზრი გამოთქმულ იქნა სულხან-საბასთან საუბარში, მან დაგვიდასტურა, რომ დაწყებული ამ ქვეყნის ყველაზე დიდი ბატონიდან დიდი სიამოვნებით გაგზავნიდა ყველა თავის შვილს საფრანგეთში განათლების მისაღებად, რათა შემდგომში დაბრუნდნენ სამშობლოში და გაანათლონ საკუთარი ერი.

...რამდენადაც ასეთ საფუძველზე ვერავინ შეუშლიდა ხელს მის უდიდებულესობას[3] მიეღო ყოველწლიურად თავადაზნაურული წრიდან გამოსული ყველა 15 ან 20 წლის ასაკის ახალგაზრდა, რომლებიც ჩამოვიდოდნენ საფრანგეთში თავისი და თავიანთი მშობლების სურვილით. 16 წლის ასაკში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისინი აღზრდილნი იქნებოდნენ, როგორც ეს შეიძლება მომხდარიყო მათი დაბალი ასაკის მიყოლებით კოლეჯში, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება დაარსებულიყო საქართველოში. ...ამრიგად, ჩავაყენოთ ისინი ისეთ მდგომარეობაში, რომ თვითონ აღეზარდათ სხვები, როცა ისინი საფრანგეთში ყოფნის 12 წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდებოდნენ. ამ დროის განმავლობაში აქ ყოველწლიურად ჩამოვიდოდნენ 15 ან 20 კაცი იმავე ასაკის ისე, რომ 12 წლის შემდეგ საქართველო ყოველწლიურად დაიწყებდა ნაყოფის მიღებას ყველა იმ ახალგაზრდა ნერგიდან, რომელსაც ის მოაშენებდა საფრანგეთში. ამ ადამიანების მეშვეობით (საფრანგეთი) თანმიმდევრობით მიაწვდიდა საქართველოს ოფიცერთა კორპუსს, რომელსაც უნარი ექნებოდა წამოეწყო ნებისმიერი საქმიანობა, რადგანაც ეს ხალხი ბუნებით მამაცია და ყველაფერში ჰგავს ფრანგებს. ..... ეს არაფრად დააწვება საფრანგეთს, პირიქით, ეს იქნება ადამიანური დახმარება და არ დაუჯდება იმაზე ძვირი, ვიდრე სხვა ოფიცრების აღზრდა.

ასევე ხელსაყრელი იქნებოდა გვესარგებლა ამ ქვეყნის ხალხითა და გლეხებით და დაგვექირავებინა იმნაირადვე, როგორც ქირაობენ ჯარისკაცებს ე.ი ნებაყოფლობით და ურთიეთშეთანხმებით. ისინი შესაძლებელია დასაქმებულიყვნენ როგორც ჯარსა და ფლოტში, ასევე კერძო პირებთან.

...კარგი იქნებოდა ხელოსნების პროფესია დაგვენერგა ქართველებში და გამოცდილების მისაღებად ზოგიერთ ჩვენს ფაბრიკაში მიგვეცა სამუშაო, რათა მომავალში საკუთარ ქვეყანას გამოსდგომოდნენ.

წყარო N2

1714 წლის მაისი, საქართველოსა და საფრანგეთს შორის შეთანხმების პროექტი წარმოდგენილი სულხან საბა ორბელიანის სახელით ჟან რიშარის[4] მიერ

მოწყალეო ხელმწიფე!

ბატონი სულხან-საბა ჩამოვიდა საფრანგეთში, რათა თხოვოს მეფეს მისი მფარველობა. მას სრულად არ ჰქონდა არავითარი განზრახვა რაიმე ხელ-

[3] ლუი XIV

[4] კათოლიკე მისიონერი და ფრანგი დიპლომატი ვახტანგ VI

შეკრულების დადებისა და არ მიუღია ზომები ჰქონოდა ამისთვის ვახტანგის[5], საქართველოს მეფის, თავისი დისშვილის ნდობის სიგელი; თუმცა, ის დარწმუნებულია, რომ ყოველივე რასაც ის შესძლებდა გაეკეთებინა თავისი სახელით სიამოვნებით იქნებოდა დადასტურებული პრინცის[6] მიერ, თუმცა, მას მაინც არ უნდა რაიმე ხელშეკრულების დადება დამოუკიდებლად.

და აი, მაინც ის მუხლები, რომელთაც შეიძლება (სავარაუდოდ) დაყრდნობოდა ვახტანგი:

პირველი, რომ ეს პრინცი მისცემს სათანადო სახლს საფრანგეთის კონსულს თავის დედაქალაქში – თბილისში.

მეორე, რომ ის თავისი ხარჯით შეინახავს კონსულს და მისი უდიდებულესობის ყველა ქვეშევრდომს, რომლებიც გაივლიან საქართველოს ან იქ დაჰყოფენ გარკვეულ დროს.

მესამე, რომ ის უზრუნველჰყოფს საქონლის უსაფრთხოებას, რომლებსაც ფრანგები ჩამოიტანენ საფრანგეთიდან და რომელსაც ისინი საქართველოს გავლით სპარსეთში ჩაიტანენ. ასევე, იმ საქონლის უსაფრთხოებას, რომელსაც სპარსეთიდან, საქართველოს გავლით საფრანგეთში გაიტანენ.

მეოთხე, რომ ის წააღებინებდა კიდეც თავის ხარჯზე ყველა საქონელს სპარსეთიდან შავ ზღვამდე და შავი ზღვიდან სპარსეთის საზღვრამდე.

მეხუთე, რომ ის დაუთმობდა ყველა საჭირო საწყობს როგორც სამეგრელოში, ასევე თავის სამფლობელოში.

მეექვსე, რომ ის მისცემდა ფრანგ სოვდაგრებს საშუალებას ეწარმოებინათ ვაჭრობა მეზობელ ჩერქეზებთან და ასევე საშუალებას მისცემდა ეწარმოებინათ ხელსაყრელი ვაჭრობა თავის ქვეშევრდომებთან და მეგრელებთან აბრეშუმით, მატყლით, ცვილით და სხვა საქონლით. გარდა ამისა, სულხან-საბა ირწმუნება, რომ თუ მოინახება რაიმე უფრო ხელსაყრელი ვაჭრობისა და საფრანგეთისთვის, რაც დამოკიდებული იქნება საქართველოს მეფეზე, ის ამას გააკეთებს....

მასწავლებლების საყურადღებოდ: ამ აქტივობის შესაფასებლად მასწავლებელმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუ რამდენ ქულას მიაკუთვნებს თითოეულ შეკითხვას მისი სირთულიდან გამომდინარე. ამავე დროს, პედაგოგის გადასაწყვეტია, თუ რა ხერხით შეაფასებს I და II დავალებებს, რომლებიც ქვემოთაა მოცემული.

---

5 ვახტანგ VI

6 პრინცი – უფლისწული. იგულისხმება ვახტანგი, იმიტომ, რომ ის ამ დროისთვის ირანის მხრიდან ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი ქართლის სრულუფლებიან მმართველად.

შეკითხვები:

1. რა მიზნებს ისახავდა პროექტის განხორციელება, წყაროთა ავტორების აზრით? (დაიმოწმეთ ტექსტი)
2. რატომ მიიჩნევდა პიერ დ'არნუ სულხან-საბას საიმედო ადამიანად? (უპასუხეთ ტექსტზე დაყრდნობით)
3. რატომ თვლის პიერ დ'არნუ ქართველებს სქიზმატიკოსებად?
4. რომელ პროდუქტს თვლიდა სულხან-საბა ვაჭრობისთვის ყველაზე სარფიანად? (უპასუხეთ ტექსტზე დაყრდნობით)
5. რა არის მიზეზი იმისა, რომ გრძელი, შემოვლითი გზით უხდებოდათ აბრეშუმით ვაჭრობა? (უპასუხეთ ტექსტებზე დაყრდნობით)
6. გარდა აბრეშუმისა, რა პროდუქტის გატანას ვარაუდობდნენ წერილების ავტორები საქართველოდან?
7. დაასახელეთ მინიმუმ ოთხი პოზიტიური ფაქტორი, რაც საქართველოს ექნებოდა ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში? (უპასუხეთ ტექსტზე დაყრდნობით)
8. დაასახელეთ მინიმუმ ოთხი პოზიტიური ფაქტორი, რაც ექნებოდა საფრანგეთს ამ პროექტის განხორცილების შემთხვევაში. (უპასუხეთ ტექსტზე დაყრდნობით)
9. იმსჯელეთ, რამდენად შეეძლო განეხორციელებინა ქართლის მეფეს ეს პროექტი? ხომ არ ექნებოდა რაიმე ხელშემშლელი გარემოება და თუ ასეთი რამ იქნებოდა, როგორ შეეძლო მას ამ პრობლემის/პრობლემების გადაწყვეტა?

I დავალება: კონტურულ რუკაზე შემოავლეთ საზღვრები და გააფერადეთ ის ქვეყნები და ის ზღვები, რომლებიც პროექტის მიხედვით ვაჭრობაში იქნებოდნენ ჩაბმულნი. დაიტანეთ ის სავაჭრო მარშრუტი, რომელზეც პროექტის მიხედვით უნდა გაევლო ახალ სავაჭრო გზას. გაითვალისწინეთ, რომ საფრანგეთის მთავარი საზღვაო პორტი ხმელთაშუა ზღვაზე არის ქალაქი მარსელი.

მასწავლებლების საყურადღებოდ: მოსწავლეებმა უნდა გააფერადონ საფრანგეთი, ხმელთაშუა ზღვა, შავი ზღვა, მაშინდელი ოსმალეთის იმპერია, ამიერკავკასიის სახელმწიფოები, ირანი და ინდოეთი, კონტურულ რუკაზე მოსწავლეებმა უნდა დაიტანონ მარშრუტი, რომელიც იწყება მარსელიდან (საფრანგეთიდან), გაივლის ხმელთაშუა ზღვას, შევა დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების გავლით შავ ზღვაში, შემდეგ მიაღწევს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს, ხოლო აქედან ხმელეთით გადაივლის საქართველოს ტერიტორიას და გავა ირანში, ხოლო ირანიდან გადავა ინდოეთში.

II **დავალება:** როგორ ფიქრობთ, რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს ევროპას საქართველოსგან და საქართველოს ევროპისგან დღეს ან მომავალში. იმსჯელეთ, რამდენად შესაძლებელია ამ თვალსაზრისით პარალელის გავლება XVIII საუკუნის I ნახევარში არსებულ სიტუაციასა და დღევანდელობას შორის. მონახეთ მსგავსება და განსხვავება.

მასწავლებლების საყურადღებოდ: ამ პრობლემის გადასაჭრელად შესაძლებელია კლასში გავმართოთ დისკუსია, გონებრივი იერიში ან მოსწავლეებს დავაწერინოთ თხზულება. ყურადღება შეიძლება გამხვილდეს ეკონომიკაზე, კომუნიკაციაზე, განათლებასა და კულტურაზე, უსაფრთხოებაზე.

I რუკა – http://s4.thingpic.com/images/gB/77mYLEGWJDAdwCbcp3Q86uai.gif
II რუკა – https://cdn.thinglink.me/api/image/563393374392942592/1240/10/scaletowidth
III რუკა – http://ukrmap.su/images/g7a/Maps/c_23.jpg

ნინო ვვარამაძე

სამოქალაქო განათლება

მოსწავლის პიროვნული განვითარების გარკვეულ ეტაპზე მწვავედ დგება მისი მომავალი საქმიანობის განსაზღვრის საკითხი. მომავლის არჩევაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. საკუთარი ინტერესების, ნიჭისა და მიდრეკილებების გარდა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს პერსპექტივა, რომელსაც ქმნის საზოგადოება და გარემო.

ბოლო წლების მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა – ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა და მრავალმხრივი მუშაობა ამ შეთანხმების პირობების შესასრულებლად – ახალგაზრდებს სერიოზულ პერსპექტივას ჰპირდება. სწორედ ამ პერსპექტივის კუთხით შეიძლება გავაცნოთ მოსწავლეებს ასოცირების შეთანხმების არსი.

გაკვეთილი „ასოცირების შესახებ შეთანხმება – პერსპექტივა ახალგაზრდებისთვის“ გათვალისწინებულია მე-10 კლასის მოსწავლეებისათვის.

ეროვნული სასწავლო გეგმა/სამოქალაქო განათლება

მოქ. X. 4. მოსწავლეს შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი მომავალი საქმიანობის გეგმა

გაკვეთილის სცენარი

გაკვეთილის თემა: ასოცირების შესახებ შეთანხმება – პერსპექტივა ახალგაზრდებისთვის.

მიზანი: მოსწავლეთა მიერ იმ პერსპექტივების გააზრება, რომელთაც უსახავს ახალგაზრდებს ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევრო-

კავშირს, ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის.

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემას.

მასწავლებელი სვამს კითხვას:

– რა გსმენიათ ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე?

შესაძლებელია, რომ მოსწავლეებმა არაფერი იცოდნენ ან პასუხებს შორის იყოს ისეთი, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის შესახებ გავრცელებულ მცდარ შეხედულებებს, ე.წ. მითებს. მოსწავლეები შეთანხმების გაცნობის შემდეგ პასუხებს ან თავად გასცემენ, ან მასწავლებელი განუმარტავს მათ.

პასუხების მიღების შემდეგ მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ბოლო წლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა იყო ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა. ეს არის ხელშეკრულება ევროკავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობაზე თანასწორობის საფუძველზე.

გავეცნოთ ამ ხელშეკრულების შინაარსს და ვნახოთ, შეუძლია თუ არა მას ახალგაზრდების მომავალზე გავლენის მოხდენა.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ ყველა ის კომპონენტი, რომლისგანაც, მათი აზრით, შედგება მათი მომავალი. ეს შეიძლება იყოს მათი კონკრეტული სამომავლო გეგმა, პროფესიის არჩევა ან, ზოგადად, როგორ ესახებათ ცხოვრება მომავალში, როგორი იქნება გარემო, სად იცხოვრებს და ა.შ.

მასწავლებელი წერს დაფაზე პასუხებს, რომლებიც, სავარაუდოდ, სხვადასხვა შინაარსის იქნება:

☆ ვაპირებ გავაგრძელო სწავლა უმაღლეს სასწავლებელში;
☆ ხელს მივყოფ სოფლის მეურნეობას;
☆ მინდა გავხდე ბიზნესმენი,
☆ შევქმნი ოჯახს;
☆ გავიკეთებ სპორტულ კარიერას;
☆ გავხდები მუსიკოსი;
☆ გავხდები პოლიტიკოსი;
☆ არ ვიცი, არ მიფიქრია მომავალზე.

და ა.შ.

პირობითად, მასწავლებელი ამ ჩამონათვალს „სამომავლო მიზნებს“ უწოდებს.

მასწავლებელი ატარებს მუშაობას ჯგუფებში. კლასი იყოფა 5 ჯგუფად. მასწავლებელი ურიგებს ჯგუფებს 2-2 მოკლე ადაპტირებულ ტექსტს, სთხოვს, გაეცნონ მათ და გასცენ პასუხი კითხვებზე.

დავალება 1

ქვემოთ მოცემულია ასოცირების შეთანხმების ფრაგმენტების ადაპტირებული ვარიანტი. წაიკითხეთ, მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რას ეხება ესა თუ ის ფრაგმენტი, აუხსენით კლასს მისი შინაარსი, გაეცით პასუხი მოცემულ კითხვებზე.

შემდეგ ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას და კლასთან ერთად განიხილავენ ამა თუ იმ საკითხის გავლენას ახალგაზრდების მომავალზე. მოსწავლეების მიერ შედგენილი ჩამონათვალი შესაძლოა გაიზარდოს პრეზენტაციების გაკეთების დროს ან შემდეგ.

ჯგუფებისთვის დარიგებული მასალა (დანართი) ეხება:

- ☆ თანამშრომლობას განათლების სფეროში და ბოლონიის პროცესს;
- ☆ თანამშრომლობას ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის დასამკვიდრებლად და კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად;
- ☆ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნას;
- ☆ ეკონომიკის განვითარებას;
- ☆ სოფლის მეურნეობის განვითარებას;
- ☆ მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრას;
- ☆ ვიზალიბერალიზაციას;
- ☆ გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას;
- ☆ კონტაქტების გაძლიერებას მეცნიერებისა და კულტურის სფეროში;

პრეზენტაციის დროს, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს მოსწავლეთათვის ზოგიერთი საკითხის განმარტება.

მაწავლებელი დაფაზე ასახავს ასოცირების შეთანხმების საკითხების კავშირს მოსწავლეთა მიერ ჩამოთვლილ მომავალი ცხოვრების კომპონენტებთან. შესაძლებელია ცხრილის ან ისრების გამოყენება. ქვემოთ გთავაზობთ მოსწავლეთა პასუხების დაფაზე ასახვის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს:

ვაპირებ გავაგრძელო სწავლა
უმაღლეს სასწავლებელში

- → განათლება
- → გარემოს დაცვა
- → ადამიანის უფლებების დაცვა
- → კანონის უზენაესობა
- → მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრა.

ხელს მივყოფ

სოფლის მეურნეობას

- სოფლის მეურნეობის განვითარება
- განათლება (არაფორმალური)
- გარემოს დაცვა
- კანონის უზენაესობა
- ადამიანის უფლებების დაცვა
- მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და კონფ-ლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრა.

მინდა გავხდე

ბიზნესმენი

- ეკონომიკა
- სავაჭრო სივრცე
- ადამიანის უფლებების დაცვა
- გარემოს დაცვა
- მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და კონფ-ლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრას.

შევქმნი ოჯახს

- გარემოს დაცვა
- განათლება
- ეკონომიკა
- კულტურული კონტაქტები
- კანონის უზენაესობა
- ადამიანის უფლებების დაცვა
- მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და კონფ-ლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრა.

გავიკეთებ სპორტულ

კარიერას

- გარემოს დაცვა
- კანონის უზენაესობა
- ადამიანის უფლებების დაცვა
- მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და კონფ-ლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრა.

გავხდები მუსიკოსი
- განათლება
- თანამშრომლობა კულტურის სფეროში
- ადამიანის უფლებების დაცვა

კანონის უზენაესობა
- ვიზალიბერალიზაცია
- გარემოს დაცვა
- მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და კონფ-ლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრა.

გავხდები პოლიტიკოსი
- განათლება
- თანამშრომლობა კანონმდებლობის
- დახვეწის სფეროში
- კანონის უზენაესობა
- ადამიანის უფლებების დაცვა
- გარემოს დაცვა
- მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და კონფ-ლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრა.

არ ვიცი, არ მიფიქრია მომავალზე
- ადამიანის უფლებების დაცვა
- გარემოს დაცვა
- კანონის უზენაესობა
- ეკონომიკის განვითარება
- მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და კონფ-ლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრა.

ბოლოს მოსწავლეები აკეთებენ დასკვნას არსებული პერსპექტივების შე-სახებ.

თუ მოსწავლეებმა დასვეს კითხვა ასოცირების შეთანხმებასთან დაკავში-რებით საზოგადოებაში არსებული გავრცელებული არასწორი შეხედულებე-ბის შესახებ, მასწავლებელს შეუძლია პასუხის გასაცემად გამოიყენოს მასალა:

http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/mythbuster_2_2014_ka.pdf

დავალება 2

ინდივიდუალურად აირჩიეთ თქვენი „სამომავლო მიზანი“. გააანალიზეთ მისი შესაბამისი ერთ-ერთი საკითხი (გათვალისწინებული ასოცირების შეთანხმებით – ადამიანის უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა, კანონის უზენაესობა და ა.შ). რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს საქართველოში? მოიყვანეთ მაგალითი.

დასასრულს მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს დღევანდელ საქართველოში საკვლევი თემების სავარაუდო ჩამონათვალი;

- ☆ მომხმარებლის უფლებები;
- ☆ მოხუცებულთა მდგომარეობა;
- ☆ სოციალური დაცვა;
- ☆ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა;
- ☆ დასაქმების პრობლემა;
- ☆ გარემოს დაცვის მდგომარეობა;
- ☆ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ☆ იმპორტ-ექსპორტის ბალანსი და ეკონომიკის მდგომარეობა.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, მოსწავლეებს შეუძლიათ წარადგინონ საპროექტო ინიციატივა.

დანართი

1. ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა.

ასოცირების შეთანხმების მიზანი საქართველოს და ევროკავშირს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაა. ამ ურთიერთობების ქვაკუთხედს წარმოადგენს ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამშრომლობის ნებისმიერ სფეროში, პირველ რიგში, გათვალისწინებული იქნება ადამიანის უფლებები და კანონთან შესაბამისობა.

შეთანხმების თანახმად, მხარეები ვალდებულებას იღებენ, შემდგომში გააძლიერონ ადამიანის უფლებების, დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობის, მედიის თავისუფლებისა და კარგი მმართველობის პატივისცე-

მა; შეთანხმებით გათვალისწინებულია იმ პირების უფლებების პატივისცემაც, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს.

მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ კანონის უზენაესობა, განახორციელონ კარგი მმართველობა, ებრძოლონ კორუფციას[1] და სხვადასხვა ფორმის ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულსა და ტერორიზმს, იბრძოლონ მასობრივი განადგურების იარაღის და მისი მიწოდების საშუალებების გავრცელების წინააღმდეგ. ეს ვალდებულებები წარმოადგენს მხარეებს შორის ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარების ძირითად ფაქტორს და ხელს უწყობს მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში.

☆ ადამიანის რომელი ძირითადი უფლებები გახსენდებათ?
☆ რომელი უფლებების დაცვა წაადგება მომავალი მიზნების განხორციელებას?
☆ რა გარანტიებს გაძლევთ კანონის უზენაესობა?

2. განათლება და ტრენინგები

ასოცირების შეთანხმების თანახმად, მხარეები ითანამშრომლებენ განათლების სფეროში. ამ თანამშრომლობის შედეგად მოხდება ქვეყნის განათლების სისტემის დაახლოება ევროკავშირის განათლების სისტემასთან, პრაქტიკასთან. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება უმაღლეს განათლებაზე. მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას, წაახალისონ განათლების სფეროში თანამშრომლობა.

მხარეები თანხმდებიან ახალგაზრდობის სფეროში თანამშრომლობაზე, რათა:

☆ განვითარდეს ახალგაზრდა დასაქმებულთა არაფორმალური განათლების სფერო.
☆ ხელი შეეწყოს ახალგაზრდა დასაქმებულების სხვა ქვეყნებში წასვლას, გამოცდილების შეძენა-გაზიარების ან მუშაობის მიზნით. ეს ხელს შეუწყობს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა დაახლოებას.

---

[1] საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება პირადი ან ჯგუფური გამორჩენის მიზნით. მისი ტიპური გამოვლინებებია მექრთამეობა, საჯარო საკუთრების არადანიშნულებისამებრ გამოყენება კერძო ინტერესებისათვის, ინტერესთა კონფლიქტი და ა.შ.

მხარეები თანხმდებიან ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობაზე.

ბოლონიის პროცესი

1999 წლის 19 ივნისს იტალიის ერთ-ერთ უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქ ბოლონიაში ევროპის 29 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრმა ხელი მოაწერა ბოლონიის დეკლარაციას. ამით შესაბამისმა სახელმწიფოებმა გამოხატეს საერთო მზადყოფნა მონაწილეობა მიეღოთ უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებაში. ამ ერთიანი სივრცის ჩამოყალიბების პროცესს ჰქვია ბოლონიის პროცესი. ეს გულისხმობს მსგავსი სტრუქტურის უმაღლესი განათლების სისტემის შექმნას ამ სახელმწიფოებში (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), საერთო მიდგომის განხორციელებას სწავლებისადმი. საერთო სივრცის შექმნა შესაძლებლობას მისცემს ახალგაზრდებს ისწავლონ მათთვის სასურველ უნივერსიტეტში.

ამჟამად, ბოლონიის პროცესში ჩართულია ევროპის 47 ქვეყანა. საქართველო აღნიშნულ პროცესს შეუერთდა 2005 წელს.

დამატებითი ინფორმაცია

უნივერსიტეტი — უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაწესებულება, სადაც კურსდამთავრებულებს აკადემიური ხარისხი ენიჭებათ. საფუძვლად უდევს ლათინური სიტყვა *universitas*, რაც *კორპორაციას* ნიშნავს (ვინაიდან თავდაპირველად შუა საუკუნეებში უნივერსიტეტები მხოლოდ მეცნიერ-მასწავლებელთა გაერთიანება იყო).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მსოფლიოში მესამე საუკუნიდან არსებობდა, მაგრამ უნივერსიტეტის აღნიშნულ განმარტებას დაარსებისთანავე სასწავლებლები მეთერთმეტე საუკუნიდან აკმაყოფილებდა. ამიტომ ბოლონიის უნივერსიტეტი ევროპის უძველეს უნივერსიტეტად ითვლება. ის დაარსდა 1088 წელს.

როგორ გესმით:

- ☆ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა.
- ☆ განსხვავება განათლებასა და ტრენინგს შორის.
- ☆ არაფორმალური განათლება.

3. გარემოს დაცვა

ასოცირების შეთანხმების თანახმად, მხარეები ვალდებულებას იღებენ, დაიცვან გარემო და შეამსუბუქონ კლიმატის ცვლილების პროცესი.

ითანამშრომლონ საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფისათვის გარემოს დაცვის მიმართულებით. გაუმჯობესონ თანამშრომლობა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების მიზნით. დაიცვან გარემო ქიმიკატების ზედმეტი მოხმარებისგან.

გაითვალისწინონ გარემოს დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობა ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის და სხვა მიმართულებებით თანამშრომლობისას.

ახსენით ბოლო წინადადება.

4. ეკონომიკა

ასოცირების მიზანია

- ☆ ხელი შეუწყოს ევროკავშირსა და საქართველოს შორის პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას;
- ☆ მხარი დაუჭიროს საქართველოს მისი ეკონომიკის განვითარებაში საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით. დაეხმაროს საქართველოს მისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით;
- ☆ საქართველოს და ევროკავშირს შეექმნათ პირობები პროდუქციის ერთურთის ბაზარზე გასატანად.

შეთანხმებით გათვალისწინებულია თანამშრომლობა ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც, სხვათა შორის, ითვალისწინებს კონტრაბანდისა და საქონლით უკანონო ვაჭრობის, უკანონო ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის, საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების თანხების გაფლანგვის წინააღმდეგ ბრძოლას.

უპასუხეთ:

- ☆ რას ეხება მოცემული ტექსტი?
- ☆ რას ნიშნავს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან?
- ☆ როგორ ეხმარება ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ეკონომიკის განვითარებას?

5. თავისუფალი ვაჭრობის სივრცე

შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნა.

ეს ნიშნავს საკანონმდებლო ცვლილებებს ვაჭრობის სფეროში, საბაჟო გადასახადების გაუქმებას ამ სივრცის შიგნით, ევროკავშირის შიდა ბაზართან საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას.

ევროკავშირი გააუქმებს ყველა საიმპორტო მოსაკრებელს ქართულ იმპორტზე იმ დღიდან, როდესაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ძალაში შევა. ამ გადაწყვეტილების წყალობით საქართველოს ექსპორტი დაუყოვნებელ სარგებელს მიიღებს.

ასევე დაუყოვნებელი სარგებელი შეიძლება მიიღონ კომპანიებმაც ევროკავშირში ან საქართველოში დაფუძნების უფრო მარტივი პირობების შემოღების წყალობით. ეს გაზრდის ინვესტიციებს და შექმნის სამუშაო ადგილებს საქართველოში.

კომპანიები შეძლებენ მომსახურების უფრო ფართო მასშტაბით გაწევას, ვიდრე ადრე, რაც ასევე გააფართოებს მათ საქმიანობას და შექმნის სამუშაო ადგილებს.

საქართველოს რჩება თავისუფალი არჩევანი - მიიღოს სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

უპასუხეთ:

☆ რას ნიშნავს საიმპორტო მოსაკრებელი ქართულ იმპორტზე;

☆ კომპანიის დაფუძნების დაფუძნების უფრო მარტივი პირობების შემოღება.

6. უვიზო მიმოსვლა

ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დროთა განმავლობაში ეტაპობრივად დამყარდება უვიზო რეჟიმი. ორფაზიანი „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ პირველი ეტაპი უკვე განხორციელდა, რომელიც გულისხმობს საქართველოს მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას (გარკვეული პირობების დაცვით) შენგენის[2] ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას.

[2] შენგენის ზონაში შედის ევროპის 26 სახელმწიფო, რომლებმაც 1985 წელს სოფელ შენგენში (ლუქსემბურგი) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. შენგენის ზონა შეიქმნა საერთაშორისო სამოგზაურო ზონად, რომლის გარე საზღვრები მკაცრად კონტროლდება, ხოლო შიგნით საპასპორტო შემოწმება არ ხორციელდება.

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის დღევანდელ პირობებში საქართველოს მოქალაქეებს ვიზის გარეშე შეუძლიათ გაემგზავრონ მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტით ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში;

მოკლე ვადაში იგულისხმება ჯამში 90 დღე 180 დღის განმავლობაში.

უპასუხეთ;

- ☆ რა მიზნით შეიძლება გამოიყენოს საქართველოს მოქალაქემ უვიზო რეჟიმის აღნიშნული პირობები?
- ☆ რა უნდა იყოს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ეტაპი?

7. კონფლიქტები

ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, განვითარდება და გაღრმავდება პოლიტიკური დიალოგი ბევრ სხვადასხვა სფეროში, საგარეო და უსაფრთხოების საკითხებისა და შიდასახელმწიფოებრივი რეფორმის ჩათვლით.

მხარეები გააძლიერებენ პრაქტიკულ თანამშრომლობას კონფლიქტის თავიდან აცილების და კრიზისის მართვის კუთხით, განსაკუთრებით ევროკავშირის სამოქალაქო და სამხედრო კრიზისის მართვის ოპერაციებში, ასევე შესაბამის სწავლებებსა და წვრთვნებში.

მხარეები ადასტურებენ მათ ვალდებულებას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის. პატივს სცემენ საქართველოს სუვერენიტეტს და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს. ასევე აღიარებენ კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციისა და შერიგებისადმი მიმართული ძალისხმევის აუცილებლობას.

მხარეები თანხმდებიან ხელი შეუწყონ კონფლიქტებთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებას .

უპასუხეთ:

- ☆ კონკრეტულად რომელი კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება იგულისხმება.
- ☆ როგორ გესმით პატივს სცემენ „საქართველოს სუვერენიტეტს და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს“.

8. სოფლის მეურნეობის განვითარება

შეთანხმების თანახმად, მხარეები ითანამშრომლებენ სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კანონმდებლობის სრულ-

ყოფაზე; სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა შორის ინფორმაციის გავრცელებაზე და ფერმერთა მომსახურების ცენტრების განვითარების ხელშეწყობაზე.

შეთანხმება გულისხმობს ფერმერთა დახმარებას, რათა მათ შეძლონ თანამედროვე მიღწევების გამოყენება, უსაფრთხო და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროდუქტის წარმოება.

საქართველოს სოფლის მეურნეობას უზარმაზარი პოტენციალი აქვს, მაგრამ საჭიროა მისი მოდერნიზება. საჭიროა მისი უფრო ეფექტიანად წარმოება, მას ესაჭიროება ინვესტიციები და სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანების მეტი პროფესიონალიზმი და თანამედროვე უნარები. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ხელს შეუწყობს ამ მიზნების მიღწევას.

უპასუხეთ:

☆ რა კავშირშია სოფლის მეურნეობა თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან?

☆ როგორ გესმით „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროდუქტი“?

9. მეცნიერება და კულტურა

მხარეები იღებენ ვალდებულებას, გააძლიერონ ხალხთაშორისი კონტაქტები, მათ შორის, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ, ბიზნესის, ახალგაზრდობის, განათლებისა და კულტურის სფეროებში თანამშრომლობისა და გაცვლების გზით.

გათვალისწინებულია სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში (ვაჭრობა, ეკონომიკა, გარემოს დაცვა, ენერგეტიკა).

მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას სამოქალაქო სამეცნიერო კვლევების სფეროში.

მეცნიერებს ექნებათ საშუალება იმუშაონ სხვადასხვა კვლევით ცენტრში, ჩაატარონ ერთობლივი კვლევები.

მხარეები ითანამშრომლებენ კულტურის განვითარების მიმართულებით, კულტურული მრავალფეროვნების და იდენტობის დაცვისა და ხელშეწყობის პირობებში. ხელი შეეწყობა კულტურის მოღვაწეთა გაცვლას.

მხარეები ითვალისწინებენ კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას მათ მიერ გაწეული მუშაობის ყველა მიმართულებაში.

უპასუხეთ:

☆ რას ნიშნავს კულტურული მრავალფეროვნების და იდენტობის დაცვა?

☆ რას ნიშნავს ბოლო წინადადება?

უცხოური ენები

ხათუნა მჭედლიშვილი

გერმანული ენა

მუსიკა ჩვენი ცხოვრების თანამდევი ნაწილია, ის ყველგან გვესმის: ტელევიზიაში, რადიოში, რესტორნებში, ტელეფონში, გზაშიც კი. მუსიკა, მოზარდთა და ახალგაზრდების ერთ-ერთ საყვარელ საქმიანობას წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, უდავოდ მნიშვნელოვანი სამოტივაციო საშუალებაა გაკვეთილზე/გაკვეთილისთვის. სიმღერები გვაწვდის როგორც აქტუალურ, ასევე, ისტორიულ ინფორმაციას ქვეყნისა და მოქალაქეების შესახებ და, ამასთანავე, გამოხატავენ ისეთ ემოციებს, როგორებიცაა სიყვარული, სიძულვილი, შიში და ა.შ. თავის მხრივ, ისინი აღძრავენ მოსწავლეებში განსაკუთრებულ გრძნობებს, ამიტომაც რეკომენდებულია მათი გამოყენება აქტიურ და მოსწავლეზე ორიენტირებულ გაკვეთილზე. სიმღერები ხელს უწყობს სწავლას სხვადასხვა გრძნობის ორგანოს გავლით/ჩართვით, რასაც, თავის მხრივ, სიტყვების, გამონათქვამებისა და ფრაზების უკეთ დამახსოვრებისკენ მივყავართ. სიმღერები ავთენტურ, მრავალფეროვან მასალას წარმოადგენს და, მიუხედავად ზოგ შემთხვევაში საკმაოდ რთული ტექსტისა, კარგი საშუალებაა მოსწავლეებისათვის, გამოიყენონ ენა ბუნებრივ რეჟიმში და იქცნენ „ნამდვილ“ მკითხველებად და მსმენელებად. სიმღერებით შესაძლებელია ყველა მოსწავლის დაინტერესება, სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და იმ უფსკრულის გადალახვა, რომელიც არსებობს მოსწავლეებში აზრის გამოხატვის სურვილსა და მათ ენობრივ შესაძლებლობებს შორის.

ქვემოთ გთავაზობთ გერმანული ენის გაკვეთილზე ევროპის თემატიკაზე შექმნილი სიმღერების გამოყენების რამდენიმე მაგალითს, კერძოდ, გაკვეთილების სცენარებს.

სცენარი 1.

სიმღერისათვის Lied für Europa (სიმღერა ევროპისთვის) სხვადასხვა ენობრივი დონისთვის.
საერთო ევროპული სარეკომენდაციო დონე B1

პირველ ეტაპზე მოსწავლეები წერენ ბარათებზე ასოციაციებს თემაზე – „რა არის ჩემთვის ევროპა“ და აკრავენ დაფაზე (დანართი 1), მოკლე განხილვის შემდეგ კი უპასუხებენ შეკითხვას: რა სურთ ბავშვებსა და მოზარდებს? ამ მეორე შეკითხვაზე სამუშაოდ გთავაზობთ შემდეგ მეთოდს: კლასი იყოფა ჯგუფებად, თითო ჯგუფში 4 მოსწავლეა. ქვემოთ მოცემული დანართი 2 იდება მაგიდის შუაგულში, მოსწავლეები 3-5 წუთის განმავლობაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წერენ კვადრატის გარე, მათთან ახლოს მდებარე გრაფაში თავიანთ იდეებს. მოცემული დროის გასვლის შემდგომ უზიარებენ ერთმანეთს აზრებს, ხოლო ყველასთვის მისაღებ და ერთნაირ სურვილებს აგროვებენ სამუშაო ფურცლის შუაში არსებულ კვადრატში. დასასრულს ჯგუფის შედეგებს შეაგროვებენ დაფაზე, შესაბამის ადგილას, შეკითხვის – was wollen Kinder und Jugendliche auf der ganzen Welt? (რა სურთ ბავშვებსა და მოზარდებს მთელ მსოფლიოში?) – ქვეშ. იდენტური სიტყვები გაიცხრილება და საბოლოო ჯამში მიიღება სურვილების ჩამონათვალი.

შემდგომ ეტაპზე მოსწავლეები უსმენენ სიმღერას Lied für Europa (სიმღერა ევროპისთვის) და ინიშნავენ, თუ მათ მიერ მოგროვილი რომელი ასოციაციები (დანართი 1) და რომელი სურვილები (დანართი 2) მეორდება და რომლები გვხვდება მხოლოდ სიმღერაში, შედეგები განიხილება ფორუმში.

მასწავლებელი სვამს შეკითხვას: რატომ არის სიმღერის ნაწილი ინგლისურად?

დასასრულს მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეაგროვონ ის ღირებულებები, ისტორიული მოვლენები.., რომლებიც საქართველოსა და ევროპას აერთიანებს (დანართი 3).

მოცემულ დონეზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ივარჯიშონ თავიანთი აზრის წერილობით ჩამოყალიბებაში, რაც ნებისმიერი ენის გამოცდის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. სასურველია, ენის სწავლების ამ ეტაპზე ყურადღება მიექცეს თხზულების სტრუქტურულად გამართვასაც, მოცემულ თემატიკასთან დაკავშირდებით შესაძლოა, საშინაო დავალებად მიეცეს (დანართი 4) თხზულება (დავალებაში გათვალისწინებულია თხზულების სტრუქტურული თავისებურებაც):

სიმღერის ლინკი: https://www.youtube.com/watch?v=W2cEXZNYY78

ᲓᲔᲜᲐᲠᲘᲗᲘ 1

WAS IST EUROPA FÜR MICH?

Gerechtigkeit



ᲓᲔᲜᲐᲠᲘᲗᲘ 2.



ᲓᲔᲜᲐᲠᲘᲗᲘ 3.

WAS HAT EUER LAND MIT EUROPA GEMEINSAM?



დანართი 4

☆ Schreib einen Aufsatz, indem du folgende Fragen beantwortest:
Warum ist Europa attraktiv für mich und für das ganze Land? Warum sind wir interessant für Europa?

☆ Denk auch an passende Einleitung und passenden Schlusssatz.

სცენარი 2.

სიმღერა ევროპისთვის.

საერთო ევროპული სარეკომენდაციო დონე A1-A2.

მასწავლებელი განმარტავს მოცემული სიტყვების მნიშვნელობას. ანაწილებს ბარათებს მასზე დაწერილი სიტყვებით ისე, რომ ორ მოსწავლეს ერთი სიტყვა შეხვდეს. მოწაფეები დგებიან წრეში, უსმენენ სიმღერას და „საკუთარი“ სიტყვის გაგონებისთანავე ცვლიან ადგილს იმავე სიტყვის მქონე მოწაფესთან.

სიმღერის დასრულებისას, მოსწავლეები ახარისხებენ მოცემულ ცნებებს დაფაზე ან კედელზე გაკრული ფრაზების – Was ist Europa? და Was wollen Kinder? – ქვეშ და განხილვის შემდეგ ამატებენ თავიანთ იდეებს.

დასასრულს მასწავლებელი სვამს შეკითხვას, თუ რატომ არის სიმღერის ნაწილი ინგლისურად?

ბარათები 22-მოსწავლიანი კლასისთვის (11 ბარათი, 2 მოსწავლე იღებს ერთ ბარათს):

FRIEDENSTIFTERIN	LERNEN
FRIEDEN	TANZEN
SICHERHEIT	SINGEN
FREIHEIT	OHNE HUNGER
GERECHTIGKEIT	OHNE ANGST
SPIELEN	

სცენარი 3

რეპი – დედაქალაქები/ევროპა

ლინკი : Rapucation- Hauptstädte/Europa

საერთო ევროპული სარეკომენდაციო დონე A2/B1

პედაგოგი მოსწავლეებს ასმენინებს ევროპის ჰიმნს და სთხოვს მათ, დაასახელონ სიმღერის სათაური (საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი ეხმარება სწორი პასუხის მოძებნაში, მაგ., აჩვენებს ევროპის დროშას).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ ევროპის ქვეყნები და სთავაზობს მოუსმინონ სიმღერას, რომლის თემა სწორედ ევროპის ქვეყნები და მათთან დაკავშირებული ინფორმაციაა.

მოსწავლეები უსმენენ სიმღერას და ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამის გრაფაში (დანართში ინიშნავენ იმ ქვეყნების სახელებს, რომლებიც ტექსტში მოისმინეს, შემდეგ გვერდით გრაფაში წერენ ქვეყნების შესაბამის დედაქალაქებს, ისმენენ სიმღერას კიდევ ერთხელ და ადარებენ თავიანთ ჩანაწერებს. მესამე (საჭიროების შემთხვევაში, მეოთხე) მოსმენისას მოსწავლეები ბოლო გრაფაში აგროვებენ სიმღერაში გაგონილი ქალაქების/ქვეყნების შესაბამის ინფორმაციებს.

შემდგომ ეტაპზე მასწავლებელი სვამს შეკითხვას, თუ რომელი ქვეყნის შესახებ არ ყოფილა ინფორმაცია (über welches Land gab es im Lied keine Information?). მოსწავლეები დგებიან 2 მწკრივად დაფის წინ და ორ-ორი მოწაფე, თითო მწკრივიდან თითო, წერს ერთ ქვეყანას. პროცესი რაც შეიძლება სწრაფი უნდა იყოს და რომელი მწკრივიც უფრო მეტ და სწორად დაწერილ ქალაქის სახელს მოაგროვებს, ის არის გამარჯვებული.

დასასრულს პედაგოგი სთხოვს მოსწავლეებს, საკლასო ან საშინაო დავალებად შეარჩიონ დაფაზე ჩამოწერილ ქალაქთაგან ერთ-ერთი, მოიპოვონ მასთან დაკავშირებული რაიმე სახის ინფორმაცია და წარადგინონ კლასის წინაშე.

დავალება 5

1. Rapucation-Hauptstädte/Europa
2. Hört nun das Lied, welche Länder hört ihr?
3. Schreibt zu den Ländern die Hauptstädte, hört dann das Lied,vergleicht und ergänzt die Liste.
4. Hört das Lied noch einmal und ergänzt die Informationen zu den Ländern.
5. Nicht zu allen Ländern gibt es Informationen, entscheidet euch zu zweit/zu dritt für ein Land und ergänzt die fehlenden Informationen (Flagge/Sehenswürdigkeit/Einwohnerzahl ...). Macht anschließend ein Plakat.

LÄNDER	HAUPTSTÄDTE	WEITERE INFORMATIONEN

სცენარი 4

პატარა ევროპელები

Kleine Europaer

ლინკი: kleine Europaer

საერთო ევროპული სარეკომენდაციო დონე A1/A2

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სურათს, რომელზეც გამოსახულნი არიან ბავშვები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან (ქვეყნისთვის ტიპური სამოსით) და სვამს შეკითხვას, თუ რომელი ქვეყნებიდან არიან ბავშვები და რომელ კონტინენტს მიეკუთვნებიან ისინი?

პედაგოგი თითოეულ მოსწავლეს ან მოსწავლეთა წყვილს ურიგებს თითო სტრიქონს სიმღერიდან, მოსწავლეები უსმენენ სიმღერას „kleine Europear“ („პატარა ევროპელები“) და თავიანთი ნაწილის გაგონებისთანავე მაღლა წევენ ბარათს.

კლასი რომელიმე ხერხით (შემთხვევითობის პრინციპით, თემატურად – ქვეყნების მიხედვით, სურვილით და ა.შ.) იყოფა ჯგუფებად. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოინიშნონ, თუ როგორ არის დახასიათებული სიმღერაში ევროპა და პატარა ევროპელები. მოსწავლეები კიდევ ერთხელ უსმენენ სიმღერას, ჯერ ინდივიდუალურად ასრულებენ დავალებას, შემდეგ უზიარებენ ჯგუფის წევრებს და საერთო პროდუქტს განიხილავენ ფორუმში.

მესამე მოსმენამდე მასწავლებელი თითოეულ ჯგუფში, მაგიდაზე, შლის სტროფებად დაჭრილ სიმღერას, მოსწავლეები სიმღერის თანხლებით მოძრაობენ წრეზე და შესაბამისი ფრაზის/ტექსტის გაგონებისთანავე ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად სტაცონ ხელი შესატყვის სტროფს. გამარჯვებულია ის, ვისაც ყველაზე მეტი სტროფი აქვს მოგროვებული.

შემდგომ ეტაპზე მოსწავლეები მათთვის მისაღები თანმიმდევრობით ალაგებენ ტექსტს, კიდევ ერთხელ უსმენენ სიმღერას და ადარებენ/ასწორებენ.

დასასრულს ერთად მღერიან სიმღერას. ტექსტის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა მისი გადანაწილება ისე, რომ თითოეულ ბავშვს (ან წყვილს) თავისი ნაწილი ჰქონდეს და შემდეგ ჯერზე (მაგ., შემდეგ გაკვეთილზე) გაცვალონ როლები.

https://www.youtube.com/watch?v=fEd2ndo-z1M

სცენარი 5

პედაგოგი მოსწავლეებს აჩვენებს ევროპის დროშას და სთხოვს მოსწავლეებს, გამოიცნონ, თუ რომელი ქვეყნის დროშაა.

პედაგოგი მოსწავლეებს ურიგებს ე.წ. Suchsel-ს („მაძებარა“), რომელშიც მათ უნდა იპოვონ და ამოიწერონ 10 ქვეყანა (დანართი 6). მასწავლებელს მომზადებული აქვს ბარათები, თითო ბარათზე თითო ქვეყანაა დაწერილი და მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ მუშაობას, აკრავს კედელზე, მოსწავლეები ადარებენ თავიანთ შედეგებს.

მოსწავლეები უყურებენ მოკლემეტრაჟიან სასწავლო ფილმს Europa – wo wir leben (ევროპა – სადაც ჩვენ ვცხოვრობთ) და ინიშნავენ იმ ქალაქებს, რომლებიც ფილმშიც იყო ნახსენები და მათაც აქვთ მონიშნული.

მოსწავლეები კიდევ ერთხელ უყურებენ ფილმს და ავსებენ ცხრილს, რომელშიც შეაქვთ საკვანძო დეტალები ფილმიდან (დანართი 7).

მასწავლებელი ხაზს უსვამს, რომ ფილმში არ არის ყველა ქვეყანა განხილული და მოსწავლეებს საშინაო დავალება აძლევს, აირჩიონ რომელიმე ქვეყანა და უკვე არსებული ცხრილის საშუალებით მოიძიონ მასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

დანართი 6

☆ Lest die Fragen.
☆ Schaut euch den Film an
☆ Beantwortet Fragen zum Fim

HALBINSEL	SKANDINAVIEN
Wie heißt das Geld in der europaischen Union?	
Welche Länder gehören dazu?	
Welche Tiere leben dort?	
Welche große Firma ist in Schweden?	
Wie viele Leute wohnen in Skandinavien?	
Wie heißt die Hauptstadt von Schweden	
Wie ist der Winter in Skandinavien?	
Welchen Sport macht man in Skandinavien?	
Was lesen gerne Kinder?	

სამაგიდე თამაში (ბანქო)

საინფორმაციო ბარათები ევროპისა და მისი ქვეყნების შესახებ სხვადასხვა ინფორმაციით.

ბარათები გამოიჭრება, მოიკეცება ორად ისე, რომ ერთ მხარეზე შეკითხვა დარჩეს, მეორეზე – პასუხი. შესაძლოა მათი ლამინირება ან მუყაოზე დაწებება. თითო ჯგუფს გადაეცემა თითო დასტა. ბარათები იდება მაგიდის შუაგულში ისე, რომ შეკითხვები ზემოთ აღმოჩნდეს. მოსწავლეები თანმიმდევრო-

ბით იღებენ თითო ბარათს, სვამენ ჯგუფში შესაბამის შეკითხვას, ელოდებიან პასუხს და ადარებენ სწორ ვარიანტს, რომელიც განთავსებულია ბარათის უკანა მხარეს. ბარათი გადაეცემა მას, ვინც პირველი გასცემს პასუხს. გამარჯვებული ის იქნება, ვინც ყველაზე მეტ ბარათს დააგროვებს (იხ დანართი 7).

დანართი 7

Wie viele Mitgliedstaaten hat die europaische Union?	27
Wie heißt die Hauptstadt von Frankreich?	Paris
Wo haben Gladiatoren gekämpft?	Kolosseum
Womit kann man in vielen Ländern der EU bezahlen?	Euro
Wann wurde die europäische Union gegrundet?	2. November 1993
Wie viele Sterne hat die EU-Flagge?	12 Sterne
Wie heißt die Hauptstadt von Spanien?	Madrid
Welcher Komponist kommt aus Österreich?	Wolfgang Amadeus Mozart
Welche deutsche Automarken kennst du?	VW, Mercedes, BMW
Wo finden Stierkämpfe statt?	In Spanien

Aus welchem Lied ist der Satz: „alle Menschen werden Brüder“	Ode an die Freude/Europahymne
Wem gehört die Musik zur „Europahymne“?	Dem deutschen Komponisten Ludwig Van Beethofen
Wo kann man die besten Crepes essen?	In Frankreich
Wo kann man die besten Würstchen essen?	In Deutschland
In welchem Land trägt man Schuhe aus Holz?	In Niederlanden
Aus welchem Land kommt Pippi Langstrumpf?	Aus Schweden
Wo lebt der Weihnachtsmann?	In Lappland
Welche Farben hat die deutsche Flagge?	Gelb, rot, schwarz

მაკა ნადარეიშვილი

ფრანგული ენა

თემა: ევროგაერთიანება

აქტივობის მიზანი: წინამდებარე აქტივობის მიზანია, როგორც ცოდნის შეძენა/გამოყენება, ასევე უნარ-ჩვევების განვითარება.

ცოდნა: ევროგაერთიანების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციის დაუფლება და გამოყენება.

უნარ-ჩვევები: ინფორმაციის მოძიებისა და დახარისხების უნარი, ჯგუფში მუშაობის უნარი.

აქტივობის გამოყენების წინაპირობა: აქტივობის წარმატებით შესასრულებლად, მოსწავლეებს განვითარებული უნდა ჰქონდეთ წერა-კითხვის საბაზისო უნარ-ჩვევები.

სამიზნე ჯგუფი: თამაშის გამოყენება შესაძლებელია დაწყებითი სწავლების საფეხურზე, კერძოდ მე-5, მე-6, და საბაზო საფეხურის მე-7 კლასში.

დომინო

პირველი ეტაპი: თამაშისთვის დომინოს „ქვების“ მომზადება.

მოსწავლეები ჩამოთვლიან ევროგაერთიანებაში შემავალ ქვეყნებს და მათ დედაქალაქებს (პირობითად, დედაქალაქებს, შესაძლებელია იყოს ძეგლები, დროშები და ა.შ.).

მეორე ეტაპი: დააწყვილებენ შემდეგი პრინციპით ქვეყნის დასახელება – სხვა ქვეყნის დედაქალაქი (სხვა ქვეყნის დროშა და ა.შ.).

მესამე ეტაპი: დომინოს ქვების მომზადება, მოსწავლეები ინდივიდუალურად მოამზადებენ დომინოს ქვებს დაწყვილებული ქვეყნისა და დედაქალაქის მიხედვით. წინასწარ მოილაპარაკეთ, დომინოს ქვების (ბარათების ზომაზე), დავალება უნდა იყოს ესთეტიკურად, ლამაზად შესრულებული (გაფორმებული).

გაითვალისწინეთ წყვილები, რათა დომინოს საშუალებით წრე შეიკრას!

რეკომენდაცია: გააკეთებინეთ მსგავსი დომინო სხვადასხვა წყვილებით:

1. ქვეყნის დასახელება – სხვა ქვეყნის დედაქალაქი;
2. ქვეყნის დასახელება – სხვა ქვეყნის დროშა;
3. ქვეყნის დასახელება – სხვა ქვეყნის ღირსშესანიშნაობა;
4. ქვეყნის დასახელება – სხვა ქვეყნის მდინარე;
5. ქვეყნის დასახელება – სხვა ქვეყნის ეროვნული დღესასწაული.

მიმართულებისათვის შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ დამხმარე სარეკომენდაციო მასალით N1.

თამაშის პროცესის აღწერა

თამაშისათვის საჭირო რესურსი: ჯგუფების შესაბამისი რაოდენობის ევროგაერთიანების ქვეყნების დომინო.

თამაშის მიმდინარეობა: დააჯგუფეთ ბავშვები 5 -6 წევრიან ჯგუფებად და მიეცით ერთი სახეობის დომინო. თამაშის პრინციპი იგივეა, რაც ჩვეულებრივ დომინოში: შესაბამის უჯრას (ბარათს) უნდა უპოვონ წყვილი. მაგალითად, თუ ერთ „ქვაზე“ მოცემულია წარწერა საფრანგეთი და რომი, მოსწავლემ ერთ მხარეს უნდა იპოვოს „ქვა“ წარწერით პარიზი, ხოლო მეორე მხარეს დასადებად „ქვა“ წარწერით – იტალია.

დამხმარე სარეკომენდაციო მასალა N1

მასალაში მოცემულია **სარეკომენდაცია წყვილები** „ქვეყანა და დროშა“ **დომინოსთვის, რათა დომინოს თამაშის პრინციპი არ დაირღვეს. ანალოგიური წყვილებით შეიძლება შეიქმნას ევროგაერთიანების ქვეყანა – ევროგაერთიანების ქვეყანის დედაქალაქი და ა.შ.**

ქვეყანა
1. გერმანია – ავსტრიის დროშა
2. ავსტრია – ბელგიის დროშა
3. ბელგია – ბულგარეთის დროშა
4. ბულგარეთი – კვიპროსი დროშა
5. კვიპროსი – ხორვატიის დროშა
6. ხორვატია – დანიის დროშა
7. დანია – ესპანეთის დროშა

8. ესპანეთი – ესტონეთის დროშა
9. ესტონეთი – ფინეთის დროშა
10. ფინეთი – საფრანგეთის დროშა
11. საფრანგეთი – საბერძნეთის დროშა
12. საბერძნეთი – უნგრეთის დროშა
13. უნგრეთი – ირლანდიის დროშა
14. ირლანდია – იტალიის დროშა
15. იტალია – ლატვიის დროშა
16. ლატვია – ლიტვას დროშა
17. ლიტვა – ლუქსემბრუგის დროშა
18. ლუქსემბურგი – მალტას დროშა
19. მალტა – ჰოლანდიის დროშა
20. ჰოლანდია – პოლონეთის დროშა
21. პოლონეთი – პორტუგალიის დროშა
22. პორტუგალია – ჩეხეთის რესპუბლიკის დროშა
23. ჩეხეთის რესპუბლიკა – რუმინეთის დროშა
24. რუმინეთი – გაერთიანებული სამეფოს დროშა
25. გაერთიანებული სამეფო – სლოვაკეთის დროშა
26. სლოვაკეთი – სლოვენიის დროშა
27. სლოვენია – შვედეთის დროშა
28. შვედეთი – ავსტრიის დროშა

თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ ორი ბარათის ნიმუშს

გამოყენებული ლიტერატურა

http://www.scoutorama.org/Dominos-Europe.html

თემა: ევროგაერთიანება

აქტივობის მიზანი: წინამდებარე აქტივობის მიზანია, როგორც ცოდნის შეძენა/გამოყენება, ასევე უნარ-ჩვევების განვითარება.

ცოდნა: ევროგაერთიანების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციის დაუფლება და გამოყენება.

უნარ-ჩვევები: ინფორმაციის მოძიების, დახარისხებისა და ტრანფორმირების უნარი, დამოუკიდებლად და ჯგუფში მუშაობის უნარი.

აქტივობის გამოყენების წინაპირობა: აქტივობის წარმატებით შესასრულებლად, მოსწავლეებს განვითარებული უნდა ჰქონდეთ წერა-კითხვის საბაზისო უნარ-ჩვევები.

სამიზნე ჯგუფი: თამაშის გამოყენება შესაძლებელია დაწყებით საფეხურზე (კერძოდ მე-6 კლასი), საბაზო და საშუალო საფეხურზე.

„ევროგაერთიანების ქვეყნების ლოტო"

თამაშის შექმნამდე და გამოყენებამდე მოსამზადებელი სამუშაოები:

პირველი ეტაპი:

მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ, მოაგროვეთ ინფორმაცია და შეისწავლეთ ევროკავშირში შემავალი ქვეყნები შემდეგი თვალსაზრისით:

☆ ქვეყანა;
☆ დროშა;
☆ დედაქალაქი;
☆ ღირსშესანიშნაობა (ძეგლი);
☆ ეროვნული დღესასწაული;
☆ დიდი მდინარე;
☆ გამოჩენილი ადამიანი.

მეორე ეტაპი:

შესწავლის შემდეგ მოსწავლეები გონებრივი იერიშის საშუალებით გაიმეორებენ დასწავლილ ინფომაციას. თვალსაჩინოებისთვის გააკეთებენ ცხრილს და შეავსებენ.

ქვეყანა	დროშა	დედაქალაქი	ღირსშესანიშნაობა	ეროვნული დღესასწაული	მდინარე	გამოჩენილი ადამიანი

ნაწილობრივ შევსებული ცხრილის თვალსაჩინოება იხილეთ დამატებით სარეკომენდაციო მასალაში N1.

მესამე ეტაპი:

ბარათების მომზადება.

პირველი ნაბიჯი: დაყავით კლასი 7 ჯგუფად და მიეცით შემდეგი დავალება.

I ჯგუფი: ცალ-ცაკე ბარათებზე გაამზადებს ქვეყნის სახელებს (თითო ბარათზე თითო დასახელება);

II ჯგუფი: ცალ-ცაკე ბარათებზე გაამზადებს ქვეყნის დროშას (თითო ბარათზე თითო დასახელება);

III ჯგუფი: ჯგუფი: ცალ-ცაკე ბარათებზე გაამზადებს ქვეყნის დედაქალაქის სახელს (თითო ბარათზე თითო დასახელება);

IV ჯგუფი: ცალ-ცაკე ბარათებზე გაამზადებს ქვეყნის ღირსშესანიშნაობას (თითო ბარათზე თითო დასახელება);

V ჯგუფი: ცალ-ცაკე ბარათებზე გაამზადებს ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულს (თითო ბარათზე თითო დასახელება);

VI ჯგუფი: ცალ-ცაკე ბარათებზე გაამზადებს ქვეყნის მდინარეს (თითო ბარათზე თითო დასახელება);

VII ჯგუფი: ცალ-ცაკე ბარათებზე გაამზადებს ქვეყნის გამოჩენილ ადამიანს (თითო ბარათზე თითო დასახელება).

ბარათების ზომებზე წინასწარ შეთანხმდით, რათა ტოლები გამოვიდეს. აუცილებელი პირობაა დავალება, ლამაზად იყოს შესრულებული.

მეორე ნაბიჯი:

ბარათზე დამზადებული ქვეყნის სახელები ჩაყარეთ ტომარაში, რათა შემდეგ თამაშისას სათითაოდ ამოიღოთ.

სათითაო ბარათების მომზადების შემდეგ, აიღეთ 28 თანაბარი ზომის ფურცელი (ევროკავშირში შემავალი ქვეყნების რაოდენობის მიხედვით), თითო ჯგუფი თითო ფურცელზე დააკრავს თითო მომზადებულ ბარათს (ერთი ლოტოს ბილეთი უნდა მოიცავდეს 6 კითხვას).

ბარათების დამზადება დასრულებულია, თამაში შეგიძლიათ ლოტოს პრინციპით.

თამაშის პროცესი

თამაშისათვის საჭირო რესურსი: ტომარაში მოსათავსებელი ბარათები ქვეყნების დასახელებით, სათამაშო ბარათები (ევროგაერთიანების ქვეყნების შესახებ კითხვებით), დამატებითი კოჭები.

თამაშის მსვლელობა: თამაში მიმდინარეობს ლოტოს პრინციპით. წამყვანი ტომრიდან ამოიღებს ბარათს და წაიკითხავს ქვეყნის დასახელებას. დასახელებული ქვეყნის შესაბამისი ინფორმაციის ან მინიშნების მქონე მოსწავლე დებს კოჭს შესაბამის უჯრაზე. მოგებულია ის, ვინც პირველი შეავსებს საკუთარ ბარათს.

დამატებითი სარეკომენდაციო მასალა N1

ცხრილი შესაძლებელია საკუთარი სურვილითა და იდეით შეავსოს. ღირსშესანიშნაობის, მდინარის, გამოჩენილი ადამიანის არჩევანის გაკეთებაში მონაწილეები თავისუფლები არიან, მთავარია, შეთანხმება ერთმანეთში და ინფორმაციის გაზიარება.

	ქვეყანა	დედაქალაქი	დროშა	ღირსშესანიშნაობა	ეროვნული დღესასწაული	მდინარე	გამოჩენილი ადამიანი
1.	გერმანია	ბერლინი			3 ოქტომბერი		
2.	ავსტრია	ვენა			26 ოქტომბერი		
3.	ბელგია	ბრუსელი			21 ივლისი		
4.	ბულგარეთი	სოფია			3 მარტი		
5.	კვიპროსი	ნიქოზი			1 ოქტომბერი		
6.	ხორვატია	ზაგრები			25 ივნისი		
7.	დანია	კოპენჰაგი			5 ივნისი		
8.	ესპანეთი	მადრიდი			12 ოქტომბერი		
9.	ესტონეთი	ტალინი			24 თებერვალი		
10.	ფინეთი	ჰელსინკი			6 დეკემბერი		
11.	საფრანგეთი	პარიზი	სამფეროვანი: ლურჯი, თეთრი, წითელი	ეიფელის კოშკი	14 ივლისი	სენა	ვიქტორ ჰიუგო

12.	საბერძნეთი	ათენი	25 მარტი
13.	უნგრეთი	ბუდაპეშტი	15 მარტი, 20 აგვისტო, 23 ოქტომბერი
14.	ირლანდია	დუბლინი	17 მარტი
15.	იტალია	რომი	2 ივნისი
16.	ლატვია	რიგა	18 ნოემბერი
17.	ლიტვა	ვილნიუსი	16 თებერვალი
18.	ლუქსემბურგი	ლუქსემბურგი	23 ივნისი
19.	მალტა	ლა ვალეტი	21 სექტემბერი
20.	ჰოლანდია	ამსეტერდამი	27 აპრილი
21	პოლონეთი	ვარშავა	3 მაისი
22.	პორტუგალია	ლისაბონი	10 ივნისი
23.	ჩეხეთის რესპუბლიკა	პრაღა	28 ოქტომბერი
24.	რუმინეთი	ბუქარესტი	1 დეკემბერი
25.	გაერთიანე- ბული სამეფო	ლონდონი	14 ივნისი
26.	სლოვაკეთი	ბრატისლავა	1 იანვარი
27.	სლოვენია	ლუბლიანა	25 ივნისი
28.	შვედეთი	სტოკჰოლმი	6 ივნისი

თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ ერთი ბარათის ნიმუშს



გამოყენებული ლიტერატურა

http://www.ac-grenoble.fr/ecoles/bourgoin3/spip.php?page=imprimer_article&id_article=67

თემა: ევროგაერთიანება

აქტივობის მიზანი: წინამდებარე აქტივობის მიზანია, როგორც ცოდნის შეძენა/გამოყენება, ასევე, უნარ-ჩვევების განვითარება.

ცოდნა: ევროგაერთიანების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციის დაუფლება და გამოყენება, კითხვის ფორმულირება და დასმა.

უნარ-ჩვევები: ინფორმაციის მოძიების, დახარისხებისა და ტრანსფორმირების უნარი, დამოუკიდებლად და ჯგუფში მუშაობის უნარი, აღწერის, მსჯელობისა და დასაბუთების უნარი.

აქტივობის გამოყენების წინაპირობა: აქტივობის წარმატებით შესასრულებლად, მოსწავლეებს განვითარებული უნდა ჰქონდეთ წერა-კითხვის უნარ-ჩვევები, წინადადების შედგენის უნარი.

სამიზნე ჯგუფი: თამაშის გამოყენება შესაძლებელია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე.

თამაში „კამათელი" – ევროკავშირი

მოსამზადებელი ეტაპი:

პირველი ნაბიჯი: მცირე 5/6 წევრიანი ჯგუფების შექმნა

მეორე ნაბიჯი: მცირე ჯგუფებში ევროკავშირის ქვეყნებზე ინფორმაციის მოგროვება (ფაქტობრივი ცოდნის დონეზე), დახარისხება.

მესამე ნაბიჯი: მოპოვებული ინფორმაციის გაზიარება კლასში (მცირე ჯგუფები ერთმანეთს კლასში უზიარებენ ინფორმაციას);

მეოთხე ნაბიჯი: გაზიარებული ინფორმაციის დახარისხება, შეჯამება (კლასი ერთობლივად აჯამებს ინფორმაციას).

მეხუთე ნაბიჯი: მცირე 5/6 კაციანი ჯგუფები მოიფიქრებენ მარტივ კითხვებს ევროკავშირის ქვეყნებზე (დაასახელე ევროკავშირის 3 ქვეყანა; დაასახელე ევროკავშირის ქვეყნების 3 დედაქალაქი; დაასახელე საფრანგეთის დროშის ფერები; რა თარიღია 14 ივლისი და ა.შ. – კითხვები ორიენტირებულია ფაქტობრივ ცოდნაზე). თითო ჯგუფი მოიფიქრებს 12 კითხვას. მიმართულებისათვის შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ სარეკომენდაციო დამხმარე მასალით N1.

მეექვსე ნაბიჯი: მომზადებული კითხვების გაზიარება კლასში (მცირე ჯგუფები ერთმანეთს კლასში უზიარებენ კითხვებს);

მეშვიდე ნაბიჯი: ბარათების მომზადება. ჯგუფები მომზადებულ კითხვებს გადაიტანენ ბარათზე. (წინასწარ შეთანხმდით ბარათის ზომაზე, დავალების

შესრულების ხარისხზე. ასევე, თითო ჯგუფი ამზადებს 4 დამატებით ბარათს ნახატით: 1 ბარათი წარწერითა და ნახატით – გამოტოვე ერთი ჯერი, 1 ბარათი წარწერითა და ნახატით – დაბრუნდი 3 უჯრით უკან, 1 ბარათი წარწერითა და ნახატით – წაიწიე წინ 2 უჯრით, 1 ბარათი წარწერით და ნახატით – დამატებითი კითხვა შენ.

მერვე ნაბიჯი: სათამაშო დაფის მომზადება: აიღეთ დიდი ფორმატი, გამოყავით დაახლოებით 90 უჯრა (კითხვიანი ბარათი რომ დაეტიოს). სთხოვეთ მოსწავლეებს, დააკრან ბარათზე მომზადებული კითხვები დიდ ფორმატზე. კითხვები გადაანაწილონ ისე, რომ ყოველი მე-7 უჯრა იყოს დამატებითი შეკითხვა შენ, ყოველი მე-9 უჯრა იყოს ერთი ჯერის გამოტოვება, ყოველი მე-11 უჯრა იყოს 3 უჯრით დაბრუნება, ყოველი მე-15 უჯრა იყოს 2 უჯრით წინ წაწევა. არ დაგავიწყდეთ პირველი – გამგზავრების უჯრა და ბოლო – ფინიშის უჯრა. ბარათების ფორმატზე დაწებების შემდეგ მოსწავლეები მიყოლებით გადანომრავენ უჯრებს.

თამაშის პროცესი

თამაშისათვის საჭირო რესურსი: სათამაშო დაფა, მოთამაშეებისთვის კოჭები, კამათელი, ბარათი დამატებითი კითხვით.

თამაშის წესი: მოთამაშეები სათამაშო კოჭებს მოათავსებენ უჯრაზე „გეზი“, შემდეგ რიგ-რიგობით აგორებენ კამათელს, კამათელზე მოცემული რაოდენობის მიხედვით გადაითვლიან უჯრებს, კონკრეტულ უჯრაზე მოხვედრის შემთხვევაში, ასრულებენ უჯრაზე მოცემულ დავალებას (პასუხობენ კითხვას, მიდიან წინ, გამოტოვებენ ჯერს და ა.შ.). გამარჯვებულია ის, ვინც პირველი მივა უჯრასთან „ფინიში“.

სავარაუდო /სარეკომენდაციო კითხვები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კითხვები ორიენტირებული უნდა იყოს ფაქტობრივ ცოდნაზე. შესაძლებელია უჯრაში დახატული იყოს დროშა და დასმული იყოს შეკითხვა „ამოიცანი ქვეყანა“, ან დახატული იყოს ქვეყნისთვის დამახასიათებელი კერძი, ძეგლი და ა.შ. კითხვები დამოკიდებულია იმ ინფორმაციაზე, რომელსაც მოსწავლეები მოიძიებენ. თუმცა შესაძლებელია ორიენტაციის მიცემაც.

სარეკომენდაცია მასალა N1

კითხვები მოცემულია მიმართულების მისაღებად, აღსანიშნავია, რომ სურვილის მიხედვით, ისინი შესაძლებელია საერთოდ ჩანაცვლდეს ან გადაკეთდეს.

1. დაასახელე საფრანგეთის დროშის ფერები (პირობითად არის მოცემული საფრანგეთი. აქ შეიძლება ევროგაერთიანების ნებისმიერი ქვეყნის დასახელება).
2. რამდენი ფერია იტალიის (აქ შეიძლება ევროგაერთიანების ნებისმიერი ქვეყნის დასახელება) დროშაზე?
3. დაასახელე ევროგაერთიენების ქვეყნების დედაქალაქები (მინიმუმ 3, მაქსიმუმ 5 დედაქალაქი).
4. მდინარე სენა კვეთს ევროგაერთიანების ერთ-ერთი ქვეყნის დედაქალაქს. რომელს?
5. რომელი ქვეყანა აღნიშნავს 14 ივლისს (პირობითად არის მოცემული საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული. აქ შეიძლება ევროგაერთიანების ნებისმიერი ქვეყნის დასახელება).
6. ევროგაერთიანების რომელი ქვეყნის წარმომადგენელია მხატვარი მონე (პირობითად არის მოცემული ფრანგი გამოჩენილი ადამიანი, აქ შეიძლება ევროგაერთიანების ქვეყნების წარმომადგენელი ნებისმიერი გამოჩენილი ადამიანის დასახელება).

თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ სათამაშო დაფის რამდენიმე უჯრის ვარიანტს

თემა: ევროგაერთიანება

აქტივობის მიზანი: წინამდებარე აქტივობის მიზანია, როგორც ცოდნის შეძენა/გამოყენება, ასევე უნარ-ჩვევების განვითარება.

ცოდნა: ევროგაერთიანების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციის დაუფლება და გამოყენება.

უნარ-ჩვევები: ინფორმაციის მოძიების, დახარისხების, ტრანფორმირებისა და შეჯამების უნარი, დამოუკიდებლად და ჯგუფში მუშაობის უნარი, აღწერის, მსჯელობისა და დასაბუთების უნარი.

აქტივობის გამოყენების წინაპირობა: აქტივობის წარმატებით შესასრულებლად, მოსწავლეებს განვითარებული უნდა ჰქონდეთ წერა-კითხვის უნარ-ჩვევები, ამბის ქრონოლოგიური თხრობისა და ლოგიკურად გადმოცემის უნარი.

სამიზნე ჯგუფი: თამაშის გამოყენება შესაძლებელია საბაზო და საშუალო საფეხურზე.

თამაში „კამათელი" 2 დონე — ევროკავშირი

მოსამზადებელი ეტაპი:

პირველი ნაბიჯი: მცირე 5/6 წევრიანი ჯგუფების შემქნა

მეორე ნაბიჯი: მცირე ჯგუფებში ევროკავშირის ქვეყნებზე ინფორმაციის მოგროვება (ფაქტობრივი ცოდნის დონეზე), დახარისხება.

მესამე ნაბიჯი: მოპოვებული ინფორმაციის გაზიარება კლასში (მცირე ჯგუფები ერთმანეთს კლასში უზიარებენ ინფორმაციას);

მეოთხე ნაბიჯი: გაზიარებული ინფორმაციის დახარისხება, შეჯამება (კლასი ერთობლივად აჯამებს ინფორმაციას).

მეხუთე ნაბიჯი: ინფორმაციის მოძება: *ინფორმაციის მოძიების პირველ ეტაპზე*, მცირე 5/6 კაციანი ჯგუფები მოიძიებენ ფაქტობრივ ინფორმაციას ევროკავშირის ქვეყნებზე (დედაქალაქი, დროშა, მდინარე, მოსახლეობის რაოდენობა და ა.შ.), მოიფიქრებენ მარტივ კითხვებს მოძიებული ინფორმაციის შესახებ (ჯგუფური სამუშაოსთვის მიმართულების მისაცემად, შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ დამატებითი დამხმარე სარეკომენდაციო მასალით N1.)

ინფორმაციის მოძიების მეორე ეტაპზე, იმავე ჯგუფებს დაევალებათ მოიძიონ ინფორმაცია შემდეგი მიმართულებით: **ევროსასამართლო, არჩევ-**

ნები, სიტყვის თავისუფლება, ადამიანთა უფლებები (ჯგუფები იმუშავებენ თემატიკის, და არა ქვეყნების მიხედვით). ინფორმაციის მოძიების შემდეგ შეაჯამებენ მას და წარადგენენ კლასში. მესამე ეტაპზე მოსწავლეები მოამზადებენ კითხვებს მოძიებული ინფორმაციის შესახებ. (ჯგუფური სამუშაოსთვის მიმართულების მისაცემად შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ დამატებითი დამხმარე სარეკომენდაციო მასალით N2.) ასევე, თითო ჯგუფი ამზადებს 4 დამატებით ბარათს ნახატით: 1 ბარათი წარწერითა და ნახატით – გამოტოვე ერთი ჯერი, 1 ბარათი წარწერითა და ნახატით – დაბრუნდი 3 უჯრით უკან, 1 ბარათი წარწერითა და ნახატით – წაიწიე წინ 2 უჯრით.

მეექვსე ნაბიჯი: ბარათების მომზადება. ჯგუფები მომზადებულ კითხვებს გადაიტანენ ბარათზე. წინასწარ შეთანხმდით ჯგუფში მოსამზადებელი ბარათების რაოდენობაზე, ზომაზე, დავალების შესრულების ხარისხზე (ესთეტიკური და ლამაზად შესრულებული დავალება). გაითვალისწინეთ, რომ მესამე ეტაპზე მოცემული კითხვები შესაძლებელია ცალკე ბარათზე გაიწეროს, და არა სათამაშო დაფის უჯრაზე. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ჯგუფს მოუწევს სათამაშო დაფაზე აღნიშნული გრაფის გაფორმება და შესაბამისი ბარათის ცალკე დამზადება.

მეშვიდე ნაბიჯი: სათამაშო დაფის მომზადება, აიღეთ დიდი ფორმატი, გამოყავით დაახლოებით 90 უჯრა (კითხვიანი ბარათი რომ დაეტიოს). მოსწავლეები ერთ დიდ ფორმატზე აკრავებ ბარათებს არეულად, საკუთარი სურვილის მიხედვით. არ დაგავიწყდეთ პირველი – „გამგზავრების“ უჯრა და ბოლო „ფინიშის“ უჯრა. ბარათების ფორმატზე დაწებების შემდეგ მოსწავლეები მიყოლებით გადანომრავენ უჯრებს.

თამაშის მიმდინარეობა:

თამაშისათვის საჭირო რესურსი: სათამაშო დაფა, მოთამაშეებისთვის კოჭები, კამათელი, დამატებითი ბარათები კითხვებით **ევროსასამართლო, არჩევნები, სიტყვის თავისუფლება, ადამიანის უფლებები**.

თამაშის წესი: მოთამაშეები სათამაშო კოჭებს მოათავსებენ უჯრაზე „გეზი“, შემდეგ რიგ-რიგობით აგორებენ კამათელს, კამათელზე მოცემული რაოდენობის მიხედვით გადაითვლიან უჯრებს, კონკრეტულ უჯრაზე მოხვედრის შემთხვევაში ასრულებენ უჯრაზე მოცემულ დავალებას (პასუხობენ კითხვას, მიდიან წინ, გამოტოვებენ ჯერს და ა.შ.). გამარჯვებულია ის, ვინც პირველი მივა უჯრასთან „ფინიში“.

სარეკომენდაციო მასალა N1

მიეცით მიმართულება ჯგუფებს, რათა მოიძიონ ის ინფორმაცია, რომელიც დაეხმარებათ მათ, პასუხი გასცენ შემდეგ კითხვებს:

ევროსასამართლო

1. **ადამიანის დაკავებისას, ადვოკატის დასაქირავებელი მატერიალური სახსრების არქონის შემთხვევაში, აქვს უფლება დაიცვას საკუთარი თავი? /** მცდარია მოსაზრება, რადგან ყველას აქვს უფლება ჰყავდეს (სახაზინო) უფასო ადვოკატი, რომელსაც მას მთავრობა დაუნიშნავს/.
2. **ბავშვის უფლებათა კონვენცია, გულისხმობს, რომ შეუძლებელია ბავშვების გასამართლება? /**მოსაზრება მცდარია, ბავშვის უფლებათა კონვენცია გულისხმობს, რომ განაჩენის გამოტანისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ასაკი/.
3. **მცდარია თუ მართალი მოსაზრება: სასამართლო პროცესის დროს, გადაწყვეტილების მისაღებად შესაძლებელია მოსაამრთლემ აზრი მთავრობას კითხოს? /**სამართლიანობის მისაღწევად, მოსამართლე და სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი. შესაბამისად, მან დამოუკიდებლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

არჩევნები:

1. **რომელი ენიდან არის შემოსული სიტყვა დემოკრატია და როგორ აიხსნება ის? /** დემოკრატია ბერძნული სიტყვაა, „demos" ნიშნავს ხალხს, ხოლო "kratos" – მმართველობას/.
2. **ევროგაერთიანების ძირითადი ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, რომელი ასაკიდან შეიძლება არჩევნებში მონაწილეობა? /**18 წლიდან მოქალაქე ითვლება სრულწლოვნად და მას აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება/.
3. **ევროგაერთიანების რომელი ქვეყნის / ქვეყნების მოქალაქეს შეუძლია 16 წლიდან არჩევნებში მონაწილეობა? /**ავსტრიასა და შოტლანდიაში, რიგ შემთხვევებში გერმანიაში/.
4. **დემოკრატიული მართვის დროს, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ჩამოაყალიბოს პოლიტიკური პარტია/გაერთიანება, როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია არჩევნებში საკუთარი თავის დამოუკიდებლად წარდგენა? /**დიახ, არჩევნებში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია დამოუკიდებლადაც/.

5. **ვის შეუძლია ევროპარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღება?** / ევროპარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია ევროგაერთიანების ქვეყნების ყველა მოქალაქეს (მოქალაქეებს უნდა ჰქონდეს ევროგაერთიანებაში შემავალი ქვეყნის შესაბამისი მოქალაქეობა)/.
6. **საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა არ ნიშნავს მხოლოდ არჩევნებს. დაასახელეთ მაგალითი, რომელშიც ბავშვები იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას.** /ახალგაზრდული მინიციპალური საბჭო, კლასის წარმომადგენელი სკოლის თვითმმართველობაში და ა.შ./.
7. **ევროპა ეს არის შერწყმა ტრადიციების, კულტურის და ა.შ. რამდენ ენაზე საუბრობენ ევროპის ტერიტორიაზე?** /200-ზე მეტი სხვადასხვა ენაა გავრცელებული ევროპის ტერიტორიაზე, მათ შორის, ოფიციალური და რეგიონული ენები/.

სიტყვის თავისუფლება

1. **ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება. როგორ გესმის ეს?** / სწორი პასუხი, ის უნდა მოიაზრებდეს: ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება ისე, რომ არ შეილახოს სხვისი უფლება/.
2. **დემოკრატიული მართვის დროს, მედიას უფლება აქვს, გამოხატოს მთავრობის მიმართ საკუთარი პოზიციური/ოპოზიციური დაკოკიდებულება?** / დემოკრატიულ მმართველობას არ აქვს უფლება, ხელი შეუშალოს ან აუკრძალოს მედიის სიტყვის თავისუფლებას/.

ადამიანის უფლებები

1. **რომელმა ქვეყანამ გააუქმა პირველად კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ?** /პირველად 1863 წელს ვენესუელამ გააუქმა კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ/.
2. **2014 წლის მონაცემებით, მსოფლიოს რამდენ ქვეყანაშია სიკვდილით დასჯის კანონი გაუქმებული?** /მსოფლიოს 98 ქვეყანაში სიკვდილით დასჯის კანონი ოფიციალურად გაუქმებულია, თუმცა ქვეყნებში, რომლებშიც ეს კანონი არ არის გაუქმებული, პრაქტიკულად მაინც არ იყენებენ მას/.
3. **დანაშაულის ჩამდენი პირი, უდავოა, მკაცრად უნდა დაისაჯოს, როგორ ფიქრობ, რატომ არ შეიძლება ადამიანს სიკვდილით დასჯა მიუსაჯო?** /თავისუფალი პასუხი, თუმცა იდეა მაინც ის არის, რომ ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება და არავის აქვს უფლება, სიცოცხლე მოუსწრაფოს მეორე ადამიანს/.

4. ევროგაერთიანებამ და ევროსაბჭომ დააწესეს დღე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რომელ დღეზე (რა რიცხვზეა) საუბარი? /10 ოქტომბერი/.

   თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ სათამაშო დაფის რამდენიმე უჯრის ვარიანტს



გამოყენებული ლიტერატურა

https://edoc.coe.int/fr/outils-pedagogiques/6782-l-europe-des-questions-de-valeurs.html

ნინო ფეტვიაშვილი

ევროპა რუსულის, როგორც უცხოური ენისა, და ეთნიკურ უმცირესობათა ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე

ევროპა, როგორც გაკვეთილის თემა, ჩვეულებრივ განიხილება ფრანგულის, გერმანულისა და ინგლისურის გაკვეთილებზე. ეს თემა გათვალისწინებულია როგორც სასწავლო პროგრამებში, გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებში, ისე დამატებით რესურსებში.

როგორ, როდის ან რა კონტექსტშია შესაძლებელი ევროპაზე საუბარი ეთნიკურ უმცირესობათა ენებისა და ლიტერატურის გაკვეთილზე? არსებობს მოსაზრება, რომ ეს საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფების თემაა და ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე უნდა განიხილებოდეს მხოლოდ კონკრეტული ენისა და ლიტერატურის საკითხები, რომლებიც პროგრამითაა განსაზღვრული. იგივე კითხვა უჩნდებათ რუსულის, როგორც უცხოური ენის, მასწავლებლებსაც. გაკვეთილებზე დაკვირვებამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ, მათი მოსაზრებით, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიმართულება „კულტურათა დიალოგი“ გულისხმობს მხოლოდ „ბალალაიკის“, „მასლენიცის“ ან ტბა „ბაიკალის“ შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ან განიხილავენ მხოლოდ ისეთ თემას, როგორიცაა, რას წერდნენ და როგორ უმღეროდნენ რუსი პოეტები საქართველოს, რაც თავისთავად საინტერესოა, თუმცა ყოველთვის არ არის მორგებული დღევანდელი მოსწავლეების ინტერესებს. უცხოური ენის შემთხვევაში, ენის სწავლა გულისხმობს არა მხოლოდ საკომუნიკაციო უნარების განვითარებას, არამედ განსხვავებული ქვეყნების ღირებულებების, წესების, ტრადიციების აღმოჩენას, პარალელების გავლებას საკუთარ კულტურულ გამოცდილებასა და გარემოსთან. თუმცა ეს არ ნიშნავს მშობლიური და მხოლოდ კონკრეტული უცხოური ენის, ჩვენს შემთხვევაში, რუსული ენის, ენობრივი

კონტექსტის გათვალისწინებას. დღევანდელ დღეს, როდესაც დაიდო ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, ევროპა ნებისმიერი ენის გაკვეთილის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. ამ თემის განხილვა და საგაკვეთილო პროცესში გამოყენება სხვადასხვა კონტექსტშია შესაძლებელი. წარმოგიდგენთ გაკვეთილის ნიმუშებს, თუ როგორაა შესაძლებელი საქართველოს ევროპული მისწრაფებებისა და ევროპული არჩევანის თემაზე მუშაობა ეთნიკური უმცირესობების ენისა და ლიტერატურის და რუსულის, როგორც უცხოური ენის, გაკვეთილზე.

წარმოდგენილი სცენარი N1 საშუალო საფეხურზე რუსულის, როგორც უცხოური ენის, გაკვეთილისთვისაა განკუთვნილი, თუმცა იმავე თემის გაშლა შესაძლებელია ეთნიკური უმცირესობების ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზეც. წარმოდგენილი ტექსტები დიდაქტიზებულია, თუმცა მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილისთვის მასწავლებელს შეუძლია შესაბამისი დონის მასალით ჩანაცვლება, ტექსტების გართულება. სხვადასხვა ქვეყნის განათლების საკითხი საშუალო საფეხურისთვის შერჩეულია იმ გათვლით, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც მოსწავლეები იწყებენ მომავალი პროფესიის მისაღებად უნივერსიტეტების შერჩევას. ჩვენ მიერ წარმოდგენილ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ და მიიღონ ინფორმაცია არა მხოლოდ ადგილობრივ უნივერსიტეტებზე, არამედ შესაძლებლობებზე, რომლებსაც საქართველოს ბოლონიის პროცესში გაერთიანება და ამით ევროპულ სივრცეში ინტეგრირება იძლევა.

გაკვეთილი 1

საფეხური/კლასი: საშუალო საფეხური (10-12 კლასები).

მიზანი: მოსწავლე საინფორმაციო ტექსტების საშუალებით შეადარებს სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემებს, განიხილავს ევროპული განათლების უპირატესობებსა და შესაძლებლობებს, მიიღებს მონაწილეობას ინტერაქციაში განათლების თემაზე; ზეპირად და წერილობით გამოხატავს საკუთარ შთაბეჭდილებებსა და დამოკიდებულებას საკითხისადმი.

თემა: განათლების სისტემა საქართველოში, რუსეთსა და ევროპაში

რესურსი: საინფორმაციო ტექსტები; სამუშაო ფურცლები;

1. მასწავლებელი ესალმება კლასს, აგვარებს საორგანიზაციო საკითხებს. შემდეგ მოკლედ აცნობს გაკვეთილის თემას და მიზანს;
2. მასწავლებელი აცნობს კლასს გაკვეთილის ეპიგრაფებს და სთხოვს, ახსნან, როგორ ესმით მისი მნიშვნელობა და ეთანხმებიან თუ არა.

Образование — то, что остается после того, когда забывается все, чему учили.

А. Эйнштейн

3. მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს. მასწავლებელი სთხოვს მათ, ივარაუდონ, რა თემას განიხილავენ დღეს.
4. მოსწავლეები იყოფიან 4-5-კაციან ჯგუფად. მასწავლებელი არიგებს სამუშაო მასალას (საინფორმაციო ტექსტებს განათლების შესახებ საქართველოსა და რუსეთში) და აძლევს მათი შესრულების მოკლე ინსტრუქციას.

დავალება 1. წაიკითხეთ ტექსტები (დანართი N1), გააანალიზეთ ჯგუფში და შეადარეთ რუსეთისა და საქართველოს განათლების სისტემები. ამოწერეთ 3-3 მსგავსება და განსხვავება და შეავსეთ W-დიაგრამა. წარმოადგინეთ თქვენი მიგნებები.

5. ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევარს. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი კითხვა-პასუხის რეჟიმში აზუსტებს, რა მსგავსება და განსხვავება ამოიკითხეს მოსწავლეებმა ტექსტებში, რის შემდეგაც მასწავლებელი აჯამებს ჯგუფების მოსაზრებებს და ავსებს საერთო W-დიაგრამას.

რეკომენდაცია: *N1 და N2 ტექსტებში მოცემულია ინფორმაცია რუსეთის განათლების შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (სკოლებში). შესაძლებელია ეს აქტივობა მცირეკონტინგენტიან კლასებში წყვილებში განიხილონ მოსწავლეებმა. რა თქმა უნდა, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეების წინარე ცოდნა (ლექსიკა) და აქტივობები, აქედან გამომდინარე, სწორად გადაანაწილოს დროში. წარმოდგენილ თემას მასწავლებელმა, სასურველია, 2 გადაბმული გაკვეთილი დაუთმოს, რაც ყველა მოსწავლეს მისცემს საგაკვეთილო პროცესში ჩართვის საშუალებას.*

N1 და N2 ტექსტები, ფაქტობრივად, ერთი და იმავე შინაარსისაა, ამიტომ მათი გადანაწილება შესაძლებელია ორ-სამ სხვადასხვა ჯგუფში. ტექსტი N3 მოიცავს ინფორმაციას უმაღლესი განათლების შესახებ და შეეხება გამოცდებს, ე.წ. ЕГЭ, ამიტომ ეს ტექსტები შესაძლებელია დარიგდეს N1 და N2-თან ერთად ან ცალკე სხვა ჯგუფებში გადანაწილდეს (ეს მასწავლებლის გადასაწყვეტია, ჯგუფების დონიდან გამომდინარე). რაც შეეხება ტექსტს N4 საქართველოს შესახებ, დარიგდება ყველა ჯგუფში ინფორმაციის შესადარებლად.

ტექსტების შინაარსის გაგების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია დასვას დამაზუსტებელი კითხვები. მნიშვნელოვანია, რომ ტექსტების წაკითხვის მიზანია არა მათი შინაარსის გადმოცემა, არამედ მიღებული ინფორმაციის გააზრება და შედარება საქართველოს განათლების სისტემასთან.

შესაძლებელია მოსწავლეებს არ ჰქონდეთ საკმარისი ინფორმაცია, თუმცა ასეთი შემთხვევისთვის გთავაზობთ ტექსტს N 4, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა საფეხურისა და დონის შესაბამისად ტექსტები გაართულოს ან გაამარტივოს.

6. მასწავლებელი სვამს კითხვას, რა იციან ბავშვებმა ევროპული განათლების შესახებ და, მათი ინფორმაციით, შეუძლიათ თუ არა მათ, სურვილის შემთხვევაში სწავლის გაგრძელება ევროპაში. მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს. რის შემდეგაც მასწავლებელი არიგებს ჯგუფებში ტექსტს ბოლონიის პროცესისა და ევროპაში განათლების მიღების შესაძლებლობების შესახებ.

დავალება 2. წაიკითხეთ ტექსტი N5 და მოიყვანეთ საქართველოს ევროპაში ინტეგრაციისგან განათლების კუთხით მიღებული სარგებლის დამადასტურებელი 2-3 არგუმენტი.

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ჯგუფში, მსჯელობენ და შემდეგ წარმოადგენენ არგუმენტებს. იმართება დისკუსია.

რეკომენდაცია: *სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ გაახსენოს ჯგუფებს დისკუსიის წესები და შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებელი უბრუნდება ეპიგრაფს და სთხოვს მოსწავლეებს, დაუკავშირონ აინშტაინის გამონათქვამი დღევანდელი გაკვეთილის თემას. დისკუსიის დროს, სასურველია, დაფაზე დაიწეროს დისკუსიის დროს გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება შემდეგი აქტივობის განხორციელებისას.*

7. თავისუფალი წერა – მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დისკუსიის შედეგად ჩამოყალიბებული შთაბეჭდილებები და მოსაზრებები გადაიტანონ ფურცელზე, 5-10 წუთის განმავლობაში წერონ ყველაფერი, რაც დისკუსიის შედეგად ჩამოუყალიბდათ. შესაძლებელია მასწავლებელმა მისცეს რამდენიმე ტექნიკური მინიშნება. მაგალითად, კონკრეტული სტრუქტურა ან სხვა.

8. დანიშნული დროის გასვლის შემდეგ მასწავლებელი ატყობინებს მოსწავლეებს, რომ დრო ამოიწურა და მოსწავლეები კითხულობენ თავის ნამუშევრებს სურვილის მიხედვით, რის შემდეგაც მასწავლებელი კრეფს ნამუშევრებს, აჯამებს გაკვეთილს.

რეკომენდაცია: *სასურველია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ, ისე წერონ, რომ ნაწერში თამამი და თავისუფლად მსჯელობის საშუალება მიეცეთ. მართლწერის შეცდომებზე ყურადღების გამახვილება შესაძლებელია შემდეგ ეტაპზე, მაშინ, როდესაც საკუთარ ნაწერს მასწავლებელთან ერთად განიხილავენ.*

დანართი N1

ტექსტი N1

Русские дети обычно начинают ходить в школу, когда им исполняется 6 лет. Сначала дети учатся в начальной школе. Начальную школу они посещают в течение четырех лет. Там они получают начальное образование. Это значит, что они учатся считать, читать и писать. В большинстве школ дети также начинают изучать иностранный язык, начиная со второго класса.

Пятый класс означает начало получения среднего образования. Дети изучают различные предметы, например, биологию, литературу, химию, физику, информатику. В России обязательным является девятилетнее незаконченное среднее образование. После этого дети должны решить, что они будут делать в дальнейшем. С одной стороны, они могут продолжить свою учебу в школе и получить одиннадцатилетнее законченное среднее образование. С другой стороны, они могут поступить в какой-либо колледж, который даст им и законченное среднее образование, и обучение по специальности. После окончания колледжа молодые люди становятся независимыми в финансовом отношении и могут начинать работать.

В настоящее время в России существуют разные типы школ. Дети и их родители могут выбрать общеобразовательную школу, школу с углубленным изучением какого-либо предмета, частную школу. Частные школы в России всегда платные.

После окончания школы или колледжа молодые люди могут поступать в университеты или институты, где они получают высшее образование.

ტექსტი N2

В нашей стране у нас есть несколько типов образования, к примеру: начальное, среднее и высшее образование.

Дети в России идут в школу, когда им шесть или семь лет. Они ходят в начальную школу, до девяти лет или десяти. Затем они идут в среднюю школу. Они покидают ее, когда им становится шестнадцать или семнадцать лет. Когда молодые люди оканчивают школу, они получают аттестат об окончании школы. В следующем учебном году молодые люди могут устроиться работу или могут поступить в институт или университет. Но некоторые молодые юноши идут в армию.

В нашей стране высшее образование стоит очень дорого. Но если Вы получили хорошие отметки на школьных государственных экзаменах (ЕГЭ), Вы можете учиться бесплатно и даже получать повышенную стипендию.

Высшее образование различается на очное (дневное) и заочное обучение. Особый вид обучения это – дистанционное обучение. Это – образование, когда Вы можете изучить некоторые предметы дома с помощью компьютера.

Высшее образование длится в среднем 5 лет. В конце обучения молодые люди имеют экзамены и если они их сдают успешно, они получают диплом. Когда они покидают университет, они могут устроиться на хорошую работу или продолжить учиться в другом университете и получить второе высшее образование.

Я лично прошла три шага образования. Я пошла в начальную школу, когда мне было шесть лет, и ходила туда, пока мне не исполнилось девять лет. Затем я пошла в среднюю школу и покинула её, когда мне было шестнадцать лет. Я получила хорошие отметки на школьных государственных экзаменах, и я поступила в университет. Сейчас я учусь бесплатно и даже получаю повышенную стипендию. В данный момент времени я оканчиваю пятый курс обучения, скоро я покину университет и получу мой диплом.

В следующем учебном году я хочу поступить в другой университет. Но это будет заочное обучение, и я смогу совмещать работу и учёбу.

В России мы говорим: “Ученье – свет, а неученье – тьма “. Я думаю это верная поговорка.

ტექსტი N3

Высшее образование в России можно получить в университетах, институтах и академиях. В Законе об образовании говорится, что высшее образование в России включает несколько уровней:

- бакалавр — обучение 4 года;
- специалист — обучение 5 лет;
- магистр — обучение 6 лет.

В высшее учебное заведение (вуз) может поступить любой человек, имеющий аттестат о среднем образовании и сдавший вступительные экзамены.

Сейчас почти во всех вузах работают подготовительные курсы, которые помогают абитуриентам подготовиться к сдаче вступительных экзаменов.

Поступить в престижный вуз совсем не просто, так как существует большой конкурс. Например, в МГУ в 2005 году конкурс на факультет иностранных языков был 17 человек на место, конкурс на факультет наук о материалах – 13 человек на место, а конкурс на факультет биоинженерии и биоинформатики – 10 человек на место.

Если молодой человек сдал экзамены, но не прошёл по конкурсу, то есть получил недостаточное колличество баллов, он может подать документы на коммерческое (платное) отделение. Но в этом случае студент не будет получать стипендию и сам должен будет платить за своё обучение.

В российских вузах существуют различные формы обучения:

- дневная форма обучения (очная), когда занятия проводятся каждый день в первой половине дня (с 9:00 до 17:00);
- вечерняя форма обучения, которая дйёт возможность студентам работать и учиться, так как занятия проводятся во второй половине дня (с 17:00 до 22:00);
- заочная форма обучения, когда студенты не присутствуют на лекциях и семинарах, они занимаются самостоятельно по программам и материалам, полученным в вузе. Два раза в год студенты-заочники должны сдавать сессию. Перед экзаменами желающие могут получить консультации преподавателей.

ტექსტი N4

В Грузии обычно начинают ходить в школу, когда им исполняется 6 лет. Дети учатся в начальной школе с первого до седьмого класса. Начальную школу они посещают в течение шести лет. Там они получают начальное образование.

Основные задачи начальной ступени:

А) создать учащемуся условия для проявления собственных возможностей и выработки нужных навыков обучения;

Б) формировать у учащегося позитивное отношение к учебе и интерес к познанию мира;

В) создать для учащегося условия для овладения теми знаниями, формирования и развития тех навыков и отношений, которые понадобятся ему в будущем.

Большое внимание в грузинских школах уделяется компьютеризации: каждый каждый ученик первого класса получает нетбук для записи и выполнения домашних заданий. Эти компьютеры производятся в Грузии на базе процессоров Intel. В компьютерах установлена специальная программа, которая делает процесс обучения более интересным. Что примечательно, это касается не только городских, но и деревенских школ. Но основное обучение проводится традиционно, по учебникам. Учебники выдаются бесплатно в начале года, а в конце года сдаются в библиотеку.

Это значит, что они учатся не только считать, читать и писать. Дети также начинают изучать иностранный язык с первого класса, занимаются пением, спортом, искусством, природоведением.

Седьмой класс означает начало получения базового образования. Дети изучают различные предметы, например, биологию, литературу, историю, географию, химию, физикуб иностранные языки и другие предметы. В Грузии обязательным является девятилетнее базовое образование. После этого ученики должны решить, что они будут делать в дальнейшем. С одной стороны, они могут продолжить свою учебу в школе и получить двенадцатилетнее законченное среднее образование. С другой стороны, они могут поступить в какой-либо колледж, который даст им возможность обучения какой-либо специальности. После окончания колледжа молодые люди становятся независимыми в финансовом отношении и могут начинать работать.

В настоящее время в Грузии существуют разные типы школ. Дети и их родители могут выбрать общеобразовательную публичную школу, школу с углубленным изучением какого-либо предмета, частную школу. Частные школы в Грузии платные.

После окончания школы молодые люди могут поступать в университет, где они получают высшее образование.

Высшее образование является платным. Для поступления в вуз требуется сдача Единого национального экзамена (ЕНЭ). Это экзамен по 4 предметам: логические навыки, грузинский язык и литература, иностранный язык и экзамен на выбор.

Существует 4 ступени высшего образования:

- Дипломированный специалист (бакалавр первой ступени)
- Бакалавр
- Магистр
- Докторант

Используется 100 % (балльная) и оценочная система от A до F.

Существуют три степени типа высшего образования: университет, магистратура и колледж. Согласно грузинскому законодательству, в общеобразовательных учебных заведениях языком обучения является грузинский, а в неконтролируемой грузинской властью Абхазии — абхазский и грузинский. Граждане Грузии, для которых грузинский язык не является родным, имеют право получить образование на своём родном языке в соответствии с учебным планом. В специализированных школах, деятельность которых направлена на обучение детей с нарушениями слуха и зрения, применяются язык жестов и шрифт Брайля соответственно.

ტექსტი N5

Болонский процесс – процесс сближения и гармонизации системы высшего образования стран Европы с целью создания единого европейского пространства высшего образования.

Что это означает? Это расширение доступа к высшему образованию, дальнейшее повышение качества европейского высшего образования, расширение мобильности студентов и преподавателей, а также обеспечение успешного трудоустройства выпускников вузов за счёт того, что все академические степени и другие квалификации должны быть ориентированы на рынок труда, поэтому присоединение https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A0%D0%BE%D1%81%D1%81%D0%B8%D1%8F к Болонскому процессу даёт новый импульс модернизации профессионального образования, открывает дополнительные возможности для участия вузов в европейских проектах, которые финансируются Европейской комиссией.

Со вступлением Грузии в Болонский процесс учебные программы грузинских вузов были приведены в соответствие с европейскими стандартами в высшем образовании.

В результате чего, студенты, которые поступают в грузинские университеты на основании единых национальных экзаменов, начиная с 2005 года, получают дипломы, которые признаются в европейских странах.

- С целью подключения Грузии к Болонскому процессу в стране были предприняты следующие шаги:
- В стране впервые была проведена институционная аккредитация грузинских вузовж
- Была разработана прозрачная и объективная система для зачисления абитуриентов в вузы, в частности, проведены единые национальные экзаменыж
- Значительно увеличено финансирование сферы образования.

Основные задачи Болонского процесса заключаются в следующем – в первую очередь, в принятии системы легко понимаемых и сопоставимых степеней, в том числе, через внедрение приложения к диплому, которое обеспечивает возможности трудоустройства европейских граждан и повышения международной конкурентоспособности европейской системы высшего образования.

Другой задачей является принятие системы, основанной на двух основных циклах – степени бакалавра, степени магистра и степени доктора, как это принято во многих европейских странах.

Еще одна задача заключается во внедрении системы зачетных баллов по типу ECTS , т.н. кредитов.

Еще одной задачей является содействие мобильности путем преодоления препятствий в эффективном и свободном передвижении – в частности, для студентов должен быть обеспечен доступ к возможности получения образования и практической подготовки.

Также Болонский процесс ставит целью содействие необходимым европейским воззрениям в высшем образовании, особенно относительно развития учебных планов, межинституционального сотрудничества, схем мобильности и совместных программ обучения, практической подготовки и проведения научных исследований.

რეკომენდაცია: *შესაძლებელია N5 ტექსტის ადაპტირება კლასის შესაძლებლობებისა და ლექსიკური მარაგის გათვალისწინებით. ტექსტში გვხვდება პროფესიული ლექსიკა, რომელიც მასწავლებელმა, სასურველია, წინასწარ გააცნოს მოსწავლეებს რაიმე აქტივობის სახით და შემდეგ გააკრას დაფაზე ან ფლიპჩარტზე.*

მაკვეთილი 2

მეორე გაკვეთილი, რომელსაც გთავაზობთ, ეყრდნობა მოკლემენტრაჟიანი ფილმის „უბილეთო მგზავრის“ სიუჟეტს https://www.youtube.com/watch?v=U6pjDAEoFhQ. ფილმმა საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმის ნომინაციაში 1994 წელს ოსკარი მიიღო. ამ ფილმის გამოყენება შესაძლებელია როგორც უცხოური ენის, ასევე, ეთნიკურ უმცირესობათა ენებისა და ლიტერატურის (აზერბაჯანული, სომხური, რუსული) გაკვეთილზე. საყურადღებოა, რომ მასწავლებელი, რომელიც ჩაატარებს გაკვეთილს, უნდა ფლობდეს ელემენტარულ კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს, რადგანაც ფილმის მთლიანად ჩვენება არ არის გათვალისწინებული და მასწავლებელს მოუწევს ფილმის ჩამოტვირთვა და დაჭრა სასწავლო მიზნების განსახორციელებლად.

საფეხური/კლასი: საშუალო საფეხური (10-12 კლასები);
თემა: მოკლემეტრაჟიანი ფილმი „უბილეთო მგზავრი“;
მიზანი: მოსწავლემ გაიაზროს წარმოდგენილ მოკლემეტრაჟიან ფილმში ნაჩვენები სიტუაცია და განიხილოს ის დღევანდელ ჭრილში, გამოთქვას თვალსაზრისები, გამოხატოს შთაბეჭდილებები და დამოკიდებულება საკითხისადმი.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ნაწყვეტს (უხმოდ) ფილმიდან 3:20 წთ.-7:20 წთ-მდე.

რეკომენდაცია: *ნაწყვეტის ჩვენებამდე არ არის სასურველი რაიმე ინფორმაციის მიწოდება ფილმის შესახებ.*

დავალება 1: როგორ გგონიათ, რაზე საუბრობს ეს ქალი? მოიფიქრეთ ქალი მგზავრის მონოლოგი; მოსწავლეები შეაჯერებენ საკუთარ ვერსიებს ჯგუფში და სურვილის მიხედვით კითხულობენ კლასის წინაშე.

2. მასწავლებელი ასმენინებს ნაწყვეტს ხმის თანხლებით; ვისი ვერსია გამართლდა? აღწერეთ მგზავრების რეაქცია. როგორ ფიქრობთ, რას ფიქრობენ მგზავრები?

რეკომენდაცია: *ამ მომენტში კარგია კადრის გაჩერება თითოეული მგზავრის რეაქციაზე (მასწავლებლის შერჩევით). კადრის შერჩევა რეკომენდებულია წინასწარ.*

ფილმი შავ-თეთრია, თქვენი აზრით, სად და რომელ წლებში ხდება მოქმედება? როგორ გგონიათ, რა მოხდება შემდეგ?

3. ფილმის ნახვა ბოლომდე.
   ა) ახსენით ფერადკანიანი მამაკაცის საქციელი. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
   ბ) ახსენით მგზავრების რეაქცია. საინტერესოა, როგორ შეაფასებენ მოსწავლეები მგზავრების რეაქციას ფილმის დასაწყისსა და ბოლოში.
   გ) როგორ ფიქრობთ, ხდება თუ არა ასეთი შემთხვევები დღევანდელ ევროპაში? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
   დ) განიხილეთ ეს შემთხვევა, გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება და შეადარეთ დღეს საქართველოში არსებულ მდგომარეობას.

დავალება 2

დაწერეთ თხზულება „რა მოხდა ავტობუსში“. აირჩიეთ პერსონაჟი და აღწერეთ ეს სიტუაცია პირველ პირში: მგზავრი ქალის პოზიციიდან, ფერადკანიანი მამაკაცის პოზიციიდან ან რომელიმე მგზავრის პოზიციიდან. ამბავი დაიწყეთ ასე: „ დილით ძალიან მეჩქარებოდა...“

რეკომენდაცია: *სასურველია, მასწავლებელმა გადაანაწილოს მოსწავლეებზე თითოეული პერსონაჟის თვალით დანახული ისტორია, რათა იყოს*

საინტერესო მოსასმენი და დაინახონ ეს ამბავი სხვადასხვა ჭრილში. პერსონაჟის არჩევის შემდეგ, დავალების შესრულებამდე, რეკომენდებულია, ფილმის თავიდან ბოლომდე კიდევ ერთხელ ნახვა.

მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალება, სასურველია, წარმოადგინონ შემდეგ გაკვეთილზე, სადაც შესაძლებელია ამ თემის განხილვა გაგრძელდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლის ჭრილში.

რეკომენდაცია: *ბოლო აქტივობა გათვალისწინებულია ეთნიკური უმცირესობების ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე ჩასატარებლად. თუმცა რუსულის, როგორც უცხოური ენის გაკვეთილზე, მე-11 და მე-12 კლასებში, შესაძლებელია, თემის განხილვა მოხდეს ქართულადაც (ეს დამოკიდებულია კლასის ლექსიკურ შესაძლებლობებზე).*

რაც შეეხება მოსწავლეთა შეფასებას, მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს მოსწავლეები დისკუსიის, თხზულების რუბრიკით. შესაძლებელია გამოყენებული იყოს შეფასების ორივე ტიპი: განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, მასწავლებელს შეუძლია ურთიერთშეფასების ან თვითშეფასების რუბრიკის გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Чернышов С.И., Чернышова А.В. Поехали! – 2.2 Русский язык для взрослых. Базовый курс: в 2-х т. Т.I, СПб.: Златоуст, 2009.
2. Антонова В.Е., Нахабина М.М., А.А.Толстых «Дорога в Россию» (3 часть). СПб., 2004.
3. კითხვისა და წერის მეთოდები. დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის. თბილისი. 2007.
4. http://www.kavkaz-uzel.eu/articles/75473/
5. Перемена. Международный журнал о развитии мышления через чтение и письмо. Весна 2001 (4).
6. დ.მალაზონია., შ.მაღლაკელიძე., ნ.ჭიაბრიშვილი., გ.გახელაძე. ინტერკულტურული განათლების გზამკვლევი. ისუ., 2016,
7. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2017
8. ფილმი https://www.youtube.com/watch?v=U6pjDAEoFhQ

თანამედროვე ქართულ-ევროპული მუსიკალური მოვლენები

წარმოგიდგენთ საქართველოში მიმდინარე იმ ღონისძიებებს, ორგანიზაციებსა და პროექტებს, რომლებიც საქართველოსა და ევროპას შორის კულტურული ურთიერთობის გაღრმავებას, ევროპული გამოცდილების და ღირებულებების დანერგვას უწყობს ხელს.

ეთნომუსიკოლოგიის ევროპული სემინარი თბილისში — ESEM-2017

ESEM საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც ეთნომუსიკოლოგიის ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე კონფერენციის სახით ყოველწლიურად აწყობს სემინარს. სემინარები სხვადასხვა ევროპული ქვეყნის უნივერსიტეტებში იმართება.

წელს სემინარი „ეთნომუსიკოლოგია 21-ე საუკუნეში“ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დაარსებიდან 100 წლის იუბილეს ფარგლებში ჩატარდა. ის, რომ სემინარს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მასპინძლობს[1], შემთხვევითი არაა – ამ უმაღლესი სასწავლებლის ტრადიციული მრავალხმიანობის ცენტრი ESEM საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, თანამშრომლობს ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოსთან (ICTM) და ორ წელიწადში ერთხელ მართავს ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებს. სწორედ ამ ცენტრის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი რუსუდან წურწუმია ხელმძღვანელობდა სემინარის საორგანიზაციო კომიტეტს. სემინარში მონა-

[1] აღსანიშნავია, რომ წელს ESEM პირველად ჩატარდა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში.

წილეობა მიიღო 51-მა (მათ შორის, 8 ქართველმა) მეცნიერმა მსოფლიოს 19 ქვეყნიდან. მონაწილეებს საშუალება მიეცათ, გასცნობოდნენ კოლეგებთან ერთად ინფორმაციას ეთნომუსიკოლოგიის სფეროში მიმდინარე თანამედროვე კვლევების, მიდგომების, მეთოდების შესახებ.

ამავე ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა ქართული და იტალიური ტრადიციული მუსიკის კონცერტები და რაჭული და გურული სიმღერის ვორქშოფები მონაწილეებისათვის.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, „სემინარი ჩვენი კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა და საქართველოს ევროპული მისწრაფებების კიდევ ერთი გამოხატულებაა. ეს სემინარი დასტურია იმისა, რომ ჩვენ უკვე ვართ დიდი ევროპული ოჯახის წევრები და, ასევე, მეტყველებს იმაზე, ევროპულ სამეცნიერო წრეებთან ქართული ეთნომუსიკოლოგიის დაახლოების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. ეს კი ქართული კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო აღიარებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია“. (1,2)

გერმანული საგუნდო მუსიკის კონცერტების სერია — გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი

საქართველო-გერმანიის ურთიერთობების 200 წლის და ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 2017 წელი საქართველო-გერმანიის წლად გამოცხადდა. ამ თარიღთან დაკავშირებით გერმანიის საელჩოს მიერ ჩატარდა კონკურსი, რომელზეც 300-მდე განცხადს შორის ხუთი კანდიდატი შეირჩა. გამარჯვებულთა შორის იყო მოყვარულთა ახალგაზრდული გუნდი „თუთარჩელა“ ქალაქ რუსთავიდან. ამ საგუნდო კოლექტივის მიერ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებდა სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის გერმანული და გერმანულენოვანი მუსიკის ნიმუშების შერჩევას, გუნდის მიერ ამ რეპერტუარის მომზადებას, საკონცერტო გამოსვლებს თბილისსა და რეგიონებში და აუდიოდისკის ჩაწერას. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოებების საგუნდო არანჟირებების უმეტესი ნაწილი გუნდის ხელმძღვანელს, დირიჟორ თამარ ბუაძეს ეკუთვნის. პროექტის მიმდინარეობისას მუსიკალური ნაწარმოებების ლიტერატურულ ტექსტთან და შინაარსთან დაკავშირებით მონაწილეებს კონსულტაციები გაუწია გერმანულმა კავშირმა „Singfrauen Berlin e.V.“.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარებულ კონცერტს გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები დაესწრნენ. კონცერტის წინ, მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას, გერმანიის სრულუფლებიანმა

ელჩმა თქვა, მსგავს პროექტებს მომავალშიც დავუჭერ მხარს ორ ქვეყანას შორის კულტურული კავშირების გაღრმავების მიზნითო. კონცერტები ჩატარდა ასევე რუსთავში, თელავში, ქუთაისსა და ბათუმში. გუნდის მიერ წარმოდგენილ პროგრამაში სლოგანით „სიყვარული ყველაფერია“ შედიოდა ფოლკლორული, კლასიკური და თანამედროვე გერმანულენოვანი მუსიკა (3).

საქართველო-გერმანიის მეგობრობის 200 წლის იუბილეს მიეძღვნა ასევე „თუთარჩელას“ მიერ გერმანიის ქალაქ ბად ჰერსფელდში ჩატარებული კონცერტების სერია. გასტროლებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. დასკვნით კონცერტს, რომელიც 1500-კაციან დარბაზში ჩატარდა, დაესწრნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გერმანიაში საქართველოს საელჩოს, გერმანიის მთავრობის წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები (4).

2 ოქტომბერს გერმანიის გაერთიანების 27 წლის აღსანიშნავად მთაწმინდის პარკში საქართველოში გერმანიის საელჩოს ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება, რომელიც მუსიკალურად გააფორმა „თუთარჩელამ“. სხვა ნაწარმოებებთან ერთად, შესრულდა საქართველოსა და გერმანიის სახელმწიფო ჰიმნები[2] (5).

აქვე დავამატებთ, რომ თამარ ბუაძე რეგულარულად ატარებს მასტერკლასებს სხვადასხვა საგუნდო კოლექტივთან გერმანიასა და შვეიცარიაში, სადაც ქართულ ხალხურ შემოქმედებას აზიარებს მუსიკის უცხოელ მოყვარულებს.

მუსიკალური ბრაილის სახელმძღვანელო

წარმოგიდგენთ ახალ გამოცემას – მუსიკალური ბრაილის სახელმძღვანელოს[3] ოთხ წიგნად, ავტორი თამარ შალვაშვილი (6).

---

[2] „როგორც გერმანია გაერთიანდა 3 ოქტომბერს 27 წლის წინ, ასევე საქართველო შეძლებს მშვიდობიანი გზით გაერთიანებას“, განაცხადა გერმანიის გაერთიანების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ.

[3] როგორც ცნობილია, უსინათლო პირები წერა-კითხვისას იყენებენ ბრაილის სისტემას, რომელიც ფრანგმა ლუი ბრაილმა, თავად უსინათლომ შექმნა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და რომლის ადაპტირება მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე მოხდა. ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი, რომ ლ. ბრაილის მიერ 1829 წ. გამოცემულ ნაშრომში ფრანგულ (ეს ბრაილის ორიგინალური ენაა) დამწერლობას დართული ჰქონდა მუსიკალური ანბანიც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ლ. ბრაილს კარგად ესმოდა მუსიკის მნიშვნელობა უსინათლო პირებისთვის – იგი საფრანგეთის სხვადასხვა, მათ შორის, პარიზის ორ ტაძარში მუშაობდა როგორც ორგანისტი, იყო ჩელისტიც და, შესაბამისად, აფასებდა ჩაწერილი მუსიკალური ინფორმაციის მოპოვებისა და გაცვლის საჭიროებას (7, 8).

სახელმძღვანელოს ავტორი, პიანისტი თამარ შალვაშვილი, თავად უსინათლოა. მან ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურების წარმატებით დასრულების შემდეგ (პროფ. ე. რუსიშვილის კლასი) სწავლა განაგრძო ქ. ბოსტონში, ახალი ინგლისის კონსერვატორიაში – New England Conservatory (NEC), პროფესორ ა. კორსანტიას კლასში. იქვე დაეუფლა მუსიკალური ბრაილის სისტემას. თამარი ისევე, როგორც საქართველოს მოქალაქე სხვა უსინათლო/მხედველობის დარღვევის მქონე მუსიკოსები, სმენით, სხვისი დახმარებით სწავლობდა რეპერტუარსაც და თეორიულ საგნებსაც. საჭიროებიდან გამომდინარე, თამარმა ქართულ ენაზე გაუკეთა ადაპტირება მუსიკალური ბრაილის სისტემას და შექმნა სახელმძღვანელო, რომელიც სხვადასხვა სპეციალობის მუსიკოსებისთვის ოთხ ტომადაა გამოცემული. როგორც თამარი ამბობს, „სახელმძღვანელო ისეა შედგენილი, რომ მხედველმა მუსიკოსებმა შეძლონ, შეასწავლონ უსინათლო პირებს სანოტო დამწერლობა“. ამ სახელმძღვანელოს დანერგვით საქართველოში მცხოვრებ უსინათლო პირებს, სხვა ქვეყნების მოქალაქეების მსგავსად, მიეცემათ საშუალება, ისწავლონ და დამოუკიდებლად გამოიყენონ მუსიკალური დამწერლობა.

„ჯეორფი“

2015 წელს დაფუძნდა საქართველოს ორფის ასოციაცია „ჯეორფი“, როგორც კარლ ორფის ინსტიტუტისა და მოცარტეუმის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. ასოციაციის საორგანიზაციო ჯგუფი ათ წელზე მეტია ატარებს ვორქშოფებსა და სემინარებს ქართველი მუსიკოსებისათვის თბილისსა და რეგიონებში. მისი პრეზიდენტი ქართველი მუსიკოსი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული პიანისტი ეკატერინე ჩუბინიძეა, რომელიც 2003 წელს, როგორც ორფის სტიპენდიანტი, გაემგზავრა გერმანიასა და ავსტრიაში და წლების განმავლობაში სწავლობდა გერმანიის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ამ სისტემას. იგი ახლაც ყოველწლიურად მონაწილეობს საერთაშორისო ღონისძიებებში.

1961 წელს გერმანელმა კომპოზიტორმა კარლ ორფმა ქ. ზალცბურგში მოცარტეუმის ბაზაზე დააარსა კარლ ორფის მუსიკისა და მოძრაობის ინს-

ტიტუტი, რომელიც დღეს მსოფლიო მუსიკოსთა ცენტრად არის წოდებული. ორფმა შექმნა მუსიკის სწავლების მოდელი, რომელსაც დღეს „Orff-Schulwerk"-ს უწოდებენ და იგი ორიენტირებულია ბავშვის სულიერი სამყაროს, კოგნიტურ-ემოციური სფეროსა და მოტორული სისტემის განვითარებაზე (9). „ამ სისტემის განსაკუთრებულობა ისიცაა, რომ ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე ბავშვს ეძლევა საშუალება, სხვებთან ერთად ჩაერთოს მუშაობის პროცესში, აქტივობები ისეთი პრინციპით არის აგებული, რომ ბავშვი ადვილად აღიქვამს და იგებს ნებისმიერი სირთულისა თუ ფორმის დავალებას. თამაში ამ სისტემის მთავარი ელემენტია", – წერს ეკატერინე ჩუბინიძე.

კარლ ორფის ინსტიტუტში ყოველწლიურად იკრიბებიან მუსიკოსები, პედაგოგები, მსახიობები და სხვა სფეროების წარმომადგენლები მსოფლიოს 50 ქვეყნიდან, ფორუმი ძირითადად დისკუსიის ფორმატში მიმდინარეობს და მონაწილეებს აძლევს საშუალებას, უფრო ღრმად და საფუძვლიანად განიხილონ ყველა სიახლე და პრობლემა, რაც იმ პერიოდისთვისაა აქტუალური მუსიკალურ სფეროში. ჯეორფი აქტიურად მონაწილეობს ამ საერთაშორისო ღონისძიებებში და აცნობს ქართულ საზოგადოებას სფეროს სიახლეებს გაკვეთილების, სემინარების, ვორქშოფების სახით (10).

საქართველოს საგუნდო საზოგადოება – EUROPA CANTAT-ის წევრი

Europa Cantat – European Choral Association – ევროპული საგუნდო ასოციაცია არის საგუნდო სფეროს წარმომადგენელი ორგანიზაციების, საგუნდო კოლექტივებისა და ადამიანების ქსელი ევროპაში. მისი გენერალური სამდივნო გვთავაზობს ინფორმაციასა და სერვისებს ევროპაში არსებული საგუნდო სამყაროს შესახებ. ამავე დროს, როგორც ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, ორგანიზაცია თანამშრომლობს ევროპის საზღვრებს გარეთ მყოფ ორგანიზაციებთანაც (11). ამ ორგანიზაციის წევრი გარკვეული დამსახურების – გაწეული სამუშაოსა და შედეგების შეფასების საფუძველზე შეიძლება იყო. საქართველო Europa Cantat-ის წევრი ხელახლა გახდა 2016 წელს.[4]

საქართველოს საგუნდო საზოგადოების მიერ ჩატარებული ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების პირველი ორი ეროვნული კონკურ-

[4] არსებული ხელშეკრულება გაუქმდა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში.

სი – 2015, 2016 – გახდა ამ ორგანიზაციის წევრობის საწინდარი. კონკურსების აკადემიურმა დონემ, მასშტაბურობამ, ორგანიზების ხარისხმა, გამჭვირვალე, ევროპული ტიპის შეფასების სისტემამ, ადგილობრივი და უცხოელი წევრებით დაკომპლექტებული ჟიურის შემადგენლობამ, ასევე ამ ღონისძიების ავტორიტეტმა და მზარდმა ინტერესმა მის მიმართ, რაც მონაწილეთა ფართო სპექტრსა და სხვადასხვა ორგანიზაციის მხარდაჭერაში გამოიხატა, განაპირობა, რომ 2016 წელს საზოგადოება ისევ გახდა ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი (12, 13).

ასოციაცია Europa Cantat, ერთი მხრივ, პროფესიული განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და საკუთარი შემოქმედების წარმოჩენის უსაზღვრო შესაძლებლობებს სთავაზობს წევრებს სხვა წარმომადგენლებთან თანამშრომლობის, კონტაქტების დამყარების, მასტერკლასების, ვორქშოფების, კონცერტების, ფესტივალების, ტრენინგების, კონკურსების სახით როგორც დირიჟორების, მომღერლების, ასევე კომპოზიტორებისა და მენეჯერებისათვის. საქართველოს საგუნდო საზოგადოების თავმჯდომარე ლიანა ჭონიშვილი თვლის, რომ „ასოციაციის წევრობა დიდი პასუხისმგებლობაცაა, ვინაიდან ჩვენ მიერ დაგეგმილი და ჩატარებული თითოეული ღონისძიება ამ საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში განიხილება როგორც შინაარსისა და აკადემიური დონის, ასევე ორგანიზების ხარისხის მხრივ“.

I, CULTURE ORCHESTRA

საერთაშორისო ახალგაზრდული ორკესტრი “I, Culture Orchestra” ყოველწლიურად კონკურსის წესით იკრიბება და მართავს საკონცერტო ტურნეებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ქართველი მუსიკოსები ჩართულები არიან ამ პროექტში 2011 წლიდან. ორკესტრის შემდგენლობაში შედიან აზერბაიჯანის, ბელარუსის, საქართველოს, მოლდოვას, სომხეთის, უკრაინისა და პოლონეთის ახალგაზრდა მუსიკოსები. მისი სამხატვრო ხელმძღვანელია უკრაინელი დირიჟორი კირილ კარაბიცი.

ორკესტრის წევრი მუსიკოსები ყოველწლიურად დიდ საკონცერტო პროგრამას ეუფლებიან და ზაფხულის სეზონზე ინტენსიური საკონცერტო ტურნე აქვთ, რაც მაღალ საშემსრულებლო დონესთან ერთად დიდ ფიზიკურ გამძლეობასაც მოითხოვს მათგან. სწორედ ამიტომ ტურნეს პერიოდში მუსიკოსებისათვის შექმნილია კარგი სამუშაო გარემო[5].

[5] ტურნეს განმავლობაში მუსიკოსებისათვის შექმნილია საგანგებო სამუშაო პირობები, რაც დაძაბულ საკონცერტო-სარეპეტიციო რეჟიმში, ფიზიკური აქტივობების შესაძლებლობასა და, ფსიქოლოგიურ დახმარებას სთავაზობს მათ.

საინტერესოა, რომ ორკესტრის წევრებს, სხვადასხვა წარმომავლობის მიუხედავად, საერთო ისტორიული წარსული აქვთ – ყველანი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან არიან. ეს პროექტი, შემოქმედებითი გამოცდილების მიღების გარდა, გააცნობს ერთმანეთს ერთი თაობის მუსიკოსებს, რათა ისინი გაერთიანდნენ, მოახერხონ საერთო პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა. ორკესტრი, როგორც თანამშრომლობის უნიკალური მოდელი, სავარაუდოდ, სწორედ ამ პროცესებს შეუწყობს ხელს.

მოცემულ სტატიაში ყურადღება გავამახვილეთ იმ ტიპის მოვლენებზე, რომლებიც, ძირითადად, მიმდინარეა, გააგრძელებს ფუნქციონირებას, სამომავლოდაც ექნება ზეგავლენა საქართველოს მუსიკალური სფეროს განვითარებაზე და ხელს შეუწყობს ევროპული ტრადიციების დანერგვასა და კავშირების გაღრმავებას. აქ არ გვიხსენებია ასობით წარმოდგენა, კონცერტი, ღონისძიება, სასწავლო დაწესებულება, რომლებიც საქართველოში ევროპული მუსიკის შესრულებას და მისი ტრადიციების დამკვიდრებას ემსახურება.

მოცემული ინფორმაციის გაცნობით, მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ, გამოიყენონ იგი სწავლების პროცესში, ასევე, დაესწრონ, მონაწილეობა მიიღონ ამ ან მსგავს ღონისძიებებში. ვფიქრობთ, ასევე, ეს პროექტები მათთვის იქნება სტიმული ახალი იდეების გენერირებისა და განსხვავებული პროექტების გასახორციელებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://polyphony.ge/esem-2017-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98/
2. http://tsc.edu.ge/index.php?m=255&news_id=760
3. https://www.imedi.ge/ge/video/9954/patara-tutarchela--ratom-dainteresdnen-germanelebi-rustavis-sagundo-ansamblit
4. https://www.facebook.com/tutarchelachoir/
5. http://www.mfa.gov.ge/News/iseve-rogorc-germania-gaertianda-3-oqtombers-27-cl.aspx?CatID=5
6. შალვაშვილი თ. მუსიკალური ბრაილის სახელმძღვანელო. თბილისი, 2016
7. Joseph E. Sullivan. Louis Braille http://www.braillerman.com/louis.htm
8. თაყაიშვილი რ. მუსიკის სწავლება უსინათლო ბავშვებისათვის http://mastsavlebeli.ge/?p=3640
9. http://aosa.org/about/what-is-orff-schulwerk/
10. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=799160800228321&id=717510981726637
11. http://www.europeanchoralassociation.org/
12. http://www.geochoralsociety.ge
13. https://www.facebook.com/georgian.choral.society/
14. http://www.orchestra.culture.pl/en/

ევროპული ქვეყნის ჰიმნი

აქტივობების პაკეტი

მოსწავლეები, მასწავლებლის დავალებით, მოიძიებენ ევროკავშირის ქვეყნების ჩამონათვალს. მოსწავლეთა 2-3-კაციანი ჯგუფების[6] რაოდენობისა და მათი სურვილის მიხედვით შეირჩევა ქვეყნების გარკვეული რაოდენობა (1 ან 2 ქვეყანა ჯგუფზე).

კენჭისყრის პრინციპით, ქვეყნები განაწილდება მოსწავლეთა ჯგუფებს შორის.

თითოეული ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს ინფორმაციას ქვეყნისა და მისი სიმბოლიკის შესახებ, რასაც, საბოლოოდ, პრეზენტაციის სახით წარმოადგენენ, მთავარი დავალება კი შემდეგია: ჯგუფმა უნდა შეასწავლოს თანაკლასელებს ჰიმნი. ამისათვის შეიძლება გამოიყენონ ნებისმიერი რესურსი – სანოტო, აუდიო, ვიდეომასალა, სანოტო და ლიტერატურული ტექსტი, კარაოკე, ფორტეპიანო, გიტარა, მინუს და პლუს ფონოგრამა და მეთოდი.

http://www.nationalanthems.info/eu.htm

ამის შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებლად მოიძიებენ და შეისწავლიან ევროკავშირის ჰიმნს – ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის თემას, რომელსაც მასწავლებელი დაამუშავებს მთელ კლასთან. შესაძლოა, მასწავლებლის ხელშეწყობით, ევროპული ჰიმნების რეპერტუარმა კონცერტის სახე მიიღოს. რეკომენდებულია, ამ კონცერტზე საქართველოს სახელმწიფო ჰიმნიც შეს-

[6] მასწავლებელი, მოსწავლეების მუსიკალური მონაცემებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, თანაბრად ანაწილებს მათ ჯგუფებში.

რულდეს. ასეთ შემთხვევაში, კარგი იქნება პოსტერის მომზადება. სასურველია, პოსტერთან დაკავშირებული იდეების განხორციელებაში მოსწავლეებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი დაეხმაროს.

შესაძლოა, შემდეგ ეტაპზე ინფორმატიკის მასწავლებელთან ერთად მომზადდეს რესურსი – ევროკავშირის რუკა, სადაც თითოეულ ქვეყანაზე დაწკაპუნების შედეგად აჟღერდება მისი სახელმწიფო ჰიმნი. ეს იდეა შეიძლება განივრცოს და თითოეულ ქვეყანასთან დაკავშირებით დაემატოს მოკლე ინფორმაციაც.

ევროპული სამუსიკო განათლება საქართველოში

XIX საუკუნიდან საქართველოში ძლიერდება ინტერესი ევროპული პროფესიული მუსიკის მიმართ, რის დასტურადაც 1851 წელს თბილისში იხსნება საოპერო თეატრი. აღსანიშნავია, რომ ევროპაში დადგმული ახალი საოპერო თხზულებების დიდი ნაწილი ერთი ან ორი წლის შემდეგ უკვე თბილისის ოპერის სცენაზე იდგმებოდა. ოპერა ორგანულად ჩაეწერა თბილისის ყოფაში. საზოგადოების ინტერესს პროფესიული მუსიკისადმი იმითაც ვხვდებით, რომ, მიმდინარე კერძო გაკვეთილების გარდა, არსებობდა სპეციალური მუსიკალური სასწავლებლის გახსნის სურვილი, რასაც იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული მოთხოვნებიც ადასტურებს და ასეთი სასწავლებლის გახსნის ცალკეული მცდელობებიც. ამავე დროს, მუსიკა საკმაოდ სერიოზულად ისწავლებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, როგორიც იყო წმინდა ნინოს სასწავლებელი, ვაჟთა კლასიკური გიმნაზია... ვფიქრობთ, საკმარისია დავასახელოთ, რომ სხვადასხვა დროს ამ სასწავლებლებში პედაგოგებად ისეთი გამოჩენილი მუსიკოსები მუშაობდნენ, როგორებიც იყვნენ მ. ბალანჩივაძე, ზ. ფალიაშვილი, ზ. ჩხიკვაძე, ი. კარგარეთელი, ა. ყარაშვილი... 1874 წელს კი მუსიკოსებისა და პედაგოგების – ხ. სავანელის, ა. მიზანდარის (თავისი დროის გამოჩენილი პიანისტის), კ. ალიხანოვის თაოსნობით დაარსდა მუსიკალური სკოლა, რომელმაც მთელ შემდგომ ქართულ პროფესიულ მუსიკალურ განათლებას ჩაუყარა საფუძველი. 1883 წელს სკოლა რუსეთის მუსიკალური საზოგადოების (РМО) „ტფილისის სამუსიკო კლასებად“, 1886 წელს კი ამავე საზოგადოების სასწავლებლად ყალიბდება. ეს კერა ერთგვარ მუსიკალურ-კულტურულ ცენტრად იქცევა, სადაც პროფესიული მუსიკის პოპულარიზაცია ხდება. იქმნება სტუდენტური ორკესტრი, გუნდი; ტარდება კონცერტები; იდგმე-

ბა საოპერო სპექტაკლების ფრაგმენტები. სასწავლებელი იზიდავს ქართველ და უცხოელ მუსიკოსებს. ეს კერა უდიდეს როლს ასრულებს ქართული მუსიკალური პედაგოგიური სკოლის ჩამოყალიბებაში: იქმნება საფორტეპიანო, ვოკალური, შემდგომ სავიოლინო და თეორიული კლასები, სადაც ასწავლიან უცხოეთში განათლებული მუსიკოსები. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობენ ცნობილი შემსრულებლები და პედაგოგები: კ. იგუმნოვი, ჰ. ნეიჰაუზი, ვ. ვილშაუ, ბ. ზარუდნაია, ე. რიადნოვი, ზ. ფალიაშვილი...

როგორც ცნობილია, თბილისში გაიარა ვოკალური სკოლა ფ. შალიაპინმაც ცნობილ პედაგოგ ნ. უსატოვთან და სწორედ თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე შედგა მისი დებიუტი. 1915 წელს უკვე აღიარებული მომღერალი, თბილისის სამუსიკო სასწავლებლის მოწვევით დაესწრო მის პატივსაცემად მოწყობილ კონცერტს და ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა ამ კერას. მისმა შექებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა იმის გამოც, რომ სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება მცდელობა სასწავლებლის კონსერვატორიად გარდაქმნის თაობაზე[7].

1917 წელს თბილისის სამუსიკო სასწავლებელი კონსერვატორიად გარდაიქმნა[8]. ეს იყო პირველი კონსერვატორია ამიერკავკასიაში. თავიდან კონსერვატორიაში ოთხი ფაკულტეტი არსებობდა – საფორტეპიანო, ვოკალური, საორკესტრო და თეორიული. მნიშვნელოვანია, რომ დამატებით გაიხსნა პედაგოგიური ფაკულტეტიც. ყოველივე ეს იმის დამადასტურებელია, რომ ამ დროისათვის ჩამოყალიბებულია ქართული მუსიკალური პედაგოგიური სკოლა, ტრადიცია, რომელიც თანდათან განმტკიცდა, გაფართოვდა XX ს-ში.

თვალი გავადევნოთ პროფესიული მუსიკალური განათლების მეორე შტოს, რომელიც 1908 წლიდან პარალელურად არსებობს თბილისში. 1905 წელს დაარსებული „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“ (1918 წლიდან ქართული სამუსიკო საზოგადოება) სამი წლის შემდეგ (1908 წ.) ხსნის სამუსიკო სკოლას, რომელიც დაბალი ფენების მუსიკალურ განათლებას ისახავს მიზნად. 1919 წელს იგი უკვე ქართული სამუსიკო საზოგადოების სასწავლებლად, და ბოლოს, 1921 წელს მეორე კონსერვატორიად ყალიბდება. მის მაღალ პროფესიულ დონეზე მეტყველებს პედაგოგიური კოლექტივის შემადგენლობა დ. არაყიშვილის მეთაურობით. ამრიგად, ერთხანს (1921-1924 წწ.) თბილისში ორი კონსერვატორიაც კი არსებობს. მათი რეორგანიზაცი-

---

8 ცნობილია შალიაპინის სიტყვები: „მე ორჯერა ვარ დაბადებული: „ცხოვრებისათვის – ყაზანში, სიმღერისთვის – თბილისში“.

9 ჯერ კიდევ 1912 წ. РМО-ს სასწავლებელთა დირექტორების ყრილობაზე ტფილისის სასწავლებელმა უმაღლესი ატესტაცია მიიღო და წარდგენილ იქნა კონსერვატორიის სახელის მისანიჭებლად.

ისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო საგანგებო კომისიას ქმნის. ქართული საზოგადოებისთვის ამ ფაქტის მნიშვნელობას ისეთი მოღვაწეების მონაწილეობაც ამტკიცებს, როგორებიც არიან ა. შანიძე, მ. ზანდუკელი, შ. ნუცუბიძე, ი. ჯავახიშვილი. 1924 წელს ორი უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი ერთიანდება და სახელმწიფო კონსერვატორიის სტატუსს იღებს[9] (3).

მოცემული მასალის გაცნობის საფუძველზე მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას თემაზე „რამ გამოიწვია ოპერითა და, ზოგადად, ევროპული მუსიკით ასეთი დაინტერესება იმ ქვეყანაში, სადაც არ არსებობდა მისი ფუნქციონირების ტრადიცია“. მათი მოსმენის შემდეგ მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს მუსიკისმცოდნე მანანა ახმეტელის პოზიციას, რომლის მიხედვით, ევროპული მუსიკალური კულტურის ასე ბუნებრივად, ადვილად მიღება იმდროინდელი ქართული საზოგადოების მუსიკალური ყოფის მაღალმა დონემ განაპირობა, რასაც, თავის მხრივ, ხალხის მუსიკალურმა კულტურამ, ხალხური სიმღერის ფართო გავრცელებამ მოუმზადა ნიადაგი (4).

მასწავლებელი აცნობს ინფორმაციას ოპერის თეატრში ექსკურსიის შესახებ[10] და მათთან შეთანხმებით გეგმავს ტურს ოპერაში (5).

გაეცანით უნიკალური თეატრის ისტორიას სცენაზე და სცენის მიღმა

ტური მოსწავლეებისთვის: მონაწილეთა რაოდენობა: 30

ხუთშაბათი 12:00 და 13:00 სთ – ფასი: 3 ლარი

რეგიონების სკოლებისთვის – ფასი: 2 ლარი

ტურზე დასასწრებად აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია. დარეკეთ ნომერზე 2004466

---

9 სხვადასხვა დროს საქართველოში არსებობდა მუსიკალური განათლების შემდეგი კერები – თბილისში: კავკასიის სამუსიკო საზოგადოების სკოლა (1871-1875), ქართული გიმნაზიის სამუსიკო კლასები (1892-1906), შვეიგერისა და პიშნოვის კერძო მუსიკალური სკოლა (1913-1918), მუსიკალურ მოღვაწეთა საზოგადოების სკოლა (1911), 1918 წ-დან პერცოვის სახელობის სამუსიკო ინსტიტუტი, რომლის ბაზაზე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის II სასწავლებელი შეიქმნა, თბილისის სომხური სამუსიკო საზოგადოების სკოლა „აკადემია“ (1918-1919,) ქუთაისში: ტ. ვიხოვსკის მუსიკალური სასწავლებელი დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი კურსებით (1916-1918), ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახ. სამუსიკო სასწავლებელი (1918).

10 ტურის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის http://opera.ge/AboutTheatre/Visit-theater.aspx

ექსკურსიის შემდეგ, შესაძლებელია, მასწავლებელმა დაგეგმოს შემდეგი აქტივობები:

1. ოპერის თეატრის გეგმის მიხედვით ფუნქციურად განსხვავებული სივრცეების მონიშვნა ჯგუფებად დაყოფილი მოსწავლეების მიერ;
2. საოპერო მუსიკის ნიმუშების, სასურველია, თბილისის/ქუთაისის/ბათუმის ოპერის თეატრის თანამედროვე რეპერტუარის გაცნობა, რასაც წარმოდგენაზე დასწრება მოჰყვება. მასწავლებელი ამზადებს და აცნობს მოსწავლეებს: ინფორმაციას ავტორისა და ნაწარმოების შესახებ; ლიბრეტოს; ლიტერატურულ პირველწყაროს,[11] ასმენინებს მუსიკალურ ფრაგმენტებს, უჩვენებს ვიდეოკადრებს, სურვილის შემთხვევაში, მოქმედებას ან მთელ სპექტაკლსაც კი. შესაძლოა, ნაწარმოების ან ფრაგმენტის რამდენიმე განსხვავებული ინტერპრეტაციის შეთავაზება და განხილვა. სპექტაკლზე წასვლამდე, სასურველია, მოსწავლეებმა თავად შეიმუშაონ თეატრში ქცევის წესები;
3. სპექტაკლის შემდგომი გაკვეთილი რეფლექსიას დაეთმობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://opera.ge/AboutTheatre/History.aspx
2. http://www.qwelly.com/group/literature/forum/topics/opera
3. თაყაიშვილი რ. მუსიკის სწავლების კონცეფცია ზოგადსაგანმანათლებლო რეფორმის კონტექსტში, შ. რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2006 (ხელნაწერის უფლებით)
4. ახმეტელი მ. მუსიკალური განმანათლებლობა და მისი საყრდენები. თბილისი. საბჭოთა ხელოვნება, 1987, №11, გვ. 73-84.
5. http://opera.ge/AboutTheatre/Visit-theater.aspx

[11] მასწავლებელმა შეიძლება საინტერესოდ დაგეგმოს ლიბრეტოსა და ლიტერატურული პირველწყაროს განხილვა და შედარება.

რეკომენდაცია

სასურველია, მუსიკის მასწავლებელმა წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოახერხოს მოსწავლეების გაყვანა სკოლის სივრციდან – შესაძლოა, ეს იყოს საჯარო ან სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა კონცერტები, ასევე, ექსკურსიები სხვადასხვა ორგანიზაციაში, როგორებიცაა:

თბილისი

☆ **თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუზეუმი**
სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი
სამუშაო საათები: 11-17 სთ.
ტელ.: (+995 32) 299 91 49; (+995 32) 233 70 88; 599 98 09 02
ელ-ფოსტა: museum@conservatoire.edu.ge; mchikhladze@gmail.com
ვებგვერდი: http://www.conservatoire.edu.ge; http://www.conservatoire.edu.ge/index.php?m=471

☆ **ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი**
მისამართი: თბილისი, დ. ბაქრაძის ქ. # 10
ტელ.: 2 99 81 16
www.tbilisi.gov.ge/index.php

☆ **თოჯინების მუზეუმი**
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. # 103

☆ **ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმი**
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. 83/23
ტელ.: 2 95 19 63
ვებგვერდი: http://chabukiani.iatp.ge
ელ-ფოსტა: balet2003@yahoo.com

☆ **ქართული ხალხური საკრავებისა და სიმღერის მუზეუმი**
მისამართი: სამღებროს ქ. # 6
ტელ.: 2 45 77 21 ; 2 45 77 2 0
ელ-ფოსტა: muzeumi1984@gmail.com
http://georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=1&th_id=38

ქუთაისი

☆ **ბალაჩივაძეების სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი**
მისამართი: წმინდა ნინოს ქ. # 17
http://kutaisi.gov.ge/index.php?page=28&lang=ge

☆ **ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი**

ბათუმი

☆ **ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი**
მისამართი: ქ. ბათუმი, ო.დიმიტრიადის ქ.N 1
ტელ: (0422) 27-62-40
ელ-ფოსტა: info@muscenter.ge
ვებ-გვერდი: www.muscenter.ge

ღონისძიებები, როგორც წესი, ადრე იგეგმება და მასწავლებელი წინასწარ ამზადებს მოსწავლეებს – აცნობს ინფორმაციას დაწესებულების შესახებ, კონცერტისა და წარმოდგენის შემთხვევაში კი წინასწარ აცნობს ნაწარმოებს. იგივე ეხება საჯარო ღონისძიებაზე ქცევის წესებსაც.

ირინე ჯორჯაძე

ევროპელი არქიტექტორები და მხატვრები თბილისში

XIX-XX საუკუნის თბილისის არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ევროპელ არქიტექტორებს. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქალაქი მნიშვნელოვნად იცვლება, რასაც, პირველ რიგში, ეპოქის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებები განაპირობებს. რუსეთიდან და ევროპიდან ჩამოსული ევროპელი არქიტექტორები, მეტწილად გერმანელები, დიდ როლს თამაშობდნენ თბილისის და არა მარტო თბილისის ცხოვრებაში. უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს 2 თარიღი – 1795 წლის თბილისის სპარსელების მიერ დარბევა, რის შედეგადაც შუა საუკნეების ქალაქი ფაქტობრივად სრულიად განადგურდა და 1801 წლიდან საქართველოს რუსეთის იმპერიის ნაწილად ქცევა განსაზღვრავდა. შუა საუკუნეების შენობების ადგილზე ახალი მშენებლობა დაიწყო, ამავდროულად, თბილისი ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-კუტურული ცენტრი გახდა.

ამ პერიოდის ხელოვნების, არქიტექტურის, ქალაქისა თუ ყოფა-ცხოვრების ისტორიას არაერთი მკვლევარი იკვლევდა და იკვლევს. წინამდებარე ტექსტიც რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევითი ნაშრომის შედეგად თავმოყრილ, უაღრესად საინტერესო და ღირებულ მასალას ეყრდნობა. ევროპელი, ძირითადად გერმანელი მხატვრების კვალს საქართველოში ეხება ნინო ჭოღოშვილის სადისერტაციო ნაშრომი „გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე“.

ავტორი აღნიშნავს, რომ კავკასიის კვლევა გერმანელმა მეცნიერებმა და კოლონისტების შთამომავლებმა დაიწყეს. კოლონიების მიმართ ინტერესი კი ძირითადად 90-იანი წლებიდან გაიზარდა. თუ მანამდე არსებული ლიტერატურა უფრო ფრაგმენტულია – მხატვრების მცირე ბიოგრაფიებს და მხოლოდ ზოგიერთ ცნობას მოიცავს, ნინო ჭოღოშვილის ნაშრომი ზედმიწევნით მიმოიხილავს კოლონიის დაარსების ისტორიას და საქართველოში მოღვაწე ევროპელი მხატვრების მოღვაწეობის შესახებ აქამდე არსებულ ყველაზე სრულფასოვან კვლევას გვთავაზობს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მაია მანიას წიგნად გამოცემული კვლევა „ევროპელი არქიტექტორები თბილისში". წიგნი ეძღვნება ევროპელი ხუროთმოძღვრების ღვაწლს XIX და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის არქიტექტურაში და მათ მიერ შეტანილ წვლილს თბილისის ურბანულ განვითარებაში. საარქივო და ცოცხალი ქალაქის კვლევის შედეგად მოპოვებულ მასალას თბილისის ისტორიული არქიტექტურის უაღრესად საინტერესო ანალიზიც ერთვის.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში მოღვაწე მხატვრების და არქიტექტორების ძირითადი ნაწილი გერმანიიდან იყო. გერმანული კოლონიების დაარსება ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი მოვლენაა XIX საუკუნის საქართველოში. კოლონისტებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებაში. გერმანელების ჩამოსახლება, პირველ რიგში, რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგი იყო. იმპერიის ნაკლებად დასახლებულ ადგილებში კოლონისტების გადმოსახლება ჯერ კიდევ ეკატერინე მეორეს დროს დაიწყო. კავკასიაში ჩამოსვლა ნებაყოფლობითი იყო, მსურველები კი ძირითადად ნაპოლეონ პირველის ლაშქრობის შედეგად დაზარალებული რეგიონიდან იყვნენ. მატარიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გარდა, ზოგიერთი ემიგრანტისათვის გადმოსახლებას რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ პერიოდში არსებობდა სექტა, რომელიც სამყაროს მოახლოებული დასარულის შემდეგ მხოლოდ კავკასიის გადარჩენას ქადაგებდა. ამ ფაქტორის გარდა, იმპერია მომავალ კოლონისტებს ფულად დახმარებას, მიწის ნაკვეთს, რელიგიურ შემწყნარებლობას და სამხედრო სამსახურიდან დროებით გათავისუფლებას ჰპირდებოდა. ამგვარად, 1817 წელს სამხრეთ გერმანელი კოლონისტების პირველი ჯგუფი, დაახლოებით 30 ოჯახი, თბილისში ჩამოვიდა. მათ პირველ დასახლე-

ბას სართიჭალაში მარიენფელდი ეწოდა. 1891 წლისთვის უკვე 8 ახალშენი იყო: 1. მარიენფელდი – კახეთის გზატკეცილზე, სართიჭალასთან; 2. თბილისის კოლონია"; 3. ალექსანდერდორფი – მდებარეობდა დიდუბის სახაზინო მიწებზე; 4. პეტერსდორფი – მარიენფელდის მახლობლად; 5. ელიზაბეტთალი – დღევანდელი ასურეთის ადგილას; 6. ეკატერინენფელდი – ბორჩალოს მაზრაში, ბოლნისის მახლობლად; 7. ანენფელდი – მდებარეობდა შამქორის სახაზინო მიწებზე; 8. ელენენდორფი – განჯის მახლობლად. 1848 წლამდე გერმანულ დასახლებებს ეწოდებოდა „საქართველოს გერმანული კოლონიები", შემდეგ „ამიერკავკასიის გერმანული კოლონიები".[1] მოგვიანებით კიდევ სხვა კოლონიებიც დაარსდა. ამავე კვლევაში ვკითხულობთ საფრანგეთის კონსულის ინფორმაციას თბილისის სატრანზიტო ფუნქციის შესახებ: „თბილისში ზოგჯერ ერთსა და იმავე დღეს ჩამოდიოდნენ ნეგოციანტები პარიზიდან, კურიერები პეტერბურგიდან, ვაჭრები კონსტანტინეპოლიდან, კალკუტიდან ან მადრასიდან მომავალი ინგლისელები, სომხები სმირნიდან ან იაზდიდან, უზბეკები ბუხარიდან; ამგვარად ეს ქალაქი შეიძლება მივიჩნიოთ ცენტრალურ პუნქტად ევროპასა და აზიას შორის".

გერმანელი ემიგრანტების პირველ თაობას ძირითადად გლეხები წარმოდგენდნენ. ნელ-ნელა ემიგრანტებმა სახელოსნოების და ამქრების დაარსება დაიწყეს. მაგალითად, თბილისში არსებობდა ერნსტ ზომერის მექანიკური სახელოსნო, 1850-იან, 60-იან წლებში იხსნება ვეტცელის ბავარიული ლუდის სახარში. 1829 წელს პირველი აფთიაქი ფლორ შონბერგმა გახსნა, ხოლო ევგენი ზემელი, წამლების გარდა, ხელოვნურ მინერალურ სასმელსაც ამზადებდა. გერმანელი ემიგრანტები, სხვადასხვა საწარმოს გახსნის გარდა, სამეცნიერო საქმინობასაც ეწეოდნენ. აქედან განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო თბილისის ობსერვატორია, კავკასიის მუზეუმი. გერმანელებმა ასევე დააარსეს სხვადასხვა კლუბი, სასტუმროები. მეორე თაობის ემიგრანტები გასაკუთრებით აქტიურად მონაწილეობდნენ ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გერმანული ფირმა „სიმენს & ჰალკსეს" დამფუძნებელმა, ვერნერ სიმენსმა, 1870-იან წლებში ინდოევროპული ტელეგრაფი დააარსა, რომლის ხაზი ლონდონიდან თბილისის გავლით ინდოეთს შეუერთდა. 1850

[1] „გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე", ნინო ჭოღოშვილი, 2006

წლიდან იხსნება სკოლები, სადაც სწავლება გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა. 1892 წლიდან თბილისში მოღვაწე მწერალი არტურ ლაისტი გერმანული პუბლიკაციის, "Kaukasische Post"-ის რედაქტორი იყო.

ევროპელი მხატვრების აქტიური მოღვაწეობა საქართველოში ქართული დაზგური მხატვრობის ჩამოყალიბების პერიოდს ემთხვევა. მეცხრამეტე საუკუნეში მხატვრები კავკასიაში ან საკუთარი სურვილით, ხშირ შემთხვევაში კი რუსეთის მთავრობის მიერ საგანგებოდ სამხედრო მოვლენებისა და ახალი ტერიტორიების ასახვის მიზნით ჩამოდიოდნენ. მათ მიერ შექმნილ ნამუშევრებს, მხატვრული ღირებულების გარდა, ისტორიული მნიშვნელობაც ჰქონდა. ასეთ მხატვრებს შორის იყვნენ რუსი მხატვრები მაშკოვი, ჩერნეცოვი, ივანოვი, გაგარინი. იტალიელი მხატვარი ლევ ლაგორიო, უფრო ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი აივაზოვსკი, მიხაი ზიჩი და სხვა. როგორც სხვა დარგებში, მხატვრობაშიც გერმანელები სჭარბობდნენ, რაც, ცხადია, კოლონიების დაარსებას უკავშირდება. მეფე ერეკლეს კარზე, მაშინ, როდესაც ახლად გაჩენილ ქართული დაზგური მხატვრობის ძირითად ჟანრს პორტრეტი წარმოადგენდა, მოღვაწეობდა გერმანელი მხატვარი იოზეფ გოტინი, მოგვიანებით ალექსანდრ კლიუდერი. საქართველოში მოღვაწე სხვა გერმანელ მხატვრებს შორის გამოირჩევიან ჰელენ და პაულ ფონ ფრანკენები. თუ პაულ ფონ ფრანკენის გვიანი რომანტიკული მიმდინარეობის პეიზაჟები ერთგვარ ეგზოტიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და იმეორებს თანადროული გერმანული მხატვრობის დამახასიათებელ მსოფლმხედველობას, მისი ცოლის, თბილისის ქალთა გიმნაზიის მასწავლებლის, ჰელენის ნამუშევრები, მეტწილად პორტრეტები, იდეალიზებული დრამატული ხაისათის მაგივრად, უფრო თავშეკავებული და რეალისტური ნიშნით გამოირჩევა. გერმანელი მხატვარი თეოდორ ჰორშელტიც ალჟირისა და ესპანეთის შემდეგ კავკასიაში მოხვდა და რუსეთის იმპერიის მიერ ჩეჩნეთთან წარმოებულ ბოლო ბრძოლებში პირადად დაესწრო შამილის ტყვედ ჩავარდნას. მის ნამუშევრებში მოგზაურის ეთნოგრაფიული ინტერესი და დოკუმენტური სიზუსტით ნანახის გადმოცემის სურვილი იკვეთება. აღმოსავლური თემატიკა ახასიათებს ზომერის მხატვრობას, რომელიც კავკასიის მხატვართა საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი იყო და აქტიურად მონაწილეობდა გამოფენებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გერმანელი მხატვარი მაქს ტილკე, ხალხური კოსტუმების სპეციალისტი, რუსეთის

იმპერატორის რეკომენდაციით მიიწვიეს კავკასიის მუზეუმში სამუშაოდ. 1936 წელს გამოიცა მაქს ტილკეს კავკასიელ ხალხთა კოსტუმების ღია ბარათების სერია. მხატვარ ოსკარ შმერლინგს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული საბავშვო წიგნის ილუსტრაციის განვითარებაში. ის მუშაობდა იაკობ გოგებაშვილის დედაენისა და ბუნების კარის დასურათებაზე.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში, კავკასიის კულტურულ ცენტრში, არსდება საგანმანათლებლო, სიძველეთა დაცვის და ხელოვნების განვითარების ხელშემწყობი საზოგადოებები. იგება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები და საცხოვრებელი სახლები. თითქმის დანგრეული შუა საუკუნეების ქალაქის ადგილას, შენდება ახალი შენობები, ისე, რომ ქალაქის უძველესი უბნები ინარჩუნებს შუა საუკუნეების ქუჩათა ირეგულარულ გეგმარებას. ამასთანავე, ქალაქის გარკვეულ მონაკვეთებში ნელ-ნელა ყალიბდება ახალი, რეგულარული ტიპის ქუჩათა დაგეგმარება (დღევანდელი აღმაშენებლის გამზირი, სოლოლაკი). ამგვარად, სტილისტური თვალსაზრისით თბილისი ევროპული და რუსული ქალაქების განვითარების გზით წავიდა. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურა სტილისტური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ერთმანეთს ერწყმის კლასიცისტური რენესანსული, ისლამური, გუთური ნიშნები. განსაკუთრებით პოპულარული ხდება იუგენშტილი, ქართული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასითებელი ორნამენტის გამოყენება კი ნეორომანტიზმის და ისტორიზმის ნიშანს ატარებს. ამ პერიოდის არქიტექტურის მიმოხილვისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ვახტანგ ბერიძის (უფრო ადრეული) და მაია მანიას ზემოთ ნახსენები, 2006 წელს გამოცემული კვლევაა.[2]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღევანდელი აღმაშენებლის ქუჩისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეგულარული გეგმარება გერმანელი ემიგრანტების სახლებმა, ხეხილის ბაღებმა და ვენახებმა განსაზღვრა. 1844 წლის გეგმაზე ვკითხულობთ ქუჩის გაყოლებით ჩამწკრივებული მართკუთხა ფორმის ნაკვეთებს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო დღევანდელი აღმაშენებლის გამზირის ტერიტორია, 1818 წელს დაარსებული თბილისის კოლონიაა. ნინო ჭოღოშვილის სადისერტაციო ნაშრომში ნახსენებია, რომ თავდაპირ-

[2] გამოყენებული და სარეკომენდაციო ლიტერატურის ნუსხა იხილეთ ტექსტის ბოლოს.

ველი სახლები, როგორც ჩანს, ერთსართულიანი იყო, მაღალი სახურავებით და ფრონტონებით. ხის რიკულებიანი მოაჯირებით დამშვენებული აივნები კი ადგილობრივი ტრადიციის გათვალისწინება ან სამხრეთ გერმანული ტრადიციის გამოძახილია. 1862 წლიდან კოლონია ქალაქის ფარგლებში მოექცა, 1899 წლიდან კი უბნის სახე მიიღო და მიხეილის ქუჩა ეწოდა. დღეს ამ უბანში გერმანელი არქიტექტორების მიერ აშენებული სახლების დიდი ნაწილი გადაკეთებულია. აქვე იყო თავად ცნობილი არქიტექტორების საცხოვრებელი სახლებიც, მათ შორის ბილფელდის, ზალცმანის და შტერნისა. დიდი წვლილი შეიტანეს გერმანლებმა რიყის განაშენიანებაშიც. გერმანელი არქიტექტორების გვერდით აუცილებლად უნდა ვახსენოთ ა. ანდრიოლეტის მარმარილოსა და მოზაიკის მხატვრული დამუშავების სახელოსნო და ამ სახელოსნოში მოღვაწე იტალიელ ხელოვანთა ღვაწლი. სანამ უშუალოდ გერმანელი არქიტეტორების მიერ აგებულ სახლებს შევეხებით, აუცილებლად უნდა მიმოვიხილოთ რამდენიმე არაგერმანული წარმოშობის ხუროთმოძღვრის მოღვაწეობა. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული შვეიცარიელი ჯუზეპე ბერნარდაჩის მიერ აგებული (1788-1840) ქართველი შაქრის მეწარმე და მეცენატი იაკობ ზუბალაშვილის სახლია, სადაც დღეს ხელოვების მუზეუმია განთავსებული, მანამდე ამ შენობას სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა — იყო სასულიერო სემინარია, სასტუმრო, ბოლოს კი — მუზეუმი. შენობა გვიანი კლასიციზმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია თბილისში. ქრონოლოგიურად მომდევნო ჯოვანი სკუნდიერია, რომელმაც პადუის უმაღლეს საიმპერატორო-სამეფო სასწავლებელში მიიღო განათლება (1816-1851 წწ.). მან პირველი სათეატრო შენობა ააშენა თბილისში. დარბაზში მხატვარ გრიგოლ გაგარინის ცნობილი მოხატულობა იყო. შენობა იტალიური რენესანსის მოტივებზე აშენდა, ალექსანდრე დიუმა მას იხსენებს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მომხიბლავ თეატრს. შენობა 1874 წელს ხანძარმა გაანადგურა. სკუნდიერის აგებულია მნიშნველოვანი საინჟინრო ნაგებობები, მიხეილის დიდი და მცირე ხიდები, საიდანაც მცირე, ადრე მადათოვის კუნძულს გამოჰყოფდა, დღეს კი მშრალი ხიდი ეწოდება. ოტო იაკობ სიმონსონმა განათლება დრეზედენში მიიღო და შემდეგ ცნობილ არქიტექტორ ზემპერთან მუშაობდა. თბილისში მან მეფისნაცვლის შენობა გადააკეთა. ი. სემინოვის დაწყებული შენობა, რუსთაველის მხრიდან რენესანული სტილის ფასადით შეცვალა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოტო იაკობ სიმონ-

სონის აგებული საცხოვრებელი სახლები: ინგოროყვას ქუჩის ოდნავ სიღრმეში აშენებული კლასიცისტურ-რენესანსული ტიპის სახლი შიდა ეზოში ღია ხის აივნებით, რომლის ინტერიერის მორთულობაც არანაკლებ საინტერესო იყო. სიმონსონის მიერ ჩატარებული რეკონსტურქციის შედეგად საბოლოო სახე მიიღო თბილისის კლასიკურმა გიმნაზიამ. მანვე თბილისის ბოტანიკური ბაღის სწავლულ მდივანთან ერთად იმუშავა ალექსანდრეს ბაღის გაშენებაზე.

თბილისში მოღვაწე გერმანელებს შორის გამორჩეული ადგილი ზალცმანებს ეკუთვნით. თეოდორ ზალცმანი 1819 წელს ვიურტენბერგიდან ჩამოვიდა საქართველოში და თბილისში პირველმა დაიწყო ლუდის წარმოება. მოგვიანებით რიყეზე, იქ, სადაც სხვა გერმანელი კოლონისტების სახლები იდგა, თავისივე აშენებულ სახლში სასტუმრო გახსნა. წლების განმავლობაში ეს საუკეთესო სასტუმრო იყო თბილისში. თბილისში დაბადებულ არქიტექტორ ალბერტ ზალცმანის (1833-1897) აშენებულ საზოგადოებრივი დანიშნულებისა თუ საცხოვრებელი სახლების შესახებ არაერთ კვლევაში ვკითხულობთ. მაია მანია აღნიშნავს, რომ ზალცმანის მიერ აგებული შენობები სტილის და ტიპოლოგიის თვალსაზრისით მრავალფეროვანია. მან განათლება პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღო. მუშაობდა მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში, მიენიჭა არქიტექტურის აკადემიკოსის წოდება. საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებს შორის ალბათ ყველაზე ცნობილი და გამოჩეული დღევანდელი ეროვნული გალერეის შენობაა, რომელიც თავდაპირველად სამხედრო-ისტორიული მუზეუმისთვის იყო განკუთვნილი. ალბერტ ზალცმანი მრავალი სხვა, არქიტექტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შენობის ავტორი იყო. მისი აგებულია პეტრე პავლეს სახელობის კათოლიკური ეკლესია ჯავახიშვილის ქუჩაზე, რომელსაც რომაული ბაროკული ტიპის ტაძრის, ვინიოლას ილ ჯეზუს ტაძრის ფორმა უდევს საფუძვლად. რაც შეეხება მის მიერ აგებულ საცხოვრებელ სახლებს, საკმაოდ საინტერესო და, შეიძლება ითქვას, უიშვიათესი უაივნო ტიპის ნიმუში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის N22 სახლია. ცნობილია, რომ სამსართულიანი შემოსავლიანი სახლი თამამშევს ეკუთვნოდა. ფასადის მდიდრული და ოსტატური მორთულობა ქართული ხუროთმოძღვრების მოტივების მიხედვით არის შექმნილი. ამავე დროს, შიდა ეზოში შეულესავი აგურის ფასადი მკაცრი და სადაა. საყურადღებოა სადარბაზოს მარმარილოს საფეხურებიანი ჭადრაკული ბაქნიანი, რკინის აჟუ-

რულმოაჯირიანი კიბე. ეს სახლი თბილისში, ფაქტობრივად, რომანტიკული მიმდინარეობის განვითარებას უქმნის საფუძველს. საინტერესო ნიმუშებს წარმოდგენს აღმაშენებლის N115 კლასიცისტურ-ბაროკული საცხოვრებელი სახლი. გალაკტიონ ტაბიძის N9 და შალვა დადიანის N10 გვიანი კლასიციზმის გამორჩეული ნიმუშებია. ამ სახლებთან ახლოს დგას პაოლო იაშვილის N15. სახლი 1889 წელს აშენდა და გახსნილ ეზოიან ტიპს წარმოადგენს.

ყოფილი სახაზინო თეატრი, დღევანდელი ოპერის შენობა, ვიქტორ შრეტერის (1839-1901) აშენებულია. ისლამური სტილიზაცია სტალაქტიდურ კარნიზებში, ისრულ და ნალისებურ თაღებში, მუშარაბიან ღიობებში ვლინდება. ოპერის მშენებლობა 16 წელს გაგრძელდა. სხვადასხვა დროს მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ პაულ შტერნი, ალბერტ ზალცმანი და ალექსანდრე შიმკევიჩი. ვიქტორ შრეტერმა ასევე დააარსა პირველი არქიტექტურული ჟურნალი „ზოდჩი“, ის იყო პეტერბურგის სამოქალაქო ინჟინერიის ინსიტიტუტის პროფესორი.

არქიტექტორი პაულ შტერნი ძველი მერიის შენობის ფასადების მორთულობის ავტორია. შენობა XIX საუკუნეში არქიტექტორ ოზეროვის გეგმით გადაკეთდა. ფასადების ისლამური სტილიზაცია, შეისრული თაღები, სტალაქტიდური კარნიზები და ზოლებად დანაწევრებული ფასადი კი შტერნის შექმნილია. აღმაშენებლის ქუჩასა და მიმდებარე ტერიტორიაზეა კონცენტრირებული პოლ შტერნის მიერ აგებული საცხოვრებელი სახლები. მათ შორის, 1893 წელს აშენებული თავად არქიტექტორის საცხოვრებელი სახლი კრილოვის ქუჩაზე ისლამური და ევროპული ელემენტების შერწყმით გამოირჩევა — პირველ სართულზე ფართო სწორკუთხა ღიობებით, მეორე სართულის ნალისებური და ისრული მოყვანილობის ფანჯრებით, მათში ჩასმული სოლომონის ბეჭდის გამოსახულებითა და პროფილირებული სარტყლებით. საყურადღებოა ეზოს მხრიდან ხის ჭვირული აივნები და ჭვირულმოაჯირიანი კიბეები. ბაქოს და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე მდებარე შეულესავი აგურის სახლი კი აგურის დეკორატიული წყობით, რიკულებიანი აივნით და მძიმე ანტაბლემენტით გამოირჩევა. გუთური სტილიზაციის საინტერესო ნიმუშია კინოსა და თეატრის მუზეუმის შენობა კარგარეთელის ქუჩაზე, რომელიც ემილია ფრანცის ასულ ტიტიელის კუთვნილ მიწაზე აშენდა. საყურადღებოა, რომ, მაია მანიას აზრით, შენობა გარკვეულწილად სცილდება თბილისურ ტრადიციას და ადგილობრივი არქიტექტურის უფრო გაბედულ ნიმუშს წარმოდგენს.

გერმანელი არქიტექტორის ლეოპოლდ ბილეფელდის აშენებული სახლები ძირითადად დავით აღმაშენებლის პროსპექტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზეა. ე.წ. გირცელის სახლი, აღმაშენებლის N77, ბილფელდის მიერ შექმნილი უადრესი ნიმუშია. 1876 წელს აშენებული სახლის პროსპექტისაკენ მიპყრობილი მთავარი ფასადი კლასიციზმისა და ბაროკოს ნიშნების მატარებელია. გირცელის სახლის ახლოს, ვარდების ბაღთან, კლასიცისტური ტიპის მეტად სახეცვლილი ი. მაიერის სახლია (დავით აღმაშენებლის N46). ე.წ. სლივიცკის საცხოვრებელი სახლი მონუმენტურია, მკაცრი, შიდა მხარეს კი თბილისური გახსნილი ეზო აქვს. უდავოდ გამორჩეულია ე.წ. ვეტცელის სატუმრო. ვიურტემბერგიდან საქართველოში ჩამოსახლებული კასპარ ვეტცელის შთამომავლებმა უკვე XIX საუკუნის II მეორე ნახევარში ფინანასურ წარმატებას მიაღწიეს, თბილისში არაერთი შენობა ააშენეს. ვეტცელები ფლობდნენ როგორც საცხოვრებელ სახლებს, ასევე სავაჭრო და საწარმოო ობიექტებს. განსაკუთრებით წარმატებულმა ფრიდრიხ ვეტცელმა 1870-იან წლებში ლუდის სახარში, ხოლო უფრო მოგვიანებით სასტუმრო გახნა, რომელიც დღევანდელი აღმაშენებლის გამზირის 103 ნომერშია. შენობა ლეოპოლდ ბილფერლდმა დააპროექტა. სასტუმრო მდიდრულად გაფორმებული ფასადებით ბაროკალური ორნამენტებით გამოირჩეოდა. მისი შუა და მთავარი ნაწილი აღმაშენებლის ქუჩისკენ არის მიმართული, მარცხენა ფრთა ქუჩის სიღრმეში, მარჯვენა კი ჭავჭავაძის ქუჩაზე გამოდის. შენობას გამოარჩევდა არა მარტო განსაკუთრებული კომფორტი – ლიფტი, წყლის გათბობა და ელექტროგაყვანილობა, არამედ მის მარცხენა ფრთაში მოწყობილი თეატრი, რომელშიც სხვადასხვა წარმოდგენა იმართებოდა[3]. მოგვიანებით სასტუმრო ვეტცელის ხელქვეითმა ნოე სიხარულიძემ შეიძინა, მის მიერ საფუძვლიანი გადაკეთების შედეგად პროსპექტის ფასადზე დაემატა ვერანდა და ჰერმეს-ატლანტის ფიგურები შესავლელში. სასტუმროს ჰქონდა ბაღიც, რომელშიც 1901 წლის ზაფხულში კონცერტებს მართავდა ოპერის თეატრის ორკესტრი. გერმანული ბაროკოს სტილში აგებული, განსაკუთრებულად საინტერესო ისტორიის მქონე შენობა დღეს სავალალო მდგომარეობაშია. ლეოპოლდ ბილფელდის აგებულ შენობებს შორის გერმანელი კოლონისტებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და ასევე

3 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/16

არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეული ლუთერანული ეკლესია იყო. რომანულ-გუთურ ტრადიციებზე აგებული დღევანდელ მარჯანიშვილის მოედანზე მდებარე ტაძრი 1940-იან წლებში განადგურდა. ბილფელდის მიერ აგებული რელიგიური დანიშნულების შენობებიდან ქაშვეთის ტაძარი გადარჩა. ტაძრის გეგმა და ფასადები მცირე განსხვავებებით იმეორებს შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების გამორჩეულ ძეგლს, სამთავისს, და, ამგვარად, რომანტიკული მიმდინარეობის გამოძახილია.

არქიტექტორ და აკადემიის პედაგოგ ალექსანდრე შიმკევიჩის მიერაა აგებული საქალაქო სასამართლოსა და დღევანდელი კონსერვატორიის შენობა. კონსერვატორია მრავალჯერ გადაკეთდა, მოიცავდა რენესანსულ სტილს ბაროკულ ფასადზე, ინტერიერში კი — კლასიცისტურ და მოდერნის სტილს. კუთხის ნიშაში მოთავსებული ბრინჯაოს ფიგურა ანტონ რუბინშტეინის ქანდაკებაა, რომელმაც 1891 წლის კონცერტის ჰონორარი მშენებლობას მოახმარა. შიმკევიჩმა არქიტექტორ ტატიშევთან თანამშრომლობით ააგო რუსთაველის თეატრის ბაროკულ-როკოკოული შენობა. აღსანიშნავია შენობის ფასადის მდიდრული მორთულობა და ქუჩაზე გამოსული პორტიკი, რომელიც მთელ ქუჩას იკავებს. თეატრის შიდა სივრცეში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სარდაფში განთავსებული ისტორიული არტისტული კაფე და მისი მოხატულობა. შიმკევიჩის დაპროექტებულია დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე მდებარე (N19) ეკატერინე როტინოვას კუთვნილი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ისლამური სტილიზაციისა და ევროპული დეტალების შერწყმის მშვენიერი ნიმუშია. შიმკევიჩის დაპროექტებულია საცხოვრებელი სახლები ჭონქაძის N8-სა და ინგოროყვას N8-ში. გამორჩეულია ასევე კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მთავარი შენობა — დღევანდელი აბრეშუმის მუზეუმი. შენობა ისლამურ და ევროპულ სტილს აერთიანებს, მორთულობაში კი სპეციფიკური ელენეტები — პეპელა, აბრეშუმის ჭია გვხვდება.

ბერლინელი არქიტექტორის კარლ ცაარის აშენებულია დღევანდელი ლიტერატურის მუზეუმის შენობა. ასევე, დავით სარაჯიშვილის სახლი ივანე მაჩაბლის 13 ნომერში, რომელიც მოდერნის, ბაროკოსა და როკოკოს სტილს აერთიანებს და სოლოლაკის სტილისტურ მრავალფეროვნებას კიდევ უფრო ამდიდრებს. საგულისხმოა არაჩვეულებრივი შიდა ეზო, აივნებისა და ინტერიერის მორთულობა, რომელიც ხითხუროობის ოსტატს ილია მამაცაშვილს ეკუთვნის.

ვერაზე აშენებულ სახლებს შორის გამორჩეულია არქიტექტორ იოჰან დიცმანის მიერ აშენებული სახლი ზანდუკელის ქუჩაზე. წმ. ალექსანდრე ნეველის მღვდელთმსახურთა სახლი 1911 წელს აშენდა. შეულესავი აგურის შენობა რკინისმოაჯირებიანი გემით და სამკუთხა ჩაშენებული აივნებით გამორჩევა. დიცმანის აგებულია მთაწმინდის ძირში წმ. მიხეილ ტვერელის ეკლესია, რომელიც მეფისნაცვლისა და მისი მეუღლის მფარველობითა და რუსეთის დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის მხადაჭერით აიგო.

მელიქ კაზარიანცის შემოსავლიანი სახლი, თბილისური მოდერნის მნიშვნელოვანი ნიმუში (რუსთაველის N37), 1912-1915 წლებში პოლონელი წარმოშობის არქიტექტორმა ნიკოლოც ობოლონსკიმ ააგო. შენობას ფიგურული რელიეფი, შიდა ხის აივნები, რუსტირებული მძიმე ფასადი, იუგენდშტილის დეკორი და ქუჩის კუთხეში მოქცეული ორი გუმბათი გამოარჩევს.

თბილისის მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორიის მთავარი შენობა 60-იან წლებში მიხეილის (აღმაშენებლის გამზირი) ქუჩასა და მდინარის შორის არსებულ ტერიტორიაზე გერმანელი ასტრონომის, არნოლდ მორიცის, თაოსნობით აშენდა. მშენებლობაში მონაწილეობა მიიღო გერმანელმა სამოქალაქო ინჟინერმა ფერდინანდ ლემკულმა. 1871 წელს ობსერვატორია ოტო სიმონს შეუკეთებია, ხოლო 80-იან წლებში რეკონსტრუქციას ლეოპოლდ ბილფელდმა უხელმძღვანელა.

პოლონელი წარმოშობის არქიტექტორმა სტეფანე სამოილის ძე კრიჩინსკიმ კონსტანტინე ზუბალაშვილის დაკვეთით 1907 წელს მარჯანიშვილის თეატრის მოდერნის ტიპის შენობა ააგო. შენობის მდიდარ მორთულობას ფასადის ზედა ნაწილში მუზების გამოსახულებიანი ფიგურატიული რელიეფი ამშვენებს. მეოცე საუკუნის დასაწყისში აშენდა აპოლოს კინოთეატრის შენობა, ამ პერიოდის თბილისის არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუში, რომლის არქიტექტორი, სამწუხაროდ, უცნობია.

ამგვარად, ევროპელი არქიტექტორების მიერ აგებული შენობები ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეულად საინტერესო ძეგლებს წარმოდგენს, ასევე, საქართველოში მოღვაწე ევროპელი მხატვრების ნიმუშები ჩვენთვის უაღესად საინტერესოა როგორც ისტორიული, ასევე მხატვრული თვალსაზრისით.

გამოყენებული და სარეკომენდაციო ლიტერატურის ნუსხა:

1. მაია მანია, ევროპელი არქიტექტორები თბილისში, თბილისი 2006
2. ნინო ჭოღოშვილი, გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე, თბილისი, 2006
3. დავით ხოშტარია, საფასადო ქანდაკება თბილისში, თბილისი, 2008
4. დავით ხოშტარია, თბილისის ძველი სასტუმროები, თბილისი, 2001
5. ბერიძე ვ., „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები“, თბილისი, 1960
6. მაია მანია, თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია. ისტორია და არქიტექტურა, თბილისი, 2010
7. http://german-georgian.archive.ge/ka/blog/16
8. http://german-georgian.archive.ge/ka/blog/15
9. http://german-georgian.archive.ge/ka/blog/13

აქტივობის მაგალითი

წინამდებარე ტექსტი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის საგაკვეთილო რესურსია, რომლის დახმარებით, სხვადასხვა ტიპის საექსკურსიო გაკვეთილის დაგეგმვაა შესაძლებელი. გთავაზობთ შემეცნებითი ტურის მოდელს. აღნიშნულ პერიოდზე, თემასა ან უშუალოდ არქიტექტურაზე, როგორც დარგზე, მუშაობის დროს შეიძლება დავგემოთ შემდეგი ტიპის ტური:

თბილისის შემეცნებითი ტური შეიძლება 2 მარშრუტად, ანუ 2 განსხავებულ ტურად გაიყოს.

I დღე – I ჯგუფი – რუსთაველის ქუჩა და მიმდებარე ტერიტორია

I საველე პრაქტიკა მოიცავს რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე შენობებს. იწყება საცხოვრებელი სახლით ტაბიძის 2 ნომერში, შემდეგ გრძელდება ხელოვნების მუზეუმის შენობით (ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 2/4), ოპერა (შოთა რუსთაველის გამზირი 25), ქაშუეთის ტაძარი (შოთა რუსთაველის გამზირი 9) და თბილისის საკრებული, ძველი მერიის შენობა (თავისუფლების მოედანი).

მოსწავლეებს ეძლევათ 3 ტიპის დავალება:

1. უნდა იპოვონ რომელიმე შენობაზე ქვემოთ ჩამოთვლილი დეტალი.
   - ☆ დორიული სვეტი
   - ☆ ყურძნის მოტივი
   - ☆ შეისრული თაღი, კამაროვანი თაღი
   - ☆ სტალაქტიდური ნიშა
   - ☆ ვარდული ....

   ჩამოთვლილი დეტალების პოვნის შემდეგ უნდა აღწერონ ადგილმდებარეობა და დაახასიათონ დეტალი.
2. ქაშუეთის ტაძრის ზედმიწევნითი დათვალიერების შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებლად ცდილობენ დახაზონ ტაძრის გეგმა. მასწავლებლის მიერ წინასწარ შერჩეულ ელემენტს იხატავენ თაბახის ფურცლებზე.
3. იღებენ ფოტოებს და ავსებენ კითხვარს. სავარაუდო შეკითხვები:
   - ☆ რომელი შენობა მოგეწონა? რატომ?

☆ რა მასალით არის შენობები აგებული?

☆ ჩამოთვალე ნანახი შენობების ფუნქციები.

☆ შენი აზრით, როგორი იყო თბილისი, როდესაც ეს შენობები აშენდა? და ა.შ.

II დღე – II ჯგუფი – აღმაშენებლის პროსპექტი და მიმდებარე ტერიტორია

შტერნის სახლი (აღმაშენებლის და კრილოვის ქუჩების კვეთა), კინოსა და თეატრის მუზეუმი (ია კარგარეთელის ქუჩა N6), სასტუმრო ვეტცელი (აღმაშენებლის და ზ.ჭავჭავაძის ქუჩების კვეთა), პეტრე-პავლეს ეკლესია (კიტა აბაშიძის ქუჩა N10/8), მარჯანიშვილის თეატრი (კოტე მარჯანიშვილის ქუჩა N8).

1. ჩამოთვლილი ან დახასიათებული დეტალი უნდა იპოვონ რომელიმე შენობაზე.
   ☆ გოთური ორნამენტი
   ☆ ვარსკვლავი
   ☆ მრავალფიგურიანი რელიეფი
   ☆ ჰერმესის ფიგურა
   ☆ ფასადის მოხატულობა...
   ჩამოთვლილი დეტალების პოვნის შემდეგ უნდა აღწერონ ადგილმდებოარეობა და დაახასიათონ დეტალი.
2. პეტრე-პავლეს კათოლიკური ტაძრის დათვალიერების შემდეგ ცდილობენ ტაძრის გეგმის ჩახაზვას. იხატავენ მასწავლებლის მიერ არჩეულ რომელიმე დეკორატიულ ელემენტს.
3. იღებენ ფოტოებს და ავსებენ კითხვარს. სავარაუდო შეკითხვები:
   ☆ რომელი შენობა მოგეწონა? რატომ?
   ☆ რა მასალით არის შენობები აგებული?
   ☆ ჩამოთვალე ნანახი შენობების ფუნქციები.
   ☆ შენი აზრით, როგორი იყო თბილისი, როდესაც ეს შენობები აშენდა? და ა.შ.

III დღე შეჯამება

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შევსებულ კითხვარებს, ჩანახატებს, ფოტოებს – სრულ საექსკურსიო მასალას უყრის თავს და მოსწავლეებთან ერთად აჯამებს ტურს. წინასწარ მომზადებულ, კლასში გაკრულ თბილისის ცენტრის რუკაზე (შეიძლება ინტერნეტში მოძიება) მოსწავლეები ფერადი ფანქრებით მონიშნავენ შენობებს. ყოველ მონიშნულ შენობას სათითაოდ განიხილავენ და აკეთებენ მცირე პრეზენტაციებს, საუბრობენ საკუთარ შთაბეჭდილებებზე.

მასწავლებელს, დამატებით ლიტერატურაზე დაყრდნობით (მოცემულია ლიტერატურის ნუსხაში), შეუძლია მოამზადოს დამატებითი გამახალისებელი აქტივობა, მაგალითად, დავით ხოშტარიას „თბილისის ძველ სასტუმროებში“ ამოკითხული ისტორიები შთაგონებისთვის შეიძლება უამბოს ბავშვებს, მათ კი მოფიქრონ, რა საინტერესო ამბავი შეიძლება მომხდარიყო სასტუმრო ვეტცელში, ან რა იყო გამოფენილი სამხედრო-ისტორიულ მუზეუმში, ან როგორი წარმოდგენები იმართებოდა ოპერაში და ა.შ.

საცხოვრებელი სახლებისა თუ საზოგადოებრივი შენობის დათვალიერებისას, შეიძლება გამოიყენონ ინტერვიუს მეთოდი, მცხოვრებლებს ან სხვადასხვა შენობაში მომუშავე ადამიანებს დაუსვან წინასწარ მომზადებული კითხვები და, ამ კითხვარის საშუალებით, მეტი და უფრო საინტერესო ინფორმაცია შეაგროვონ ისტორიული შენობების შესახებ.

ცერნი — ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი კიდევ ერთი რაკურსით

მოგზაურობა 13,7 მილიარდი წლის წინათ, რომელსაც შეუძლია ნათელი მოჰფინოს სამყაროს დაბადებიდან დღემდე არსებულ მრავალ საიდუმლოს, როგორებიცაა, მაგალითად:

- ☆ როგორ შეიქმნა სამყარო და რატომაა ისეთი, როგორიც არის და არა სხვანაირი?
- ☆ რას წარმოადგენს გალაქტიკების ცენტრში არსებული შავი ხვრელები?
- ☆ რატომ ვერ ვხედავთ უხილავ მატერიას და ენერგიას, რომლებიც ჩვენი სამყაროს 95 პროცენტია?
- ☆ არსებობს თუ არა და სად არის განლაგებული ანტიმატერიის სამყარო?
- ☆ არსებობს თუ არა პარალელური სამყაროები?
- ☆ შეიძლება თუ არა მრავალგანზომილებიანი სივრცეების დადასტურება ან უარყოფა?
- ☆ განვითარების რა გზა გაიარა და როგორი დასასრული ექნება სამყაროს?
- ☆ შესაძლებელია თუ არა იმის კვლევა, თუ რაში დასჭირდა ბუნებას ამა თუ იმ ნაწილაკის შემოტანა, ან რაში შეიძლება ბუნების კანონზომიერებების გამოყენება?

ეს არის იმ შეკითხვების ნაწილი, რომლებიც დაუგროვდა კაცობრიობას. ზოგადად, სამყაროს იმ საოცარი კანონზომიერების შეცნობა, რომლის ნა-

წილი ჩვენც ვართ, ყოველთვის აინტერესებდათ ადამიანებს. ამ საიდუმლოების ამოცნობა და პასუხი ზემოთ ჩამოთვლილ შეკითხვებზე დღეს აღარაა ფანტასტიკის სფერო, ეს ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის, იმავე „ცერნის“, თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების ძირითადი მიზნებია.

სურათზე: დაარსებიდან 50 წლის იუბელესთან დაკავშირებით აგებული პავილიონი, სადაც ამჟამად განლაგებულია ცერნის ექსპოზიცია

ცერნი – ეს არის მსოფლიოში უდიდესი და ყველაზე ამბიციური იდეებისა და პროექტების განხორციელების ადგილი. იგი განლაგებულია შვეიცარია-საფრანგეთის საზღვარზე და მიწის ზედაპირზე უკავია 600 ჰექტარი ტერიტორია, ხოლო ძირითადი ექსპერიმენტული დანადგარები განლაგებულია მიწის ქვეშ, 100 მეტრის სიღრმეზე არსებულ 27 კილომეტრი წრიული ამაჩქარებლის გარშემო, სადაც არა მარტო პროტონების აჩქარება ხდება სინათლის სიჩქარემდე, არამედ კაცობრიობის პროგრესისაც. მიუხედავად იმისა,



პოლ გოგენის ნახატი: „ვინ ვართ? საიდან მოვდივართ? საით მივდივართ?..

რომ ცერნი ევროპის 22 ქვეყნის საკუთრებაა, ამ პროექტის განხორციელებაში ჩართულია ყველა კონტინენტის მსოფლიოს 80-მდე ქვეყნის ფინანსური, ინტელექტუალური და ტექნოლოგიური რესურსები. ეს არის ადგილი, სადაც შესაძლებელია ქვეყანაში ფინანსური, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური დეფიციტის პირობებში ეს დეფიციტი შეივსოს ცერნის შესაძლებლობების გამოყენებით, ამ სიკეთით სარგებლობს მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყანა ყველა კონტინენტიდან, მათ შორის, აშშ, იაპონია და ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული და ძლიერი ქვეყნები. აქ მუშაობა მიმდინარეობს დღევანდელი მსოფლიოს შესაძლებლობების ზღვარზე. ზოგადად, თვალს თუ გადავავლებთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის განვითარების დონეს, დავინახავთ უზარმაზარ განსხვავებას იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც იღებენ და გასცემენ თავიანთ გამოცდილებას, ერთად დგანან საერთო გამოწვევების წინაშე და იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეწევიან ჩაკეტილ ცხოვრებას.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, მსგავსი კვლევების ძირითადი მიზანია, იპოვო კარი და შეაღო იქ, სადაც კაცობრიობის მიერ დაგროვილი მრავალი კითხვის პასუხია, ჯერ კიდევ ბუნების მიერ დაშიფრული უცნობი ტექსტის სახით, რათა პასუხი გაეცეს კაცობრიობის მარადიულ კითხვებს: „ვინ ვართ? საიდან მოვდივართ? საით მივდივართ?..“ ხშირად პრეზენტატორები იყენებენ გოგენის ამ შესანიშნავ ნახატს, რომელზეც თითოეულ ფიგურას გააჩნია გარკვეული სიმბოლური დატვირთვა და ზედა მარცხენა კუთხეში გამოსახულია ანალოგიური წარწერა.

ექსპერიმენტების დათვალიერებისას იმ ადგილებში, სადაც გარკვეული სიფრთხილეა საჭირო, შესასვლელში შეხვდებით ასეთ გამაფრთხილებელ წარწერას: „არავითარი სამეცნიერო აღმოჩენა არ ღირს თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლედ.“ ეს სიტყვები კარგად გამოხატავს ევროპის ქვეყნების საკუთრებაში არსებულ ამ უზარმაზარი ინსტიტუტის იდეოლოგიას და დამოკიდებულებას როგორც ცალკეული პიროვნების, ასევე, ზოგადად კაცობრიობის მიმართ. ცერნის ნებისმიერი საქმიანობა დაკავშირებულია არა სამხედრო (გამონაკლისის გარეშე), არამედ მშვიდობიან კვლევებთან. მშვიდობა, თავისუფლება, ცოდნა და განათლება, ერთ ადგილზე გენერირებული ცოდნა და გამოცდილება ყველას, კაცობრიობის საკეთილდღეოდ – ეს არის ცერნის ძირითადი პრინციპები.

„ცერნი“ არ არის მხოლოდ სამეცნიერო კვლევების განხორციელების ადგილი. მისი ძირითადი ფუნქცია ინოვაციები და ახალი ტექნოლოგიების შემუშავებაა, ასევე, განათლება, მეცნიერებისა და ინჟინრების გადამზადება მომავლისთვის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა და კულტურის ადამიანების გაცნობა და დაკავშირება.



მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ცერნში მიღწეული წარმატებებიდან:

მეცნიერება:

1. W და Z ნაწილაკების აღმოჩენა, რომელმაც დაასაბუთა ელექტრომაგნიტური და სუსტი ურთიერთქმედების გაერთიანების თეორია. ამ აღმოჩენისთვის გაიცა ნობელის პრემია.
2. ჰიგსის ნაწილაკის აღმოჩენა, რომელიც ჟურნალისტებმა მონათლეს, როგორც „ღვთიური“ ნაწილაკი. გაცემულია ნობელის პრემია.
3. პირველად ანტინივთიერების სინთეზი.
4. პროპორციული კამერების შექმნა. გაცემულია ნობელის პრემია.
5. კვარკ-გლუონური პლაზმის მიღება, რა მდგომარეობაშიც იმყოფებოდა სამყარო დაბადებიდან პირველ მიკროწამებში.

ინოვაციები და ტექნოლოგიები:

1. WWW სისტემის, ანუ ინტერნეტის შექმნა, რომელიც უფასოდ გადაეცა მსოფლიოს;
2. ინტერნეტის მსგავსი სისტემის, „გრიდის“ შექმნა (ჯერჯერობით არ გამოიყენება საყოველთაო მიზნებისთვის);
3. სამკურნალო და სადიაგნოსტიკო ტექნოლოგიების შექმნა და დახვეწა სამედიცინო მიზნებისთვის (ტომოგრაფია, სხივური თერაპია);
4. ზეგამტარობის ფართო მაშტაბით გამოყენება;
5. „დვდ“ სისტემის შექმნა.

განათლება:

არანაკლებ მნიშვნელოვანია ცერნის საგანმანათლებლო პროგრამებიც, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქვეყნის მასწავლებლები, სტუდენტები და მოსწავლეები. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოდანაც, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ყოველწლიურად იგზავნებიან სკოლის პედაგოგები, განათლების სამინისტროს ორგანიზებით კი – სტუდენტები და სხვადასხვა ოლიმპიადასა და ღონისძიებებში გამარჯვებული და მონაწილე მოსწავლეები.

დაჯილდოების ცერემონიაზე: მარცნიდან ატლას ექსპერიმენტის ხელმძღვანელი დეივ ჩარლტონი, ჯგუფის უფროსი ირაკლი მინაშვილი, კოლეგა ჩეხეთიდან სტანისლავ ნემეჩეკი და სამეცნიერო საბჭოს მდივანი ჰოვარდ გორდონი.

სასიამოვნოა, რომ საქართველოც ჩართულია და მონაწილეობას იღებს ასეთი მასშტაბური პროექტების განხორციელებაში. ეს არის შესანიშნავი საშუალება, საქართველომ მსოფლიოს გააცნოს არა მარტო საკუთარი სამეცნიერო მიღწევები, არამედ კულტურა და ისტორიაც. მიუხედავად იმისა, რომ ქართველების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის და ინსტიტუციის სახელით, როგორც წესი, ჯგუფებში ისინი მოიხსენიებიან, პირველ რიგში, როგორც „ჯორჯიან“ – ქართველი. ქართველები ამ პროექტებში მონაწილეობენ თეორიულ, ექსპერიმენტულ, მონაცემების დამუშავებასა და ტექნიკურ სამუშაოებში და საკმაოდ წარმატებითაც, მაგალითად, 2015 წელს ჩვენი თანამემამულე ირაკლი მინაშვილი დაჯილდოვდა მიღწეული წარმატებისთვის, როგორც ატლას ექსპერიმენტის ერთ-ერთი საუკეთესო ჯგუფის ხელმძღვანელი. ასევე, ავტორთა ჯგუფს – ირაკლი მინაშვილს, ედიშერ ცხადაძეს, ჯემალ ხუბუას და ალექსანდრე შარმაზანაშვილს – მიენიჭა საქართველოს ეროვნული პრემია ცერნის ექსპერიმენტებში შეტანილი წვლილისთვის. ყველა ქართველ ფიზიკოსს, ვისაც ცერნში უმუშავია და დღესაც მუშაობს, ვერ დაიტევს ეს სტატია, ამიტომ მათ ჩამოთვლას აქ აღარ შევუდგები.

ცერნი, რომელიც დაარსებულია 1954 წელს, დაარსების დღიდან, მრავალი წლის განმავლობაში იყო ერთიანი ევროპის მოდელი და მაგალითი, რო-

მელიც დღეს უკვე რეალობაა. ცერნი არის არა მარტო ახალი სამეცნიერო იდეების გენერატორი და მათი ექსპერიმენტულად დადასტურების ადგილი, ეს არის არა მარტო ადგილი, სადაც იბადება და მთელ მსოფლიოში უანგაროდ ვრცელდება ახალი ტექნოლოგიები, არამედ ეს არის ადგილი, სადაც თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ჩამოსული სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის ადამიანთა კომფორტული და მეგობრული თანაცხოვრებაა, თუნდაც ისინი სხვადასხვა, დაპირისპირებული და ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი სახელმწიფოების წარმომადგენლები იყვნენ. მსოფლიოში არ არსებობს ისეთი წარმონაქმნი, რომელშიც ენათა და კულტურათა ასეთი მრავალფეროვნებაა. ეს არის ადგილი, სადაც უაღრესად დაფასებულია პიროვნების ღირსება, თავისუფლება, ეროვნული და კულტურული მრავალფეროვნება. ამ ღირებულებებს თუ შევადარებთ ქართულ ტრადიციულ ღირებულებებს, მაგალითად, თუ გავიხსენებთ უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“, მასში ხომ საგანგებოდაა გამოხატული პერსონაჟებს შორის ურთიერთპატივისცემა, მეგობრობა, გვერდში დგომა და თავდადება, მიუხედავად მათი სოციალური წარმოშობისა და პიროვნული სხვადასხვაობისა. იგივე შეიძლება ითქვას ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურსა“ თუ „სტუმარ-მასპინძელზე“. ამ ნაწრმოებებშიც ხომ აშკარად უფრო ფასეულია ცალკეული პიროვნების ღირსებების პატივისცემა და დაფასება, ვიდრე თუნდაც საუკუნეების მანძილზე თემში დამკვიდრებული ტრადიციები და ჩვევები. გავიხსენოთ თუნდაც ილია ჭავჭავაძის სიტყვები, რომლებიც დღესაც აქტუალურია: „აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი, რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილკაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარხმალით შეჭურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს. ამისათვის სამყოფი არ არის კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზები და იმითი თავი მოიტანოს. ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფიარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედანზედ, რომელიც ჩვენ ზემოთ ვიგულისხმეთ, კაცი ერთ ნაბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წასდგამს, და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს

საბოლოოდ ვერ დააჩნევს. ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერსა ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ“.

ხოლო მათ საყურადღებოდ, ვისაც ევროპა სხვადასხვა მიზეზების გამო არ მოსწონს, მოვიყვან ციტატას ისევ ილიას სტატიიდან „დღევანდელი სპარსეთი“. დღეს სპარსეთში იქაური სასულიერო წოდება, რომელიც აქომამდე მარტო გუნდრუკს უკმევდა ყველაფერს სპარსულს და უკადრისად იხსენიებდა სხვას ყოველს, რაც სპარსული არ იყო, ცოტად თვითონაც გამოფხიზლდა და დაინახა, რომ თუმცა ევროპა ურჯულო ქვეყანაა, მაგრამ იქ ბევრი იმისთანა წესი და რიგია, რომელსაც კაცმა ცხვირის მაღლა აწევით გვერდს არ უნდა გაუაროს, პირიქით, უნდა დინჯის თვალით დაუკვირდეს და აწონ-დაწონვით მოსჩხრიკოს, – რა არის იქიდამ კარგი მისაღები და შემოსატანი და არ არის უარსაყოფელი, განსადევნი“.

სწორედ ამიტომაცაა ევროპა ჩვენთვის მიმზიდველი და საინტერესო, ევროპა, რომელიც არა მარტო უანგაროდ გვიმასპინძლდება თავისი მიღწევებით და ღირებულებებით, არამედ სიამოვნებით იღებს და ითავისებს სხვა ქვეყნების წარმატებებს მეცნიერებაში, ხელოვნებასა თუ სხვადასხვა დარგში, ითავისებს პროგრესული ცხოვრების სტილსაც. არცაა გასაკვირი, რომ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა იბრძვის ევროპისათვის, რადგან სწორედ აქაა განლაგებული მსოფლიოს უმსხვილესი და წარმატებული ბრენდები, სამეცნიერო დაწესებულებები, მაღალრეიტინგული უნივერსიტეტები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთაც კარგად აქვთ გაცნობიერებული ერთი ჭეშმარიტება: ადამიანი რომ იყოს შემოქმედი და წარმატებული, აუცილებელია იგი იყოს თავისუფალი და ყოველმხრივ უზრუნველყოფილი. სწორედ ასეთმა მიდგომამ დაუდო საფუძველი ევროპული ქვეყნების წინსვლას.

გარდა ტექნოლოგიური და მატერიალური სიკეთისა, მსგავსი კვლევები და, ზოგადად, მეცნიერება აფართოებს ადამიანთა ცნობიერებას, ცვლის მის დამოკიდებულებას როგორც სამყაროსადმი, ასევე სხვა პიროვნებების მიმართ. ჩვენ ვართ ერთი მთლიანი, მაღალორგანიზებული არსების ნაწილი და ხშირად ვერ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენივე არსებობა და კეთილდღეობა დამოკიდებულია ამ მთლიანის არსებობაზე. ჩვენთვის სამყარო შემოსაზღვრუ-

ლია უმნიშვნელო საზღვრებით: სკოლა, უნივერსიტეტი, სამსახური, პოლიტიკა, სად რა მოხდა, ვინ მოკლეს თუ გაძარცვეს... ასეთი ვიწრო ჰორიზონტის ფარგლებში კი უმნიშვნელო დეტალებს და პრობლემებს დიდ ყურადღებას ვაქცევთ და შემდგომ გვიკვირს, თუ საიდან მოდის ამდენი აგრესია, ექსტრემიზმი, ომები და შეუწყნარებლობა ადამიანებს შორის.

ცერნი ეს არის კოლექტიურ აზროვნებაზე დაფუძნებული სამეცნიერო კვლევების შესანიშნავი მაგალითი, რომელსაც ასევე უდიდესი ფილოსოფიური და ინტელექტუალური მნიშვნელობა აქვს. აქ მიღწეული შედეგები საზოგადო საკუთრებაა და ეს არის საუკეთესო ინვესტიცია, რაც კი შეიძლება ადამიანმა მოიფიქროს და ჩადოს მსოფლიო ერთობისა და კეთილდღეობის საქმეში.

www.tpdc.gov.ge